საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტი

# მ ა ს ა ლ ე ბ ი

## საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის

## М А Т Е Р И А Л Ы

## ПО ИСТОРИИ ГРУЗИИ и КАВКАЗА

ნაკვ. 32 ВЫП.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

თბილისი—1955

## შ ი ნ ა ა რ ს ი


1 თ. ყაუხჩიშვილი — ჰეროდოტეს ზოგიერთი ცნობის შესახებ . . 5
Т. С. Каухчишвили — По поводу некоторых сведений Геродота . . . . . 11
2 მ. ინაძე — შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მოსახლე ტომთა ისტორიისათვის . . . . . 13
М. П. Инадзе—К истории племен восточного причерноморья (Гениохи) . . . . . 20
3 თ. მიქელაძე — ფასიანების სადაურობისა და ადგილსამყოფელის გარკვევის საკითხისათვის . . . . . 23
Т. К. Микеладзе — К вопросу об этнической принадлежности фасианов . . . . . 35
4 ნ. ლომოური — კლავდიოს პტოლემაიოსი, „გეოგრაფიული სახელმძღვანელო", ცნობები საქართველოს შესახებ . . . . . 39
Н. Ю. Ломоури — Клавдий Птолемей, „Географическое руководство", известия о Грузии . . . . . 64
5 მ. ლორთქიფანიძე — ქართული ფეოდალური მონარქიის კარის მოხელენი . . . . . 67
М. Д. Лордкипанидзе — Придворные чиновные люди грузинской феодальной монархии . . . . . 73
6 ო. სოსელია — საგლეხო ვალდებულებანი დასავლეთ საქართველოში XVII ს. . . . . 75
О. Н. Соселиа — Крестьянские повинности в Западной Грузии в XVII в. . . . . 83
7 გ. აკოფაშვილი — აზნაურთა უფლებრივი მდგომარეობის საკითხისათვის XV—XVIII სს. საქართველოში . . . . . 85
Г. Д. Акопашвили — К вопросу правового положения социального слоя азнауров в XV—XVIII вв. . . . . 109
8 ვ. გაბაშვილი — იოსებ ქართველი—XVIII ს-ის დიპლომატი და ისტორიკოსი . . . . . 111
В. Н. Габашвили — Иосиф Грузин—историк и дипломат XVIII в. . . . . 111
9 იასე ციცაძე — XVIII საუკუნის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის არქივიდან . . . . . 123
И. З. Цицадзе — Из архива истории русско-грузинских взаимоотношений XVIII в. . . . . 151
10 შ. ხანთაძე — სახელმწიფო პურის გადასახადი (სურსათი) ქართლ-კახეთში მე-19 საუკუნის დამდეგს . . . . . 153
Ш. А. Ханцадзе — Государственная хлебная подать (сурсати) в Картли-Кахети в начале XIX в. . . . . 153

11. ელ. დოჩანაშვილი — მასალები ადიშის ოთხთავის წარმომავლობის საკითხისათვის . . . . . 177
Е. П. Дочанашвили — Материали к вопросу о происхождении Адишского Четвероглава . . . . . 211
12. შ. მესხია — მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის XVIII ს. საქართველოს ქალაქებში . . . . . 213
Ш. А. Месхиа—Материалы по истории классовой борьбы в городах Грузии XVIII в. . . . . 213
13. ბ. ლომინაძე — „იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძის“ ახალი გამოცემის გამო . . . . . 221
Б. Р. Ломинадзе — По поводу нового издания «Завещания» Несея Бараташвили . . . . . 221

თ. ყაუხჩიშვილი

# ჰეროდოტეს ზოგიერთი ცნობის შესახებ

ბერძენ ავტორთაგან ჰეროდოტე ერთ-ერთი უძველესთაგანია მათ შორის, რომელთაც შემოგვინახეს ცნობები ქართველთა წინაპარი ტომებისა და მათი მეზობლების შესახებ. მართალია, ჰომეროსის პოემებში, მიმნერმეს ელეგიებში, პინდარეს ოდებში, ლოგოგრაფოსების თხზულებათა ფრაგმენტებში აქა-იქ ვხვდებით ჩვენთვის საინტერესო მასალას, მაგრამ ამას მაინც არა აქვს ის ხასიათი, რაც ჰეროდოტეს „ისტორიაში" დაცულ ცნობებს. ჰეროდოტე, როგორც ისტორიკოსი, ბევრი, მის მიერ აღწერილი, ამბის მოწმეწრე და მხილველი, გვაწვდის საერთოდ ზღვა მასალას არა მარტო ისტორიიდან, არამედ გეოგრაფიიდან და ეთნოგრაფიიდან. საქართველოს ისტორიის სპეციალისტები ხშირად მიმართავენ, იყენებენ და აანალიზებენ ჰეროდოტეს ცნობებს საქართველოს შესახებ, ამ მხრივ გასაკეთებელი თითქოს აღარაფერი არის. მაგრამ არის ზოგი ცნობა, რომლებზედაც მინდა ყურადღების შეჩერება:

1. ჰეროდოტეს „ისტორიაში" დამოწმებულ ქართველურ ტომთა შორის ჩვეულებრივ იხსენიებენ: კოლხებს, სასპეირებს, მაკრონებს, მოსხებს, ტიბარენებს, მოსინიკებს, მარებს. მათ მონათესავე ტომთაგან: ალაროდიელებს, ამაძონებს...

დამატებით მინდა შევნიშნო: ჰეროდოტეს ტექსტში ქართველურ ტომთაგან კიდევ „ხალიბები" არის ნახსენები. სპეციალისტები, ჩვეულებრივ, ამ ადგილს არ იმოწმებენ ხოლმე. „χρόνου δὲ ἐπιγινομένου καὶ κατεστραμμένων σχεδὸν πάντων τῶν ἐντὸς Ἅλυος ποταμοῦ οἰκημένων πλὴν γὰρ Κιλίκων καὶ Λυκίων τοὺς ἄλλους πάντας ὑπ' ἑωυτῷ εἶχε καταστρεψάμενος ὁ Κροῖσος· εἰσὶ δὲ οὗδε· Λυδοί, Φρύγες, Μυσοί, Μαριανδυνοί, Χάλυβες, Παφλαγόνες, Θρήικες οἱ Θυνοί τε καὶ Βιθυνοί, Κᾶρες, Ἴωνες, Δωριέες, Αἰολέες, Πάμφυλοι" („დროთა ვითარებაში (კრეზემ) მდ. ჰალისის აქეთ მცხოვრები თითქმის ყველა ხალხი დაიმორჩილა, რადგან გარდა კილიკიელებისა და ლიკიელებისა სხვა ყველა თავის ხელში ჰყავდა კრეზეს. ხოლო ესენი არიან: ლიდიელები, ფრიგიელები, მიზიელები, მარიანდინები, ხალიბები, პაფლაგონელები, თრაკიელები, თვინებიცა და ბითვინებიც, კარიელები, იონიელები, დორიელები, ეოლიელები და პამფილიელები" I, 28). თუ ამ ადგილას შეცდომა არ არის და ნამდვილად „ხალიბები" არიან ხსენებულნი, უნდა გავიზიაროთ თ. მიშჩენკოს შენიშვნა: «Халибы... жили по ту, а не по сю сторону р. Галиса, т. е. там, куда не простирались завоевания Креза»[1].

ამასთანავე უნდა დავსძინოთ ისიც, რომ შტაინის აზრით მთელი მეორე ნაწილი ამ ციტატის („ხოლო ესენი არიან: ლიდიელები, ფრიგიელები, მი-

[1] Геродот, История в девяти книгах, том II. Москва, 1888, стр. 609.

ზიელები, მარიანდინები, ხალიბები, პაფლაგონელები, თრაკიელები, თვინებიცა და ბითვინებიც, კარიელები, იონიელები, დორიელები, ეოლიელები და პამფილიელები") არის უფრო გვიანდელი ჩანართი.

ხალიბებს (ალიბებს) იცნობს ჯერ კიდევ ბერძნული ეპოსი. ამდენად, სავარაუდებელია, რომ ჰეროდოტეც იცნობდა მათ და სრულიად თავისუფლად შეეძლო მათი ხსენება. ხალიბებს იცნობენ ჰეროდოტეს შემდეგი დროის მწერლებიც. გეოგრაფიული პერსპექტივი ჰეროდოტეს საერთოდ ცოტა დარღვეული აქვს (შდრ. მაგ., მისი მსჯელობა მდ. არაქსის შესახებ, რომელიც მატიენებში კი იწყება, მაგრამ შემდეგ კასპიის ზღვის აღმოსავლეთით მიემართება მასაგეტების ქვეყანაში), ამდენად, ხალიბები ჰალისის აქეთ არიან თუ იქით, შეიძლება ზუსტად არ განსაზღვრა.

რაც შეეხება იმას, ეს ადგილი ნამდვილია, თუ მერმინდელი ჩანართია, ძნელია ამაზე მსჯელობა, რადგან ყველაზე ძველი ხელნაწერიც კი მხოლოდ X ს-ისა არის. ხელნაწერებში კი ეს ადგილი ყველგან ასე იკითხება.

VII წიგნის 61—80 თავები წარმოადგენს სპარსელთა ჯარში შემავალი ცალკეული ტომების დახასიათებას. ჩამოთვლილი არიან: სპარსელები, მიდიელები, ასირიელები, ბაქტრიელები, საკები, ინდოელები, არიები, პართელები, კასპიები, არაბები, ეთიოპები, ლიბიელები, პაფლაგონელები, ფრიგიელები, მატიენები, მარიანდინები, სირიელები, არმენიელები, ლიდიელები, მიზიელები, თრაკიელები, კაბალები, მოსხები, ტიბარენები, მაკრონები, მოსინიკები, მარები, კოლხები, ალაროდები და სასპეირები.

76-ე თავის დასაწყისი დაზიანებულია, აქ უნდა წერებულიყო რომელიღაც ტომის სახელი. შტაინი ავსებს ამ ადგილს: Πισίδαι δὲ... პიზიდიელები... თ. მიშჩენკო—Χάλυβες δὲ... ხალიბები.

თუ შევუდარებთ ამ ადგილს I, 28-ს, მაშინ Χάλυβες არც თუ უადგილო უნდა გვეჩვენოს. ორივეგან (I, 28 და VII, 76) გვხვდება ერთი და იმავე ტომთა სახელები. I, 28-ში მეტი არის Χάλυβες, Κᾶρες და Πάμφυλοι. ამ სამი სახელიდან ხელნაწერის დაზიანებული ადგილის მიხედვით ყველაზე მეტად საფიქრებელია Χάλυβες (Κᾶρες მოკლე სიტყვა არის, ხოლო Πάμφυλοι უფრო გრძელი). Χάλυβες და Πισίδαι შეიცავენ ასოთა თანაბარ რაოდენობას. შტაინი არ დასწერდა Χάλυβες-ს, რადგან I, 28 მას საერთოდ გვიანდელ ჩანართად მიაჩნია. თუ დავუშვებთ იმას, რომ I, 28 არის ისეთივე ნაწილი ჰეროდოტეს თხზულებისა, როგორც რომელიმე სხვა, მაშინ საფიქრებელია, რომ VII, 76 არის ხალიბთა ტომის აღწერილობა, რასაც ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში აქამდე ყურადღებას არ აქცევდნენ. ეს ტომი ასეა დახასიათებული: „[Χάλυβες] ἀσπίδας δὲ ὠμοβοΐνας εἶχον σμικράς, καὶ προβόλοος δύο λυκιοεργέας ἕκαστος εἶχε, ἐπὶ δὲ τῇσι κεφαλῇσι κράνεα χάλκεα πρὸς δὲ τοῖσι κράνεσι ὦτά τε καὶ κέρεα προσῆν βοὸς χάλκεα, ἐπῆσαν δὲ καὶ λόφοι· τὰς δὲ κνήμας ράκεσι φοινικέοισι κατειλίχατο· ἐν τούτοισι τοῖσι ἀνδράσι Ἄρεός ἐστι χρηστήριον" [„ხალიბებს] პატარა ფარები ჰქონდათ გამოუქნელი ხარის ტყავისა; თითოეულს ჰქონდა ორი შუბი ლიკიური ხელობისა, ხოლო თავზე სპილენძის მუზარადები ეხურათ. მუზარადებზე იყო ხარის ყურები და რქები სპილენძისაგან ნაკეთები. აქვე იყო ბიბილოც. მუხლები ძოწეულის ნაჭრებით ჰქონდათ შემოხვეული. ამ ხალხს აქვს არესის სამისნო" (VII, 76).

2. მართალია, „ქუთაისის" სახელი ბერძნულ მწერლობაში მხოლოდ ძვ. წ. ა. III ს-დან ჩანს (კალიმაქე, აპოლონიოს როდოსელი), მაგრამ ფრიქსეს

შვილის სახელი, Κυτίσσωρος, უკვე ჰეროდოტესთან არის დამოწმებული (VII, 197). შემდეგი დროის მწერლებთან (მაგ., სტრაბონთან) ეს სახელი და მისი მსგავსი გეოგრაფიული სახელი შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე არა ერთგზის გვხვდება. ვფიქრობ, აქაც იგივე Κυτ — ძირია, რაც არის სიტყვაში Κύταια (ქუთაისი). ισσ — სუფიქსი უნდა იყოს. σσ წინ სხვადასხვა ხმოვნით ხშირია გეოგრაფიულ სახელთა წარმოებისას (შდრ. Ἴασσα, Ἄντισσα, Ἀρτάνισσα; Ἰδήεσσα; Ἐρικοῦσσα, Φοινικοῦσσα). ρο—სუფიქსი (წინ უხმოვნოდ და სხვადასხვა ხმოვნით) ძველ ბერძნულში სახელთა მაწარმოებელია (მაგ., μῆκος —სიგრძე; μακρός—გრძელი; ταφ—ძირიდან; θάπτω—ვფლავ; τάφρος—თხრილი. φαν—ძირი, φαίνω—ვაჩენ, ვაცხადებ, φανερός—ცხადი, ნათელი და სხვა). დაბოლოება ς ჩვეულებრივია სახელობით ბრუნვაში მამრობითი სქესის სახელებისათვის. ამგვარად, სახელი Κυτίσσωρος დაახლოებით იმასვე ნიშნავს, რასაც შემდეგში ქართულად „ქუთათელი“.

კჳტისორეს სახელი მოყვანილია არგონავტების მითთან დაკავშირებით („μελλόντων μιν (ე. ი. Ἀθάμαντα τὸν Αἰόλου) θύειν ἀπικόμενος οὗτος ὁ Κυτίσσωρος ἐξ Αἴης τῆς Κολχίδος ἐρρύσατο“—„როდესაც ათამანტს, ეოლოსის ძეს, მსხვერპლად შეწირვას უპირებდნენ, მოვიდა ეს კჳტისორე აია-კოლხიდიდან და გაათავისუფლა იგი“).

როგორც ცნობილია, არგონავტების მითი ერთ-ერთი უძველესი თქმულებაა თვით ბერძნული ფოლკლორის თვალსაზრისითაც. მისი არაერთი ვერსია არსებობდა და ძველი ბერძენი მწერლები სიამოვნებით ამუშავებდნენ მას (მაგ., ცნობილია პინდარეს ოდა, აპოლონიოს როდოსელის პოემა და სხვ.).

ჰეროდოტეს „ისტორიაში“ დაცულია საკმარისად დიდი ნაწილი არგონავტთა თქმულებისა, რომელიც ავტორის ცნობით აქეის ალოსში (თესალიაში) მოსულ ქსერქსეს უამბეს (VII, 197).

3. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ჰეროდოტეს, რომელიც არსებითად ნამდვილი ბერძენია (განათლებით, განწყობილებით), ემჩნევა დიდი გატაცება აღმოსავლეთის, განსაკუთრებით კი ეგვიპტური, კულტურით. რაც კი რამ არის საბერძნეთში, თითქმის ყველაფერი ეგვიპტიდან არის შემოტანილი, ბევრი რამ ბერძნებმა ეგვიპტელთაგან ისწავლეს[1]. აზრია, რომ ბერძნული კულტურის სათავეები ხშირად აღმოსავლეთის სამყაროს სინამდვილეში არის საძებარი. ბევრი რამ ჰეროდოტესთან ზღაპრულ ხასიათს ატარებს, მაგრამ ზოგის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ჰეროდოტე არც მაინცდამაინც სცდებოდა. მაგ., ჰეროდოტეს აზრით დიონისეს კულტი, რომელსაც მის დროს ამოდენა მნიშვნელობა ჰქონდა საბერძნეთისათვის, ბერძნებმა ეგვიპტელთაგან გადაიღეს. ბერძნებს ეგვიპტელთაგან არ გადაუღიათ დიონისეს კულტი, მაგრამ უდავოა, რომ იგი ადგილობრივი, ბერძნული არაა, შემოტანილია ისეთი ქვეყნებიდან, სადაც ვენახის კულტურა განვითარებული იყო. ფრიგიელების სახელი სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე დაბეჯითებით ისმის, მაგრამ ფრიგია შეიძლება მხოლოდ გზა იყო. საქმე ისაა, რომ ჰეროდოტეს დროს იყო გადმოცემები, ცნობები იმის შესახებ, რომ ზოგი ამბავი საბერძნეთში შემოტანილია აღმოსავლეთიდან. ეს აღმოსავლეთი მასთან უპირატესად ეგვიპტის სახით დაზუსტდა.

---

[1] С. Лурье. Геродот, Москва—Ленинград, 1947, стр. 52—55.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა, თუ რატომ უკავშირებს ჰეროდოტე კოლხებს ეგვიპტელებს. შესაძლებელია მას მართლაც რაიმე გადმოცემა მოეპოვებოდა, რომლის მიხედვითაც კოლხები ეგვიპტელები იყვნენ (ამ გადმოცემის საფუძველი ნათელი მაინც არაა). შესაძლებელია მას ცნობა ჰქონდა, რომ კოლხები იმ ტერიტორიაზე, სადაც ისინი მას დახვდნენ, ყოველთვის არ ყოფილან, მაშასადამე, საიდანღაც მოვიდნენ. საიდან არიან მოსულნი? ისევე, როგორც საბერძნეთში თითქმის ყველაფერი ეგვიპტიდან არის მოსული, კოლხებიც საიდან იქნებიან, თუ არა ეგვიპტიდან. კოლხების ეგვიპტელობა ჰეროდოტესთან მესმის, როგორც შედეგი მისი საერთო ეგვიპტოფილური კონცეფციისა.

საინტერესოა, თუ რა მიაჩნია სტრაბონს იმ ცნობების საფუძვლად, რომ ეგვიპტელები და კოლხები ნათესავები არიან (წყარო ამ ცნობისა უეჭველად ჰეროდოტე უნდა იყოს, თუმცა არ ასახელებს მას სტრაბონი). „ἡ δὲ λινουργία καὶ τεθρύληται καὶ γὰρ εἰς τοὺς ἔξω ἐπεκόμιζον, Καί τινες βουλόμενοι συγγένειάν τινα τοῖς Κόλχοις πρὸς τοὺς Αἰγυπτίους ἐμφανίζειν ἀπὸ τούτων πιστοῦνται...“ („ხოლო სელის დამუშავება განთქმულიც კი არის <იგულისხმება—კოლხებში—თ. ყ.> და რადგან <ქვეყნის> გარეთ <მდებარე ადგილებშიც> კი გააქვთ <სელი>, ამიტომაა, რომ ზოგიერთებს სურთ გვაჩვენონ კოლხების რაღაცა ნათესაობა ეგვიპტელთა მიმართ და ამის მიხედვით ამტკიცებენ“, Geographica, XI, 2, 17). ე. ი. სტრაბონის აზრით კოლხებისა და ეგვიპტელების ნათესაობის შესახებ მხოლოდ იმიტომ ლაპარაკობენ, რომ ორსავე ქვეყანაში სელის დამუშავება ძალიან არის განვითარებული. უეჭველად მნიშვნელოვანია ის ამბავი, თუ როგორ ესმოდათ ამ ორი ხალხის ნათესაობის საკითხი ჯერ კიდევ ამ 19 საუკუნის წინ.

ამასთან დაკავშირებით ისმის საკითხი იმის შესახებ, იყო თუ არა ჰეროდოტე კოლხიდაში.

როგორც ცნობილია, ჰეროდოტეს ბევრი უმოგზაურია. მოგზაურობის მიზეზად ზოგს მეცნიერული ცნობისმოყვარეობა მიაჩნია, ზოგს კი სავაჭრო მიზნები. უმოგზაურია მას საბერძნეთში, მცირე აზიის სანაპიროებზე, კოლხიდაში, სკვითებში (ჟებელიოვი, ბოლტუნოვა, Jacoby, Legrand, Powell), თრაკიაში, მაკედონიასა და სიცილიაში. ა. ბოლტუნოვა წერს: „Геродот лично посетивший Колхиду“ (ВДИ, 1952, № 4, стр. 178: К обсуждению проспекта „Всемирної истории“).

ამ აზრს იგი არ ასაბუთებს, მოჰყავს როგორც უცილობელი ფაქტი, მისთვის მაინც. ზოგი ავტორი კი (მაგ., ს. ლურიე) მის სკვითებში (და საერთოდ ჩვენს ქვეყანაში) ყოფნას არ სცნობს.

როგორც ეხედავთ, ამ საკითხში აზრთა სხვადასხვაობა არის. მე პირადად მხარს ვუჭერ იმ აზრს, რომ ჰეროდოტე იყო სკვითების ქვეყანაშიც და კოლხიდაშიც. ჰეროდოტე ჩვეულებრივ გაარჩევს ხოლმე: თვით მას რაც უნახავს, რაც სმენია უშუალოდ, რის შესახებაც თვით ასკვნის და რასაც სხვათა სიტყვის მიხედვით ამბობს. ამის მიხედვით კავკასიის შესახებ იგი ამბობს: „τὰ μὲν δὴ πρὸς ἑσπέρην τῆς θαλάσσης ταύτης τῆς Κασπίης καλεομένης ὁ Καύκασις ἀπέργει, τὰ δὲ πρὸς ἠῶ τε καὶ ἥλιον ἀνατέλλοντα πεδίον ἐκδέκεται πλῆθος ἄπειρον ἐς ἄποψιν“... („ამ ზღვას, კასპიისად წოდებულს, დასავლეთის მხრივ კავკასიონი აქვს, ხოლო აღმოსავლეთისაკენ, მზის აღმოსავალისაკენ, ტყვრის მას შესახედავად <ἐς ἄποψιν> უსაზღვრო სივრცის დაბლობი“. I,

204). ე. ი. ის ადგილი, სადაც მასაგეტები ცხოვრობენ, მას თვითონ უნახავს.

კიდევ: „φαίνονται μὲν γὰρ ἐόντες οἱ Κόλχοι Αἰγύπτιοι. νοήσας δὲ πρότερον αὐτὸς ἢ ἀκούσας ἄλλων λέγω· ὡς δέ μοι ἐν φροντίδι ἐγένετο, εἰρόμην ἀμφοτέρους, καὶ μᾶλλον οἱ Κόλχοι ἐμεμνέατο τῶν Αἰγυπτίων ἢ οἱ Αἰγύπτιοι τῶν Κόλχων... αὐτός δὲ εἰκάσα τῇδε καὶ ὅτι μελάγχροες εἰσι καὶ οὐλότριχες...“. („ცხადია, რომ კოლხები ეგვიპტელები არიან. მიეხვდი ამას მე თვით უწინვიდრე მოეისმენდი სხვათაგან და ისე ვიტყოდი. და რადგანაც ეს მე ფიქრებში მქონდა შეველაითხე <εἰρόμην> ორივეს, კოლხებს უკეთ ახსოვდათ ეგვიპტელები, ვიდრე ეგვიპტელებს კოლხები... ხოლო თვით მეც ასევე მეჩვენებოდა (εἰκασα), რადგან კოლხები შავგვრემანები[1] არიან და ხუჭუჭთმიანები“, II, 104). ამ ადგილის მიხედვით ცხადია, რომ ჰეროდოტე სხვათა სიტყვის მიხედვით კი არ გვაწვდის ცნობებს, არამედ რომ ის თვით შეეკითხა (კოლხებსაც და ეგვიპტელებსაც) და მას თვით ეჩვენა კოლხი შავი, თუ შავგვრემანი.

კოლხების „მუქკანიანობას“, „მუქპირსახიანობას“ აღნიშნავს პოეტი პინდარეც, რომელიც ჰეროდოტეს უფროსი თანამედროვეა (იხ. მისი IV პითიური ოდა, 211—213 ტ.): „ἔνθα μελαινώπεσσι Κόλχοισιν βίαν μίξαν Αἰήτᾳ παρ' αὐτῷ“ (არგონავტები „იქ შეებრძოლნენ მუქპირსახიან კოლხებს აეტთან“).

ივ. ჯავახიშვილს კოლხების მუქკანიანობაცა და ხუჭუჭთმიანობაც, დადასტურებული ჰეროდოტესთან, „კოლხთა გარეგნული თვისების უტყუარ აღწერილობად“ მიაჩნია („საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები“, გვ. 15). ივ. ჯავახიშვილისავე აზრით, ასეთი გარეგნობის კოლხებად მდ. რიონის აუზის კოლხებს გულისხმობდა ჰეროდოტე (იქვე, გვ. 16. დაზუსტება ხდება იმიტომ, რომ განსვენებული მკვლევრის აზრით ჰეროდოტეს დროს კოლხებს ძალიან ერცელი მიწაწყალი ეკავათ).

თუ როგორ მოხდა ჰეროდოტე კოლხიდაში, ამაზე გადაჭრით თქმა ჭირს, მაგრამ ერთი უდავოა: მან კარგად იცის ფაზისი. კოლხიდასა და ფაზისს ერთად ახსენებს ხოლმე. მე აქ მინდა გავიმეორო ჟებელიოვის სიტყვები: „Как правильно замечает Якоби, у Геродота при его путешествиях вошло в обычай в той стране, языка народа которой он не знает и путешествие по которой представляет затруднения, выбирать наиболее значительный город в ней в качестве постоянного местопребывания, получать в нем необходимую для себя информацию от проживающих в городе туземцев и греков и предпринимать из него большие или небольшие выезды“ («Северное Причерноморье“, стр. 317).

ეს დაკვირვებები უეჭველად სამართლიანია: ჰეროდოტე რომ კოლხეთშია ნამყოფი, ამას თქმა არ უნდა. მას ცნობები აქვს არა მარტო ზღვისპირე-

[1] μελάγχροες-ს ამ კონტექსტში ჩვეულებრივ „შავკანიანად“ სთარგმნიან ხოლმე. ვფიქრობ, უფრო სწორია „შავგვრემანი“. იხდრ. Pape, Griechisch-deutsches Handwörterbuch, 1864: μελάγχροος—von schwarzer, dunkler Farbe, schwarzer, dunkelfarbiger Haut, bes. von der bräunlichen, kräftigen Gesichtsfarbe des viel im Freien lebenden Mannes... Liddell, Scott: A Greek-english lexicon, 1897: μελάγχροος — black-skinned, bronzed, swarthy, of sunburn, persons... of a hero's complexion...

თის შესახებ, არამედ მთის შესახებაც, ადგილს კი ფაზისის მეტს არაფერს ასახელებს. ძვ. წ. ა. V საუკუნისათვის კი ფაზისს გარდა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს სხვა ადგილებიც (მაგ., დიოსკურია) ცნობილი უნდა ყოფილიყო საქართველოში მოსული ბერძნისათვის. ე. ი. კოლხიდაში ის აღნისნავს ფაზისს იმიტომ, რომ მას იცნობს კარგად. მან თავისი თვალით ნახა, რომ ფაზისი მნიშვნელოვანი მდინარეა. სხვა მდინარეებიც შეიძლება ნახა, მაგრამ არ მიიჩნია მნიშვნელოვნად და არ აღნიშნა (ჰეროდოტე ხომ შრომის დასაწყისშივე გვპირდება მნიშვნელოვანი ამბების აღნუსხვას).

4. საბჭნიერო ლიტერატურაში ყოველთვის ესმის ხაზი იმ გარემოებას, რომ უკვე ჰეროდოტეს დროს სახელგანთქმული იყო კოლხური სელი (II, 104). ნაკლებ საინტერესოდ არ მეჩვენება ჰეროდოტეს „ისტორიის“ ის ადგილები, რომლებიც მოწმობენ იმას, რომ ევქსინის პონტოს მიდამოების ქვეყნები პურით იყო მდიდარი და აქედან ეზიდებოდნენ პურს. „ἐὼν γὰρ ἐν Ἀβύδῳ ὁ Σέρξης εἶδε πλοῖα ἐκ τοῦ Πόντου σιταγωγὰ διεκπλέοντα τὸν Ἑλλήσποντον, εἰς τε Αἴγιναν καὶ Πελοπόννησον κομιζόμενα“ („ქსერქსე რომ აბიდოსში იყო, ნახა პონტოდან ჰელესპონტისაკენ მიმავალი პურით დატვირთული ხომალდები, რომლებიც მიდიოდნენ ეგინასა და პელოპონესში“ VII, 147).

შესაძლებელია იგივე პური მიჰქონდათ ხომალდებს პონტოდან, რომელთაც იშერდა ჰისტიეოსი, მილეტელი ტირანი: „... οἱ δὲ πληρώσαντες ὀκτὼ τριήρεας ἔπλεον ἅμα Ἰστιαίῳ ἐς Βυζάντιον. ἐνθαῦτα δὲ ἱζόμενοι τὰς ἐκ τοῦ Πόντου ἐκπλεούσας τῶν νεῶν ἐλάμβανον („<ლესბოსელებმა> აავსეს 8 ტრიერი და გასცურეს ჰისტიეოსთან ერთად ბიზანტიონში, დასხდნენ იქ და პონტოდან მომავალ ხომალდებს იპყრობდნენ“ VI, 5). „ταῦτα μὲν δὴ οὕτως ἐγίνετο, Ἰστιαίῳ δὲ τῷ Μιλησίῳ ἐόντι περὶ Βυζάντιον καὶ συλλαμβάνοντι τὰς Ἰώνων ὁλκάδας ἐκπλεούσας ἐκ τοῦ Πόντου... („ეს რომ ეგრე მოხდა, ჰისტეოს მილეტელი ბიზანტიონთან იმყოფებოდა და იშერდა იონიურ საბარგო ხომალდებს, რომლებიც პონტოდან მოდიოდნენ“ VI, 26).

მართალია, ამ ცნობებში გარკვეულად არაფერია ნათქვამი, რომელი ქვეყნისა იყო პონტოზე მომავალი პური (და საერთოდ კი ცნობილია, რომ შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროები ამარაგებდნენ სხვადასხვა ქვეყნებს პურეულით), მაგრამ ჰეროდოტეს ტექსტის ამ ადგილებში ჩვენი ქვეყანაც არ უნდა იყოს გამორიცხული. მით უმეტეს, რომ არქეოლოგიური მასალის შესწავლის საფუძველზე დადასტურებულია ის გარემოება, რომ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჯერ კიდევ გვიანი ბრინჯაოს და ადრეული რკინის ხანაში სოფლის მეურნეობა, კერძოდ კი პურეული კულტურა, განვითარების მაღალ დონეზე იმყოფება[1].

---

[1] ნ. ხოშტარია, დიხა-გუძუბა კოლხეთის დაბლობის ძველი მოსახლეობა. სსსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 1944, ტ. 5, № 2.

ო. ჯაფარიძე, მიწისმოქმედების იარაღები დასავლურ ქართულ კულტურაში. თსუს შრომები, 1953. ტ. 49.

Т. С. КАУХЧИШВИЛИ

# ПО ПОВОДУ НЕКОТОРЫХ СВЕДЕНИЙ ГЕРОДОТА

Резюме

Некоторые сведения Геродота, касающиеся Грузии, требуют дополнительного исследования.

1. Из упоминаемых в „Истории" Геродота картвельских племен в специальной литературе обычно говорят о Колхах, Саспейрах, Макронах, Мосхах, Тибаренах, Моссинниках, Марах. Нужно отметить, что у Геродота упомянуто еще одно картвельское племя: «Халибы» (I, 28). 61—80 главы VII книги «Истории» представляет собой описание отдельных племен принимавших участие в походах персов. Начало 76 главы повреждено, не хватает названия племени. Штайн дополняет лакуну словом: Πισίδαι δὲ. Ф. Мищенко — Χάλυβες δὲ...

По палеографическим данным и привлекая материал I, 28, надо восстановить форму Χάλυβες. Следовательно, VII, 76 является описанием халибского племени.

2. Имя сына Фрикса Κυτίσσωρος встречается в VII книге „Истории" (VII, 197). Имена (собственные и географические) с аналогичным корнем засвидетельствованы у более поздних авторов. Надо полагать, что Κυτίσσωρος одного корня с именем Κύταια (Кутаиси), встречающимся только с III в. до н. э. (Каллимах, Аполлоний Родосский). В имени Κυτίσσωρος κυτ-корень, ισσ и ρο суффиксы, ς—окончание именительного падежа. Следовательно, Κυτίσσωρος приблизительно значит тоже, что и грузинское «Кутаели» (Кутаисский).

3. Геродот—поклонник восточной, в частности египетской культуры. Все что хорошего в Греции, заимствовано у египтян. Многое из этого носит у Геродота мифический характер, но в общем это, по-моему, сводится к тому, что истоки греческой культуры, по мнению Геродота, надо искать и на Востоке.

С этой египтофильской концепцией Геродота связываю то обстоятельство, что Геродот считает колхов родственными египтянам. Возможно, что у него имелось сведение о том, что колхи не всегда обитали там, где он (Геродот) их видел. Следовательно, они пришли из какой то другой земли. Так же, как в Греции все из Египта, откуда могли придти Колхи, как не из Египта?

В связи с этим ставится вопрос, был Геродот в Колхиде или нет. Большая часть ученых того мнения, что Геродот лично посетил Колхиду. Он знаком как с побережьем, так и с горной частью Колхиды, но, как ни странно, упоминает лишь Фазис (в его «Истории» не видно ни других рек, ни населенных пунктов Колхиды). Это обстоятельство, вслед за С. Жебелевым, можно объяснить тем, что у Геродота при его путешествиях вошло в обычай останавливатся в наиболее значительном городе для постоянного местопребывания и оттуда предпринимать выезды. Следо-

вательно, в Колхиде он отметил Фазис, как реку наибольшего значения в чем он и сам убедился (Ведь в начале же своей «Истории» он обещает нам описать самые значительные вещи).

4. В VII, 147 „Истории" говорится определенно о том, что из Понта в Геллеспонт везли полные хлебом суда. Надо полагать, что VI, 5 и VI, 26 содержат сведения того же порядка.

Конечно, в этих данных нет определенного указания на то, именно из какой страны везли хлеб (напр., общеизвестен факт, что Северное причерноморье снабжало хлебом другие страны), но по тексту Геродота и Колхида не исключена, как страна, доставлявшая Греции хлеб. Тем более, что по археологическим данным в Западной Грузии еще в поздне-бронзовый и ранне-железный век сельское хозяйство, в частности культура хлебных злаков, находилась на высоком уровне развития.

მ. ინაძე

# შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მოსახლე ტომთა ისტორიისათვის

## (ჰენიოხები)

ჰენიოხები დასავლეთ საქართველოს უძველეს მოსახლეობას უნდა წარმოადგენდნენ.

ჰენიოხთა ტომის სიძველეს, უპირველეს ყოვლისა, თვით ამ სახელწოდების დაბოლოება—ხი სუფიქსი უნდა მოწმობდეს, რომელიც, როგორც ცნობილია, დამახასიათებელია ხური-ურარტული ენობრივი სამყაროსათვის (შეადარე ქართველ უძველეს ტომთა სახელწოდებებს მსგავსი დაბოლოებით: კარდუხი, ტაოხი, მესხი, კოლხი)[1].

ამასვე უნდა მოწმობდეს ის გარემოება, რომ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე უძველეს ტომთაგან დაბადების პირველ წიგნში მხოლოდ ჰენიოხები არიან მოხსენებულნი. კერძოდ, „შესაქმეთა“ წიგნის IV თავში, სადაც აღნუსხულია ადამ და ევას შთამომავლობა, კაენის შვილად დასახელებულია ენოხ[2]. იგივე ენოხ, ამავე წიგნის V თავში დაცული ნუსხის მიხედვით, წარმოგვიდგება კაინანის შვილიშვილის შვილად[3].

აკად. ივ. ჯავახიშვილი „შესაქმეთა“ წიგნის ენოხში, სავსებით სამართლიანად, ჰენიოხთა სატომო სახელწოდებას ხედავდა[4].

ჰენიოხთა უძველესი ისტორიის გარკვევასთან დაკავშირებით მეტად საყურადღებო მოსაზრება აქვს წამოყენებული ურარტოლოგ პ. უშაკოვს წერილში „К походам урартийцев в Закавказье“, რომელშიაც ავტორი ურარტული ლურსმული წარწერების მდიდარი მასალის საფუძველზე ცდილობს შეავსოს ძველ ბერძენ ავტორებთან დაცული ცნობები ამიერ-კავკასიის, კერძოდ კი კოლხეთისა და მის სამხრეთით მდებარე ტერიტორიაზე მობინადრე ქართველი ტომების შესახებ.

პ. უშაკოვის მიერ გამოთქმული მოსაზრების თანახმად ურარტუს მეფეთა არგიშთისა და სარდურის წარწერებში მოხსენებული იგანის ქვეყანაში უნდა იგულისხმებოდეს იმ ტომთა პოლიტიკური გაერთიანება, რომლებსაც ბერძენი მწერლები ჰენიოხებს უწოდებდნენ[5].

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, I, დამატება I, თბილისი, 1951, გვ. 403; გ. მელიქიშვილი, ურარტუ, თბილისი, 1951, გვ. 82.

[2] დაბადება, ნაწილი პირველი, თავი IV, ტფ. 1884, გვ. 8.

[3] იქვე, თავი V, გვ. 9.

[4] ივ. ჯავახიშვილი, იქვე, გვ. 401.

[5] П. Ушаков, К походам урартийцев в Закавказье, ВДИ, 1946, № 2, стр. 38.

იგანიეხთა (ანუ ჰენიოხთა) პოლიტიკური გაერთიანების ძირითადი რაიონები ძვ. წ. IX—VIII საუკუნეებში, როგორც პ. უშაკოვი ვარაუდობს, დიაუხების, ბიცერუხებისა და შემდეგში კულხას სახელწოდებით ცნობილ ლუშას და კატარზას ქვეყნების ჩრდილოეთით მდებარეობდნენ [1], ე. ი. დაახლოებით დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე, რადგან ჩამოთვლილ ქვეყნებს IX—VIII საუკუნეებში, როგორც გ. მელიქიშვილი აღნიშნავს, (იშფუინისა და მენუას დროს) ეჭირათ სამხრეთ ამიერ-კავკასიის ტერიტორია [2].

იგანიეხთა, ანუ ჰენიოხთა ეთნიკური მასის განსახლების ძირითადი რაიონების შესახებ პ. უშაკოვის მიერ გამოთქმულ ვარაუდს კარგად ადასტურებს ძვ. წ. IV—III საუკუნის ბერძენი მწერლის ჰერაკლიდე პონტოელისადმი მიწერილ შრომაში, „სახელმწიფოთა შესახებ“, დაცული ერთი მეტად საყურადღებო ცნობა ფაზისელთა სახელმწიფოს შესახებ, სადაც ვკითხულობთ:

„ფაზისის გაყოლებით თავდაპირველად ცხოვრობდნენ ჰენიოხები,... მერე კი მილეტელები. ესენი იმდენად სტუმართმოყვარენი არიან, რომ გემდამსხვრეულ ხალხს სახსრებით ამარაგებენ და გზად წასვლისას სამ-სამ მნას აძლევენ“ [3].

მოტანილ ცნობაში განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ ავტორი შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ცენტრალური რაიონების (ფაზისის გაყოლებით) „თავდაპირველ“, ე. ი. უძველეს, მცხოვრებლებად ასახელებს არა კოლხებს, არამედ ჰენიოხებს.

გარდა ამისა, ცნობა საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ იგი გვაძლევს საშუალებას განვსაზღვროთ აღნიშნულ ადგილებში ჰენიოხთა ბინადრობის ზედა ქრონოლოგიური ზღვარი. სახელდობრ, ცნობიდან ირკვევა, რომ ჰენიოხებს ამ ადგილებში უცხოვრიათ მილეტელთა (იგულისხმება ბერძენ კოლონიზატორთა) აქ მოსვლამდე (ძვ. წ. VII საუკუნემდე), ე. ი. სწორედ იმ დრომდე, ვიდრე შავი ზღვის აღმოსავლურ სანაპიროზე მდებარე ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი მოექცეოდა კოლხთა გაძლიერებულ სამეფოს ფარგლებში [4].

ამრიგად, როგორც დავინახეთ, ჰერაკლიდეს ზემომოტანილი ცნობა ჰენიოხთა მერმინდელი კოლხეთის ცენტრალურ რაიონებში ბინადრობის შესახებ ბერძენთა კოლონიზაციამდე და ე. ი. კოლხეთის ძლიერი სამეფოს ჩამოყალიბებამდე, სავსებით ეთანხმება ურარტული წყაროების საფუძველზე პ. უშაკოვის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას იგანიეხების, ანუ ჰენიოხების განსახლების შესახებ.

გარდა ამისა, ურარტული წარწერებიდან ირკვევა, რომ ჰენიოხები, ანუ იგანიეხები ფართოდ იყვნენ გავრცელებულნი შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიაზედაც. კერძოდ, მათი გაერთიანების ფარგლებში შედიოდა ქ. მაკალთუნი (ჩილდირის ტბასთან) [5] და დიაუხთა ქვეყნის ნაწილი, რომელიც, როგორც პ. უშაკოვი ვარაუდობს, დიაუხთა პოლიტიკური გაერთიანების დასუსტების შემდეგ უნდა დაეპყრო იგანის მეფეს. ამის დამამ-

---

[1] П. Ушаков, К походам урартийцев в Закавказье, ВДИ, 1946, № 2, стр. 36—37.
[2] გ. მელიქიშვილი, ურარტუ, თბილისი, 1951, გვ. 68.
[3] კ. მიულერი, Fragmenta Historicorum graecorum. II. Parisiis, 218.
[4] გ. მელიქიშვილი, ურარტუ, გვ. 142.
[5] იქვე, გვ. 70.

ტკიცებლად პ. უშაკოვს ის გარემოება მიაჩნია, რომ სარდურის ქრონიკაში დიაუხების მეფედ დასახელებულია იგანიეხი, ვინმე დიუცინი[1].

იგანიეხთა, ანუ ჰენიოხთა მიერ თავიანთი განსახლების ძირითადი რაიონებიდან დიაუხის სამეფოს, ე. ი. მდ. ჰოროხისა და შავი ზღვის სანაპიროების, მიმართულებით[2] წარმოებული დაპყრობითი ომების დროს უნდა მომხდარიყო აღნიშნულ ადგილებში მობინადრე წვრილი და შედარებით სუსტი ტომების შერევა გაბატონებულ ჰენიოხებში და ამ ტომებზე ჰენიოხთა სატომო სახელწოდების გავრცელება. ნიშანდობლივია ამ მხრივ V საუკუნის ანონიმური ავტორის ცნობა, რომ ჰენიოხები (იგულისხმება მდ. აფსაროსის, ანუ ჭოროხის სამხრეთით მცხოვრები ჰენიოხები) „შერეულტომიანნი“ (μιξογενές) იყვნენ[3].

ჰენიოხთა ტომების ბინადრობას შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე რაიონებში უნდა მოწმობდეს პლინიუსის ის ცნობაც, რომ „მდ. კიროსი სათავეს იღებს ჰენიოხთა მთებშიო“[4]. ამ ცნობიდან ჩანს, რომ ოდესღაც მდ. კიროსის, ე. ი. მტკვრის, სათავეებთან ცხოვრობდნენ ჰენიოხები, რომელთა სახელწოდება აქ მდებარე მთებზე გავრცელდა.

ამრიგად, ურარტული წარწერებისა და ანტიკურ მწერალთა ცნობების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ძვ. წ. IX—VIII საუკუნეებში ჰენიოხები ფართოდ ყოფილან გავრცელებულნი შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ცენტრალურ და სამხრეთ რაიონებში (ჩილდირის ტბისა და მდ. ჭოროხის მახლობლად).

ურარტული წარწერებიდან ირკვევა, რომ ჰენიოხებს, ანუ იგანიეხებს აღებულ ხანაში აქ ძლიერი პოლიტიკური გაერთიანება ჰქონდათ შექმნილი.

ჩვენი აზრით, სწორედ ამ გაერთიანების ძლიერება უნდა იყოს ასახული მითში არგონავტების ეაში ლაშქრობის შესახებ.

ამ მხრივ საყურადღებოა ის გარემოება, რომ ძვ. წ. VII ს-ის დამდეგამდე ბერძენ მწერლებთან (ჰომეროსი, ჰესიოდე), რომელთაც დაცული აქვთ აღნიშნული მითის ფრაგმენტები, არსად სახელწოდება „კოლხი“, „კოლხიდა“ არ არის მოხსენებული, ამ სახელწოდების მაგიერ ისინი ხმარობენ ტერმინს „აია“[5].

ტერმინი „კოლხი“, „კოლხეთი“ პირველად გვხვდება ევმილესთან[6], რომელსაც VIII საუკუნის მიწურულსა და VII საუკუნის დასაწყისში უნდა ეცხოვრა. სახელწოდება „კოლხი“, „კოლხიდა“ მითში არგონავტების შესახებ შეტანილი უნდა იყოს მერმინდელ ხანებში, იმის გამო, რომ ახლა იმ ქვეყანას, სადაც არგონავტების ლაშქრობის მითში მოთხრობილი ამბავი გათამაშდა, ბერძნები უკვე კოლხეთის სახელწოდებით იცნობდნენ.

ჰენიოხთა ამ ვრცელ პოლიტიკურ გაერთიანებას ბოლო, როგორც ჩანს, კოლხთა სამეფომ მოუღო.

კულხას, ანუ კოლხთა მსხვილმა გაერთიანებამ, რომლის ცენტრიც, გ. მელიქიშვილის გამოკვლევით, დიაუხის სამეფოს ჩრდილოეთით, მერმინდელ კოლას ოლქში იყო, VIII საუკუნის შუა ხანებში შეიერთა განადგურებული

---

[1] П. Ушаков, К походам урартийцев в Закавказье, стр. 38.

[2] გ. მელიქიშვილი, ურარტუ, გვ. 33.

[3] ანონიმური ავტორი პერიპლუსი, 49. SC, II, 1 გვ. 276.

[4] პლინიუსი, ბუნების ისტორია, წიგ. VI, § 26, SC, III, გვ. 181.

[5] ჰომეროსი, ოდისეა, X, 133—139, SC, I, 2, გვ. 300.

[6] ევმილე, grag. 2 v. ap. Schol. Pind. Ol. XIII, 74, SC, I, 2, გვ. 330.

დიაუხის სამეფოს ტერიტორიის ნაწილი და VII საუკუნისათვის ძლიერი სამეფო შექმნა[1].

აღებული ხანისათვის გაძლიერებულმა კოლხებმა თავის სამეფოს ფარგლებში მოაქციეს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი[2] და გაბატონდნენ აქ მოსახლე ტომებზე. ამრიგად, კოლხთა სატომო სახელი, როგორც პოლიტიკური შინაარსის მატარებელი სახელწოდება, ვრცელდება ამ ტომებზე და მთლიანად ფარავს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს.

ნიშანდობლივია ამ მხრივ ის გარემოება, რომ ძვ. წ. V საუკუნეში ჰეროდოტე მთელ ამ სანაპიროზე მოიხსენიებს მხოლოდ ერთ ხალხს, კოლხებს[3].

ამავე ხანებში (VII საუკ.) უნდა მომხდარიყო კოლხთა გაბატონება შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ცენტრალურ და სამხრეთ რაიონებში მოსახლე ჰენიოხებზედაც და ამ უკანასკნელებზე კოლხთა სატომო სახელის გავრცელება.

ამით უნდა აიხსნას სწორედ ის გარემოება, რომ ამდროინდელი ბერძნული წყაროები შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ცენტრალურ და სამხრეთ რაიონებში მოსახლე ჰენიოხ ტომებს (ისევე, როგორც აქ მოსახლე მაკრონებსაც) არ მოიხსენიებენ. ჰენიოხთა ტომებს აღნიშნული წყაროები მხოლოდ შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე ასახელებენ.

✓ კერძოდ, ძვ. წ. V საუკუნის ლოგოგრაფოსი ჰელანიკე მიტილენელი ჰენიოხებს მოიხსენებს შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე მობინადრე ტომების კერკეტების, კორაქსებისა და სხვათა გვერდით[4].

✓ ჰენიოხთა განსახლების შესახებ აღნიშნულ ადგილებში უფრო ზუსტი ცნობები აქვს დაცული ძვ. წ. IV საუკუნის ავტორს ფსევდო სკილაქს კარიანდელს. ამ ცნობების მიხედვით ჰენიოხები მოსახლეობდნენ კოლხების, კოლებისა და კორაქსების ჩრდილოეთით[5]. ხოლო, რადგანაც თვით ფსევდო სკილაქს კარიანდელისა და სხვა ავტორთა (პტოლემე და სხვ.) ცნობებიდან ვიცით, რომ კოლებსა და კორაქსებს ეჭირათ დიოსკურიის, ანუ დღ. სუხუმის ჩრდილოეთით მდებარე ადგილები (დაახლოებით ბიჭვინტასთან)[6], თვით დიოსკურია კი კოლხთა მიწა-წყლის ფარგლებში შედიოდა[7], ამდენად შეგვეძლია დავასკვნათ, რომ ჰენიოხები V—IV საუკუნეებში მოსახლეობდნენ კავკასიონის ქედის უკიდურეს ჩრდილო კალთებთან მდებარე ზღვის სანაპირო ვიწრო ზოლში ბიჭვინტამდე—დაახლოებით სოჭისა და ადლერის რაიონებში.

მომდევნო ხანებშიაც (ძვ. წ. II—I საუკ.) ჰენიოხთა მიწა-წყალი განისაზღვრებოდა დღევანდელი სოჭისა და ადლერის რაიონებით, ბიჭვინტის ჩრდი-

---

[1] ს. მელიქიშვილი, ურარტუ, გვ. 142.

[2] იქვე.

[3] ჰეროდოტე, ისტორია, წიგ. IV, თ. 37, SC, I, გვ. 20—21.

[4] იხ. სტეფანე ბიზანტიელი, ეთნიკა, SC, I, 1, გვ. 270.

[5] ფსევდო სკილაქს კარიანდელი, ფრაგ. 76, 77 და 78, SC, I, 1, გვ. 85.

[6] ფსევდო სკილაქს კარიანდელი, ფრაგ. 76,77 და 78. SC, I, გვ. 85.

პტოლემეს ცნობიდან ვიცით, რომ კორაქსის მთების სახელწოდებას კავკასიონის ქედის დასასრულში ძღებარე მთები ატარებდნენ. რაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ამ ადგილებში კორაქსთა ტომებს უნდა ეცხოვრათ (პტოლემე, გეოგრ. სახელმძღვანელო, წ. V, VIII, 14. SC, I, 1, გვ. 238).

[7] ფსევდო სკილაქს კარიანდელი, ფრაგ. 81, SC, I, 1, გვ. 85.

ლოეთით. სტრაბონის „გეოგრაფიაში“ დაცულ ძვ. წ. II საუკუნის გეოგრაფოსის არტემიდორე ეფესელის ცნობით (შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე) კერკეტები ვრცელდებოდნენ 850 სტადიონის მანძილზე, მათ სამხრეთით აქეველებს 500 სტადიონი ეკავათ, ხოლო მათ შემდეგ 1000 სტადიონის მანძილზე ჰენიოხები ბინადრობდნენ, რომელთა შემდეგ (იგულისხმება სამხრეთით) იყო ქ. პიტიუსი [1].

ის გარემოება, რომ ძვ.წ. VI ს-ის ბერძენი ლოგოგრაფოსი ჰეკატე მილეტელი ჰენიოხებს ჯერ კიდევ არ იხსენიებს შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე და ეს ტომი აღნიშნულ ადგილებში მხოლოდ ძვ. წ. V ს-ის წყაროებში ჩნდება—იმაზე უნდა მიგვითითებდეს, რომ ჰენიოხები ამ სანაპიროს უძველეს მოსახლეობას არ წარმოადგენენ და მათ ამ ადგილებში მტკიცედ მხოლოდ ძვ. წ. V საუკუნიდან უნდა მიეკიდათ ფეხი.

როგორც უნდა ვიფარაუდოთ, ჰენიოხთა მოსახლეობა შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე გაჩნდა კოლხთა მიერ დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ ადგილებზე გაბატონების შემდეგ, კერძოდ, გაძლიერებულ კოლხთა დაწოლით ჰენიოხთა ერთი ნაწილის ჩრდილოეთით გადანაცვლების შედეგად.

ჰენიოხთა მოსახლეობის ამ ნაწილმა შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს კლდოვან ადგილებში შეხიზვნით შესძლო კოლხთა ბატონობისაგან თავის დაღწევა და თავისი დამოუკიდებლობის შენარჩუნება. ამიტომაც იყო, რომ ჰენიოხთა ამ ეთნიკურ ჯგუფზე კოლხთა სახელწოდება არ გავრცელებულა და ძვ. წ. V ს-ის წყაროებში ჰენიოხების სახელწოდება მხოლოდ ამ ადგილებში შემორჩა.

დასავლეთ საქართველოს ცენტრალური რაიონებიდან ჩრდილოეთით გადმოსახლებული ჰენიოხები მეტად არახელსაყრელ ეკონომიურ ვითარებაში აღმოჩნდნენ. მკაცრი ბუნებრივი პირობები არავითარ შესაძლებლობას არ იძლეოდა კულტურული მეურნეობის განვითარებისათვის. ამის გამო პოლიტიკურად დასუსტებული ჰენიოხები ძვ. წ. V საუკუნიდან მოკიდებული მოკლებული იყვნენ სოციალურ-ეკონომიური განვითარების შესაძლებლობას. სტრაბონის ცნობიდან ირკვევა, რომ ძვ. წ. I საუკ-სათვის კავკასიონის უკიდურეს ჩრდილოეთ კალთებთან ზღვის სანაპიროს მთიან ადგილებში მცხოვრები ჰენიოხები ძირითადად ზღვაზე თარეშითა და ტყვეთა ვაჭრობით ირჩენდნენ თავს [2], ხოლო მიწის დამუშავებას მისი უნაყოფობის გამო, როგორც ამას სტრაბონი აღნიშნავს [3], ჩანს მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა მათ ცხოვრებაში.

მიუხედავად განვითარების არახელსაყრელი ეკონომიური პირობებისა, ჰენიოხები ძვ. წ. I საუკუნემდე ინარჩუნებდნენ თავიანთ პოლიტიკურ ორგანიზაციას. სტრაბონი მოგვითხრობს, რომ დამარცხებული მითრიდატე ევპატორის ბოსფორში გაქცევის დროს (ე. ი. ძვ. წ. 65 წ.) ჰენიოხებს ოთხი მეფე ჰყოლიათ [4].

---

[1] სტრაბონი, გეოგრაფია, XI, თ. 1, § 14, SC, I, 1, გვ. 135.
[2] სტრაბონი, გეოგრაფია, წ. XI, თ. II, § 12, SC, I, 1, გვ.
[3] იქვე
[4] იქვე.

მაგრამ, სტრაბონის ცნობებიდანვე ირკვევა, რომ ჰენიოხთა ფაქტიურ მბრძანებლებად გამოდიოდნენ უკვე არა მეფეები, არამედ ე. წ. სკეპტუხები [1].

ამას უნდა ამტკიცებდეს სტრაბონის შემდეგი სიტყვები: „ისინი (ე. ი. ჰენიოხები—მ. ი.) არიან ე. წ. სკეპტუხთა მბრძანებლობის ქვეშ, რომლებიც თავის მხრივ ექვემდებარებიან ტირანებს, ანუ მეფეებს“ [2].

როგორც ეს აკად. ს. ჯანაშიას მიერ არის გარკვეული, სტრაბონისეულ სკეპტუხიებში უნდა იგულისხმებოდეს ტომთა პოლიტიკური ორგანიზაციები, რომლებიც ჩნდებიან გარკვეული პოლიტიკური გაერთიანების დაშლის შედეგად. აქედან გამომდინარე თვით სიტყვა „სკეპტუხი“ შეგვიძლია განვმარტოთ, როგორც ამ ორგანიზაციის მეთაური, მთავარი.

ამრიგად, ზემოთქმულიდან გამოდის, რომ ჰენიოხთა პოლიტიკური გაერთიანებანი I საუკუნისათვის უკვე დაშლილი იყო ცალკეულ ტომთა ორგანიზაციებად, რომლებსაც ტომის მთავრები—სკეპტუხები მბრძანებლობდნენ. აღნიშნული სკეპტუხები მართალია ამ ხანებში ჯერ კიდევ მეფეებს ექვემდებარებოდნენ, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ჰენიოხთა გაერთიანების ტომთა ერთეულებად დაშლის შედეგად ეს უკანასკნელნი მხოლოდ ნომინალურად ინარჩუნებდნენ თავიანთ ძველ ძალაუფლებას, ტომთა ორგანიზაციების ფაქტიურ მბრძანებლებად კი ახლა უკვე ზემოხსენებული სკეპტუხები გამოდიოდნენ.

ჰენიოხთა ცალკეულ ტომებად დაქუცმაცებაზე უნდა მიუთითებდეს ახ. წ. I ს-ის მწერალი პლინიუსიც, რომელიც მოიხსენიებს „მრავალსახელწოდებიან ჰენიოხ ტომებს“—„multis nominibus Heniochorum gentes“ [3].

პლინიუსის ცნობიდან ჩანს, რომ აღებულ ხანაში (ძვ. წ. I ს.—ახ. წ. I ს.) საერთო სატომო სახელწოდება „ჰენიოხ“-თან ერთად არსებობდა მრავალი სხვა სახელწოდება, რომელსაც ატარებდა ცალკეული ჰენიოხი ტომი. ეს სახელწოდებები, როგორც საფიქრებელია, ძველადაც არსებობდა, მაგრამ ვინაიდან ჰენიოხთა გაერთიანება იმ ხანაში ჯერ კიდევ მყარი იყო, საერთო სატომო სახელი „ჰენიოხი“ ჰფარავდა დანარჩენებს. ჰენიოხთა გაერთიანების დაშლის შემდეგ კი ცალკეულ ჰენიოხ ტომთა ხსენებული სახელწოდებანი უკვე პლინიუსის დროისათვის საერთო სატომო სახელწოდება „ჰენიოხის“ გვერდით თანდათან მოიპოვებენ მოქალაქეობრივ უფლებას.

მომდევნო ხანებში საერთო სახელწოდება „ჰენიოხი“ სავსებით იდევნება ცალკეულ სატომო სახელწოდებათა მიერ. ასე მაგალითად, ფლავიუს არიანე, რომელმაც ახ. წ. 131 წელს თვითონ იმოგზაურა ჰენიოხთა ძველი ტერიტორიის მახლობელ ადგილებში, ამ სახელწოდების ტომს აქ აღარ მოიხსენიებს. მათ ადგილას არიანე ასახელებს ჯიქებს, რომლებიც მოსულნი უნდა იყვნენ ჩრდილოეთიდან, და სანიგებს [4].

ის გარემოება, რომ არიანესთან ჰენიოხები შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე უკვე აღარ არიან მოხსენებულნი, არ ნიშნავს იმას, რომ აქ ჰენიოხი მოსახლეობა აღარ არსებობდა და მისი ადგილი მთლიანად

---

[1] სტრაბონი, გეოგრაფია, წ. XI, თ. 11, § 12, SC, I, 1, გვ. 133, 134.

[2] იქვე, გვ. 134.

[3] პლინიუსი, ბუნების ისტორია, წ. VI, § 14, SC, II 1. გვ. 179.

[4] არიანე, პერიპლუსი, Bibliotheca scriptorum graecorum et Romanorum Teubneriana. A. G. Roos. Lipsiae. 1928. გვ. 121.

სანიგებსა და ჩამოსულ ჯიქებს ჰქონდათ დაკავებული. ცხადია, I საუკუნის შუა წლებში უკანასკნელად აქ პლინიუსის მიერ დადასტურებული ჰენიოხი ტომები II საუკუნის დასაწყისში—არიანეს დროსაც განაგრძობდნენ ცხოვრებას, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე II საუკუნისათვის უკვე სანიგებს ჰქონდათ მოპოვებული გაბატონებული მდგომარეობა და არიანე, რომელიც ჩვეულებრივ მხოლოდ იმ ტომებს იხსენიებს, რომლებსაც გარკვეული პოლიტიკური წონა ჰქონდათ, სწორედ ამ უკანასკნელებს ასახელებს.

ჰენიოხი ტომები I—II საუკუნის წყაროებში მოხსენებულნი არიან შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს სამხრეთ რაიონებში.

ასე მაგალითად, პლინიუსი ჰენიოხებს მოიხსენიებს ჯერ სანებთან ერთად ქ. ტრაპეზუნტის მახლობლად (მდ. პიქსიტთან), ხოლო შემდეგ მდ. აბსაროსთან, ანუ დღევანდელ ჭოროხთან. იგი წერს: „ტრაპეზუნტამდე ნაპირის გასწვრივ მდ. პიქსიტი, მის შემდეგ სანთა ჰენიოხთა ტომი. ტრაპეზუნტიდან 140 ათასი ნაბიჯის დაშორებით მდ. აბსაროსი ამავე სახელწოდების სიმაგრითურთ შესართავთან. ამ ადგილებში, მთების გადაღმა მდებარეობს იბერია, ნაპირის გაყოლებით კი ცხოვრობენ ჰენიოხები, ამპრევტები, ლაზები“ [1]...

დაახლოებით ამ ადგილებში, კერძოდ, მდ. ოფისსა და არქაბეს შორის, მოიხსენიებს ჰენიოხებს არიანეც და ანონიმური ავტორიც. არიანე მოგვითხრობს, რომ მისი მოგზაურობის დროს 131 წელს ჰენიოხებს მაკრონებთან ერთად მეფედ ჰყოლიათ ვინმე ანხიალი [2]. ეს უკანასკნელი ჰენიოხების მეფედ ჩანს ჯერ კიდევ იმპერატორ ტრაიანეს დროს. ისტორიკოსი დიონ კასიუსი მოგვითხრობს, რომ ჰენიოხთა მეფე ანხიალი იმპერატორ ტრაიანეს დაუსაჩუქრებია ქ. არსამოსატის აღების შემდეგ [3].

შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს სამხრეთ რაიონებში ჰენიოხთა ტომის პოლიტიკური დაწინაურება და აქ „სამეფოს“ წარმოქმნა, ჩვენის აზრით, დაკავშირებული იყო კოლხეთის სახელმწიფოებრიივი გაერთიანების დაშლასთან, რასაც ძვ. წ. II საუკუნის დასასრულს ჰქონდა ადგილი.

ზემოთ ჩვენ აღვნიშნავდით, რომ კოლხთა პოლიტიკურ გაერთიანებაში სამხრეთ ჰენიოხებთან ერთად შევიდნენ ცენტრალურ რაიონებში მცხოვრები ჰენიოხები. როგორც ჩანს, შავი ზღვის ცენტრალურ რაიონებში, რომლებიც თვით კოლხთა ძირითადი ეთნიკური კოლექტივის მიერ იქნენ დაკავებულნი, დარჩენილი ჰენიოხი მოსახლეობა საბოლოოდ შეირწყა კოლხებში.

ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ჰენიოხთა კვალი აქ საბოლოოდ ქრება. ხოლო რაც შეეხება სამხრეთით მოსახლე ჰენიოხებს, მათზე კოლხურ ეთნიკურ კოლექტივს შედარებით ნაკლები გავლენა მოუხდენია. მათი ასიმილაციის პროცესი, რომელიც საუკუნეების მანძილზე მიმდინარეობდა, აქ ჯერ დასრულებული არ ყოფილა, რომ თვით კოლხთა პოლიტიკური გაერთიანება დაიშალა. ამ გარემოებამ შესაძლებლობა მისცა ჰენიოხთა ტომებს, რომლებზედაც კოლხთა ბატონობა ძირითადად პოლიტიკურ სფეროს არ გასცილებია, გამოცოცხლებულიყვნენ და დამოუკიდებელი პოლიტიკური ცხოვრებაც დაეწყოთ.

---

[1] პ ლ ი ნ ი უ ს ი, ბუნების ისტორია, წ. VI, § 12, SC, II, გვ. 178 „სანთა ჰენიოხთა ტომში“, ჩვენის აზრით, იგულისხმება სანთა და ჰენიოხთა ნარევი მოსახლეობა.

[2] ა რ ი ა ნ ე, პერიპლუსი, 11, გვ. 113.

[3] დ ი ო ნ კ ა ს ი უ ს ი, ისტორია, XVIII, 18.

* * *

რაც შეეხება ჰენიოხთა ვინაობის საკითხს, სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ხანია რაც აღნიშნულია, რომ ჰენიოხები უნდა წარმოადგენდნენ სანურ, ანუ ჰანურ ტომებს. ამის დამამტკიცებლად მკვლევართ (ი. ორბელი, პ. ინგოროყვა) უმთავრესად ის გარემოება მოაქვთ, რომ პლინიუსი იხსენიებს „სანთა ჰენიოხთა ტომს“ [1].

საგულისხმოა აგრეთვე პ. ინგოროყვას ის დაკვირვებაც, რომ ჰენიოხები რაზე-ათინას მხარეში მოსახლეობდნენ [2], ე. ი. იქ, სადაც ამჟამადაც ჰანები ცხოვრობენ.

ჰენიოხებისა და ჰანური ტომების ნათესაობაზე შესაძლებელია მიგვითითებდეს ის ფაქტიც, რომ I საუკუნისათვის ჰენიოხთა გაერთიანების ცალკეულ ტომთა პოლიტიკურ ერთეულებად დაშლას ემთხვევა მათ ტერიტორიაზე ლაზურ-ჰანური მოდგმის ტომის სანიგების (ანუ წანების [3]) გაჩენა. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ სანიგების აღნიშნულ ადგილებში მოხსენიება დაკავშირებული უნდა იყოს ჰენიოხთა ტომურ ერთეულებად დაშლასთან. კერძოდ, შესაძლოა სანიგები წარმოადგენენ ჰენიოხთა ერთ-ერთ ტომთაგანს, რომელიც ყველაზე მეტად გაძლიერდა და გაბატონდა აქ მცხოვრებ დანარჩენ ჰენიოხ ტომებზე, გააურცელა რა ამ უკანასკნელებზე თავისი სატომო სახელი.

ყოველივე ამას თუ დავუმატებთ იმ ფაქტსაც, რომ ოფისსა და არქაბეს შორის მცხოვრები ჰენიოხები II ს-ში მაკრონებთან (ე. ი. ჰანურ ტომთან) ერთად ერთ „სამეფოს“ შეადგენდნენ, ჩვენის აზრით, გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ თვით ჰენიოხები მართლაც ლაზურ-ჰანურ მოდგმასთან არიან გენეტურად დაკავშირებულნი.

М. П. ИНАДЗЕ

## К ИСТОРИИ ПЛЕМЕН ВОСТОЧНОГО ПРИЧЕРНОМОРЬЯ (ГЕНИОХИ)

Резюме

В работе дана попытка объяснить то обстоятельство, что греческие и римские авторы упоминают гениохов как в северных районах Восточного Причерноморья (V в. до н. э.—I в. н. э.), так и в южной части этого побережья (I—II вв н. э.).

В результате изучения литературы вопроса и источников, автор приходит к заключению, что основными районами первоначального расселения гениохов были центральные и южные области Восточного Причерноморья.

После усиления к VII в. до н. э. в центральных районах Восточного Причерноморья колхов, часть проживавших здесь гениохов была вытесне-

[1] И. Орбели, Город близнецов *ΔΙΟΣΚΟΥΡΙΑΣ* и племя возниц ΗΝΙΟΧΟΙ. ЖМНП, 1911 г. № 4, стр. 213, 214; პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე. „მნათობი“, 1950 № 3 გვ. 13.

[2] იქვე.

[3] ს. ჯანაშია, თაბალ-თუბალი, ტიბარენი, იბერი. ენიმკის „მოამბე“, I, 1937, გვ. 192, 197.

на колхами, переместилась к северу и осела в горных местах северо-восточного побережья Черного моря, где их и упоминают с V в. до н. э. греческие источники. Оставшееся в центральных районах население гениохов полностью смешалось с господствующими здесь колхами.

Что касается проживавших в южных районах гениохов, которые были подчинены лишь политическому влиянию колхов, после распада самого Колхидского царства (во II в. до н. э.), они снова «ожили» и ко II веку н. э. создали собственное „царство" вместе с племенем макронов (Арриан).

Те места, где гениохи продержались сравнительно долго (северо-восточное и юго-восточное Причерноморье), в последующее время были заселены лазскими (чанскими) племенами (на юге чаны, на севере саниги, или цаны).

То обстоятельство, что на северо-восточном побережье Черного моря в результате распада этнического коллектива гениохов появляются саниги, а на юго-восточном побережье в одно „царство" наряду с гениохами входили и макроны (чанское племя), которые впоследствии достигают здесь полного господства, дает основание для предположения, что и сами гениохи являлись лазско-чанскими племенами.

თ. მიქელაძე

# ფასიანების სადაურობისა და ადგილსამყოფელის გარკვევის საკითხისათვის

ცნობებს ფასიანების შესახებ, შეიძლება ითქვას, მხოლოდ ქსენოფონტის „ანაბასისში“ ეხვდებით [1]. ამასთანავე „ანაბასისში“ სხვადასხვა ტომზე არსებულ ცნობათა სიმცირის მხრივ პირველ რიგში ფასიანები გამოირჩევიან. მართალია, ეს გარემოება, ერთი მხრით, ართულებს საქმის ვითარებას, მაგრამ ამავე დროს რამდენადმე ხელს გვიწყობს ამ ტომის ლოკალიზაციის დადგენის საქმეში.

ფასიანების ადგილსამყოფელის განსაზღვრისათვის საჭიროა ათიათასი ბერძნის უკანდახევის (ე. წ. კატაბასისის) მარშრუტის ერთი ნაწილის განხილვა მაინც. მაგრამ რაკი ეს საკითხი ცალკე კვლევის საგანს შეადგენს, ამიტომ ჩვენ ორიოდე სიტყვით აღვნუსხავთ ბერძენთა მსვლელობის მხოლოდ ძირითად მომენტებს მდ. კენტრიტიდან ფასიანების ქვეყნამდე [2].

მდ. კენტრიტი, რომელიც ქსენოფონტის ცნობით არმენიას კარდუხების ქვეყნისაგან გამოყოფს (ანაბ., IV, 3,1), სხვა არა არის რა, თუ არ დღევანდელი ბოტან-ჩაი, რომელიც ტიგროსის მარცხენა შენაკადია და ქურთისტანისა და ე. წ. თურქეთის არმენიის საზღვარს წარმოადგენს.

კენტრიტ-ბოტან-ჩაის გადალახვის შემდეგ ბერძენ მოქირავნეთა მარშრუტი, „ანაბასისის“ ტექსტუალური ანალიზის, მანძილებისა და ფიზიკურ-გეოგრაფიული მონაცემების დამთხვევის შედეგად, შემდეგნაირად არის გასააზრებელი: კენტრიტიდან მდ. ბითლის-სუს (-ქსენოფონტისეულ ტიგროსს) სათავეებამდე; შემდეგ აღმოსავლეთ ევფრატის შენაკადამდე—ყარა-სუმდე (=ქსენოფონტისეულ ტელებოასს); შემდეგ ბულანიკის ველის გავლით, ქ. კარაკიოსემდე, სადაც ბერძნებმა გადალახეს ევფრატი-მურად-ჩაი. აქედან ბერძნებმა იარეს ალაშკერტის ველით დაახლოებით სოფელ კაიაბეკამდე; შემდეგ სოფ. ამატის (არმენიელი კომარხოსის სოფელი, შდრ., ანაბ., IV 5, 9—10) გავლით ბერძნები მივიდნენ მდ. არაქსთან (ქსენოფონტისეული ფასისი) ქ. კაგიზმანის მიდამოებში.

მდ. ფასის-არაქსთან თავდება არმენიის სატრაპია, რომელსაც ქსენოფონტი დასავლეთ არმენიას უწოდებს.

---

[1] ცნობილი ბერძენი ისტორიკოსი ქსენოფონტი ცხოვრობდა ძვ. წ. V საუკუნის უკანასკნელ მეოთხედსა და IV საუკუნის პირველ ნახევარში. იგი ათიათას ბერძენ მოქირავნესთან ერთად მონაწილე იყო ლაშქრობისა, რო მელიც კიროს მცირემ მოაწყო თავისი ძმის სპარსეთის მეფე არდაქსერქსე II მნემონის წინააღმდეგ და რომლის აღწერასაც წარმოადგენს მისი ერთ-ერთი თხზულება „ანაბასისი“.

[2] ხსენებული მარშრუტის ერცელი მიმოხილვა, მანძილის საზომთა მიმოხილვითურთ, იხ. ჩვენს საკანდიდატო დისერტაციაში— „ქსენოფონტის „ანაბასისი“ და მისი ცნობები ქართველ ტომების შესახებ“ (სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1952), გვ. 58—148.

მდ. ფასის-არაქსი ბერძნებმა ქ. კაგიზმანის მიდამოებში გადალახეს და განაგრძეს გზა დასავლეთით ამ მდინარის პირშეღმა. თითქმის 175 კმ გავლის შემდეგ ისინი მივიდნენ ფასიანთა ქვეყანაში, დაახლოებით ქ. ჰასანყალას (ბასიანი ქართული წყაროების) მიდამოებში. აქედან ბერძენთა არმიამ იარა ჯერ ჩრდილო-დასავლეთით გურჯი-ბოღაზის (ქართლის ყელი-ქართული წყაროებისა) დასაწყისამდე, ხოლო შემდეგ ჩრდილოეთით, ვიდრე არ წააწყდა ტაოხების, ხალიბებისა და ფასიანების კოალიციას; ეს უნდა მომხდარიყო სოფ. შინეკის მახლობლად მთის გადასასვლელთან, რომელიც ბასიან-ჰასანყალადან დაბა ჰინისის გავლით დაახლოებით 20 კმ-ით არის დაშორებული. ეს მანძილი კარგად ემთხვევა ქსენოფონტის 10 ფარასანგს (შდრ. ანაბ., IV, 6,5).

ამ მონაცემების მიხედვით, შეეცადოთ ფასიანების ადგილსამყოფელის განსაზღვრას. როგორც აღნიშნული იყო, ქსენოფონტს ფასიანების შესახებ ძალიან ცოტა ცნობები მოეპოვება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მას ამ ტომის მიწა-წყალზე ან არ გაუვლია, ან, უკეთ, მან ფასიანების ქვეყნის მხოლოდ ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი გადასერა. ამდენად ამ ქვეყნის ჩრდილოეთი საზღვრის დადგენა დაახლოებით მაინც არის შესაძლებელი. მიახლოებით შეიძლება დავადგინოთ ამ ტომის გავრცელების აღმოსავლეთი საზღვარიც. შედარებით ძნელია ფასიანების ქვეყნის შემოსაზღვრა სხვა მხარეებიდან, თუმცა უიმედოდ არც ეს საქმე უნდა ჩავთვალოთ.

როგორც აღვნიშნეთ, ათიათასმა ბერძენმა ფასის-არაქსის შორიახლო დასავლეთი მიმართულებით იარა ქ. ჰასანყალამდე, ისე რომ ფასიანებს არ შეხვედრია. ეს დაკვირვება უფლებას გვაძლევს ფასიანების აღმოსავლეთი საზღვარი დაახლოებით ქ. ჰასანყალას ხაზზე გავავლოთ. ჩრდილოეთის საზღვარი, რომელიც ფასიანებს ტაოხებისა და ხალიბებისაგან გამოყოფდა, იქ არის გასავლები, სადაც ბერძნები ამ ტომებს შეეჯახნენ, ე. ი. დაახლოებით სოფ. შინეკის ხაზზე.

რაც შეეხება დანარჩენ საზღვრებს, მათი გარკვევის დროს ანგარიში უნდა გაეუწიოთ ერთ გარემოებას. „ანაბასისში“ ქსენოფონტს ნახსენები ჰყავს აგრეთვე ჰესპერიტების ტომი. ამასთანავე ჰესპერიტები მოხსენებულია ძალიან საინტერესო კონტექსტში; სახელდობრ, „ანაბასისში“ ჩამოთვლილია მეფის კუთვნილი პროვინციები მათი მმართველების დასახელებით; ამ პროვინციებს შორის ფასიანებისა და ჰესპერიტების მმართველად ტირიბაზია დასახელებული (ანაბ., VII, 8,25).

რაკი ეს ორი ტომი (ფასიანები და ჰესპერიტები) ერთად იხსენიება და, რაც მთავარია, მათ ერთი მმართველიც ჰყოლიათ, ცხადია, ისინი ურთი-ერთის უშუალო მეზობლები უნდა ყოფილიყვნენ. ჰესპერიტებს რომ ფასიანების აღმოსავლეთით ეცხოვრათ, მაშინ ქსენოფონტს მოუხდებოდა მათ მიწა-წყალზე გავლა ფასიანების საზღვართან მისვლამდე. „ანაბასისიდან“ კი ირკვევა, რომ ბერძნებს ჰესპერიტების ქვეყანაზე არ გაუვლიათ. რაც შეეხება ფასიანების ჩრდილოეთ მხარეს, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, იქ ტაოხები და ხალიბები ბინადრობდნენ. მაშასადამე, ჰესპერიტების მეზობლობა ამ მხრითაც გამორიცხულია. დარჩა ფასიანელთა სამხრეთი და დასავლეთი მხარეები, მაგრამ ვიდრე ამ მიდამოებში ჰესპერიტების არსებობის შესაძლებლობას შევეხებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია ამ ტომის ვინაობის საკითხი გამოვარკვიოთ.

ამგვარი სატომო სახელწოდება (Ἑσπερῖται) ანტიკურ წყაროებში მხოლოდ ქსენოფონტთან გვხვდება. ამასთან ერთად, ქსენოფონტიც ამ ტომს

მხოლოდ ასახელებს, გვეუბნება, რომ ის ტირიბაზს ემორჩილება, და არაფითარ სხვა ცნობას არ გვაწვდის. ამგვარად, ამ ტომის ვინაობის გასარკვევად, მისი სატომო სახელწოდების გარდა, სხვა საშუალება არ მოგვეპოვება.

ჰესპერიტების ვინაობის საკითხს სათანადო ყურადღება აქვს დათმობილი სამეცნიერო ლიტერატურაში. მკვლევართა უმრავლესობა ქსენოფონტისეულ ჰესპერიტებს აიგივებს ჰეროდოტესა და აგრეთვე სხვა მწერლების სასპეირებთან[1]. ეს გაიგივება ჩვენც მართებულად მიგვაჩნია.

ჰეროდოტეს ცნობით, სამხრეთის ზღვიდან ჩრდილოეთის ზღვამდე ცხოვრობდა ოთხი დიდი ხალხი: სპარსელები, მიდიელები, სასპეირები და კოლხები (ჰეროდ., IV, 37). ზოგიერთი კომენტატორის აზრით, სასპეირების მიწა წყალი მდ. არაქსის სათავეებთან მდებარეობდა[2], ამგვარი ლოკალიზაცია ცოტა უხეშია, თუმცა სინამდვილეს მთლად დაშორებული არ არის. ზოგადად, სასპეირებს მართლაც ამ მიდამოებში უნდა ეცხოვრათ.

როდესაც ჰესპერიტებზე ვლაპარაკობთ, განსაკუთრებით კი, როდესაც გვინდა ჰესპერიტ-სასპეირების იგივეობა დავასაბუთოთ, არ უნდა დავივიწყოთ სტრაბონის მითითებანი იმ პროვინციის შესახებ, რომელსაც იგი სვისპირიტს უწოდებს. ცხადი უნდა იყოს, რომ ეთნიკური ჰესპერიტ-სასპეირი და სტრაბონისეული სვისპირიტი გეოგრაფიულად ერთსა და იმავე ტერიტორიას გულისხმობს. ამ სახელწოდებებს ძირიც ერთი და იგივე უნდა ჰქონდეთ (სპერ‖სპირ), რაც შემონახულია როგორც ქართულ ტოპონიმიკაში (შდრ. სპერი, ისპირი), ისე ეთნიკურ სახელწოდებაშიც—ჰიპერ-იბერ.

ისმის კითხვა: სად ეგულება სტრაბონს სვისპირიტი? ამ პროვინციას იგი თავის შრომაში სამგან იხსენიებს: XI, 4,8; XI, 14, 9 და XI, 14,12.

მკვლევართა ერთი ნაწილი (მარკვარტი) სტრაბონის მიერ პირველ (XI, 4,8) და მესამე (XI, 14,12) ადგილას ნახსენებ სვისპირიტს აიგივებს ტიგროსის ხეობაში არსებულ მხარესთან, რომელსაც დღესაც ისპარუტ (isparut), ისპერტ (ispert) ეწოდება. ამავე აზრს ადგას ადონცი[3]. რაც შეეხება სტრაბონის შრომის მეორე ადგილს (XI, 14,9), იქ ნახსენებ სვისპირიტს თითქმის ყველა მკვლევარი საქართველოს სპერთან აიგივებს. ს. ჯანაშიას მტკიცებით სტრაბონის მიერ სამივე ადგილას მოხსენიებული სვისპირიტი ქართულ სპერად არის ასაღიარებელი[4].

ამგვარად, ქსენოფონტისეული ჰესპერიტები (=სასპეირებს) საძიებელია სტრაბონის სვისპირიტიდაში, რომელსაც, ჩანს, სახელი ამ ტომის სახელწოდებისაგან მიენიჭა. მაგრამ სვისპირიტის ზოგადი ლოკალიზაცია, ცხადია, ვერ დაგვეხმარება ჰესპერიტების სამოსახლოს ზუსტ შემოფარგვლაში. ამის გამო იძულებული ვართ კვლავ სტრაბონს მივმართოთ. იგი გადმოგვცემს: „...სხვები დასახლდნენ სვისპირიტში კალახენემდე[5] და აბიადენამდე არმენიის საზღვრებს გარეთ“ (სტრაბ., XI, 14,12). სიტყვები „არმენიის საზღვრებს გარეთ“,

---

[1] Lehmann-Haupt, Segl. vom Kentrites bis Trapezunt, Gnomon Bd. IV, Heft. 6, Berlin, 1928. გვ. 348. აგრეთვე იხ. RE, ტ· VIII, სათანადო სიტყვა.

[2] იხ. ВДИ, 1947, № 2, გვ. 265. შენ. 4.

[3] Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, СПб, 1908, გვ. 348, შენ. 1.

[4] ს. ჯანაშია, იბერიის (ქართლის) სამეფოს პოლიტიკური გეოგრაფიისათვის უძველეს პერიოდში, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოამბე, III, № 7, გვ. 729.

[5] სტრაბონის კალახენე შესაძლოა გამოძახილს პოულობდეს სოფ. კულბანის სახელწოდებაში, რომელიც სვისპირიტის სავარაუდებელ მხარეში მდებარეობს.

ჩანს, არმენიის დასავლეთ საზღვარს უნდა გულისხმობდეს. ამას სხვათა შორის „ანაბასისის“ ერთი ადგილიც შესანიშნავად ადასტურებს. ქსენოფონტი გადმოგვცემს, რომ „...ტელებოასის მახლობლად მრავალი სოფელია. ეს მხარე იწოდება დასავლეთ არმენიად. მას განაგებდა ტირიბაზი, რომელიც მეფის მეგობარი იყო“ (ანაბ., IV, 4,4).

აქედან ნათლად ჩანს, რომ ტირიბაზი განაგებდა არა ორ, ფასიანების და ჰესპერიტების (შდრ. ანაბ., VII, 8,25), პროვინციას, არამედ სამს, დასავლეთ არმენიის მითვლით. ტირიბაზს კი იმ შემთხვევაში შეეძლო სამი პროვინციის გამგებლობა, თუ ისინი ერთიმეორის მეზობლად მდებარეობდნენ. „ანაბასისიდან“ ირკვევა, რომ ათიათასი სამხრეთიდან მოემართებოდა და დასავლეთ არმენიაში მოსვლამდე მან ჯერ კარდუხების ქვეყანა, ხოლო შემდეგ არმენია გაიარა. მაშასადამე, დასავლეთ არმენიის სამხრეთით მდებარეობდა არმენია, რომელსაც ორონტი განაგებდა, ხოლო კიდევ უფრო სამხრეთით კარდუხების ქვეყანა იყო. ამრიგად, აქ ჰესპერიტების არსებობა გამოსარიცხია. დასავლეთ არმენიაში მოსვლის შემდეგ ბერძენმა მოქირავნეებმა გადასერეს მთელი დასავლეთი არმენია, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, მაგრამ აქ ისინი ჰესპერიტებს არ შეხვედრიან. მაშ, ცხადია, ჰესპერიტების ქვეყანა არც აღმოსავლეთიდან ესაზღვრებოდა დასავლეთ არშენიას. ჩრდილოეთით, ბინგიოლ-დაღის მთიანი სისტემის გადაღმა, სადაც ფასისარაქსის სათავეები და პასინის ველია, ფასიანები მოსახლეობდნენ; ასე რომ, ჰესპერიტები არც დასავლეთ არმენიის ჩრდილოეთით არიან საძიებელნი. დარჩა ერთადერთი მხარე დასავლეთი, სადაც ქსენოფონტი არ ყოფილა და სწორედ იმის გამო, რომ არ ყოფილა, ჰესპერიტების შესახებაც არავითარი ცნობები არ მოეპოვება. მხედველობაში არ ვიღებთ ცნობას ჰესპერიტების პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ, რადგან ამის გაგება ქსენოფონტს შეეძლო დასავლეთ არმენიაში ყოფნის დროს, შესაძლოა, თვითონ ტირიბაზისაგანაც. საფიქრებელია, რომ დასავლეთ არმენიის დასავლეთი საზღვარი მდ. ტელებოასზე (დღევანდელი კარა-სუ, მურად-ჩაის მარცხენა შენაკადი) გადიოდა. ამრიგად, ჰესპერიტების (რომლებიც სტრაბონისეულ სვისპირტში მოსახლეობდნენ) აღმოსავლეთი საზღვარი, როგორც ჩანს, იწყებოდა მდ. ტელებოასის ხაზზე და გრძელდებოდა ჩრდილო-აღმოსავლეთით ბინგიოლ-დაღამდე, რომელიც ბუნებრივ საზღვრად არის მისაჩნევი.

ყურადღებას იქცევს ერთი გარემოებაც: საშუალო საუკუნეების დასაწყისში სპერი სამ ზონად იყოფოდა: ზემო სპერი, შუა სპერი და ქვემო სპერი. ამჯერად ჩვენ გვაინტერესებს ზემო სპერი, რომელიც, როგორც ცნობილია, მოიცავდა ჰოროხის ხეობის სათავეებს. შემთხვევითი როდი უნდა იყოს, რომ ჰოროხის ხეობამ თავის დასაწყისშიც შეინარჩუნა სახელწოდება სპერი, რომელიც ჰესპერიტ-სასპეირების ნაკვალევზე უნდა მიგვითითებდეს. ჩანს, ეს ტომი უფრო ჩრდილოეთით თუ არა, ჰოროხის სათავეებამდე მაინც ყოფილა გავრცელებული.

ამგვარად, გამორკვეულად უნდა ჩავთვალოთ ფასიანების სამხრეთი და დასავლეთი საზღვრები. ამ მხრით ფასიანებს ჰესპერიტები ესაზღვრებოდნენ. სასაზღვრო ხაზი საკარაუდებელია სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით ბინგიოლ-დაღის მთიან სისტემაზე, ხოლო დასავლეთით ჰოროხის სათავის ხაზზე, დაახლოებით მდ. სერჩელმე-ჩაის გაყოლებით.

მიახლოებით რომ სწორედ ეს მხარეა სავარაუდებელი ფასიანების გავრცელების არედ, ამას მოწმობს ამ ტომის ეთნიკური სახელის სპეციფიკურობაც, რაც ამ მხარის გეოგრაფიულ თავისებურებებთან უნდა იყოს დაკავშირებული.

სიტყვით „ფასიანი“ ამ ნახევარი საუკუნის წინ რამდენადმე დაინტერესდა პროფ. მ. ჯანაშვილი. მან ვახუშტი ბატონიშვილის „გეოგრაფიის“ კომენტირების დროს გამოთქვა მოსაზრება, რომ სახელწოდება „ბასიანი“ სახენაცვალი ფორმა უნდა იყოს სახელწოდებისა „ფასიანი“, რომელიც, თავის მხრივ, წარმომდგარი უნდა იყოს სიტყვისაგან „ფშა“, „ფშანი“ (=წყარო, სათავე) და „ფშიანი“, რაც წყაროებით, სათავეებით და, საერთოდ, წყლით მდიდარ ან ჭაობიან ადგილს ნიშნავს [1].

ს. ორბელიანის მიხედვით, „ფშა“ არის „მდინარისაგან წყარო მუნვე ახლო გაშოდენილი“, „ფშანი“ კი „მრავალ ფშა“ [2]; ამასთან ერთად, „უკეთუ მდინარისა მახლობლად მისგანვე გამოდიან წყარონი, არა უწოდთ წყაროდ, არამედ ფშად“ [3]. საგულისხმოა, რომ ამავე ძირის სიტყვა „ფშატალა“ საბას განმარტებით „გაზაფხულ წყალი თოვლნარევი“ არის [4]. აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში „...სიტყვის მთავარი დედააზრი წყლის სიმცირის ცნების გამომხატველი არ უნდა ყოფილიყო, ამას ქართული გეოჰიდროგრაფიული სახელებიც ცხადყოფენ. ცნობილია, რომ ქ. გორი ირწყვება „ფშანით“, რომელიც სრულებით წყაროს მსგავსად პატარა არ არის, არამედ საკმაოდ მოზრდილია, ისე რომ იქაურ ბაღებსა რწყავს. ასეთი სახელი ამ პატარა მდინარეს მხოლოდ იმიტომ ეწოდება, რომ მდ. ლიახვის გამონაჟონ მდინარეს წარმოადგენს“ [5].

მაშასადამე, „ფშა“ ფუძიანი სახელები დღემდე იხმარება ქართულ მეტყველებაში და თავისი ზოგადი შინაარსით წყალთან არის დაკავშირებული, ხოლო კონკრეტულად მდინარის ტოტს აღნიშნავს. უფრო ადრე კი მეგრულ-ჭანურ მეტყველებაში წყლის ან მდინარის სახელი, როგორც ჩანს, მხოლოდ „ფშა“ || „ფსა“ ფუძიანი სიტყვებით გადმოიცემოდა. ამას უნდა მოწმობდეს ქართული სიტყვის „სილა“-ს უფრო ადრეული ფორმა, რომელიც დაცული აქვს მეგრულს „ფსილა“-ს სახით [6]. საგულისხმოა, რომ ყაბარდოულად დღესაც წყალს „პსი“ ეწოდება, ჩერქეზულად კი „პსე“ [7].

ამგვარად, „ფშა“-„ფსა“ ფუძიანი სიტყვები, რომელიც წყალს, მდინარესა და მსგავს ცნებებს აღნიშნავს, ძველთაგანვე ხმარებაში ყოფილა იბერიულ-კავკასიურ ენებში და მისი ოდნავ სახეშეცვლილი ფორმა ძირითადად იმავე შინაარსით დღემდე დაუცავს ქართულს. ამრიგად, ჩვენი აზრით, ეს სიტყვა არ შეიძლება ჩაითვალოს მარტოოდენ ჩრდილო-კავკასიურ (ჩერქეზულ-ადიღეურ) ენათა კუთვნილებად.

---

[1] Царевич Вахушти, География Грузии, введение, перевод и примечания М. Г. Джанашвили, Зап. КОИРГО, кн, XXIV, вып, 5-й, Тифлис, 1904, გვ. 183, შნშ. 529. შესაძლოა ფშა ძირისაგან მომდინარეობდეს ქართული სატომო სახელიც ფშავი (შდრ. მ ჯანაშვილი, იქვე).

[2] სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, ტფილისი, 1928, გვ. 360.

[3] იქვე, გვ. 442.

[4] იქვე, გვ. 360.

[5] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტ.-ეთნოლოგიური პრობლემები, 1950, გვ. 35.

[6] იქვე, გვ. 41.

[7] იქვე, გვ. 41.

ახლა საკითხი ისმის ფუძეების ფსა და ფას (რომლისგანაც ნაწარმოებია ანტიკური მწერლების ფასისი) ურთიერთმიმართების შესახებ. საგულისხმოა, რომ არც აკად. ს. ჯანაშია გამორიცხავდა სავსებით ამ ფუძეთა ურთიერთდამთხვევის შესაძლებლობას [1]. ფას ფუძიდან ნაწარმოები ბერძნული φᾶσις აშკარად ელინიზებური ფორმაა ადგილობრივი სახელწოდებისა. ამ სიტყვაში -ις ბერძნულ სუფიქსად გამოიყენება. ხოლო ფორმა „ფასისი“ ბერძნულის გზით ჩანს შემოსული ქართულში (ფასის + ქართული სახ. ბრ. ნიშანი ი). არ არის გამორიცხული სიტყვის პირველი ნაწილის ელინიზაციაცის ფაქტი კი, რომ „ფასისი“ უპირატესად მდინარეებს აღნიშნავდა, ამავე დროს არა ერთ მდინარეს, არამედ ბევრს (მაგ., არაქსს, ჰოროხს, რიონს), თავისთავად მოწმობს იმას, რომ ეს სიტყვა არ წარმოადგენდა საკუთარ სახელს და იგი უფრო ზოგად ცნებას, სავარაუდოა, წყლის ცნებას გამოხატავდა.

რაც შეეხება საკომო სახელის-φασιανός წარმოებას, აქ საქმე შემდეგში მდგომარეობს: სავსებით აშკარაა, რომ ამ სიტყვაში სუფიქსი ος ბერძნული სახელობითი ბრუნვის მრავლობითი რიცხვის დაბოლოებას წარმოადგენს. მაშასადამე, სიტყვის ადგილობრივი ხმარების ფორმა უნდა ყოფილიყო φασιαν, რომელსაც ბერძნულთან არავითარი კავშირი არა აქვს. თუ ეს ვარაუდი დასაშვებია, მაშინ ცხადია, რომ ამ სიტყვის ფუძეა φασι [2], მაშინ როდესაც αν-სუფიქსის მოვალეობას უნდა ასრულებდეს. რომ ანტიკურ პერიოდში ქართველური ენებისათვის დამახასიათებელი იყო „ან“-სუფიქსი და რომ ეს სუფიქსი დღემდეა შემორჩენილი ქართულში, კერძოდ, გვარის სახელებში და განსაკუთრებით კი ზოგიერთი ტომის სახელწოდებაში (მაგ., სვანი, ჭანი და სხვ.), ეს ნათლად დასაბუთებულია აკად. ს. ჯანაშიას გამოკვლევაში „თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი“ [3].

საინტერესოა გავიგოთ რა მნიშვნელობას ანიჭებდა ეს სუფიქსი სიტყვას. აკად. ს. ჯანაშიას გამოკვლევით „ეს არის ქართველურ ენებში ფართოდ გავრცელებული ან სუფიქსი (ფონეტიკური ვარიანტების მქონე, როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები), რამდენიმე ურთიერთ შორის მჭიდროდ დაკავშირებული მნიშვნელობით: ა) კრებითობისა, მრავლობისა, კორპორაციული, ბ) თვისების ქონებისა (კითხვაზე: რიანი?), გ) წარმოშობა სადაურობისა, დ) ტოპონიმიკური, ე) სიტყვათ-წარმოებითი. კერძოდ, კნინობითობისა“ [4].

ამ მნიშვნელობათაგან ამჯერად ჩვენ გვაინტერესებს „ან“ სუფიქსის თვისების ქონებისა და კრებითობა-კორპორაციული მნიშვნელობა.

უკანასკნელის შესახებ აკად. ს. ჯანაშია წერს: „სუფიქსის მნიშვნელობათაგან განსაკუთრებით საყურადღებოა პირველი—კრებითი. ამ მნიშვნელობის გამოხატვაში ჩვენ ეხედავთ სუფიქსის პირვანდელსა და უძველეს ფუნქციას. ეს მნიშვნელობა ფორმანტისა ნათლად არის წარმოდგენილი ქართველურ გვარისსახელებში, რომელთაც სათანადო დაბოლოება მოეპოვებათ.

---

[1] ს. ჯანაშია, ჩერქეზული (ადიღეური) ელემენტი საქართველოს ტოპონიმიკაში, სსრკ მეცნ. აკადემიის საქ. ფილიალის მოამბე, ტ. I, № 8, გვ. 623—627.

[2] შესაძლოა ფუძე იყოს φασ, ι-კი ის ერთ-ერთი ინფიქსი, რომლის მეშვეობითაც სიტყვათწარმოების დროს „ან“-სუფიქსი ფუძეს უკავშირდება ხოლმე (შეად. ს. ჯანაშია, თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი, ენიმკის მოამბე, 1937, ტ. 1, გვ. 210).

[3] ენიმკის მოამბე, 1937, ტ. I, გვ. 210—220.

[4] ს. ჯანაშია, დასახ. შრომა. გვ. 210.

გვარისსახელების ეს დაბოლოება თავდაპირველად გავრცელებული იყო, ჩანს, ყველა ქართველ ტომში, და ქართველურს პატრონომისტიკულ მორფოლოგიაში იგი ერთი ყველაზე ადრინდელი მოვლენათაგანია“ [1].

უფრო ქვემოთ კი ავტორი ფართო მასალის ანალიზის შედეგად დაასკვნის: „ამრიგად, შეიძლება უეჭველად მივიჩნიოთ, რომ რიგი (უმრავლესობა) ქართველი ტომები ატარებდნენ (და ზოგი ახლაც ატარებს) ისეთ სატომო სახელებს (სვ-ან-ი, ხ-ან-ი, წ-ან-ი (წ-ენ-ი) და სხვ.), რომელთაც ერთგვარი სტრუქტურა, კერძოდ ერთგვარი ფორმა ჰქონდათ. შეიძლება ამიტომ ვიფიქროთ, რომ განვითარების გარკვეულ საფეხურზე ეს ფორმა საერთოდ ქართველური ფორმა იყო სატომო სახელთა წარმოებისათვის“ [2].

კონკრეტული მასალის კრიტიკულ ანალიზზე აგებული ეს ზოგადი დებულება, ცხადია, ძალაშია სატომო სახელის ფას-ი-ან-ის მიმართაც. ახლა, თუ გავიხსენებთ, ერთი მხრით, იმას, რომ „ან“-სუფიქსით ნაწარმოები სიტყვები უპასუხებენ კითხვაზე რიანი?, ხოლო, მეორე მხრით, იმას, რომ იგივე „ან“-სუფიქსს ისეთივე დანიშნულება აქვს, როგორიც სუფიქსებს ელი || იელი და სხვ., მაშინ სატომო სახელს ფას-ი-ან-ი ნათელი და კონკრეტული სახე მიეცემა.

დავუბრუნდეთ ამ სიტყვის ფუძის მნიშვნელობას. როგორც დავინახეთ, იგი წყალს აღნიშნავდა და ეს მნიშვნელობა ან ძასთან დაახლოებული შინაარსი მან ქართულ, ქართველურ (გაიხსენეთ: ქართული ფშანი, ფშატალა, ფოსო, ფ(ა)სელი; მეგრული—ფსილა) და სხვა მონათესავე კავკასიურ ენებში (ყაბარდოული—პსი, ჩერქეზული—პსე) შემოინახა. მაშასადამე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სატომო სახელწოდება ფას-ი-ან-ი წყლით მდიდარ ქვეყანაში მცხოვრებ ხალხს აღნიშნავს.

ეს ვარაუდი, როგორც ვხედავთ, მხოლოდ სატომო სახელის ანალიზზეა დამყარებული. ჩვენ კი ზემოთ აღნიშნული გვქონდა, რომ როგორც გეოგრაფიული, ისე სატომო სახელების ეტიმოლოგიის გარკვევა არ შეიძლება მოცემული გარემოს გეოგრაფიული თავისებურებების გათვალისწინების გარეშე. ამის გამო გადაეხედოთ იმ მხარის თავისებურებებს, სადაც ფასიანების სამოსახლოა საგულვებელი. მართლაც, მცირე აზიაში ძნელი მოსანახია წყლებით (მდინარეები, წყაროები, ტბები, ჭაობები) მდიდარი ისეთი მხარე, როგორიც ფასიანების ქვეყანა იყო. ჩვენ დავინახეთ, რომ ეს ტომი ბინადრობდა არზრუმის, პასი(ა)ნის ან ბასიანის ველებზე და ბინგიოლ-დაღის ჩრდილოეთ თხემებზე. არზრუმის ველი ირწყვება ევფრატით და მისი უამრავი შენაკადებით, ამასთანავე იგი ძველთაგანვე ცნობილია უზარმაზარი ჭაობებით. ასევე წყლით მდიდარია პასი(ა)ნის ველი, აქ გადის ფასის-არაქსის ზემოწელი თავისი აურაცხელი ტოტებით. რაც შეეხება ბინგიოლ-დაღს, იქ თავს იყრის ფასის-არაქსის, მისი შენაკადების და მრავალი სხვა მდინარის სათაესები. ამავე დროს ეს მთიანი სისტემა ცნობილია უამრავი ტბებით და თვით მისი სახელი ბინგიოლ-დაღი ათასი ტბის მთას ნიშნავს. საგულისხმოა ისიც, რომ ბინგიოლ-დაღის სამხრეთ ფერდობზე ახლაც არსებობს სოფელი, რომლის სახელია პაზუ. შესაძლოა ეს სახელწოდება „ფასი“-ს დამახინჯებული ფორმა იყოს. ამის სასარგებლოდ იქნებ ისიც მეტყველებს, რომ ამ სოფლის ახლოს მდებარეობს მონასტერი ჩანგელი, რომლის უძველესი სახელი, ლინჩის ცნობით, ინაკნეიან

[1] ს. ჯანაშია, დასახ. შრომა, გვ. 211.

[2] იქვე, გვ. 220.

ვანქია, რაც სომხურად ცხრაწყაროს ნიშნავს[1]. ცხადია, ვარაუდი იმის შესახებ, რომ ასეთ მხარეში მობინადრე ხალხის სატომო სახელი შესაძლებელია ამ მხარის ხსენებულ თავისებურებათა მიხედვით შექმნილიყო, საფუძველს არ უნდა იყოს მოკლებული[2].

ყურადღებას იქცევს ერთი გარემოებაც: ქსენოფონტი ფასიანებს ორჯერ ახსენებს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში „ანაბასისის“ დასკვნით ნაწილს, სადაც ჩამოთვლილია ყველა ის ტომი, რომელნიც ჩვენს ისტორიკოსს ერთხელ მაინც ყავს მოხსენებული. აქამდე ჩვენ ფასიანების ხსენების პირველ შემთხვევას ვეხებოდით. მეორედ კი ქსენოფონტი ფასიანებს მაშინ იხსენიებს, როცა ბერძნები შავი ზღვის სანაპიროზე იმყოფებიან: „... რაკი ხომალდები არის,—მიმართავს ქსენოფონტს სტრატეგოსების ერთი ნაწილი,—უმჯობესია გავცუროთ ფასისისაკენ და დავიპყროთ ფასიანთა ქვეყანა. იქ ახლა აიეტის შთამომავალი მეფობს“ (ანაბ. V, 6, 36—37). როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში სხვა ფასიანებზეა ლაპარაკი. აქ შეუძლებელია ორი აზრის არსებობა: ფასისი, თუ მდინარეზეა ლაპარაკი, რიონია, ხოლო თუ ქალაქზე—ფოთი. ფასიანებში კი საყოველთაოდ ცნობილი კოლხები უნდა ვიგულისხმოთ. ეს ცნობა ორი მხრით მაინც არის საინტერესო.

უპირველეს ყოვლისა, ისმის კითხვა: შეიძლება თუ არა შეეფერებოდეს სახელწოდება ფას-ი-ან-ი, ამ სიტყვის ისეთი გაგებით, როგორც მას ზემოთ მივანიჭეთ, ფოთ-რიონის მხარეში მცხოვრებ ხალხს? ვფიქრობთ, რომ არა თუ შეეფერება, არამედ ის ზუსტად გადმოგვცემს ხსენებული მხარის თავისებურებასაც. მართლაც, მხოლოდ ქ. ფოთის შედარებით მცირე ტერიტორიას ჰკვეთს წყალ-მრავალი რიონი, აქვეა მოზრდილი ტბა პალიასტომი, იქვე მიედინება მდინარე კაპარჭინა, ხოლო დასავლეთიდან მას შავი ზღვა აკრავს. ამას შეიძლება დავუმატოთ კიდევ ის უზარმაზარი ჭაობები, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე თითქმის მთელი კოლხეთის დაბლობი ეკავა. ამის შემდეგ ცხადი უნდა იყოს, რომ ამ მხარეში მცხოვრებ ხალხსაც შეეძლო წყლით მდიდარი ქვეყნის მცხოვრებთა სახელი მოეხვეჭა.

ყურადღების ღირსია ისიც, რომ სატომო სახელი ფას-ი-ან-ი ფუძისეული ფორმით რიონის ხეობასა და მეზობელი მხარეების გეოგრაფიულ სახელებში დღემდეა შემონახული. ასე მაგალითად, მდ. რიონი თავის სათავეებს ფასის მთაში პოულობს, ასეთივე სახელწოდების მთა არსებობს კურორტ წყალტუბოს მახლობლად. ამ მთაში აქვს სათავე პატარა ნაკადულს, რომელიც წყალტუბოს ჩაუდის. ბოლოს, თვით კურორტ წყალტუბოს (რომელიც თავის წყლებითაა განთქმული) სახელი ეტიმოლოგიურად თუ არავითარ კავშირში არ არის სიტყვასთან „ფასი“, სემანტიკურად მას ამ სიტყვასთან მიეყევართ.

აქვეა აღსანიშნავი, რომ ქართული ბასიანი[3] და თურქული პასინი ან პასინლერი, ბერძნულ-ბიზანტიური ფასისის თუ ფასიანის სახენაცვალი

[1] Линч, Армения, т. II, გვ. 231.

[2] აღსანიშნავია, რომ ამგვარი გზით სატომო სახელების მიღება ქართულისათვის უცხო არ არის და არც გამონაკლისს წარმოადგენს. საკმარისია გავიხსენოთ ისეთი სატომო სახელები, როგორიცაა მთიული ანდა მოხევე (ჩვენ აქ მხედველობაში არ ვიღებთ „ფშავს“, რომელიც შესაძლოა ფასიანის სინონიმს წარმოადგენს). ეგვე გარემოა, რომ ეს სახელწოდებანი ხსენებული ტომებით დასახლებული მხარეების გეოფიზიკური თავისებურებების მიხედვით არის წარმომდგარი.

[3] როდესაც ვიხილავდით „ან“-სუფიქსის მნიშვნელობებს, დავინახეთ, რომ იგი ტოპონიმიკური მნიშვნელობის მატარებელიც არის. ამასთანავე, აღნიშნული იყო, რომ მისი კრები-

ფორმაა (ეს საკითხი დიდი ხნის დამტკიცებულია სამეცნიერო ლიტერატურაში). ამასთან დაკავშირებით კი ნიშანდობლივია, რომ ვახუშტი ბატონიშვილისათვის ორი ბასიანია ცნობილი. ერთი წარმოადგენს იმ პროვინციის (ქ. ჰასანყალას რაიონი) შუა საუკუნოვან სახელს, სადაც ქსენოფონტისეული ფასიანები მოსახლეობდნენ, ხოლო მეორე იმ მთისა და ხეობის სახელს, რომლებიც ვახუშტის ოსეთში ეგულება[1]. სწორედ ვახუშტის მიერ ოსეთში ნაგულევები ბასიანის მთის მიდამოებიდან, სახელოვანი გეოგრაფის ცნობით, იღებს სათავეს რიონი. საგულისხმოა ისიც, რომ ბასიანის მთა ვახუშტი ბატონიშვილთან დახასიათებულია როგორც მდინარის სათავეთა აუზი, ხოლო ბასიანის ხეობა, როგორც „ხეობა დიდი, რომელსა შინა დის მდინარე, გამომდინარე რაჭისა და ბასიანს შორისის კავკასიდამ...“[2].

ამრიგად, მოტანილი მასალის და მისი ანალიზის შედეგად, თუ დავუკვირდებით საძიებელი სახელის ფუძისეულ ფორმას ფას-ს, რომელიც ვლინდება, ერთი მხრით, ელინიზებულ გეოგრაფიულ სახელწოდებაში (ფასისი), ხოლო, მეორე მხრით, სატომო სახელში (ფას-ი-ან-ი), მას გავრცელების ტერიტორიულად თანმიმდევრული და საინტერესო არე აქვს: ფასის-არაქსის სათავეებიდან, სადაც ფას-ი-ან-ები მოსახლეობდნენ ჰარ(ფ)ას-აკამ-ფასის-ჭოროხის[3] ხეობით კოლხეთის დაბლობამდე, სადაც აგრეთვე ფას-ი-ან-ები ბინადრობდნენ და, ბოლოს, ფასის-რიონის ხეობით ფასის-ბასიანის (ე. ი. რაჭის) მთებამდე.

ამ დაკვირვებამ ჩვენ წინაშე შემდეგი საკითხი დააყენა: სახელწოდება ფას-ი-ან-ი ეთნიკური ცნების გამომხატველია თუ იგი გეოგრაფიულ ტერმინს წარმოადგენს?

ზემოთ ნაჩვენები იყო, რომ „ან“-სუფიქსის კორპორაციულ-კრებითი „მნიშვნელობის გამოხატვაში“ აკად. ს. ჯანაშია ხედავდა „სუფიქსის პირვანდელსა და უძველეს ფუნქციას“. მაგრამ, საფიქრებელია აგრეთვე, რომ ამ მნიშვნელობის პარალელურად ხსენებულ სუფიქსს იმთავითვე ჰქონოდა თვისების გამომხატველი (კითხვაზე: რიანი?) მნიშვნელობაც. ამ ვარაუდის დაშვების შემთხვევაში უფლება გვეძლევა ვიფიქროთ, რომ სახელწოდება ფას-ი-ან-ი თავდაპირველად ქვეყანას აღნიშნავდა, ხოლო შემდეგ თანდათან ამ მხარეში მცხოვრები ხალხისათვის სატომო სახელის უფლება მოიპოვა. ქსენოფონტი, როგორც აღვნიშნეთ, ფასიანების ორ ტომს იცნობს: ერთი ის არის, რომლის საზღვრებიც ათიათასმა გადალახა, ხოლო მეორე—პონტოსპირელი ფასიანებია, რომლებსაც ანტიკური ისტორიოგრაფია ჩვეულებრივ კოლხებს უწოდებს. ქსენოფონტის ცნობის დიდი მნიშვნელობა, მეორე მხრით, სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ სხვებისაგან განსხვავებით იგი კოლხეთის

---

თი-კორპორაციული შინაარსი უმთავრესი და უძველესია. როგორც ჩანს, სუფიქსის ეს უკანასკნელი მნიშვნელობა დროთა ვითარებაში ტოპონიმიკურ შინაარსს იძენს, რასაც თვალსაჩინოდ უნდა ხდიდეს სატომო სახელისაგან ფას-ი-ან-ი ტოპონიმიკური ბასიანის წარმოშობა.

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941, გვ. 116—117; აგრეთვე, გვ. 147, 162, 172.

[2] იქვე, გვ. 117.

[3] „ანაბასისში“ ჭოროხი ჰარპასოსად (Ἅρπασος) არის მოხსენებული. ჩვენის აზრით, ეს სახელი გადამწერთა მიერ არის დამახინჯებული. მისი თავდაპირველი სახე, ვფიქრობთ, უნდა ყოფილიყო Ἅρ[φ]ασος. ამის შესახებ დაწვრილებით იხ. ჩვენი საკანდიდატო დისერტაცია, გვ. 125—129.

დაბლობზე მცხოვრებ ხალხს ფასიანებად იცნობს. მაგრამ, თუ ამგვარი ცნობის მოწოდების მხრით ქსენოფონტი პირველია, სამაგიეროდ იგი უკანასკნელად ვერ ჩაითვლება. ჰესიხე ალექსანდრიელი ფასიანებს უწოდებს რომელიღაც ფრინველებს, თუმცა დასძენს—ზოგიერთები ასე პონტოელებს უწოდებენო[1]. იულიუს ჰონორიუსი კი თავის „კოსმოგრაფიაში“, რომელიც ახ. წ. მე-5 საუკუნის ძეგლად არის აღიარებული, ჩრდილოეთის ოკეანის ტომებს შორის კოლხების ტომთან ერთად და მის შემდეგ ასახელებს კიდევ ერთ ტომს, რომელსაც ფასისს (phasis gens) უწოდებს[2]. მაშასადამე, იულიუს ჰონორიუსი ერთიმეორისაგან ასხვავებს კოლხებისა და ფასისის ტომს. თუ ჰესიხეს ცნობა მისგან არ მომდინარეობს და თუ იგი „ზოგიერთის“ აზრს გადმოგვცემს და შესაძლოა ამ „ზოგიერთში“ ქსენოფონტის გულვებაც არის საჭირო, იულუეს ჰონორიუსის ცნობა, ჩანს, მისსავე ავტორს უნდა ეკუთვნოდეს და უნდა ასახავდეს გარკვეული დროის ისტორიულ ვითარებას.

ამრიგად, ცხადი უნდა იყოს, რომ კოლხეთშიც არსებობდა ტომი, რომელსაც ფას-ი-ან-ებს (resp. phasis) უწოდებდნენ. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ რაკი ერთი და იმავე დასახელების ორი ტომი (ან ქვეყანა) არსებობს და ეს სატომო-გეოგრაფიული სახელწოდება გარკვეულ (ბუნებრივია, ამ ტომების) დიალექტზე ამ ქვეყნების გეოგრაფიული სპეციფიკის ამსახველ ერთსა და იმავე შინაარსს გამოხატავს, ცხადია, აქ საქმე გვაქვს ეთნიკურად ერთსა და იმავე ხალხთან, რომელიც დროთა ვითარებაში ორ სხვადასხვა ტერიტორიაზე აღმოჩნდა.

დავუბრუნდეთ ზემოთ წარმოდგენილ დაკვირვებას. აღნიშნული იყო, რომ ფუძე „ფას“-ი ტოპონიმიკაში, გარკვეული ტერიტორიული თანმიმდევრობის დაცვით, ფართოდ არის გავრცელებული არაქსის სათავეებიდან რიონის სათავეებამდე. ეს კი მოწმობს იმას, რომ ფასის-არაქსის სათავეებიდან მოყოლებული მთელ ჰარ(ფ)ას-აკამ-ფასის-ჭოროხის აუზში ვიდრე ფასის-რიონის სათავეებამდე მოსახლეობდნენ ერთი მოდგმის ტომები, რომელთაც პირობითად შეიძლება ფას-ი-ან-ები ვუწოდოთ. ე. ი. მთელი ეს ტერიტორია ერთი მოდგმის ტომებით დასახლებულ ერთ ქვეყანას წარმოადგენდა. მაგრამ ვიდრე შევეხებოდეთ სხვა საბუთებს, რომელიც წამოყენებულ ვარაუდს განამტკიცებდა, გავარკვიოთ კიდევ ერთი საკითხი.

მთელი ანტიკური საისტორიო ტრადიციის მიხედვით, როგორც ცნობილია, ფასის-რიონის მხარეში მობინადრე ხალხს კოლხები ეწოდება. სახელწოდება კოლხი, როგორც ეს უკვე დასაბუთებულია, კრებითი მნიშვნელობის მატარებელია[3]. ამ სახელწოდებას გარკვეულ დროს ატარებდა ერთი ტომი, რომელმაც შემდგომ თავისი სახელი მიანიჭა მთელ ქვეყანას, სადაც მოსახლეობდნენ სხვა მონათესავე ტომებიც. ერთ-ერთ ასეთ ტომად, რომელიც კოლხების შედგენილობაში შევიდა, ფას-ი-ან-თა ტომია მისაჩნევი. ამას უნდა მოწმობდეს ისიც, რომ მაშინაც კი, როდესაც ფასის-რიონის ქვეყნის აღსანიშნავად დიდიხნის დამკვიდრებული იყო სახელწოდება კოლხეთი, ქსენოფონტი მას ფასიანთა ქვეყანას (χώρα) უწოდებს (შდრ. ანაბ., V, 6,36). აღსანიშნავია ისიც, რომ კოლხები და ფასიანები არა თუ მონათესავე ტომები ყოფილან,

---

[1] В. Латышев, Известия.., т. 1, вып. 3-й, გვ. 855.

[2] იქვე..., т. II, вип. 2-й, გვ. 43.

[3] იხ. ი ვ. ჯავახიშვილი, ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, გვ. 12.

არამედ ბერძნულ მითოლოგიაში (რომლის საწყისები ალბათ კოლხურ მითებშია საძებარი) ისინი ერთსა და იმავე ხალხად არის აღიარებული. ძვ. წ. III საუკუნის ბუკოლიკური პოეტის თეოკრიტეს სქოლიოებში ასეთ ცნობას ვაწყდებით: „მნასეასი ამბობს, რომ კოლხებმა თავისი სახელწოდება მიიღეს კოლხისაგან, რომელიც ფასისის ვაჟი იყო“ [1]. თესალონიკელი მიტროპოლიტი ევსტათე იმავე მითს იმეორებს დიონისეს „ქვეყნის აღწერის“ კომენტარებში [2]. მაშასადამე, ცხადი უნდა იყოს, რომ ფას-ი-ან-ი აღნიშნავდა კოლხურ ტომს, ამასთანავე, ერთ ყველაზე დიდ ტომს, რომელიც, როგორც ჩანს, კოლხებად წოდებული ეთნიკური გაერთიანების ძირითად ბირთვს წარმოადგენდა. ამავე დროს საფიქრებელია ისიც, რომ ფას-ი-ან-ი კოლხზე უწინარეს გაჩენილი ზოგადი მნიშვნელობის ეთნიკურ-გეოგრაფიული ცნება იყოს.

ამგვარად, ზემოთ წარმოდგენილი დაკვირვება ფას-ი-ან-ების ტომის, ან ამ ეთნიკური ცნების ტერიტორიული გავრცელების შესახებ რეალური ვითარების ამსახველი უნდა იყოს. მართლაც, ქსენოფონტის მიერ მოხსენებულ ფასის-რიონისპირელ ფას-ი-ან-ებსა და ფასის-არაქსისპირელ ფას-ი-ან-ებს შორის ტერიტორიული გათიშვა რომ არ არსებობდა, ამას, გარდა ჰეროხის სახელწოდებათა თავისებურებებისა, ისიც მოწმობს, რომ ეს ტერიტორია ძველთაგანვე კოლხური ტომებით ყოფილა დასახლებული. ჯერ კიდევ, ძვ. წ. პირველი ათასწლეულის დასაწყისში ჰეროხის აუზში ურარტული წყაროებით დამოწმებულია კულხას (=კოლხს) დიდი გაერთიანება [3]. აკად. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით, აქვე მდებარე ქართული თემის კოლას და კოლხების „სახელები ერთმანეთთან უნდა იყოს დაკავშირებული“ [4].

დასასრულ, ვიდრე ჩვენი მსჯელობიდან დასკვნებს გამოვიტანდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია კიდევ ერთ საკითხს შევეხოთ. ზემოთ აღნიშნული იყო, რომ „ფას-ი-ან-ი“, როგორც ეთნიკურ-გეოგრაფიული ცნება, რომელიც წყლით მდიდარ ქვეყანას ან წყლით მდიდარ ქვეყანაში მცხოვრებ ხალხს აღნიშნავს, წარმოიშვა გარკვეული მხარის თავისებურებათა შედეგად. ცხადია, ამ მხარის ხსენებულ თავისებურებებს არ შეიძლება ზეგავლენა არ მოეხდინა ადამიანთა შემეცნებაზედაც. შესაძლოა სწორედ ამ უკანასკნელმა ფაქტორმა დასაბამი მისცა ეთნიკურ ცნებას „ფას-ი-ან-ი“. ჩვენ გაკვრით ვთქვით, რომ ბერძნულ მითოლოგიაში არსებობს მითი კოლხების ეთნარქოსის კოლხის შესახებ, რომელიც ფასისის შვილად არის აღიარებული. ცხადია, ამ მითის საწყისები ადგილობრივი თქმულებებიდან უნდა მომდინარეობდეს. ამის დასაბუთებას ჩვენ ვპოულობთ სხვა მწერლების ცნობებში, სადაც ფასისის ვინაობაც ვლინდება. ფილოსტრატე უმცროსი გვატყობინებს: „არგო, რომელმაც გაიარა ბოსფორი და ქსიმპლეგადი და რომელსაც მოყავდა ორმოცდაათნი, ახლა დგას ფასიდში. ხედავ თავად მდინარის ღმერთსაც, ხშირ ლერწამში მწოლარეს. მას აქვს მკაცრი გარეგნობა: ყალყზე დამდგარი ხშირი თმა, საზარელი წვერი და ღია ფერის თვალები. უხვი ნაკადი მოედინება პურპლიდან კი არა, როგორც ამას

[1] Латышев, Известия..., т. I, вып. 2-й, გვ. 398.

[2] იხ. ВДИ, 1948, № 1, გვ. 252.

[3] გ. მელიქიშვილი, ურარტუ, თბილისი, 1951, გვ. 142. აგრეთვე მისივე, უძველესი სამეფო სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე, საქ. სსრ მეცნ. აკად. ისტ. ინსტიტუტის მიმომხილველი, ტ. II, 1951, გვ. 206—207.

[4] ივ. ჯავახიშვილი, ისტ.-ეთნოლოგიური პრობლემები, გვ. 12.

ჩვეულებრივ გამოსახავენ ხოლმე, არამედ მთელი მისი სხეულიდან და წარმოსადგენს ხდის, თუ რაოდენი ძალა აქვს მის ვარდნას პონტოში“ [1].

მაშასადამე, ფასისი, რომლის შვილი იყო კოლხების ეთნარქოსი კოლხი, ღმერთი ყოფილა. როგორც მისი გამოსახულების აღწერილობიდან ნათლად ჩანს, იგი წყლის ღმერთს წარმოადგენდა. ასეთივე ღვთაების გამოსახულება უნახავს ფასის-რიონის შესართავთან არიანეს, ოღონდ მისი აღწერილობიდან ირკვევა, რომ იგი ქალღმერთი იყო, რომელიც გარეგნულად ძალიან გავს რეას [2]. პროფ. ბ. კუფტინი ამ ქალღმერთს აიგივებს მცირე აზიურ დედა-ღვთაება კიბელასთან [3], რომლის სახელი ივ. ჯავახიშვილის მიერ ქართულ „კოპალე“-სთან იყო დაკავშირებული [4], ოღონდ ამ დაკვირვებას, სახელოვანი მეცნიერის აზრით, რამდენადმე ხელს უშლის ის გარემოება, რომ კიბელა ჩვეულებრივ ქალღმერთად არის წარმოდგენილი, მაშინ როდესაც კოპალე მამაკაცია და ხშირად წმინდა გიორგისთან არის დაკავშირებული [5]. თუ გავიხსენებთ, რომ ღმერთი ფასისი ერთ შემთხვევაში წარმოდგენილია მამაკაცად, ხოლო მეორე შემთხვევაში ქალღმერთად, შესაძლოა კოპალე-კიბელას სახესხვაობას გარკვეული საფუძველი მოენახოს.

ერთი სიტყვით, ასეა თუ ისე, აშკარაა, რომ არსებობდა ღმერთი ფასისი, რომელიც წყლის ღვთაებას წარმოადგენდა და რომელიც, შესაძლოა, გააზრებული იყო აგრეთვე, როგორც ნაყოფიერების ღვთაება. ამ ტერიტორიაზე უძველესი დროიდან რომ მართლაც გაბატონებული იყო წყლის კულტი, ამას ერთი ფაქტიც მოწმობს: უკანასკნელ ხანებში მკვლევართა ყურადღება მიიქცია დიდმა ქვის სტელებმა, რომლებიც მოფენილია სამხრეთ საქართველოში და სამხრეთ ამიერკავკასიის სხვა რაიონებშიც და რომლებიც თევზების გამოსახულებებს წარმოადგენენ. ადგილობრივი მოსახლეობა მათ „ვეშაპებს“ ||„ვიშაპებს“ უწოდებს. ქვის ასეთი გამოსახულებანი, ჩვეულებრივ, წყაროებთან დგანან. ყოველივე ეს გაითვალისწინეს სპეციალისტებმა და მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მათი სახით ჩვენ საქმე უნდა გვქონდეს საკულტო გამოსახულებებთან, რომლებიც დაუდგამთ წყლისა და ნაყოფიერების ღვთაებისათვის [6]. საგულისხმოა, რომ როგორც ქართველების, ისე სომხების თქმულებებში ფართოდ არის გავრცელებული წარმოდგენა ვეშაპებზე, რომლებიც წყალში მცხოვრებ არსებებად არიან წარმოდგენილნი. ამასთან დაკავშირებით, ყურადღებას იქცევს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ უნდა არსებობდეს გარკვეული კავშირი ჩვენს ვეშაპებსა და ხურიტულ ღვთაებას შორის, რომელსაც „ვიშაიშაპ“-ს (ან „ვიშაშაპ“-ს) უწოდებდნენ. მკვლევართა აზრით, უდავოა, რომ ამ ღვთაებას თაყვანს სცემდა სამხრეთ ამიერკავკასიის ხურიტული მოსახლეობაც, რომლის რელიგიაც დაედო საფუძვლად ქართველებისა და სომხების წარმოდგენას ვეშაპების შესახებ [7].

ვეშაპებს გარდა, როგორც წყლის ღვთაებათა კულტის გადმონაშთი, საქართველოში ბოლო დრომდე არსებობდა წარმოდგენა წყალში მცხოვრებ

[1] Латышев, Известия..., т. I, вып. 3-й, გვ. 644.

[2] Б. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, т. I, 1949, გვ. 251.

[3] იქვე, გვ. 251—252.

[4] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1913, გვ. 144.

[5] იქვე, გვ. 143—145.

[6] П. Я. Марр и Я. И. Смирнов, Вышапы, 1931.

[7] Г. А. Меликишвили, О происхождении грузинского народа, Тбилиси, 1952, გვ. 27—28.

ჯრსებათა შესახებ. აფხაზებს სწამთ „...განსაკუთრებით წყლის ალ-ქაჯები, რომელთაც „წყლის დედას", წყლის მფლობელს უწოდებენ"[1]. ცხადია, ამ წარმოდგენის საწყისები უძველესი ადგილობრივი მოსახლეობის რელიგიაში უნდა ვეძებოთ. საგულისხმოა ისიც, რომ ქართული თქმულებების დალი სვანურად „აფსად"-ადაც იწოდება[2]. ამ სახელწოდებაში აშკარად მოჩანს ფუძისეული „ფს", რომელიც „ფასის", „ფას-ი-ან"-ის ფუძეს ეხმაურება. მართალია, დალი მონადირეობასთან დაკავშირებული ღვთაებაა, მაგრამ მის სამყოფელად ხშირად წყალია ხოლმე მიჩნეული.

ამგვარად, წარმოდგენილი მსჯელობის შემდეგ შესაძლებლად მიგვაჩნია დავასკვნათ: 1. სახელწოდება „ფას-ი-ან-ი" ეთნიკურ-გეოგრაფიული ტერმინია. 2. ამ სიტყვაში ფუძე-სიტყვაა „ფას", რაც ზოგადად წყალს ნიშნავს, „ი" ინფიქსი უნდა იყოს, ხოლო „ან"—სუფიქსი, რომელიც კრებით-კორპორაციული შინაარსის მატარებელია და შეესატყვისება ქართულ სუფიქსს იელი || ელი. 3. მაშასადამე, სახელწოდება „ფას-ი-ან-ი" წყალ-უხვი ქვეყნის და იქ მცხოვრები ხალხის აღმნიშვნელი სიტყვაა. ამას ასაბუთებს: ა) ამ სატომო სახელის და დღემდე როგორც ქართულსა და ქართველურში, ისე სხვა კავკასიურ ენებში შემორჩენილი მსგავსი სიტყვების მორფოლოგიური და სემანტიკური ნათესაობა; ბ) გეოგრაფიული გარემოს სპეციფიკურობა, რომლის ზუსტ ასახვას უნდა წარმოადგენდეს საძიებელი ტერმინი; გ) ადგილობრივი ტოპონიმიკა, რომლის შედგენილობაში „ფას" ძირი და მისი სახენაცვალი ფორმანტები („ბას", „პას", „პაზ") დღემდეა დაცული; დ) წყლის კულტის ფართო გავრცელების დამოწმება როგორც წერილობითი წყაროებით, ისე მატერიალური კულტურის ძეგლებით, კულტისა, რომელიც წინაანტიკურ პერიოდში ხურიტული რელიგიის გაელენით ჩაისახა და რომლის გადმონაშთები ბოლო დრომდე არსებობდა ქართველი ხალხის წარმოდგენებში. 4. ტოპონიმიკის საფუძველზე მოსახერხებელი ხდება ფასიანთა ტომების გავრცელების საზღვრების დადგენა. ამ ტომების განსახლების სამხრეთი საზღვარია ფასისარაქსის სათავეები, ხოლო უკიდურეს ჩრდილოეთ საზღვრად მისაჩნევია კავკასიონის ქედის ის ნაწილი, სადაც ვახუშტი ბატონიშვილისეული ბასიანის მთა და კლუხორის (კოლხორის სახენაცვალი ფორმაა) გადასასვლელი მდებარეობს, ე. ი. იქ, სადაც საძებნელია ჰეკატესეული კოლხური მთები (Κολχὰ ὄρη).

Т. К. МИКЕЛАДЗЕ

## К ВОПРОСУ ОБ ЭТНИЧЕСКОЙ ПРИНАДЛЕЖНОСТИ ФАСИАНОВ

Резюме

«Анабасис» Ксенофонта, можно сказать, является единственным источником, которому знакомы фасианы. Хотя он содержит весьма скудные сведения о них, все-же представляется возможным установить этническую принадлежность и границы расселения фасианов.

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტ., წ. I—II, 1913, გვ. 143.

[2] იქვე, გვ. 148.

Восточная граница фасианов должна была проходить вдоль Басиан-Хасанкала, северная же граница — по линии Шинека. Некоторые места «Анабасиса» (IV, 4, 4 и VII, 8, 25) показывают, что с юга страна фасианов граничила с Западной Арменией, а с юго-запада и с запада — со страной гесперитов. Эта последняя находилась в страбоновском Сиспирите, который, надо предполагать, был расположен у истоков Тигра и по местной ономастике простирался до верхнего течения р. Чорох (по грузинским источникам — р. Спера).

В выяснении этнической принадлежности фасианов важную роль играет племенное название их, а также и ряд других данных.

Из племенного названия φασιανοί совершенно ясно, что „οι" является окончанием множественного числа греческого именительного падежа. Значит, форма местного употребления слова есть φασιαν. В данном слове αν представляет широко распространенный в картвельских языках суффикс, являющийся носителем собирательно-корпоративного содержания и обозначающий в то же время происхождение народа.

Таким образом, в искомом слове словом-основой является «фас». Оно и ее видоизмененные формы в картвельских и иберийско-кавказских языках в общем обозначают воду. Следовательно, название «фаси-ан» является названием, обозначающим многоводную страну и проживающий там народ. Это, между прочим, подтверждается и специфичностью географической обстановки страны. В самом деле, в современной Турции трудно найти местность с таким обилием воды (озера, реки, болота, родники), как тот район, где должны были проживать фасианы. Это предположение о местопребывании племени фасианов подтверждается еще и тем обстоятельством, что в местной топонимике и поныне сохранились слово-основа «фас» и его видоизмененные формы бас, пас, паз. Наряду с этим следует отметить, что в выработке этнического понятия «фаси-ан» должны были принять участие и религиозные воззрения фасианов, что опять-таки было обусловлено географическими особенностями местности. И действительно, на территории, где мы предполагаем локализацию фасианов, до настоящего времени широко распространены древнейшие изображения божеств воды. В связи с этим следует иметь в виду, что Ксенофонт знаком с двумя племенами фасианов: одно племя — это вышеупомянутые фасианы, а другое — фасианы, проживающие по побережью р. Фасиса-Риона («Анабасис», V, 6, 36 — 37); это — народ, который в греко-латинской историографии, обычно, называется колхами. Название — «фасианы» для этого народа также не является случайным, ибо его страна также характеризуется большим обилием воды (море, озера, болота, реки). Это обстоятельство, как видно, и здесь оказало влияние на религиозное сознание народа. Филострат Младший указывает, что у р. Фасис-Рион стояло изображение божества воды. Такое же изображение было найдено у устья Фасиса-Риона Аррианом.

Таким образом, оба племени фасисов — картвельские племена, место расселения которых, как показывает анализ топонимики, простиралось от окрестностей Басиан-Хасанкала до истоков Фасиса-Риона.

Наконец, следует сказать, что слова со словом-основой «фас» имеют широкое распространение в различных районах Грузии. Они представлены укоренившимися не только в топонимике и вообще в ономастике, но имеют широкое употребление и в народной речи. Поэтому законно было-бы считать, что это слово по своему происхождению не черкесское, а иберийско-кавказское, получившее одинаковое распространение как в черкесско-адигейском, так и грузинском и картвельских языках.

ნ. ლომოური

# კლავდიოს პტოლემაიოსი, „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“, ცნობები საქართველოს შესახებ

(ტექსტი თარგმანითურთ, წინასიტყვაობა და განმარტებები)

მეცნიერი გეოგრაფოსის და ასტრონომის კლავდიოს პტოლემაიოსის „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“ (Γεωγραφική ὑφήγησις“) იმ ნაშრომთა რიცხვში შედის, რომლებიც გვაწვდიან ცნობებს ძველი საქართველოს შესახებ.

პტოლემაიოსი ეკუთვნოდა სახელგანთქმულ ალექსანდრიის სამეცნიერო სკოლას და თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობით ამ სკოლის წარმომადგენელთა შორის საპატიო ადგილი ეკავა.

როგორც პტოლემაიოსის ასტრონომიული ტრაქტატიდან — „ალმაგესტი“-დან და, აგრეთვე, უფრო გვიანდელ ავტორთა (თეოდორე მელიტენელი, სვიდა და სხვ.) ცნობებიდან ირკვევა, პტოლემაიოსი ახ. წ. II საუკუნის 20—60-იან წლებში მოღვაწეობდა ქ. ალექსანდრიაში.

ვიდრე კოპერნიკამდე პტოლემაიოსი ითვლებოდა ასტრონომიული და გეოგრაფიული ცოდნის ურყევ ავტორიტეტად, მისი სისტემა გაბატონებული იყო როგორც საყოველთაოდ აღიარებული, ერთადერთი სისტემა. უდავოა, ესოდენ სახელმოხვეჭილი მეცნიერის ცნობების შესწავლა თავისთავადაც დიდ ინტერესს იწვევს, მის მონაცემთა საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ, თუ რამდენად იცნობდა ბერძნულ-რომაული სამეცნიერო საზოგადოება ამა თუ იმ ქვეყანას და კერძოდ-კი საქართველოს.

ამას გარდა, „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“ ღირსშესანიშნავია თავისი მდიდარი, მრავალფეროვანი ნომენკლატურით და ახალი, მანამდე უცნობი, მონაცემებით. რომის იმპერიის გამოსვლა მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკურ ასპარეზზე, იმპერიის ომები მითრიდატე ევპატორთან და მისი შემდგომი ექსპანსია აღმოსავლეთში იწვევს დასავლეთში აღმოსავლური ქვეყნების შესახებ ახალი ცნობების გაჩენას. პტოლემაიოსი უკანასკნელი იყო, რომელმაც შეაჯამა და ქაღალდზე გადაიტანა რომის ახალი მონაპოვარი.

საქართველოს ძველი ისტორიის მკვლევარი ვერავითარ შემთხვევაში ვერ აუვლის გვერდს პტოლემაიოსის ცნობებს და ჩვენი მეცნიერები (აკად. ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, პროფ. ს. კაკაბაძე, ს. გორგაძე, პ. ინგოროყვა და სხვ.) კიდეც იყენებენ პტოლემაიოსის მონაცემებს, მაგრამ ეს გამოყენება ხდებოდა ფრაგმენტალურად, მხოლოდ ცალკეული ფაქტების დადგენისას. იმ ცნობების ერთიანი, მონოგრაფიული შესწავლა, რომლებიც საქართველოს ეხება, არავის უცდია. არ არსებობდა, აგრეთვე, საქართველოს შესახებ პტოლემაიოსის ნაშრომში დაცული ცნობების ქართული თარგმანი, ხოლო რუსული თარგმანი, რომელიც აკად. ვ. ლატიშევის „Scythica et Caucasica“-ში შევიდა, სრული არ არის.

„გეოგრაფიული სახელმძღვანელო“ თავისი ხასიათით მათემატიკური ნაშარმოებია, რომელშიაც თითოეული გეოგრაფიული პუნქტი აღნიშნულია

მათემატიკურად გამოთვლილი კოორდინატების მიხედვით. მაგრამ, პტოლემაიოსის მცდარმა გეოცენტრისტულმა სისტემამ განაპირობა ჩვენი მეცნიერის ძიერ გრადუსის სიგრძის არასწორი გამოთვლა. ამას ზედ დაერთო გაზომვათა არასიზუსტე. უკვე ამ ორმა მიზეზმა ძალზე გააძნელა პტოლემაიოსის კოორდინატების გამოყენება; ხოლო, როდესაც ჩვენ საქმე გვაქვს ალექსანდრიიდან ესოდენ მოშორებული ქვეყნის აღწერასთან, როგორიც კავკასია არის, რომლის შედგენისას ავტორს ხელთ ჰქონდა არა ასტრონომიული გაზომვების მონაცემები, არამედ საეკვო სიზუსტის საგზაო ჩანაწერები, მოგზაურთა, ვაჭართა და სამხედრო პირთა ნაკლებად სანდო გადმოცემები და სხვა ამგვარი წყაროები, მისი კოორდინატები სრულიად გამოუყენებელი ხდება. პტოლემაიოსის ცნობების შესწავლისას ეს კოორდინატები სრულიად უნდა უგულვებელყოთ და „გეოგრაფიული სახელმძღვანელოს“ მონაცემთა ინტერპრეტაცია მოვახდინოთ ამ მონაცემთა სხვა, ძველ ავტორთა ცნობებთან შეჯერება-შედარების გზით. ამასთან, აუცილებელია ადგილობრივი ტოპონიმიკური მასალის გათვალისწინებაც. გარდა ამისა, მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ის გარემოებაც, რომ ჩვენი ავტორის ნაშრომი შედგენილია სხვადასხვა დროის და რიგის წყაროების საფუძველზე; ისეთ ძველ წყაროთა გვერდით, როგორიცაა ჰეროდოტეს, ლაგოგრაფოსების, ფსევდო-სკილაქს კარიანდელის ნაწარმოებები, პტოლემაიოსი იყენებს მის ხანასთან უფრო ახლოს მდგომ ავტორებს—სტრაბონს, პლინიუსს და, აგრეთვე, თანამედროვეს—ფლავიუს არიანეს. მხოლოდ ამ ქრონოლოგიური დანაშრევების მხედველობაში მიღებით შესაძლებელი გახდება პტოლემაიოსის ცნობების გარკვევა.

წინამდებარე ტექსტი წარმოადგენს „გეოგრაფიულ სახელმძღვანელოს“ ნარჩევ ადგილებს, რომლებიც საქართველოსა და მისი მეზობელი მხარეების აღწერილობას შეიცავს. ჩვენ მიზანშეწონილად დავინახეთ, გარდა საკუთრივ კოლხეთისა და იბერიის აღწერილობისა, გვეთარგმნა და წარმოგვედგინა ალბანიის, არმენიის და აგრეთვე, სარმატიის სამხრეთ ნაწილის და კაპადოკიის პონტოს ჩრდილო ნაწილის აღწერილობაც, რადგან ნაწილი ტერიტორიისა, რომელიც პტოლემაიოსის მიხედვით იბერია-კოლხეთის გარეთ არის მოქცეული, ისტორიულად საქართველოს ეკუთვნოდა. ამის გარდა, ამიერკავკასიის და მისი მომდგომი ადგილების ერთიანი აღწერა საშუალებას მოგვცემს უფრო სრულად გავიგოთ პტოლემაიოსის მონაცემები.

ტექსტის თარგმნისა და დამუშავების დროს ჩვენს ხელთ იყო „გეოგრაფიული სახელმძღვანელოს“ შვიდი ძირითადი გამოცემა. უმთავრესად ვეყრდნობით კ. მიულერის გამოცემას[1], გარდა ამისა, გამოყენებული გვქონდა ჰ. მონტანოს, ფრ. ვილბერგის, ფრ. ნობეს, ედ. სტევენსონის გამოცემები[2] და ორი ხელნაწერის ფოტოტიპური პუბლიკაცია[3].

[1] Claudii Ptolemaei, Geographia, e codicibus recognovit, prolegomenis, annotatione, indicibus, tabulis instruxit Carolus Müllerus. Vol. I, pars II, Parisii, 1901.

[2] Cl. Ptolemaei Alexandrini, Geographiae libri octo, ed. Petro Montano, Amsterodammi, 1605; Cl. Ptolemaei, Gegraphiae libri octo, ed. Dr. Fr. Guil. Wilberg, Essendiae, 1838; Ptolemaeus Claudius, Geographia, ed. C. Fr. A. Nobbe, Lipsiae, 1843—45; Edw. Luth. Stewenson, Geographie of Cl. Ptolemy, transl. in Englich. New-Jork, 1932.

[3] Geographie de Ptolémeé. Reproduction photolithographique du manuscrit graec du monastére de Vatopédi au monts Athos. Paris, 1867; Claudii Ptolemaei Geographiae. Codex Urbinas Graecus 82; Ed. Jos. Fischer. [Codices e Vati canis selecti, vol. XIX], Lugduni-Batavorum Lipsiae, 1932.

აღნიშნული გამოცემების მიხედვით შედგენილი გვაქვს კრიტიკული აპარატი, არ ვიძლევით მხოლოდ კოორდინატთა ციფრების კითხვა-სხვაობებს, რადგან ეს კოორდინატები, როგორც აღვნიშნეთ, გამოუყენებულია, ხოლო ხელნაწერებში გრძედისა და განედის ციფრები იმდენად განსხვავებულია, რომ ეს ძალზე გადატვირთავდა გამოცემას.

კრიტიკულ აპარატში მიღებული შემოკლებები:

1. A—Codex Parisiensis № 1401
2. B—Codex Parisiensis № 1402
3. C—Codex Parisiensis № 1403
4. D—Codex Parisiensis № 1404
5. E—Cod. Paris. Supplem. № 119
6. F—Cod. Paris. Coislinianus № 337
7. G—Codex Venetus № 338
8. H—Codex Venetus № 516
9. I—Codex Vaticanus № 177
10. K—Codex Vatic. Palatinus № 314
11. L—Editio Argentinensis anni 1513
12. M—Editio Lugdunensis anni 1535
13. Urb. Gr. 82—Codex Urbinas Graecus 82
14. Vat.—Geographie de Ptolémée. Reproduction photolith. du manisсri graec du monastére de Vatopédie
15. Mont.—Cl. Ptolemaei Alexandrini, Geographiae... ed. P. Montano.
16. Wilb.—Cl. Ptolemaei Geographiae... ed. Fr. Wilberg.
17. Stew.—Geographie of Ptolemy... Stevenson'ის გამოცემა.

## ΚΛΑΥΔΙΟΥ ΠΤΟΛΕΜΑΙΟΥ ΓΕΟΥΡΑΦΙΚΗΣ ΥΦΗΓΗΣΕΩΣ

βιβλίον πέμπτον

### ΚΕΦ. ς'

### Καππαδοκίας θέσις

('Ασίας πίναξ α')

1. Ἡ Καππαδοκία περιορίζεται ἀπὸ μὲν δύσεως Γαλατίᾳ καὶ μέρει Παμφυλίας κατὰ τὴν ἐκτεθειμένην ἀπὸ τοῦ Πόντου γραμμὴν μέχρι τοῦ πέρατος, οὗ ἡ θέσις ἐπέχει μοίρας ξ˝δ·λ˝ζγό ἀπὸ δὲ μεσημβρίας τῇ τε Κιλικίᾳ κατὰ τὴν ἐντεῦθεν διὰ τοῦ Ταύρου ὄρους μέχρι τοῦ 'Αμανοῦ ὄρους γραμμὴν ἕως πέρατος, οὗ ἡ θέσις ο˝·λ˝ζγ', καὶ μέρει Συρίας τῷ ἐντεῦθεν διὰ τοῦ 'Αμανοῦ ὄρους ἐπὶ τὸ τοῦ Εὐφράτου τμῆμα τὸ ἐπέχον μοίρας ο˝αγ'·λ˝η; ἀπὸ δὲ ἀνατολῶν 'Αρμενίᾳ Μεγάλη παρὰ μὲν τὸν

## კლავდიოს პტოლემაიოსის „გეოგრაფიული სახელმძღვანელოს“ წიგნი მეხუთე

### თავი მეექვსე

### კაპადოკიის მდებარეობა

(ასიის I რუკა)

1. კაპადოკია ისაზღვრება დასავლეთიდან გალატიითა და პამფილიის ნაწილით იმ ხაზზე, რომელიც მიემართება პონტოდან, ვიდრე წერტილამდე, რომელიც მდებარეობს 64° — 37° 40′ ქვეშ. სამხრეთიდან კილიკიით, ხაზით [რომელიც მიემართება] აქედან ტავროსის მთებზე [გადაველით] ვიდრე ამანოსის მთებამდე, წერტილამდე, რომელიც მდებარეობს 70°—37° 20′ ქვეშ, [შემდეგ] სირიის ნაწილით, აქედან ამანოსის მთების გაყოლებით ევფრატის იმ ადგილამდე, რომელიც 71°20′—38°

Εὐφράτην ἀπὸ τοῦ εἰρημένου τμήματος μέχρι τῆς ἀρκτικωτάτης αὐτοῦ πρὸς ἀνατολὰς ἐπιστροφῆς, ἣ ἐπέχει μοίρας ο˝α—μ˝βL′; μέτα δὲ ταῦτα τῇ παρὰ τὰ Μοσχικὰ ὄρη γραμμῇ μέχρι πέρατος, οὗ ἡ θέσις ο˝γ—μ˝ὸL′ὸ′, καὶ τῇ ἐντεῦθεν ἐπιζευγνυούσῃ τὸ εἰρημένον πέρας γραμμῇ. ἀπὸ δὲ ἄρκτων μέρει τοῦ Εὐξείνου Πόντου τῷ ἀπὸ Ἀμισοῦ τῆς Γαλατίας μέχρι πέρατος, οὗ θέσις ο˝βγ′—μ˝ὸL′ὸ′.

2. Ἡ μὲν οὖν παράλιος τούτου τοῦ τμήματος ἔχει περιγρὰφην τοιαύτην·

...5. Πόντου Καππαδοκικοῦ παρὰ μὲν τὴν Σιδηνήν.

| | |
|---|---|
| Ἰσχόπολις [1] | ξ˝η γ′—μ˝γ γ′ |
| Κερασοῦς | ξ˝ηL′ γ′—μ˝γ γ′ |
| Φαρνακιά | ξ˝θ γ′—μ˝γ′ι β′ |
| Ἴασσου λιμήν [2] | ο˝L′ ὸ′—μ˝γ′ γ′ |
| Τραπεζοῦς | ο˝L′ γ′—μ˝γ′ι β′ |

6. Παρὰ δὲ τοὺς Κισσίους·

| | |
|---|---|
| Ὀφιοῦς [3] | ο˝α—μ˝γ γ′ι β′ |
| Ῥιζοῦς λιμήν | ο˝ας′—μ˝γL′ι β′ |
| Ἀθηνῶν ἄκρον | ο˝α—μ˝γL′ ὸ′ |
| Κορδύλη [4] | ο˝αγ′—μ˝γL′ ὸ′ |
| Μόρθουλα [5] | ο˝αγο′—μ˝γL′ ὸ′ |
| Ἀρχάβιος ποτ. ἐκβολαί | ο˝β—μ˝ὸ |
| Χυλίνη | ο˝βιβ′—μ˝ὸς′ |
| Κίσσα ποτ. ἐκβολαί | ο˝βς′—μ˝ὸγ′ |
| Ἄψορρος | ο˝βγ′—μ˝ὸγ′ |
| Ἀψόρρου ποτ. ἐκβολαί | ο˝βγ′—μ˝ὸγο′ |

Καθ' ὃ σχίζεται εἰς τὸν Γλαῦκον ποταμὸν καὶ εἰς τὸν Λύκον ο˝βL′—μ˝γL′ὸ′

| | |
|---|---|
| αἱ πεγαὶ τοῦ Ἀψόρρου ποταμοῦ... | ...ο˝βL′ὸ′—μ˝γ |
| αἱ πεγαὶ τοῦ Λύκου | ο˝αὸ′—μ˝γ |
| Σεβαστόπολις | ο˝βγ′—μ˝ὸL′ὸ′ |

ქვეშ მდებარეობს; აღმოსავლეთიდან დიდი არმენიით ევფრატის გასწვრივ, ნაჩვენები ზღვარიდან ადგილამდე, სადაც [ევფრატი] ყველაზე ჩრდილოეთით უხვევს აღმოსავლეთისაკენ; ეს ადგილი მდებარეობს 71°—42°30′ ქვეშ. აქედან მოსხური მთების [1] ხაზზე წერტილამდე, რომელიც მდებარეობს 73°—44°45′ ქვეშ, ხოლო აქედან ნაჩვენებ ზღვართან შემაერთებელი ხაზით. ჩრდილოეთიდან [ისაზღვრება] ევქსინის პონტოს ნაწილით გალატიის ამისოდან ვიდრე ზღვარამდე, რომელიც მდებარეობს 72°20′—44°45′ ქვეშ.

2. ამ ნაწილის სანაპიროს აქვს შემდეგი აღწერილობა:

...5. კაპადოკიის პონტო, სიდენეს გასწვრივ:

| | |
|---|---|
| ისხოპოლისი [2] | 68°20′—43°20′ |
| კერასუსი [3] | 68°50′—43°20′ |
| ფარნაკია [4] | 69°20′—43°05′ |
| ნავთსადგური ჰისოსი [5] | 70°45′—43°20′ |
| ტრაპეძუსი [6] | 70°50′—43°05′ |

6. მდ. კისიუსის გასწვრივ:

| | |
|---|---|
| ოფიუსი [7] | 71° —43°25′ |
| ნავთსადგ. რიძუსი [8] | 71°10′—43°35′ |
| ათენის ციხე [9] | 71° —43°45′ |
| კორდილე [10] | 71°20′—43°45′ |
| მორთულა [11] | 71°40′—43°45′ |
| მდ. არხაბიოსის შესართავი [12] | 72°—44′ |
| ქსილინე [13] | 72°05′—44°10′ |
| მდ. კისას შესართავი [14] | 72°10′—44°20′ |
| აფსოროსი | 72°20′—44°20′ |
| მდ. აფსოროსის შესართავი [15] | 72°20′—44°30′ |

ამისგან გამოიყოფა მდინარეები გლაუკოსი და ლიკოსი [16] 72°30′—43°45′ ქვეშ.

| | |
|---|---|
| მდ. აფსოროსის სათავე | 72°45′—43° |
| მდ. ლიკოსის სათავე | 71°15′—43° |
| სებასტოპოლისი [17] | 72°20′—44°45′ |

1. Ἰσκώπολις—Urb. Gr. 82; 2. Ἴασσου—C; 3. Πιτιοῦσα—Urb. Gr. 82, D; Ὀπιοῦς—Mont; 4. Χοδουβή—Urb. Gr. 82, Χορδύλη—Mont.; 5. Μάρθουλα—Mont.

*ΚΕΦ. Η'*

## Σαρματίας τῆς ἐν Ἀσίᾳ θέσις

('Ασίας πίναξ γ')

...7. ἀπὸ δὲ μεσημβρίας τῷ τε ἐντεῦθεν μέρει τοῦ Εὐξείνου Πόντου μέχρι Κόρακος ποταμοῦ καὶ τῇ ἐντεῦθεν γραμμῇ Κολχίδος καὶ Ἰβηρίας καὶ Ἀλβανίας μέχρι τῆς Ὑρκανίας τῆς καὶ Κασπίας θαλάσσης; ἧς πλευρᾶς ἡ περιγραφὴ ἔχει οὕτως·

8. μετὰ δὲ Κοροκονδάμην ἐν τῷ Πόντῳ πάλιν.

| | |
|---|---|
| Ἑρμωνάσα | ξ´η—μ´ζ L' |
| Σινδικὸς λιμήν[1] | ξ´ηL'—μ´ζL'γ' |
| Σίνδα κώμη | ξ´ς—μ´η |
| Βάτα λιμήν | ξ´ςL'—μ´ζγο' |
| Βάτα κώμη | ξ´ςγ'—μ´ζL' |
| Ψυχροῦ ποτ. ἐκβολαί | ξ´ςγο'—μ´ζL' |
| Ἀχαΐα κώμη[2] | ξ´ζ—μ´ζL' |
| 9. Κερκέτιδος κόλπος | ξ´ζL'—μ´ζγ' |
| Τάζος πόλις | ξ´η—μ´ζL' |
| Τορετικὴ ἄκρα | ξ´η—μ´ζ |
| Ἀμψαλὶς πόλις | ξ´ηL'—μ´ζδ' |
| Βούρκα ποτ. ἐκβολαί | ξ´θ—μ´ζδ' |
| Οἰνάνθεια | ξ´θγο'—μ´ζδ' |
| 10. Θεσσύριος ποτ. ἐκβολαί | ξ´θγο'—μ´ζ |
| Καρτερὸν Τεῖχος | ο´—μ´ςL'γ' |
| Κόρακος ποτ. ἐκβολαί | ο´L'—μ´ζ |
| τὸ ἐντεῦθεν ἐπὶ τὴν πλευρὰν τῆς Κολχίδος πέρας | ο´e—μ´ζ |

11. τὸ ἐφεξῆς ἐπὶ τὸ τέλος τῆς Ἰβηρίας ἐν ᾧ καὶ αἱ Σαρματικαὶ Πύλαι ο´ζ—μ´ζ.

...14. Διέζωκε δὲ καὶ ἕτερα ὄρη τὴν Σαρματίαν καὶ ὀνομάζεται τά τε Ἱππικὰ καὶ τὰ Κεραύνια καὶ ὁ Κόραξ ὄρος, εἰς ὃ περαιοῦται τὰ διὰ τῆς Κολχίδος

## თავი მერვე
## აზიის სარმატიის მდებარეობა
(აზიის III რუკა)

7. სამხრეთიდან [აზიის სარმატიის საზღვრება] ევქსინის პონტოს ნაწილით, ეიდრე მდ. კორაკოსამდე და კოლხეთის, იბერიისა და ალბანიის სასაზღვრო ხაზით, რომელიც ჰირკანიის ანუ კასპიის ზღვამდე მიემართება; ამ მხარის აღწერილობა შემდეგია:

8. კოროკონდამის შემდეგ იგივე პონტოში:

| | |
|---|---|
| ჰერმონასა[1] | 65° —47°30′ |
| სინდების ნავთსადგ.[2] | 65°30′—47°50′ |
| სოფ. სინდა | 66° —48° |
| ნავთსადგ. ბატა | 66°30′—47°40′ |
| სოფ. ბატა[3] | 66°20′—47°30′ |
| მდ. ფსიუხროსის[4] შესართავი | 66°40′—47°30′ |
| სოფ. აბაია[5] | 67° —47°30′ |
| 9. კერკეტიდის ყურე[6] | 67°30′—47°20′ |
| ქ. ტაძოსი[7] | 68° —47°30′ |
| ტორეტიკის კონცხი[8] | 68° —47° |
| ქ. ამფსალიდა[9] | 68°30′—47°15′ |
| მდ. ბურკას შესართავი[10] | 69° —47°15′ |
| ოინანთეა[11] | 69°40′—47°15′ |
| 10. მდ. თესირიოსის[12] შესართავი | 69°40′—47° |
| კარტერონ ტეიხოსი (ძლიერი კედელი)[13] | 70° —46°50′ |
| მდ. კორაკოსის შესართავი[14] | 70°30′—47° |
| შემდეგ კოლხეთის კიდურა მიჯნასთან მდებარე ზღვარი | 75°—47° |

11. შემდეგ [საზღვარი მიჰყვება] იბერიის მიჯნას. აქ მდებარეობს სარმატიის კარი[15] 77°—47° ქვეშ.

...14. სარმატიას ჰკვეთენ აგრეთვე მთები, რომლებიც ჰიპიისა[16] და კერავნისად[17] იწოდება და აგრეთვე კორაქსის მთა[18], რომლითაც მთავრ-

---

*1. Σινδιτῆς λιμήν*—L; *2. Ἀχέα κώμη*—A, B; *Ἀχέαι κώμη*—Urb. Gr. 82.

καὶ τῆς Ἰβηρίας ἀνίοντα ὄρη καλούμενα δὲ Καυκάσια. καὶ ἐτὶ ἡ ἐπὶ τὴν Ὑρκανίαν θάλασσαν αὐτῶν ἐπιστροφὴ Καύκασος καλουμένη καὶ αὐτή.

15. Τὰ μὲν οὖν τῶν Ἱππικῶν ὀρέων ἄκρα ἐπέχει μοίρας ο΄δ—ν΄ὸ καὶ π΄α—ν΄β
τὰ δὲ τῶν Κεραυνίων π΄βL΄—μ΄θL΄ καὶ π΄ὸ—ν΄β
τὰ δὲ τοῦ Κόρακος ξ΄θ—μ΄η καὶ ο΄ε—μ΄η
τὰ δὲ τοῦ Καυκάσου ο΄ε—μ΄ζ καὶ π΄ε—μ΄η
αἱ δὲ Σαρματικαὶ Πύλαι π΄α —μ΄ηL΄
Ἀλβάνιαι δὲ Πύλαι π΄—μ΄ζ

...17. Ὑπὸ δὲ τοὺς Συαρδηνοὺς Χαινίδες, καὶ ἀπ' ἀνατολῶν τοῦ Ῥᾶ ποταμοῦ Φθειροφάγοι καὶ Ματῆροι καὶ ἡ Νεσιῶτις χώρα· εἶτα ὑπὸ μὲν τοὺς Ἰαξαμάτας Σιρακηνοί, μεταξὺ δὲ τῆς Μαιώτιδος λίμνης καὶ τῶν Ἱππικῶν ὀρέων μετὰ τοὺς Σιρακηνοὺς Ψήσσιοι[1], εἶτα οἱ Θαιμεῶται[2], ὑφ' οὓς Τυράμβαι, εἶτα Ἀστουρικανοί, εἶτα μέχρι τοῦ Κόρακος ὄρους Ἄριχοι καὶ Ζίγχοι...

...25. μεταξὺ δὲ τοῦ Καυκάσου ὄρους καὶ τῶν Κεραυνίων Τοῦσκοι[3] καὶ Δίδουροι· καὶ παρὰ τὴν Κασπίαν θαλάσσαν Οὐδαι[4], καὶ Ὀλόνδαι[5] καὶ Γέρροι· ὑπὸ δὲ τὰς ὀρεινὰς ῥάχεις Βοσπορανοὶ μὲν ἐφ' ἑκάτερα τοῦ Κιμμερίου Βοσπόρου, παρὰ δὲ τὸν Πόντον Ἀχαιοὶ καὶ Κερκέται καὶ Ἡνίοχοι καὶ Σουανγόκολχοι[6] ὑπὲρ δὲ τὴν Ἀλβανίαν Σαναρατοί.

*ΚΕΦ. Θ'*

## Κολχίδος θέσις

(Ἀσίας πίναξ γ')

1. Ἡ Κολχὶς περιορίζεται ἀπὸ μὲν ἄρκτων τῷ εἰρημένῳ μέρει τῆς Σαρματίας·

დება იბერიასა და კოლხეთზე გამავალი მთები—კავკასად წოდებული და აგრეთვე ამ მთების ტოტი, რომელიც ჰირკანიის ზღვისაკენ მიემართება და იწოდება აგრეთვე კავკასად.

15. ჰიპისის მთების კიდურა წერტილებს აქვთ შემდეგი მდებარეობა—74°—54° და 81°—52°
კერაენისას—82°30′—49°30′ და 84°—52°
კორაქსისას—69°—48° და 75°—48°
კავკასიისას—75°—47° და 85°—46°
სარმატიის კარებს—81°—48°30′
ალბანიის კარებს[19]—81°—47°

...17. [სარმატიაში მოსახლეობენ] სვარდენებს ქვევით ხაინიდები, ხოლო მდ. რას აღმოსავლეთით ფთეიროფაგები, მატერები და აქვეა ნესიოტიდა (კუნძულების ქვეყანა); შემდეგ, იაქსამატებს ქვევით—სირაკენები, ხოლო სირაკენებს იქით, მეოტიდის ტბასა და ჰიპიის მთებს შორის—ფსესიები, შემდეგ თემეოტები, მათ ქვევით—ტირამბები, შემდეგ ასტურიკანები, შემდეგ კორაქსის მთებამდე—არიხები[20] და ზინხები[21] (ჯიქები)...

...25. კავკასიის მთასა და კერაენის მთებს შორის—ტუსკები და დიდურები[22]; კასპიის ზღვის გასწვრივ—უდები, ოლონდები, ისონდები[23] და გერები[24]; მთის ქედების ძირში, კიმერიული ბოსფორის ორივე მხარეს—ბოსფორანები, ხოლო პონტოს გასწვრივ ახაიელები[25], კერკეტები[26], ჰენიოხები[27] და სუანნოკოლხები[28]; ალბანიის იქით—სანარები[29].

თავი მეცხრე

## კოლხეთის მდებარეობა

(ასიის III რუკა)

1. კოლხეთს[1] ესაზღვრება ჩრდილოეთის მხრიდან სარმატიის ზემოხსენებული ნაწილი;

---

*1. Ψήσιοι*—A, E; *2. Θεμεῶται*, A, B; *Θειαιῶται* -E: *Θερμαιῶται*—F. *3. Τοῦστοι*—G. *4. Οὐλαί*—D, E; *5. Ὀλοῦδαι*—H; *6.* ასეა—Urb. Gr. 82, B, C, D, E, F; დანარჩენებში *Σουανόχλκοι.*

ἀπὸ δὲ δύσεως τῷ ἀπὸ Κόρακος ποταμοῦ μέχρι τοῦ κατὰ Φᾶσιν μυχοῦ μέρει τοῦ Εὐξείνου Πόντου κατὰ περιγραφὴν τοιαύτην·

| | |
|---|---|
| 2. Διοσκουριὰς ἡ καὶ Σεβαστοπόλις [1] | ο΄ας΄—μ΄νL΄ὸ΄ |
| Ἵππου ποτ. ἐκβολαί | ο΄α—μ΄ςL΄ |
| Κυανέου ποτ. ἐκβολαί | ο΄αL΄—μ΄ς ς΄ |
| Σιγάνεον [2] | ο΄αL΄—μςL΄ὸ΄ |
| Νεάπολις | ο΄αL΄—μ΄ςγο΄ |
| Ἀΐα πόλις [3] | ο΄β—μ΄εL΄ |
| Χαριούστου [4] ποτ. ἐκβολαί | ο΄β—μ΄εὸ΄ |
| Φάσιος ποτ. ἐκβολαί | ο΄βL΄—μ΄ε |
| Φάσις πόλις | οβL΄—μ΄ὸL΄ὸ΄ |

3. ἀπὸ δὲ μεσεμβρίας τῷ ἐντεῦθεν Καππαδοκικῷ Πόντῳ παρὰ τὴν ἐκτεθειμένην γραμμὴν καὶ τῷ ἑξῆς μέρει τῆς Μεγάλης Ἀρμενίας διὰ τῆς αὐτῆς γραμμῆς μέχρι πέρατος οὗ θέσις ο΄ὸ—μ΄ὸγο΄

4. ἀπὸ δὲ ἀνατολῶν Ἰβηρίᾳ κατὰ τὴν ἐπιζευγνύουσαν τὰ ἐκτεθειμένα πέρατα διὰ τῶν Καυκασίων ὀρέων γραμμὴν ἕως ο΄ε—μ΄ζ

5. Κατέχουσι δὲ τὰ μὲν ἐπὶ θαλάσσῃ τῆς Κολχίδος Λάζοι [5]· τὰ δὲ ὑπερκείμενα Μάνραλοι καὶ οἱ κατὰ τὴν Ἐκριτικὴν [6] χώραν·

6. Μεσόγειοι δ’ἐν αὐτῇ λέγονται πόλεις καὶ κῶμαι·

| | |
|---|---|
| Μεχλεσσός [7] | ο΄ὸL΄—μ΄ϛL΄ὸ΄ |
| Μαδία | ο΄ὸὸ΄—μ΄ϛὸ΄ |
| Σαράκη | ο΄γ—μ΄ε |
| Σούριον | ο΄γγ΄—μ΄ὸγο΄ |
| Ζαδρίς | ο΄ὸ—μ΄ὸγο΄ |

დასაელეთიდან ევქსინის პონტოს ნაწილი მდ. კორაკოსიდან [2], ვიდრე კუთხემდე, რომელსაც ფაზისი ქმნის ზღვასთან შეერთებისას, შემდეგი აღწერილობით:

| | |
|---|---|
| 2. დიოსკურია ანუ სებასტოპოლისი [3] | 71°10′—46°45′ |
| მდ. ჰიპოსის შესართავი [4] | 71°—46°30′ |
| მდ. კიანეოსის შესართავი [5] | 71°30′—46°10′ |
| სიგანეონი [6] | 71°30′—46°45′ |
| ნეაპოლისი [7] | 71°30′—46°40′ |
| ქალაქი აია [8] | 72°—45°30′ |
| მდ. ხარიუსტოსის შესართავი [9] | 72°—45°15′ |
| მდ. ფაზისის შესართავი [10] | 72°—45° |
| ქ. ფაზისი [11] | 72°30′—44°45′ |

3. სამხრეთიდან [კოლხეთს] აღნიშნული ხაზით ესაზღვრება კაპადოკიის პონტო და მისი მომდევნო დიდი არმენიის ნაწილი, იმავე ხაზით, ვიდრე 74° — 44°40′ ქვეშ მდებარე წერტილამდე[12].

4. აღმოსავლეთიდან — იბერია, ხაზით, რომელიც აერთებს აღნიშნულ ზღვარს კავკასიის მთებზე[13] გადავლით 75°—47° ქვეშ მდებარე წერტილთან.

5. კოლხეთის ზღვისპირა ნაწილში მოსახლეობენ ლაზები[14], ზევით მდებარე ადგილებში მანრალები[15] და ეკრი[კ]ტიკის [16] ქვეყნის მცხოვრებნი.

6. მის შიგნით ნაჩვენებია ქალაქები და სოფლები:

| | |
|---|---|
| მეხლესოსი [17] | 74°30′—46°45′ |
| მადია [18] | 74°15′—46°15′ |
| სარაკე [19] | 73° —45° |
| სურიონი [20] | 73°20′—44°40′ |
| ძადრისი [21] | 74° —44°40′ |

---

*1.* ἡ καὶ *Σεβαστόπολις*—C, D, L; *2. Σιγάνιον*—Vat.; *Γιγάνιον*—A. *3. Γαιάπολις*—L; *Θιάπόλις*—Mont.; *4. Χαρίσου*—Mont.; *5. Ζάλαι*—Mont; Wilb. *6. Ἐκρηκτικὴν*—A, B, C, E, F, Urb. Gr. 82; Латышев, „S. C.“; *Νεκρητικὴν*—Mont.; *7. Μαχλεσσός*—G: *Μεχρεσσός*—Stew.

*ΚΕΦ. Ι'*

## Ἰβηρίας θέσις
## (Ασίας πίναξ γ')

1. Ἡ Ἰβηρία περιορίζεται ἀπὸ μὲν ἄρκτων τῷ ἐκτεθειμένῳ τῆς Σαρματίας μέρει· ἀπὸ δὲ δύσεως Κολχιδί παρὰ τὴν εἰρημένην γραμμήν· ἀπὸ δὲ μεσημβρίας μέρει τῆς Μεγάλη Ἀρμενίας τῷ ἀπὸ τοῦ πρὸς τῇ Κολχίδι ὁρίου μέχρι πέρατος, οὗ ἡ θέσις ἐπέχει μοίρας ο΄ς΄ς΄—μ΄ὃγο΄· ἀπὸ δὲ ἀνατολῶν Ἀλβανίᾳ κατὰ τὴν ἐπιζευγνύουσαν τὰ ἐκτεθειμένα πέρατα γραμμὴν ἕως ο΄ζ—μ΄ζ.

2. Εἰσὶ δ'ἐν αὐτῇ πόλεις καὶ κῶμαι αἵδε·

| | |
|---|---|
| Λούβιον κῶμη [1] | ο΄εγο΄—μ΄ςL'γ' |
| Ἄγιννα | οε—μ΄ςL' |
| Οὐάσαιδα [2] | ο΄ς—μ΄ς γ' |
| Οὐαρίκα | ο΄εγ΄—μ΄ς |
| Σοῦρα [3] | ο΄ε—μ΄εγ' |
| 3. Ἀρτάνισσα [4] | ο΄εγο΄—μ΄ς |
| Μεστλῆτα [5] | ο΄ὃγο΄—μ΄ε |
| Ζάλισσω [6] | ο΄ς—μ΄ὃγο' |
| Ἁρμάκτικα [7] | ο΄ε—μ΄δL'γ' |

თავი მეათე

## იბერიის მდებარეობა
(ასიის III რუკა)

1. იბერია ისაზღვრება ჩრდილოეთიდან სარმატიის დასახელებული ნაწილით[1], დასავლეთიდან—კოლხეთით—ნაჩვენებ ხაზზე[2]; სამხრეთიდან დიდი არმენიის ნაწილით, რომელიც მოდის კოლხეთის საზღვრიდან წერტილამდე, რომლის მდებარეობა არის 76°10′—44°40′[3], აღმოსავლეთიდან ალბანიით, ხაზზე, რომელიც აერთებს ამ ზღვარს 77°—47° ქვეშ მდებარე წერტილთან[4].

2. ქალაქები და სოფლები [იბერიაში] შემდეგია:

| | |
|---|---|
| სოფელი ლუბიონი [5] | 75°40′—46°50′ |
| აგინა [6] | 75° —46°30′ |
| უასაიდა | 76° —46°20′ |
| უარიკა [7] | 75°20′—46° |
| სურა [8] | 75° —45°20′ |
| 3. არტანისსა [9] | 75°40′—46° |
| მესტლეტა [10] | 75°40′—45° |
| ძალისა [11] | 76° —44°40′ |
| ჰარმაკტიკა [12] | 75° —44°50′ |

*ΚΕΦ. ΙΑ'.*

## Ἀλβανίας θέσις
## (Ασίας πίναξ γ')

1. Ἡ Ἀλβανία περιορίζεται ἀπὸ μὲν ἄρκτων ἐκθειμένῳ μέρει τῆς Σαρματίας· ἀπὸ δὲ δύσεων Ἰβηρίᾳ κατὰ τὴν ἀφωρισμένην γραμμήν· ἀπὸ δὲ μεσημβρίας Ἀρμενίας τῆς Μεγάλης μέρει τῷ ἀπὸ τοῦ πρὸς τῇ Ἰβηρίᾳ πέρατος μέχρι τῆς Ὑρκανίας θαλάσσης κατὰ τὰς ἐκβολὰς τοῦ Κύρου ποταμοῦ αἳ ἐπέχουσι μοίρας ο΄θγο΄—μ΄δL'. ἀπὸ δὲ ἀνατολῶν τῷ ἐντεῦθεν μέχρι Σοάνα τοῦ ποταμοῦ τῆς Ὑρκανίας θαλάσσης μέρει κατὰ περιγραφὴν τοιαύτην·

თავი მეთერთმეტე

## ალბანიის მდებარეობა
(ასიის III რუკა)

1. ალბანია [1] ისაზღვრება ჩრდილოეთიდან სარმატიის აღწერილი ნაწილით, დასავლეთიდან—იბერიით—ნაჩვენებ ხაზზე, სამხრეთიდან — დიდი არმენიის ნაწილით, [რომელიც მოდის] იბერიის საზღვრიდან ჰირკანიის ზღვამდე, მდ. კიროსის შესართავამდე, რომელიც მდებარეობს 79°40′ — 44°30′ ქვეშ; აღმოსავლეთიდან — ჰირკანიის ზღვის ნაწილით, რომელიც [ერცელდება] აქედან მდ. სოანამდე, შემდეგი აღწერილობით.

---

*1.* ასეა—K; დანარჩენებში—*Νούβιον*; *2. Οὐάσεδα*—E, H, I; *3*, Mont—გარდა ამ *Σοῦρα*'ისა *Ἀρτάνισσα*'ს შემდეგ *Σοῦρ'ρ'α* იგივე კოორდინატებით; *4. Ἀρτάνοισσα*—Urb. Gr. 82; *5. Μεσλήτα*—C, D; *Μέζλητα*—F; *6.* ასეა—D, Mont, Wilb. *Ζάλισα*—დანარჩენებში; *7. Ἀρμάκτικα*—Vat, H, I; *Ἀρμάσικα*—F.

2. μετὰ τὴν τοῦ Σοάνα ποτ. ἐκβολήν·

| | |
|---|---|
| Τέλαιβα πόλις [1]· | π΄ε—μ΄ςγο′ |
| Γέρρου [2] ποτ. ἐκβολαί | π΄ϑL′—μ΄ςL′ |
| Γέλδα πόλις | π΄γ—μ΄ςL′ |
| Κασίου [3] ποτ. ἐκβολαί | π΄βL′—μ΄ς |
| Ἀλβάνα πόλις | π΄αγο′—μεL′γ′ |
| Ἀλβάνου ποτ. ἐκβολαί | π΄L′—μ΄εL′ |
| Γαιτάρα πόλις | ο΄ϑL′—μ΄ε |
| μεϑ' ἣν αἱ τοῦ Κύρου ποταμοῦ ἐκβολαί | ο΄ϑγο′—μ΄ϑL′ |

3. Πόλεις δέ εἰσιν ἐν τῇ Ἀλβανίᾳ καὶ κῶμαι μεταξὺ μὲν τῆς Ἰβηρίας καὶ τοῦ ποταμοῦ τοῦ ἀπὸ Καυκάσου εἰς τὸν Κύρον ἐμβάλλοντος, ὃς παρ' ὅλην τὴν τε Ἰβηρίαν καὶ τὴν Ἀλβανίαν ῥεῖ διορίζων τὴν Ἀρμενίαν ἀπ' αὐτῶν·

| | |
|---|---|
| Τάγωδα [4]· | ο΄ζL′—μ΄ςL′γ′ |
| Βακρία [5]· | ο΄ζ—μ΄ςL′ |
| Σανούα | ο΄ζγο′—μ΄ςγο′ |
| Δηγλάνη [6]· | ο΄ζγ′—μ΄εL′δ′ |
| Νίγα | ο΄ζγ′—μ΄εδ′ |

4. μεταξὺ δὲ τοῦ εἰρεμένου καὶ τοῦ Ἀλβάνου ποταμοῦ, ὃς καὶ ἀπὸ τοῦ Καυκάσου ῥεῖ·

| | |
|---|---|
| Μόσηγα | ο΄ϑ—μ΄ζ |
| Σαμουνίς | ο΄ϑ—μ΄ςγο′ |
| Ἰόβουλα | ο΄η—μ΄ςγ′ |
| Ἰούνα | ο΄ϑ—μ΄ς |
| Ἐμβόλαιον [7]· | ο΄L′—μ΄εγο′ |
| 5. Ἀδίαβλα | ο΄ϑ—μ΄εL′ |
| Ἀβλάνα [8]· | ο΄η—μ΄εδ′ |
| Μαμεχία [9]· | ο΄ϑL′δ′—μ΄εγο′ |
| Ὄσσικα | ο΄ζL′—μ΄δL′ |
| Σιόδα | ο΄ηδ′—μ΄δγο′ |
| Βαρούκα | ο΄ϑγ′—μ΄δγο′ |

6. ἐπέχουσι δὲ καὶ αἱ Ἀλβάνιαι Πύλαι μοίρας, ὡς εἴρηται· π΄—μ΄ζ· μεταξὺ δὲ τοῦ Ἀλβάνου καὶ τοῦ Κασίου ποταμοῦ·

| | |
|---|---|
| Χαβάλα [10]· | π΄—μ΄ζ |

2. მდ. სოანას იქით:

| | |
|---|---|
| ქ. ტელაიბა | 85° —46°40′ |
| მდ. გეროსის შესართ. | 84°30′—46°30′ |
| ქ. გელდა | 83° —46°30′ |
| მდ. კასიუსის შესართ. | 82°30′—46° |
| ქ. ალბანა | 81°40′—45°40′ |
| მდ. ალბანოსის შესართავი | 80°30′—45°30′ |
| ქ. გაიტარა | 79°30′—45° |
| რომლის იქით არის მდინარე კიროსის შესართავი | 79°40′—44°30′ |

3. ქალაქები და სოფლები ალბანიაში შემდეგია: იბერიასა და მდინარეს შორის, რომელიც გამომდინარეობს კავკასიიდან და უერთდება კიროსს[2], რომელიც მიედინება მთელ იბერიასა და ალბანეთზე, გაჰყოფს რა მათგან არმენიას:

| | |
|---|---|
| ტაგოდა | 77°30′—46°50′ |
| ბაკრია | 77° —46°30′ |
| სანუა | 77°40′—46°40′ |
| დეგლანა | 77°20′—45°45′ |
| ნიგა | 77°20′—45°15′ |

4. აღნიშნულ მდინარესა და მდინარე ალბანოსს შორის, რომელიც აგრეთვე კავკასიიდან მოედინება:

| | |
|---|---|
| მოსეგა | 79° —47° |
| სამუნისი | 79° —46°40′ |
| იობულა | 78° —46°20′ |
| იუნა | 79° —46° |
| ემბოლაიონი | 78°30′—45°40′ |
| 5. ადიაბლა | 79° —45°30′ |
| აბლანა | 78° —45°15′ |
| მამეხია | 79°45′—45°40′ |
| ოსიკა | 77°30′—44°30′ |
| სიოდა | 78°15′—44°40′ |
| ბარუკა | 79°20′—44°40′ |

6. ამას გარდა ალბანიის კარები[3], როგორც აღნიშნული იყო, მდებარეობს 80°—47° ქვეშ, მდ. ალბანოსსა და მდ. კასიუსს შორის:

| | |
|---|---|
| ხაბალა | 80°—47° |

*1. Τέλεβα—Mont; 2. Γίροντος—A; 3. Καισίου—Urb. Gr. 82; 4. Τετάγοδα—Mont; 5. Βακχία—Urb. Gr. 82; 6. Δηγλάνη—E; 7. Ἔβλαια—Mont.; 8. Ἀβλιάα—L; 9. Καμεχία—Mont. 10.* ასეა—Urb. Gr. 82, A, B, E; *Χαλίβα*—დანარჩენებში.

Χωβῶτα[1]· π΄L΄—μ΄ςL΄ὸ΄
Μοζιάτα[2]· π΄—μ΄ςγ΄
Μισία π΄α—μ΄ςγ΄
Χαδάχα[3]· π΄α—μ΄ς
Ἄλαμος π΄β—μ΄ςὸ΄

7. μεταξὺ δὲ τοῦ Κασίου ποταμοῦ καὶ Γέῤῥου ποταμοῦ·

Θίαυνα π΄βὸ΄—μ΄ςγο΄
Θαβιλάκα[4]· π΄βL΄ὸ΄—μ΄ςL΄γ΄

μεταξὺ δὲ τοῦ Γέῤῥου ποτ. καὶ τοῦ Σοάνα ποταμοῦ·

Θιλβίς[5]· π΄ὸὸ΄—μ΄ςL΄γ΄

8. Νῆσοι δὲ παράκεινται τῇ Ἀλβανίᾳ δύο ἐλώδεις, ὧν τὸ μεταξὺ ἐπέχει μοίρας π΄ζL΄—μ΄ε

ხაბოტა 80°30′—46°45
მოძიატა 80° —46°20′
მიზია 81° —46°20′
ხადახა 81° —46°
ალამოსი 82° —46°15′

7. მდინარე კასიუსსა და მდინარე გეროსს შორის:

თიაუნა 82°15′—46°40′
თაბილაკა 82°45′—46°50′

მდინარე გეროსსა და მდინარე სოანას შორის:

თილბისი 84°15′—45°50′

8. ალბანიის მახლობლად ძევს ორი ჭაობიანი კუნძული, რომელთა შორის [სივრცე] მდებარეობს 87°30′ — 45° ქვეშ.

*ΚΕΦ. ΙΒ΄.*

## Ἀρμενίας Μεγάλης θεσις
## (Ἀσίας πίναξ γ΄.)

1. Ἡ Μεγάλη Ἀρμενία περιορίζεται ἀπὸ μὲν ἄρκτων τῷ τε τῆς Κολχίδος μέρει καὶ Ἰβερίᾳ καὶ Ἀλβανίᾳ κατὰ τὴν ἐκτεθειμένην διὰ Κύρου τοῦ ποταμοῦ γραμμήν·

2. ἀπὸ δὲ δύσεως Καππαδοκίᾳ παρὰ τὸ ἐκτεθειμένον τοῦ Εὐφράτου μέρος καὶ παρὰ τὸ ἐκκείμενον τοῦ Καππαδοκικοῦ Πόντου μέχρι τῆς Κολχίδος διὰ τῆς τῶν Μοσχικῶν ὀρέων γραμμῆς·

3. ἀπὸ δὲ ἀνατολῶν τῆς τε Ὑρκανίας θαλάσσης μέρει τῷ ἀπὸ τῶν τοῦ Κύρου ποταμοῦ ἐκβολῶν μέχρι πέρατος, οὗ ἡ θέσις ο΄θL΄ὸ΄—μ΄γγ΄.

...5. Ὄρη δὲ τῆς Ἀρμενίας ὀνομάζεται τά τε καλούμενα Μοσχικὰ διατείνοντα παρὰ τὸ ὑπερκείμενον μέρος τοῦ Καππαδοκικοῦ Πόντου καὶ ὁ Παρυάδρης ὄρος, οὗ τά πέρατα ἐπέχει μοίρας ο΄ε—μ΄γγ΄ καὶ ος—μ΄β.

## თავი მეთორმეტე
## დიდი არმენიის მდებარეობა
(ასიის III რუკა)

1. დიდი არმენია ისაზღვრება ჩრდილოეთიდან კოლხეთის ნაწილით, იბერიითა და ალბანიით ზემოხსენებულ ხაზზე, რომელიც მიჰყვება მდინარე კიროსს[1].

2. დასავლეთიდან — კაპადოკიით — ევფრატის დასახელებული ნაწილის გასწვრივ და კაპადოკიის პონტოს ხაზით მოსხურ მთებზე[2] გადავლით კოლხეთამდე.

3. აღმოსავლეთიდან ჰირკანიის ზღვის ნაწილით, მდინარე კიროსის შესართავიდან 79°45′ — 43°20′ ქვეშ მდებარე წერტილამდე.

...5. არმენიის მთებიდან აღსანიშნავია ე. წ. მოსხური მთები[2], რომლებიც მიჰყვებიან კაპადოკიის პონტოს დასახელებულ ნაწილს, და მთა პარიადრი[3], რომლის კიდურა წერტილებს აქვთ მდებარეობა: 75°—43°20′ და 77°—42°.

---

*1. Χοβάτα—Urb. Gr. 82, A, B, E; Χοβέντα—F; 2. Βοζίατα—Mo nt.; 3. Χαιδάχα—Urb Gr. 82; Χαδάκα—Mont; Χαλάκα—C, D, H, K; 4. Θαμβιλάκα—F; 5. Θίλβις—A, B, E, F· Θέλβις—L; Θαλβίς—Mont, Vat.*

6. Ποταμοὶ δὲ διαρρεύσι τὴν χώραν ὅ τε Ἀράξης ποταμός, ὃς τὰς μὲν ἐκβολὰς ἔχει κατὰ ϑέσιν τῆς ϑαλάσσης ἥ ἐπέχει μοίρας ο΄ϑL΄ὃ΄—μ΄γL΄γ΄, τὰς δὲ πηγὰς κατὰ ϑέσιν ἐπέχουσαν μοίρας ο΄ςL΄—μ΄βL΄, ἀφ' ὧν ὁρμηϑεὶς πρὸς ἀνατολὰς μέχρι τοῦ Κασπίου ὄρους καὶ ἐπιστρέψας πρὸς ἄρκτους τῇ μὲν εἰς τὴν Ὑρκανίαν ϑάλασσαν ἐκβάλλει, τῇ δὲ συμβάλλει τῷ Κύρῳ ποταμῷ κατά ϑέσιν ἐπέχουσαν μοίρας ο΄ηL΄—μ΄δL΄.

...9. Χῶραι δὲ εἰσιν ἐν τῇ Ἀρμενίᾳ ἐν τῷ ἀπολαμβανομένῳ μεταξὺ Εὐφράτου καὶ Κύρου καὶ Ἀράξου ποταμῶν τμήμαται παρὰ μὲν τὰ Μοσχικὰ ὄρη ἡ Καταρζηνὴ[1]· ὑπὲρ τοὺς καλουμένους Βόχας, παρὰ δὲ τὸν Κύρον ποταμὸν ἥ τε Τωσσαρηνὴ[2] καὶ ἡ Τωτηνὴ[3], παρὰ δὲ τὸν Ἀράξην ποταμὸν ἥ τε Κολϑηνὴ καὶ ἡ ὑπ' αὐτὴν ἡ Σοδουκηνὴ, παρὰ δὲ τὸν Παρυάδρην τὸ ὄρος ἥ τε Σιρακηνὴ καὶ ἡ Σακαπηνὴ.[4]

10. Καὶ πόλεις ἐν αὐτῷ τῷ τμήματι·

| | | | |
|---|---|---|---|
| Σάλα | ο΄γγ΄—μ΄ὃγ΄ | სალა | 73°20′—44°20′ |
| Ἄσκουρα | ο΄ὃ—μ΄ὃς΄ | ასკურა | 74° —44°10′ |
| Βάραζα | ο΄εγ΄—μ΄ὃς΄ | ბარაძა | 75°20′—44°10′ |
| Λάλα | ο΄ςς΄—μὃ | ლალა | 76°15′—44° |
| Σαντοῦτα[5] | ο΄ζγ΄—μ΄δγ΄ | სანტუტა | 77°20′—44°20′ |
| Σαταφάρα | ο΄η—μ΄ὃγ΄ | სატაფარა | 78° —44°20′ |
| Τῶγα | ο΄ηL΄γ΄—μ΄γL΄ | ტოგა | 78°50′—43°30′ |
| Οὐαροῦϑα | ο΄γ—μ΄γ | უარუთა | 73° —43° |
| Ἀζάτα | ο΄γL΄δ΄—μγL΄ὃ΄ | აძატა | 73°45′—43°45′ |
| Χαλούα | ο΄ὃ—μ΄γς΄ | ხალუა | 74° —43°10′ |
| Σηδάλα[6] | ο΄ὃγο΄—μγL΄δ΄ | სედალა | 74°40′—43°45′ |
| Σοῦρτα | ο΄ὃL΄—μ΄γγο΄ | სურტა | 74°30′—43°40′ |
| Ταστίνα | ο΄ὃγο΄—μ΄γ | ტასტინა | 74°40′—43° |
| Κοζάλα | ο΄εγ΄—μ΄γL΄ | კოძალა | 75°20′—43°30′ |
| Κοτομάνα | ο΄εὃ΄—μ΄γγο΄ | კოტომანა | 75°15′—43°40′ |
| Βατίννα[7] | ο΄ςς΄—μ΄γγο΄ | ბატინა | 76°10′—43°40′ |
| Διζάκα[8] | ο΄ςL΄γ΄—μ΄γς΄ | დიძაკა | 76°50′—43°10′ |
| Πτοῦσα | ο΄ξ—μ΄γL΄ὃ΄ | პტუსა | 77° —43°45′ |

6. [არმენიაზე] მიმდინარეობენ შემდეგი მდინარეები: მდინარე არაქსი, რომელიც ზღვას უერთდება 79°45′—43°50′ ქვეშ მდებარე წერტილში, ხოლო სათაეები აქვს 76°30′—42°30′ ქვეშ მდებარე წერტილში. მიემართება რა აქედან აღმოსავლეთისაკენ კასპიის მთამდე და უხვევს რა შემდეგ ჩრდილოეთისაკენ, ის ერთი [ტოტით] უერთდება ჰირკანიის ზღვას, ხოლო მეორეთი-კი მდ. კიროსს 78°30′—44°30′ ქვეშ მდებარე წერტილში.

/..9. მდინარეების ევფრატს, კიროსსა და არაქსს შორის მდებარე არმენიის ნაწილში შემდეგი ოლქებია: მოსხურ მთებთან — კატარძენე[4], ე. წ. ბოხების[5] ზევით; მდ. კიროსის გასწვრივ ტოსარენე[6] და ტოტენე[7]; არაქსის გასწვრივ კოლთენე[8], ხოლო მის ქვევით — სოდუკენე[9]; პარიარდის მთასთან სირაკენე[10] და საკაპენე[11].

10. ქალაქები ამ ნაწილში შემდეგია:[12]

---

*1.* Κοραζηνὴ—E, G, H, J; *2.* Ὡβαρηνὴ—A. B, C, E, Urb. Gr. 82; Ὠγαρηνὴ—D, F, Vat. *3.* Ὠτηνὴ—Urb. Gr. 82; *4.* Σακαοηνὴ—Urb. Gr. 82; *5.* Σαγοῦτα—Urb. Gr. 82, A; *6.* Σιδάλα—Urb. Gr. 82, Vat, M; *7.* Βαγίννα—Urb. Gr. 82, M; *8.* Αἰζάλα—Urb. Gr. 82, A, K.

| | | | |
|---|---|---|---|
| Γλίσμα | ο´ηγ´—μ´γγο´ | გლისმა | 78°20′—43°40′ |
| Χαλουάτα | ο´ηL´δ´—μ´γγο´ | ხალუატა | 78°45′—43°40′ |
| Σακάλβινα | ο´ϑ;´—μ´γδ´ | საკალბინა | 79°10′—43°15′ |
| Ἀρσαράτα | ο´ϑL´—μ´γδ´ | არსარატა | 79°30′—43°15′ |

## BIBΛΙΟΝ Η´

### ΚΕΦ ΙΘ´

### (Ἀσίας πίναξ γ´)

...3. Τῶν μὲν οὖν ἐν τῇ Κολχίδι διασήμων πόλεων ἡ μὲν Διοσκουριὰς ἔχει τὴν μεγίστην ἡμέραν ὡρῶν ἰσημεριῶν ι´εL´δ´ καὶ διέστηκεν Ἀλεξανδρείας πρὸς ἀνατολὰς γ´ καὶ ιε´ μιᾶς ὥρας ἰσημερινῆς.

4. ἡ δὲ Φᾶσις ἔχει τὴν μεγίσιτην ἡμέραν ὡρῶν ι´εL´ καὶ διέστηκεν Ἀλεξανδρείας πρὸς ἀνατολὰς ἡμίσει καὶ τριτῳ μιᾶς ὥρας.

5. Τῆς δὲ Ἰβηρίας ἡ μὲν Ἀρτάνισσα ἔχει τὴν μεγίστην ἡμεραν ὡρῶν ι´ε L´ιβ´ καὶ διέστηκεν Ἀλεξανδρείας πρὸς ἀνατολὰς ὥρᾳ μιᾷ.

## წიგნი მერვე

### თავი მეცხრამეტე

### (ახიის III რუკა)

...3. ცნობილ ქალაქთაგან კოლხეთში დიოსკურიას აქვს ყველაზე გრძელი დღე 15 საათისა და 45 წუთის ტოლი და დაცილებულია ალექსანდრიას აღმოსავლეთისაკენ 1/3 და 1/5 საათით.

4. ფაზისს ყველაზე გრძელი დღე აქვს 15 საათისა და 30 წუთის ტოლი და დაცილებულია ალექსანდრიას აღმოსავლეთისაკენ 1/2 და 1/3 საათით.

5. იბერიის [ქალაქებიდან] არტანისას აქვს ყველაზე გრძელი დღე 15 საათისა და 35 წუთის ტოლი და დაცილებულია ალექსანდრიას აღმოსავლეთისაკენ ერთი საათით.

## განმარტებები

### თავი მეექვსე

1. აღმოსავლეთ პონტოს მთავრეხილის ნაწილი გადაჭიმული ჭოროხის ქვემო წელიდან, ვიდრე ტრაპეზუნტ-ბაიბურდის ხაზამდე (ს. ჯანაშია, პარიადრი, სკიდისი, მოსხური მთები. შრომები, II, გვ. 261—270).

2. საძიებელია თანამედროვე გირესუნის მახლობლად მდ. მელანტიას ნაპირას. იხსენიება სტრაბონთან (გეოგრაფია, XII.3.17).

3. თანამედროვე გირესუნი.

4. მდებარეობდა, როგორც ჩანს, იმავე ადგილას, სადაც მერმინდელი კერასუნტი, ან მის მახლობლად.

5. ტრაპეზუნტის სამხრ.-დასავლეთით. ამ სახელწოდების პუნქტი წყაროებში ცნობილი არ არის. შესაძლოა იგი შეეფერებოდეს არიანეს მიერ მოხსენებულ ჰისოსის ნავთსადგურს, რომელიც ტრაპეზუნტის მომდევნო პუნქტი იყო აღმოსავლეთისაკენ (პერიპლუსი, § 8). არიანეს ჰისოსი, რომელსაც V ს-ის ანონიმი აგრეთვე სუსარმიას უწოდებს (პერიპლუსი § 38), უკავშირდება სიურმენეს, ტრაპეზუნტის აღმოსავლეთით.

6. თანამედროვე ტრაპეზუნტი.

7. უკავშირდება არიანეს მდ. ოფიუსს (პერიპლუსი, § 8) და Tab. Peut. ოპიუნტს (It. Romana, 648). არიანეს მანძილის მიხედვით კარგად ემთხ-

ვევა ტრაპეზუნტის აღმოსავლეთით 47—48 კმ-ით დაშორებულ დასახლებულ პუნქტს ოფს.

8. ნახსენებია არიანეს „პერიპლუსში" (§ 8) და შეეფარდება ქ. რიზეს.

9. სახელითაც და არიანესთან მოცემული მანძილის მიხედვითაც უდრის ქ. ათინას (პარაზი).

10. არიანეს აღწერილობაში არ გვხვდება. ზუსტი ლოკალიზაცია ვერ ხერხდება. სამაგიეროდ V საუკუნის ანონიმს მოხსენებული აქვს თავის „პერიპლუსში" პუნქტი კორდილა (Κόρδυλα), ათენიდან 80 სტადიონის დაშორებით (6—7 კმ) დასავლეთით ზღვის სანაპიროზე. აღსანიშნავია, რომ იგივე პუნქტი „კორდილოს" სახელით მოხსენებულია XI ს-ის ქართულ სვინაქსარში (იხ. ხელნაწერი A—97) და მოთავსებულია ზღვის სანაპიროზე რიზესა (რიზეონს) და აფსარონს შორის (გეორგიკა, IV, 2, გვ. 413—415).

11. მიულერის აზრით ამ პუნქტის სახელის სწორი წაკითხვა არის Πόρθουνα (Cl. Ptolemaei, Geographie, Ed. C. Müllerus, 1,2, 869). ამ კონიექტურით შეიძლება დაუკავშირდეს არიანეს „პერიპლუსში" მოხსენებულ მდ. პრიტანისს და ფსევდო-სკილაქს კარიანდელის „პერიპლუსში" ნახსენებ მდ. პორდანისს; პრიტანის-პორდანისი—კი უნდა გაიგივებულ იქნეს აწინდელ ფორტუნა-სუსთან, ანუ მდ. ფურტუნასთან (აკად. ს. ჯანაშია, თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი; ენიმკის მოამბე, ტ. I, გვ. 201).

12. არიანესთან—არხაბისი („პერიპლუსი" § 8) სამეცნიერო ლიტერატურაში გაიგივებულია დღევანდელ მდ. არხაბესთან

13. ამ პუნქტის ლოკალიზაცია ვერ ხერხდება.

14. გვხვდება Tabula Peutingeriana-ზე, მხოლოდ აქ ამ სახელით აღნიშნულია სადგური აბგაბესა (დამახინჯებული არხაბეს) და აფსაროსს შორის. მილერისა და რუჯეს აზრით, უნდა შეეფარდებოდეს ეხლანდელ სოფ. კისეს, რომელიც ხოფას სამხრეთით მდებარეობს, ზღვის სანაპიროზე (Itineraria Romana, K. Miller, Stuttgart, 1916, S. 16; R. E. XI Band, S. 517).

15. სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია, რომ მდ. აფსოროსის (აფსარუნტის) სახელით აღინიშნებოდა მდ. ჭოროხი, ხოლო ომონიმური ქალაქი-კი ჭოროხის მახლობლად, თანამედროვე გონიოს ადგილზეა საძიებელი. (იხ. Успенский, Ф. Старинная крепость на устье Чороха. ИАН, 1917, стр. 163—169; ს. ჯანაშია, შრომები, II, 271—272).

16. იგულისხმება აფსაროსის, ანუ ჭოროხის ორი შენაკადი. სახელები არაფერს გვაძლევენ იმის გასარკვევად, თუ რომელ შენაკადებს გულისხმობს პტოლემაიოსი. მხოლოდ ის ფაქტი, რომ ორივე ეს მდინარე ერთ წერტილში გამოეყოფა (ანუ უერთდება) აფსაროსს, გვაძლევს საბუთს ვიფიქროთ აქ მდინარეები ოლთუ-ჩაი და თორთუმი.

17. არ უნდა ავრიოთ სებასტოპოლის-დიოსკურიაში, რომელიც პტოლემაიოსს და სხვა ბერძენ ავტორებს კოლხეთის ჩრდილოეთ ნაწილში აქვთ დასახელებული. არქანჯელო ლამბერტის სიტყვით, ფაზისის (მდ. რიონი) შესართავთან არსებობდა ქ. სევასტოპოლისი, რომელიც მის დროს წყლის ქვეშ ყოფილა მოქცეული (Описание Колхиды... СМОМПК 43, 1913 стр. 189—190). კიპერტიც აღნიშნავს, რომ იმპერატორ ტრაიანეს დროიდან სებასტოპოლისის სახელით ქ. ფაზისიც აღინიშნებოდა (Kippert, H. Lehrbuch der alten Geographie, Berlin, 1878, S. 88). არც ლამბერტს, არც კიპერტს არ

მოჰყავთ ამ მტკიცების საბუთი. რას უნდა მივაწეროთ სებასტოპოლისის ამ ადგილას მოთავსება გაურკვეველია.

თავი მერვე

1. მოხსენებულია ფსევდო-სკილაქს კარიანდელის „პერიპლუსში“ (G. G. M. I, 58—59), აგრეთვე სტრაბონის „გეოგრაფიაში“ (XI, 2, 10). მისი ადგილმდებარეობა სავარაუდებელია აწინდელ ტამანის ნახევარ კუნძულზე.

2. უკავშირდება ქ. გორგიპიას (სტეფანე ბიზანტიელი იხ. Σύνδικος, რომელსაც სტრაბონი სინდების ტომის დედაქალაქს უწოდებს; „გეოგრაფია“, XI,2,10). აღწერილობის მიხედვით უნდა თანამედროვე ანაპას უდრიდეს (იხ. Брун, Ф. Черноморье, II, стр. 259).

3. სოფელსა და ნავთსადგურ ბატას იცნობს სტრაბონიც (XI,2,14). მისი დაახლოებითი ლოკალიზაცია ხერხდება აწინდელი გელენჯიკის მახლობლად.

4. სხვა წყაროებისათვის უცნობი მდინარე. მისი ადგილმდებარეობის გარკვევა ვერ ხერხდება.

5. „ძველი ახაიას“ სახელით მოხსენებულია არიანეს „პერიპლუსში“ (§ 28). არიანეს მიერ მოცემული მანძილების მიხედვით საძიებელია გელენჯიკსა და ტუაფსეს შუა, პარეელიდან 64—65 კმ-ის მანძილზე (Брун, Ф. Черноморье, II, 268).

6. ამ ყურის ზუსტი განსაზღვრა არ ხერხდება, საძიებელია სადღაც მდ. შაფსუხოს რაიონში.

7. მიულერის აზრით ეს სახელი უნდა შესწორდეს „ლაზოს“-ად (Λαζός) და დაუკავშირდეს არიანესთან მოხსენებულ „ძველ ლაზიკას“ (Παλαιὰ Λαζική; იხ. G. G. M. I, 393, შენ. 15). ეს უკანასკნელი ანონიმის გადმოცემით ნიკოფსიასადაც იწოდებოდა (პერიპლუსი, § 58). ქართული წყაროებისათვის კარგად ცნობილი ნიკოფსიის სახელი შენახული უნდა იყოს მდ. ნიკაფსუხოს სახელწოდებაში (იხ. აკად. ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, 1948 წ. გვ. 48; Брун, Ф. Черноморье, II, 259). ამ მდინარის მახლობლად, მდ. ფსებეს ნაპირას, სოფ. ნოეო-მიხაილოვსკაიას გვერდით შერჩენილია დიდი ტყით დაფარული ნაქალაქარი, პროფ. ბ. კუფტინის აზრით, ნიკოფსიის ნაშთი (Материалы к археологии Колхиды, I, стр. 101).

8. ამ კონცხის სახელწოდება უკავშირდება ტორეტების ტომის სახელს, შესაძლოა ტუაფსეს კონცხს უდრიდეს.

9. ტომაშეკის აზრით მდ. შახეს ნაპირას, გოლოვინის კონცხთან (R. E. II Band, S. 1890).

10. დასახელებულია არიანესთან ბორგისის ფორმით („პერიპლუსი“, § 27). ამ მდინარის უფრო გვიანდელ სახელს—„მიზიგოსს“ (Μιζύγος) გვაძლევს ანონიმი („პერიპლუსი“. § 58). ტომაშეკისა და ბრუნის აზრით, უდრის მდ. მზიმთას (R. E. I Band, S. 1980; Брун, Ф. Черноморье, II, стр. 257).

11. საერთო ღირსებით შეუფერება არიანეს ნიტიკას და უდრის აწინდელ გაგრას (Брун, Ф. Черноморье, II, 257; R. E. XIV Band, S. 913; Dubois de Mantpéreux, Voyage... I, p. 86).

12. სხვა წყაროებში არ გვხვდება, ამიტომ მისი ზუსტი განსაზღვრა ვერ ხერხდება.

13. პროფ. ბ. კუფტინის საკმაოდ დამაჯერებელი მოსაზრებით, აღნიშნავს აწინდელ ბიჭვინთას (ბერძნული წყაროების პიტიუნტი; იხ. Б. Куфтин, Материалы... I, стр. 123—124).

14. მეცნიერთა ნაწილი აიგივებს მდ. კოდორთან (Mannert, K. Geographie d. Griechen und Römer, IV, Leipzig, 1820, S. 330; Dubois, Voyage... I, p. 86; R. E. V Band, S. 1124; ВДИ, 1948, 2, 244). მაგრამ, ეს გაიგივება სრულიად მიუღებელია, რადგან პტოლემაიოსი ამ მდინარეს დიოსკურია-სებასტოპოლისის (აწ. სუხუმი) ჩრდილოეთით უჩვენებს. ამავე მიზეზით არ არის სარწმუნო მისი დაკავშირება მდ. კელასურთან (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, მნათობი, 1950 წ. № 3, გვ. 150). უნდა უდრიდეს მდ. ბზიფს, ან, ყოველ შემთხვევაში, ბზიფის სექტორის რომელიმე მდინარეს (შეად. Б. А. Куфтин, Материалы... I, стр. 124)

15. მდებარეობის მიხედვით უნდა აღნიშნავდეს დარიალის კარს.

16. აზიის სარმატიაში ნაჩვენები ეს მთები პტოლემაიოსს მოთავსებული აქვს კავკასიონის მთებიდან 6°-ით ჩრდილოეთით. როგორც დამაჯერებლად არკვევს კისლინგი, სინამდვილეში ისინი კავკასიონის მთავარხეილის ნაწილია, დაახლოებით, იალბუზიდან აღმოსავლეთით ცენტრალურ კავკასიონამდე, ე. ი. ის ნაწილი, საიდანაც სათავეს იღებს მდ. ცხენისწყალი (ბერძნ. ჰიპოსი) იხ. Kissling, Hippika ὄρη, R. E. VIII Band, S. 1715—1717.

17. სტრაბონის ნიშანდობლივი აღწერილობით კავკასიონის უკიდურესი აღმოსავლეთი, კასპიის ზღვის მახლობელი ნაწილი („გეოგრაფია", XI, 4, 5). პტოლემაიოსმა მოსწყვიტა ისინი კავკასიონს და მოათავსა ჩრდილოეთით, აზიის სარმატიის შიგნით. ამ შეცდომის ახსნა იხ. Kissling, დასახ. სტატია. R. E. VIII Band, S 1716.

18. პტოლემაიოსის მიხედვით, დაახლოებით, იბერია-კოლხეთის საზღვართან იწყება, მიემართება დასავლეთისაკენ და დაახლ. მდ. ბურკას გასწვრივ წყდება. მდ. ბურკა უდრის მდ. მზიმთას (იხ. ზევით, შენ. 10). ეს მონაცემები მიუთითებს იმაზე, რომ კორაქსის მთების ქვეშ ჩვენი აეტორი კავკასიონის ქედის უკიდურეს დასავლეთ ნაწილს უნდა გულისხმობდეს.

19. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ „ალბანიის კარები" ყოველთვის ეწოდება „დარუბანდის კარს" (გეორგიკა, II, გვ. 43). პტოლემაიოსის მონაცემები ამ კარის შესახებ საეჭვოს ხდიან მის დაკავშირებას დარუბანდის გადასასვლელთან: ეს კარი ალბანიის ჩრდილოეთ საზღვარზე, დაახლოებით მის შუა ადგილას არის ნაჩვენები. შესაძლოა, აღნიშნავდეს ერთერთს იმ მრავალრიცხოვან გადმოსასვლელთაგან, რომლებიც ჩრდილო და ამიერკავკასიას აკავშირებენ.

20. ყველა ეს ტომი ჩრდილო კავკასიის სკვითურ-სარმატული მოდგმის ტომებია.

21. იგივეა, რაც სტრაბონის ზიგები (Ζύγοι), არიანეს ზიკხები (Ζίκχοι), ანონიმის ზიხები (Ζύχοι). ამ სახელით უნდა აღინიშნებოდეს ქართული წყაროებისთვის კარგად ცნობილი ჯიქების ტომი. სტრაბონის წინადროინდელი მწერლები (ჰეკატე მილეტელი, ფსევდო-სკილაქსი, არტემიდორე, პლინიუსი) შავი ზღვის ჩრდ.-აღმოსავლეთ სანაპიროზე არსად არ ახსენებენ ამ ტომს. სტრაბონი პირველი მწერალია, რომელიც მას აღნიშნულ სანაპიროს მცხოვრებთა შორის ასახელებს („გეოგრაფია", XI, 2,1; XI, 2,12). ამის შემდეგ ჯიქები განუწყვეტლივ გვხვდებიან წყაროებში სწორედ ამ სანაპიროზე

(არიანე „პერიპლუსი“, § 27; ანონიმი, „პერიპლუსი“, §§ 60, 61; პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, გვ. გვ. 72 და 105). ზემოაღნიშნულის გამო, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ტომი არ წარმოადგენდა შავი ზღვის ჩრდ.-აღმოსავლეთ სანაპიროს მკვიდრ მოსახლეობას, იგი შემდგომ, დაახლ. ჩვ. წ. დასაწყისისათვის, დასახლებულა აქ. ამ გადმოსახლების გარკვეული ტრადიცია შენახულია ქართულ წყაროებში (ლეონტი მროველი, ანასეული ქ-ცა, გვ. 27; ჯუანშერი, ანასეული ქ-ცა, გვ. 103; შეად. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, მნათობი, 1950, 3, 124). პტოლემაიოსი ჯიქებს სარმატიის ტომებს შორის ასახელებს და უთმობს მათ ადგილს მდინარეების ყუბანისა და ლაბას სათაესთან (R. E. VIII Band, S. 263); საფიქრებელია, რომ ამით ჩვენი ავტორი გვიჩვენებს ჯიქების ძველ ადგილსამყოფელს, მათი ჩრდილო კავკასიიდან გადმოსახლებამდე. უდავოა, ეს ცნობა მას ძველი წყაროებიდან უნდა ჰქონდეს ნასესხები. შესაძლოა, ასეთი წყარო პლინიუსის „ბუნების ისტორიაც“ ყოფილიყო: პლინიუსიც ჯიქებს მეოტურ ხალხებს შორის ასახელებს (N. H. VI, 19).

22. თუშები და დიდოელები (აკად. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 402; ქართველი ერის ისტორიის შესავალი, გვ. 136; R. E. V. Band, 436).

23. ძველი ალბანიის ტომები.

24. აკად. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით, უკავშირდება ჰერების ტომს (ქართული წყაროების „ჰერეთი“; იხ. შესავალი... წ. I, გვ. 50).

25. სტრაბონის (XI, 2,12), დიონისესა („დასახლებული ქვეყნ. აღწერა“, § 652—710) და სხვა ანტიკურ მწერალთა მიხედვით, ბერძენ ახაელთა ჩამომავალნი, რომელთა დასახლება შავი ზღვის ნაპირას ბრგონავტებისა და ტროადის ომის მითებს უკავშირდება. ახაიელების ბერძნულ ჩამომავლობას ძნელია მკვიდრი მეცნიერული საფუძველი მოეძებნოს. ამ ტომის ეთნიკური კუთვნილება ჯერ კიდევ საკვლევი საგანია.

26. სახელის მიხედვით უნდა აწინდელ ჩერქეზებს აღნიშნავდნენ.

27. ახაიელებთან ერთად ესენიც ბერძნული ჩამომავლობის ტომად ჰრიან ცნობილნი (სტრაბონი, XI, 2, 12; დიონისე, § 652—710). ი. ორბელმა ჰენიოხთა სახელი დაუკავშირა სანიგების სახელს (Ж. М. Н. Пр., 1911 г., Апрель, стр. 200—208). იგივე აზრი გაიზიარა ნ. მარმაც (Изв. А. Н. 1913, стр. 327). არც ორბელს, არც მარს, გარდა რთული და საეჭვო ლინგვისტური კომბინაციებისა, ამ ორი ტომის იდენტურობის შესახებ არავითარი საბუთი არ გააჩნიათ. ჰენიოხებისა და სანიგების იდენტურობას სცნობს პ. ინგოროყვაც (გიორგი მერჩულე, მნათობი, 1950, 3, გვ. 122 და შემდ.), მაგრამ მის მიერ დამოწმებული წყაროები ამ იგივეობას სრულიადაც არ ასაბუთებენ. აკად. ივ. ჯავახიშვილს ჰენიოხები ჭან-მეგრელთა მოდგმის ტომად მიაჩნია (ქართველი ერის ისტორია, ტ. I,[4] გვ. 401). ეს აზრი იმდენად ჩანს გამართლებული, რომ ჰენიოხთა სახელს ჩვენ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ვხვდებით სწორედ ჭანურ-მეგრულ ტომებთან კავშირში; არიანე და პლინიუსი შავი ზღვის სანაპიროზე, ჭოროხის სექტორში ასახელებენ მაკრონ-ჰენიოხთა და სან-ჰენიოხთა ტომს (არიანე, „პერიპლუსი“, § 15; პლინიუსი, N. H. VI, 12). ძვ. წ. IV—III ს-თა მწერლის ჰერაკლიდე პონტიელის გადმოცემითაც, „ფაზისის გაყოლებაზე ძველად ჰენიოხები ცხოვრობდნენ“ (Φᾶσιν ἐξ ἀρχῆς Ἡνίοχοι κατῴκουν. F. H. G, II, 218). შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჰენიოხები თავდაპირველად დას. საქართველოს სამხრეთ-

ნაწილში ბინადრობდნენ და შემდგომ თანდათან გადაიწიეს შავი ზღვის ჩრდ.-აღმოსავლეთ სანაპიროზე. საინტერესოა, ამასთან დაკავშირებით, პ. უშაკოვის მოსაზრება, რომ ჰენიოხები უნდა იყვნენ იგივე ურარტული წყაროების იგანიეხები, რომლებიც კულხას და დიაუხის სამეფოთა ჩრდილოეთით მოსახლეობდნენ, ე. ი. დაახლოებით დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (П. Ушаков, К походам урартийцев в Закавказье в IX и VIII вв. до н. э. ВДИ, 1946, 2, стр. 37—38).

28. სხვა ძველი წყაროებისათვის უცნობი ტომი. ამ სახელის ორივე კომპონენტი (სუანნ-, resp. სანნ- და -კოლხ) ჭანურ-მეგრულ შტოს ეკუთვნის და ამდენად, საფიქრებელია, ამ შტოს ერთ-ერთ ტომს უნდა გულისხმობდეს.

29. შეეფერება ქართულ, სომხურ და არაბულ წყაროთა წ ა ნ ა რ ე ბ ს. წანარების ტომის სამოსახლო ადგილად ცენტრალური კავკასიონი, დ ა რ ი ა ლ ი ს ხ ე ო ბ ი ს რ ა ი ო ნ ი ა საგულვებელი (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 302; С. Какабадзе, О племени цанар. საისტორიო კრებული, III, 1928, გვ. 102). თუმცა ჩვენს ავტორს, როგორც ჩანს, შეცდომით აქვს მოცემული წანარების სამოსახლო ადგილი, მაინც აღსანიშნავია, რომ პტოლემაიოსი ერთადერთია ანტიკურ მწერალთა შორის, რომელიც ამ ტომს ასახელებს.

## თავი მეცხრე

1. პტოლემაიოსი ინახავს ერთიანი კოლხეთის სახელს. ამავე დროს, როგორც ირკვევა პტოლემაიოსის თანამედროვე წყაროებიდან, ახ. წ. II ს-თვის ლაპარაკი ერთიან, პოლიტიკურად კონსოლიდირებულ კოლხეთზე უკვე აღარ შეიძლება. ამ დროისთვის კოლხეთის სამეფოს ტერიტორიაზე წარმოქმნილია რამდენიმე დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული (იხ. ს. ჯანაშია, შრომები, I, გვ. 211).

2. იხ. ზევით, თავი VIII, შენიშვნა 14.

3. წყაროების მონაცემების მიხედვით, რომელთაც არქეოლოგიური მასალაც ამაგრებს, მდებარეობდა აწინდელი ქ. სუხუმის ადგილას. ძველი ქალაქის ტერიტორია, როგორც ჩანს, ამჟამად ნაწილობრივ ზღვით არის დაფარული (იხ. В. Сизов, «Восточное побережье Черного моря». МАК. вып. II, 1889, стр. 40—41; М. Иващенко, «К вопросу о местонахождении Диоскурии древних», Изв. Абх. научн. Об-ва, 1926, IV, стр. 93—103; М. Трапш, Мраморный барельеф из Сухуми, ВДИ, 1954, № 1, стр. 163—165).

4. არ უნდა ავრიოთ მდ. რიონის შენაკად ცხენისწყალში. იგივეა, რაც არიანეს ჰიპოსი („პერიპლუსი“, § 14). არიანეს მიერ მოცემული მანძილებისა და აღწერილობის მიხედვით უნდა აწინდელ მდ. ქ ო დ ო რ ს აღნიშნავდეს.

5. არ უნდა ავრიოთ პლინიუსსა (N. H. VI, 5) და სტეფანე ბიზანტიელთან (გეორგიკა, III, გვ. 274) მოხსენებულ მდ. კიანეოსში, რომელიც მდ. ფაზის—რიონის შენაკადს წარმოადგენდა. არიანეს აღწერილობაში მდ. კიანეოსი არ გვხვდება. მდ. ჰიპოსის სამხრეთით პირველი მდინარე, არიანეს მიხედვით, არის მდ. ტ ა რ ს უ რ ო ს ი („პერიპლუსი“, § 14), ანონიმი დამატებით გვაძლევს ცნობას, რომ ტარსუროსი მის დროს მ ო ხ ჯ ა დ (Μόχος) იწოდებოდა („პერიპლუსი“, § 47). ეს ცნობა საშუალებას იძლევა არიანეს ტარ-

სური აწინდელ მდ. მოქვთან გავაიგივოთ. ამავე დროს, სწორედ მდ. მოქვის შესართავის მახლობლად არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილ იქნა ნანგრევები ძველი ქალაქისა, რომელსაც სკილაქს კარიანდელის სახელით ცნობილი ძეგლი ქ. გუენოსს უწოდებს (G. G. M. I, § 81; შეად. Б. А. Куфтин, Материалы,... т. I, стр. 106—107; т. II, стр. 259—264). ამდენად, იმავე ფსევდო-სკილაქსის მიერ დასახელებული მდ. გუენოსი სწორედ მდ. მოქვს უნდა აღნიშნავდეს. საფიქრებელია, რომ სწორედ ამ მდ. გუენოსს გულისხმობს პტოლემაიოსი კიანეოსის ქვეშ. როგორც ჩანს, არიანეს დროს ქ. გუენოსი აღარ არსებობდა, გამქრალი იყო მდ. გუენოსის სახელიც და არიანე მდ. მოქვს ტარსურის სახელით ახსენებს. პტოლემაიოსს კი ხელთ ჰქონდა ძველი წყარო (შესაძლოა, იგივე ფსევდო-სკილაქსი), რომლის მიხედვით? მდ. მოქვი გუენოსად იწოდებოდა და მან არიანეს ტარსურის ნაცვლად სწორედ ეს ძველი სახელი იხმარა. მხოლოდ, როგორც ჩანს, არიანესთან ნახსენები მდ. ჰიპოსის ზეგავლენით ჩვენმა ავტორმა იხმარა სახელი კიანეოსი; ამ სახელწოდების მდინარე სხვა წყაროებში ყოველთვის რიონის შენაკად ჰიპოსთან (ცხენისწყალთან) წყვილში მოიხსენიება.

6. უკავშირდება არიანესთან დასახელებულ მდ. სინგამს („პერიპლუსი", § 14; ანონიმის ცნობით სინგამი აგრეთვე ზიგანეუმად იწოდება „პერიპლუსი", § 47). არიანეს სინგამი მეცნიერთა უმეტესობის აზრით (ფ. ბრუნი, ს. ჯანაშია, ბ. კუფტინი) უდრის მდ. ენგურს. მაგრამ, არიანეს მონაცემთა მიხედვით, უფრო სარწმუნო ჩანს ამ მდინარის გაიგივება მდ. მდ. ოქუმ-ერისწყალის საერთო შესართავთან. სწორედ მდ. ერისწყალის ნაპირას მდებარეობს სოფ. გუდავა (ძველი გუდაყვა), რომელთანაც XI ს-ის ქართული სვინაქსარის სქოლიო აიგივებს პუნქტს ზიღანეესს (იხ. ნ. ბერძენიშვილი, ენიმკის მოამბე, X, 1941, გვ. 299; გეორგიკა IV, 2, გვ. 413—415).

7. სხვა წყაროებში არ გვხვდება და მისი ადგილმდებარეობის გარკვევა ვერ ხერხდება.

8. კოლხეთის მითიური დედაქალაქი, ლოკალიზაცია ვერ ხერხდება.

9. უნდა შეეფერებოდეს აწინდელ მდ. ხოფს. ამას, არიანეს მანძილების გარდა, უნდა მოწმობდეს მდ. ხოფის ნაპირას მდებარე სოფ. ქარიატასა და ხოფის შენაკადის მდ. კორათის წყლის სახელი.

10. აწინდელი მდ. რიონი ყვირილათი.

11. საძიებელია აწინდელი ქ. ფოთის რაიონში, საფიქრებელია ძველად ფოთის აღმოსავლეთით მდებარეობდა (იხ. მ. ბერძენიშვილი, ქალაქ ფაზისის ლოკალიზაციისათვის, თბ. უნივ. შრ., XXIII, 1942, გვ. 1—15).

12. როგორც აღნიშნული გვქონდა, პტოლემაიოსი ინახავს ერთიანი კოლხეთის მცნებას. მის სამხრეთის საზღვარს იგი ქ. ფაზისთან ატარებს და კოლხეთის მოსაზღვრედ სამხრეთიდან კაპადოკიის პონტოს აცხადებს. ამავე დროს, ძველი კოლხეთის ტერიტორია, ყოველ შემთხვევაში, მდ. ჭოროხის აუზსაც მოიცავდა (ფსევდო-სკილაქსი, G. G. M. I, § 81. სტრაბონი, „გეოგრაფია", XI, I, 1; XI, I, 14). ამრიგად, თუ ჩვენ აქ ძველი კოლხეთის სამხრეთის საზღვარს ვივარაუდებთ, აშკარა შეცდომასთან გვექნება საქმე. მაგრამ, უკვე ის ფაქტი, რომ პტოლემაიოსი კაპადოკიის პონტოს ახსენებს, მოწმობს, რომ მას უფრო ახალი წყაროების ზეგავლენით, ზოგ შემთხვევაში, მისი თანამედროვე სიტუაცია აქვს აღნიშნული: კაპადოკიის პონტოს პროვინცია

შეიქმნა იმპერატორ ტრაიანეს დროს, II ს-ის დასაწყისში. შეიძლება გვეფიქრა, რომ პტოლემაიოსის ხანაში კაპადოკიის პონტოს ტერიტორია მართლაც აღწევდა მდ. ფაზისის მიდამოებამდე. მაგრამ, საამისო მტკიცების საბუთი ჩვენ არ მოგვეპოვება, ხოლო არიანეს აღწერილობა, რომლის მიხედვით მდ. ფაზისზე მოსახლე ლაზებსა და კაპადოკიის პონტოს შორის კიდევ სამი დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული არსებობდა („პერიპლუსი", § 15), ნიშანდობლივ უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ კაპადოკიის პონტოს ტერიტორია ქ. ტრაპეზუნტის სანახებს დიდად არ უნდა გასცილებოდა.

ამრიგად, პტოლემაიოსის მიერ მოცემული კოლხეთის სამხრეთის საზღვარი არც ძველი კოლხეთისათვის არის სწორი და არც ჩვენი ავტორის თანამედროვე სიტუაციას უნდა გადმოსცემდეს მართებულად.

13. ლიხის მთა, ანუ სურამის ქედი.

14. დასაელეთ საქართველოს ეს ძირითადი ტომთაგანი პირველად იხსენიება პლინიუსთან (N. H. VI, 12).

15. მერმინდელი მეგრელების სახელის დამახინჯებული ფორმა (ი. ჯაჯანიშვილი, ქართ. ერის ისტ. I, 418; ს. ჯანაშია, თუბალ-თაბალი... ენიმკის მოამბე I, გვ. 189, შენ. 1). აღსანიშნავია, რომ მეგრელთა ტომის სახელი ასეთი ფორმით, პტოლემაიოსის გარდა, არც ერთ ავტორს არა აქვს მოცემული.

16. ეგრისის სახელის მცირედ დამახინჯებული გადმოცემა, ისევე როგორც პლინიუსის „Cegritice" (N. H. VI, 12; შეად. ივ. ჯავახიშვილი, იქვე, გვ. 418; ს. ჯანაშია, იქვე, გვ. 189).

17. ერთ-ერთი ხელნაწერი ინახავს ამ სახელის განსხვავებულ ფორმას— Μεχρεϊόι (Stewenson, Edw. Geographie of Cl. Ptolemy. transl. in English, New-Jork, 1932, 318). ასეთი წაკითხვით ეს პუნქტი შესაძლოა დაუკავშირდეს ბიზანტიელი მწერლების, კერძოდ პროკოპი კესარიელის, ნაშრომში მოხსენებულ ქ. მოხირისს, რომელიც იმავე სახელწოდების მხარეში მდებარეობდა (გეორგიკა, II, 90 და 72). ხოლო ქ. მოხირისის ადგილმდებარეობა უნდა ემთხვეოდეს აწინდ. სამტრედიის რაიონში, სოფ. დაბლაგომის მახლობლად მდებარე მუხურის-ციხეს (გეორგიკა, II, 178).

თუ ეს მოსაზრება გამართლდა, ეს იქნება მერმინდელი ლაზეთის ამ ღირსშესანიშნავი მხარისა და ქალაქის პირველი, უძველესი მოხსენიება.

18. უკავშირდება პლინიუსის ქ. მათიუმს (Matium, N. H. VI, 12). არც მათიუმის და არც მადიას ლოკალიზაცია ვერ ხერხდება.

19. საფიქრებელია, უნდა წარმოადგენდეს შორაპანის ციხის (ბერძნულად Σαραπανίς) სახელის შერყვნილ ფორმას.

20. მოხსენებულია პლინიუსის „ბუნების ისტორიაში" ამავე სახელის მქონე მდინარის ფაზისთან შეერთებისას (N. H. VI, 13). დოც. ს. ერემიანი დამაჯერებლად აიგივებს სოფ. სვირთან (С. Т. Еремян, Торговые пути Закавказья в эпоху Сасанидов. ВДИ, 1939, № 1, стр. 92—94).

21. ამ პუნქტის ადგილმდებარეობის მოძებნა ვერ ხერხდება.

## თავი მეათე

1. იბერიის ჩრდილოეთის საზღვრის მიმართულება ზუსტად ემთხვევა კავკასიონის ქედის ხაზს. სინამდვილეში, როგორც ჩანს ანტიკურ ავტორთა ცნობებიდან, ჩრდილოეთით იბერიის სამეფოს საზღვარი კავკასიონის მთავარი ქედის გადაღმა გადიოდა (იხ. ს. ჯანაშია, შრომები II, გვ. 251—252).

2. იბერიის დასავლეთის საზღვარი, ანუ საზღვარი კოლხეთსა და იბერიას შორის, პტოლემაიოსის მიხედვით, გასდევს ლიხის ანუ სურამის ქედს. სტრაბონის ცნობების თანახმად, ეს საზღვარი სინამდვილეში სურამის ქედის დასავლეთით, ციხე-ქალაქებზე—სკანდასა და შორაპანზე გადიოდა („გეოგრაფია", XI, 3, 4; XI, 2, 15; XI, 2, 17; იხ. ს. ჯანაშია, შრომები, II, 253).

3. ქვევით, დიდი სომხეთის აღწერისას (V, 11, 1), პტოლემაიოსი კიდევ უფრო აზუსტებს ამ საზღვარს; მისი სიტყვით, საზღვარი იბერიასა და კოლხეთს შორის მდ. კირონს, ანუ მტკვარს მიყვებოდა. როგორც აკად. ს. ჯანაშიამ გამოარკვია, სტრაბონის, პლინიუსისა და დიონ კასიუსის ცნობების თანახმად, ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისისათვის იბერიის საზღვარი მტკვრის სამხრეთით გადიოდა საკმაო მანძილზე, „მტკვრისა და არაქსის წყალთგასაყარ მთებზე" (შრომები, II, 225). ამავე დროს, სამხრეთ-დასავლეთით იბერიის ტერიტორია ჰოროხის აუზამდე უწევდა (იქვე, გვ. 256—257). ჩვენ არა გვაქვს არავითარი საფუძველი ვიფიქროთ, რომ ამის შემდეგ იბერიის ტერიტორია შევიწროვებულიყო და მისი სამხრეთის საზღვარი მდ. მტკვრამდე ამოწეულიყო. პირიქით, სწორედ I—III სს. ახ. წ. არის იბერიის სამეფოს განსაკუთრებული გაძლიერებისა და, საფიქრებელია, ტერიტორიული გაფართოვების ხანა (ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტ. I[4], გვ. 168—171; ს. ჯანაშია, Об одном примере искажения исторической правды... Тб., 1947, стр. 14).

საინტერესოა, რომ თვით პტოლემაიოსსაც მოეპოვება ცნობა, რომ იბერიის მიწა-წყალი მდ. ჰოროხის აუზამდე აღწევდა: იბერიის ქალაქების ჩამოთვლისას, იგი ასახელებს ქ. არტანისას (Ἀρτάνισσα), რომელიც, როგორც ქვევით დავინახავთ (წენ. 9) ქ. არტანუჯს უნდა აღნიშნავდეს.

4. იბერიის სამეფოს აღმოსავლეთის საზღვრის ზუსტი დადგენა აღებულ პერიოდში (და საერთოდ ძველ ხანაში), პირდაპირი ცნობების უქონლობის გამო, ძნელდება. აკად. ივ. ჯავახიშვილი იბერიის აღმოსავლეთის საზღვრად მდ. ალაზანს ვარაუდობს (ქართ. ერის ისტორია, I[4], გვ. 422—423); პროფ. ს. კაკაბაძეს ამ საზღვრად მდ. იორი მიაჩნია („ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები", საისტორიო მოამბე, 1924, I, გვ. 29—31). ეს უკანასკნელი მოსაზრება სრულიად უსაფუძვლო ჩანს. არ უნდა იყოს ზუსტი აკად. ი. ჯავახიშვილის ვარაუდიც. ამ საკითხის გარკვევისთვის საინტერესოა სტრაბონის ერთი ცნობა: იგი აღნიშნავს, რომ იბერიაზე მომდინარე მტკვარი „ვიწრო ხეობაზე გავლის შემდეგ შედის ალბანიაში. წყალმრავალ მდინარედ გადის რა მის (ე. ი. ალბანიის, ნ. ლ.) და სომხეთს შორის მდიდარ საძოვრებზე და შეიერთებს რა კიდევ დიდ რაოდენობა მდინარეებს, მათ შორის ალაზონიოსს ... უერთდება კასპიის ზღვას" („გეოგრაფია", XI, 3, 2). როგორც კონტექსტიდან აშკარად ჩანს, ალაზანი დასახელებულია მტკვრის შენაკადად მას შემდეგ, რაც ეს უკანასკნელი ალბანიაში შედის. ამრიგად, ალაზანი ალბანიის მდინარე ყოფილა. გარდა ამისა, ალბანია-იბერიის საზღვარი რომ მდ. ალაზანზე ყოფილიყო, სტრაბონი ვეღარ იტყოდა მტკვარი „ვიწრო ხეობაზე გავლის შემდეგ შედის ალბანიაში", რადგან მტკვრის დინების გასწვრივ ასეთი ვიწრო ხეობა, აღმოსავლეთისაკენ უკანასკნელი, თავდება თბილისის მახლობლად, ხოლო ალაზნის მიმდგომი ადგილები ფართო ველებს წარმოადგენს.

აქვე უნდა მოვიტანოთ ქართულ წყაროებში დაცული ცნობა ჰერეთის (ანუ იგივე ალბანეთის) ადგილმდებარეობის შესახებ. ეს ცნობა ეხება კავკა-

სიელი ტომების ეთნარქ-ეპონიმთა განსახლებას, შენახულია ლეონტი მროველის თხზულებაში და შემდეგ უფრო დაზუსტებულია ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს გეოგრაფიაში“. ამ აღწერილობის მიხედვით ჰერეთსა და ქართლს (თუ ქართლს კახეთ-კუხეთსაც მივათვლით) შორის საზღვარი იწყებოდა ქ. ხუნანთან (მდ. ხრამის მტკვართან შეერთების ადგილზე), აქედან მიდიოდა ჩრდილოეთისაკენ ვიდრე სოფ. ხაშმის მახლობლად მდებარე სამების ხევამდე, გადადიოდა გომბორის უღელტეხილზე, მიჰყვებოდა მდ. თურდოს, სოფ. გულგულასთან ჰკვეთდა ალაზანს და სტორის ხეობის გაყოლებით მიადგებოდა კავკასიონს (ანასეული ქ“ცა, გვ.გვ. 2 და 5; ვახუშტი, გეოგრაფია, გვ. გვ. 86, 90, 100 და 101).

მართალია, ჩვენ არ შეგვიძლია ანტიკური დროის ალბანეთის საზღვრები ზუსტად განვსაზღვროთ ამ გვიანდელი წყაროების ჩვენებით, მაგრამ, რამდენადაც აქ აღწერილი საზღვრები გულისხმობენ იმ პერიოდს, როდესაც ჰერეთი და ქართლი ცალ-ცალკე პოლიტიკურ ერთეულებს წარმოადგენდნენ, ხოლო ჰერეთი—კი ყოველ შემთხვევაში V ს-დან უკვე ქართლის სამეფოში შემოდის (იხ. ნ. ბერძენიშვილი, მიმომხილველი, III, გვ. 67). ამდენად, ეს ცნობები V ს-ის წინადროინდელ მდგომარეობას ასახავენ. თუ ჩვენ ამ აღწერილობას სტრაბონის ზემომოტანილ ცნობას შევადარებთ, შეგვეძლება დავასკვნათ, რომ ქართულ წყაროებში შენახული აღწერილობა ქართლ-ჰერეთის საზღვრისა დაახლოებით სწორედ უნდა გადმოსცემდეს იბერიის აღმოსაელეთის საზღვრის მდებარეობას ძველ ხანაში.

საინტერესოა, რომ პტოლემაიოსს ალბანიის აღწერაში დასახელებული აქვს უსახელო მდინარე (V, 11, 3), როგორც ქვევით დავინახავთ (თავი XI, შენ. 2), შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს მდინარე ალაზანს უდრის. თუ ეს ვარაუდი მართებულია, მაშინ პტოლემაიოსის მონაცემებითაც აშკარა იქნება, რომ იბერიის აღმოსაელეთის საზღვარი ალაზნის დასაელეთით გადიოდა.

5. სახელის მიხედვით უკავშირდება პლინიუსთან დასახელებულ ლუპენიების ტომს (N. H. VI, 29) და სომხური წყაროების ლბინების ტომს (М. Каганкатваци, История Агван, пер. с арм. К. Патканьяна, СПБ, 1861, стр. 191—192). ეს ტომი, როგორც ჩანს, მოსახლეობდა ალაზნის ზემოწელზე, მისი სათაეების მახლობლად (С. Т. Еремян, ВДИ, 1939, стр. 85). ამდენად, ამავე რაიონშია საძიებელი სოფ. ლუბიონიც. უფრო ზუსტი ლოკალიზაცია ვერ ხერხდება.

6. ტომაშეკის აზრით, უნდა შესწორდეს ძაგინად (Zάγινα) და აღნიშნავდეს მდ. ფცის ფრონეს ზემოწელზე მდებარე სოფ. ძაღინას (R. E. I Band, 815), სადაც ვახუშტის მოწმობით „არს ლითონი ვერცხლისა, არამედ აწ უსარგებობისათვის დაუტევეს“ (გეოგრაფია, გვ. 80).

7. ამ ორი პუნქტის ლოკალიზაცია სავარაუდოდაც არ ხერხდება.

8. სახელის მიხედვით შესაძლოა აწინდელ სურამს დაუკავშირდეს (Dubois, Voyage... III, p. 348; П. Иоселиани, Города... стр. 62).

9. პროფ. ს. კაკაბაძე და პ. იოსელიანი აიგივებენ ქ. არტაანთან (საისტ. მოამბე, 1924, წ. I, გვ. 34; П. Иоселиани, Города... стр. 21). უფრო სარწმუნო ჩანს ტომაშეკის მოსაზრება, რომ ამ სახელით ქ. არტანუჯი აღინიშნება (R. E. II Band. S. 1305—1306). ამას გვაფიქრებინებს თვით ამ სახელის დაწერილობა: ბოლო ორი სიგმა (—σσ) უნდა მიუთითებდეს აქ რაიმე აფრიკატის არსებობაზე და ბუნებრივია, ვივარაუდოთ ჯ-ანი. აღსანიშნავია,

რომ პტოლემაიოსის ნაშრომის ერთ-ერთ ხელნაწერში (Codex urbinas Graecus, 82) შენახულია ამ სახელის განსხვავებული ფორმა—'Αρταίνοισσα. ვფიქრობთ, რომ—οι—კომპლექსი მიღებული უნდა იყოს გრაფიკული შეცდომის შედეგად კომპლექსიდან—ου—, ანუ „უ“ და ეს სახელი ამგვარი წაკითხვით—'Αρτάνουσσα—ზედმიწევნით შეეფერება არტანუჯის სახელს.

10. მიულერის კონიექტურით მესხეთა (Μεσχήτα; იხ. Cl. Ptolemaei, Geographie, ed. C. Müllerus, I, 2, 927) აღნიშნავს ქ. მცხეთას. ამ სახელით ქ. მცხეთა პირველად მოიხსენება სწორედ პტოლემაიოსთან.

11. უდრის სოფ. მუხრანის ჩრდ.-აღმოსავლეთით, ხუთიოდე კმ-ის მანძილზე მდებარე სოფ. ძალისს.

12. იბერიის სამეფოს დედაქალაქის აკროპოლისი, ცნობილი სტრაბონთან, პლინიუსსა და სხვა ანტიკურ მწერლებთან; ქართული არმაზციხე მდებარეობდა მცხეთის მახლობლად, არმაზის ბორცვზე.

## თავი მეთერთმეტე

1. ალბანიაში პტოლემაიოსი განსაკუთრებით მრავალრიცხოვან გეოგრაფიულ პუნქტს ასახელებს. ამასთან ამ პუნქტების უმეტესობა სხვა წყაროებისათვის უცნობია, რის გამო ალბანიაში მითითებული ქალაქებისა და სოფლების ლოკალიზაცია ძნელდება. ამ ლოკალიზაციისათვის აუცილებელია იმ მდინარეების დადგენა, რომელთა შორისაც პტოლემაიოსი სოფლებსა და ქალაქებს ათავსებს, მაგრამ მეცნიერები დღემდე სხვადასხვა ინტერპრეტაციას აძლევენ ამ მდინარეებს და ამდენად სხვადასხვაგვარად განმარტავენ დასახელებულ პუნქტებსაც. ალბანიაში დასახელებული პუნქტებისა და მდინარეების ლოკალიზაციის ცდა იხ. მანერტთან (Geographie der Griechen und Römer, IV, 1920) პაული-ვისოვა-კროლის „Realenzyklopedie“-ში აგრეთვე А. Яновскій, «О древней Кавказской Албаніи» (ЖМН Пр. 1846, Октябрь, стр. 91—206), С. Юшков, К вопросу о границах древней Албании (Исторические записки, том I, 1937).

2. ტომაშეკის (R. E. I Band, S, 1299), აკად. ივ. ჯავახიშვილის (ქართველი ერის ისტ-ის შესავალი, წ. I, გვ. 50) და სხვათა აზრით უდრის მდ. ალაზანს. ეს გაიგივება შესაძლოა იმაზე იყოს დამყარებული, რომ სტრაბონთანაც და პლინიუსთანაც მოხსენებული მდ. ალაზანი ძნელი საფიქრებელია პტოლემაიოსს გამორჩენოდა. გარდა ამისა, პლინიუსი მდ. მტკვრის ანუ კიროსის ერთადერთ შესართავად ალაზანს ახსენებს (N. H. VI, 26), ასევეა პტოლემაიოსთან. პლინიუსი, ლაპარაკობს რა მდ. ალაზანზე, უმატებს, „რომელიც მომდინარეობს კავკასიონიდან და მდ. კიროსს უერთდება“ (N. H. VI, 26); პტოლემაიოსიც ზუსტად ამ სიტყვებით განმარტავს თავის უსახელო მდინარეს.

3. იხ. ზევით, თავი VIII, შენ. 19.

## თავი მეთორმეტე

1. იხ. ზევით, თავი X, შენ. 3.

2. იხ. ზევით, თავი VI, შენ. 1.

3. აკად. ს. ჯანაშიას განმარტებით—აღმოსავლეთ პონტოს მთაგრეხილის უკიდურესი დასავლეთი ნაწილი ტერმეს რაიონიდან დასავლეთისაკენ

გადაჭიმული (შრომები, II, გვ. 266), პტოლემაიოსის კოორდინატებით შუა სომხეთში ექცევა, მაგრამ ყველა დანარჩენი წყაროს მიხედვით მტკიცდება აკად. ს. ჯანაშიას განმარტება.

4. Müller-ის (ibid, I, 2, 937), Marquart'ის (Eranšahr ... S. 116) და Hübschmann'ის (Die altarmenischen Ortsnamen, S. 212) აზრით წარმოადგენს კალარძენეს (Καλαρζηνή) შერყვნილ ფორმას, ხოლო კალარძენე კი ქართულ და სომხურ წყაროთა კლარჯეთს აღნიშნავს.

5. კავშირშია მდ. ჭოროხის სომხურ სახელთან — ვოხ (Marquart, იქვე, გვ. 116; Hübschmann, იქვე, გვ. 212).

6. ხელნაწერებში დაცულია ამ სახელის კითხვასხვაობანი: Ὀζαρηνή, Ὀγαρηνη, Τωσσαρηνή, მეცნიერთა აზრით, სტრაბონთან მოხსენებული გოგარენეს, ანუ ქართული გუგარეთის შერყვნილი ფორმაა (Müller, იქვე, გვ. 937; Marquart, იქვე, გვ. 116; Hübschunann, იქვე, გვ. 212). გუგარეთი აკად. ივ. ჯავახიშვილის განმარტებით უდრიდა მერმინდელ ბორჩალოს სამხრეთ ნაწილს და მოიცავდა ჭოჭკანის, ბოლნის-დმანისის, ლოქის ხეობებს, ტაშირს, აბოცს და თრიალეთის სამხრეთ ნაწილს (საქართველოს საზღვრები, გვ. 16—17). გუგარეთი, ისევე როგორც კლარჯეთი, სტრაბონის მიხედვით, ძვ. წ. II ს-ში სომხებმა იბერებს წაართვეს („გეოგრაფია“ XI, 14, 5), მაგრამ ახ. წ. I ს-თვის კლარჯეთი და გუგარეთი (ყოველ შემთხვევაში ამ უკანასკნელის ნაწილი—თეზისა და თრიალეთის ოლქები) უკვე ისევ იბერებსა ჰკუთვნებიათ (ს. ჯანაშია, შრომები, II, გვ. 256—257; ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტ., I[4], გვ. 423); რომ კლარჯეთი II ს-თვის იბერიის ფარგლებში შემოდის, ამას, როგორც აღვნიშნეთ, თვით პტოლემაიოსიც ამოწმებს, ასახელებს რა იბერიის აღწერილობაში ქ. არტანუჯს. ის ფაქტი, რომ ჩვენი ავტორი კლარჯეთსა და გუგარეთს სომხეთის ოლქებად სთვლის, უდავოა მის თანამედროვე სიტუაციას არ ასახავს და უფრო ძველი (ახ. წ. წინადროინდელი) წყაროებიდან უნდა მომდინარეობდეს.

7. ეს სახელი ზოგიერთ ხელნაწერში წარმოდგენილია ოტენეს ფორმით (Ὀτηνή), ამის საფუძველზე მას აკავშირებენ სომხურ პროვინციასთან უტი, რომელიც მტკვრის ქვემო დინებაზე მდებარეობდა (Hübschmann, იქვე, 212).

8. სომხეთის არცახის პროვინციის ერთ-ერთი ოლქი — კოლთი (იხ. Армянская география VII в. по Р. Х., издал К. П. Патканов, СПБ, 1877, стр. 50).


9. უნდა უდრიდეს სომხეთის სიუნიკის პროვინციის ერთ-ერთ ოლქს— სოტკს (იქვე, გვ. 49).

10. აირარატის პროვინციის ოლქი შირაკი (იქვე, გვ. 53).

11. ტის პროვინციის ოლქი შიკაშენე (იქვე, გვ. 51).

12. ყველა ჩამოთვლილი პუნქტის ლოკალიზაცია ვერ ხერხდება ზუსტად, პუნქტების უმეტესობას განმარტავს ტომაშეკი (იხ. R. E. შესაფერი სტატიები). ზოგიერთის ლოკალიზაციას გვაძლევენ აგრეთვე აკად. ი. მანანდიანი (О торговле и городах Армении, Ереван, 1930 და Главные пути Армении по Пейтингеровой карте. Ереван, 1936) და დოც. ს. ერემიანი (დასახ. ნაშრ., ВДИ, 1939, № 1).

ამიერ-კავკასია პტოლემაიოსის კოორდინატების მიხედვით



სკვითების ქვეყანა
კასპიის ზღვა
სარმატია
სკვითია
ალანები
ალბანეთი
ალბანეთის მთები
ალბანეთის ალბანეთი
ალბანეთის ალბანეთი
ალბანეთის ალბანეთი

Н. Ю. ЛОМОУРИ

# КЛАВДИЙ ПТОЛЕМЕЙ, «ГЕОГРАФИЧЕСКОЕ РУКОВОДСТВО», ИЗВЕСТИЯ О ГРУЗИИ

Резюме

К числу греческих и римских источников, повествующих о древней Грузии, принадлежит и «Географическое руководство» знаменитого александрийского ученого астронома и географа II в. н. э. Клавдия Птолемея.

«Географическое руководство» Птолемея является чисто математическим произведением, в котором каждый географический пункт отмечен посредством математически вычисленных координатов. Однако, неправильное исчисление величины градуса и другие ошибки сделали эти координаты абсолютно непригодными и единственным способом интерпретации известий Птолемея является сравнение и сопоставление его данных с данными других античных авторов.

«Географическое руководство» замечательно своей обильной номенклатурой и новыми, до того не известными данными.

В V книге труда Птолемея уделено место описанию закавказских областей — Колхиды, Иберии, Албании и Армении.

Автор дает для каждой из этих стран точное указание границ, перечисляет географические пункты — города и сёла, реки и горы, находящиеся на их территории, называет племена, живущие там, или по соседству.

Несмотря на то, что ряд известий Птолемея ошибочны и являются следствием механического соединения данных разновременных источников, или недостаточного знакомства с данной местностью, в его труде, несомненно, много ценных и оригинальных данных о странах Закавказья и, в частности, о древней Грузии.

Целый ряд упоминаемых Птолемеем географических пунктов не встречается ни в одном источнике; некоторые из них впервые названы именно в «Географическом руководстве»; например, древняя столица Восточной Грузии — Мцхета впервые упоминается Птолемеем; точно также первый раз встречаются в «Географическом руководстве» такие пункты, как Мохирис в Западной Грузии и г. Артанудж в Иберии. Кроме того, упоминание Артануджа в пределах Иберии дает нам возможность установить, что территория царства Иберии во II в. н. э. охватывала и часть Чорохского бассейна. Оригинален труд Птолемея и в отношении наименований некоторых племен; так, впервые встречаем мы здесь Манралов (Мегрелов), Тусков (Тушинцев), Санареев (Цанаров).

Большое количество упоминаемых географических пунктов, оригинальность номенклатуры, разносторонность описания, а также ученый авторитет автора ко времени его деятельности, делают «Географическое руководство» одним из первостепенных источников для изучения исторической географии Закавказья, и в частности, Грузии.

Именно этим значением труда Птолемея руководствовались мы, когда взялись за публикацию всех известий Птолемея о Закавказьи.

При переводе мы руководствовались доступными нам изданиями, а также двумя фототипными публикациями рукописей «Географического руководства». Здесь же приводим сохранившиеся в многочисленных рукописях существенные разночтения. К переводу прилагаются краткие объяснения данных Птолемея, составленные на основании исследований отдельных ученых, а также наших наблюдений.

მ. ლორთქიფანიძე

# ძველთული ფეოდალური მოწყარჭიის კარის მოხელეები

## (ვაზირი)

ქართული ფეოდალური მონარქიის კარის მოხელეთა შორის პირველი ადგილი ვაზირებს ეკავათ. როგორც ცნობილია, ტერმინი „ვაზირი“ ქართული წარმოშობის არ არის. „ვაზირი არაბულ-სპარსული სიტყვაა. მეცნიერნი ფიქრობენ, რომ ეს სიტყვა არაბებს აბბასელების დროს სპარსელებისაგან, ვითარცა სასანელთა ხანის განძი, უნდა ჰქონდეთ შეთვისებული, მაგრამ ფაჰლაურ მწერლობაში იგი არა ჩანს (A. von Kremer, Kulturgeschichte 1,185)“[1]— წერს აკად. ივ. ჯავახიშვილი. მაგრამ, განაგრძობს ის, „ეს გარემოება (ფალაურ მწერლობაში მისი მოუხსენებლობა, მ. ლ.) თავისთავად შეურყეველ საბუთად ვერ გამოდგება იმიტომ, რომ ფაჰლაური საისტორიო მწერლობა თითქმის სრულებით შენახული არ არის“[2]. და მართლაც, Kremer-ის ეს მოსაზრება, დამოწმებული აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ, სადღეისოდ არაა გაზიარებული და დადასტურებულია, რომ ვაზირი vicir-ის ფორმით გვხვდება აგესტაშიც და ფალაურშიც (მოსამართლე, გადამწყვეტის მნიშვნელობით)[3]. დადასტურებულია, აგრეთვე, ვაზირის, როგორც გარკვეული სამოხელეო ინსტიტუტის, არსებობა სასანიანთა ირანის სახელმწიფოში.

ოძაიანთა სახალიფოში სამდივანწიგნობროს განმგებელი ქათიბი იყო, ვაზირი კი აბასიანთა დროინდელი ინსტიტუტია[4]. უეჭველია, ეს სიტყვა არაბებმა ირანელებისაგან გადმოიღეს, ხოლო შემდეგ, IX—X სს., სპარსულს ის არაბულიდან ხელახლა დაუბრუნდა გაარაბებული ფორმით (ვაზირი), როგორც გარკვეული არაბული სახელმწიფოებრივი ინსტიტუტი.

პირველი აბასიანი ხალიფების დროს სახელმწიფოს უმაღლეს მოხელედ ვაზირია. მაგრამ შემდეგ, თავისებურ ვითარებაში, აბასიანთა სახალიფოში ვაზირის ხელისუფლება მნიშვნელობას კარგავს და მისი სამოხელეო ასპარეზი საგრძნობლად იზღუდება. ვაზირის ხელისუფლების აღორძინება სახალიფოს დაშლის შემდეგ ხდება. ამის პირველი ნიშნები სამანიდთა სახელმწიფოში შეინიშნება და საბოლოოდ ჩამოყალიბებულ სახეს ვაზირის ინსტიტუტი თურქ-სელჯუკთა სახელმწიფოში იღებს. როგორც XI ს. ცნობილი სახელმწიფო მოღვაწის, ნიზამ ალ-მულქის თხზულებიდან ჩანს—სახელმწიფოს მმართველობის

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნ. I, გვ. 117.

[2] იქვე.

[3] Enzyklopedie des Islam.

[4] A. Kremer, Kulturgeschichte des Orients, I. Wien, 1875, გვ. 185.

ძირითადი საკითხები: ჯარი, გადასახადები, ფინანსები, მშენებლობა, გარეშე სამყაროსთან ურთიერთობა, ყველაფერი ვაზირს ეკითხება[1].

XII—XIV სს. საქართველოში ვაზირის ინსტიტუტი თავისებურადაა წარმოდგენილი; როგორც ცნობილია (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნ. I), ჩვენში რამდენიმე ვაზირია და თითოეულ ვაზირს თავისი უწყება აქვს. ვაზირთა შორის ერთი, სახელდობრ მწიგნობართუხუცესი-ჰყონდიდელი, „ვაზირთა ყოველთა უპირველესია". თუ აღმოსავლეთის მუსლიმანური სახელმწიფოების სამოხელეო წყობილებაში ვაზირი ერთი გარკვეული მოხელეა, ჩვენში ვაზირად იწოდება სახელმწიფოს რამდენიმე ძირითადი უწყების უპირველესი მოხელე. ვაზირია მწიგნობართუხუცესი-ჰყონდიდელი, ვაზირია ათაბაგი, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი, მეჭურჭლეთუხუცესი და მსახურთუხუცესი.

ქართულ წყაროებში ვაზირები XII ს. უწინარეს არ გვხვდებიან. მაგრამ საჭიროა აღინიშნოს, რომ ყველა ის ქართული პოლიტიკური ინსტიტუტი, რომლებიც XII ს-დან არაბული ვაზირის სახელწოდებას ატარებენ, ჩვენში ადრევე არსებობდნენ. ცნობილია, რომ მწიგნობართუხუცესი მოხსენებულია უკვე X—XI სს.[2] XI ს. ძეგლებში იხსენიებიან მანდატურები, სპასალარი[3]. ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი, მეჭურჭლეთუხუცესი და მსახურთუხუცესი კი მხოლოდ მეფე გიორგი III დროიდან გვხვდებიან წყაროებში[4], მაგრამ, მიუხედავად ამისა, აკად. ივ. ჯავახიშვილს ისინი, სრულიად სამართლიანად, ძველ ხელისუფლებად მიაჩნია[5].

ის ფაქტი, რომ ეს ხელისუფლები ქართულ წყაროებში მეფე დავით აღმაშენებლისა და გიორგი III დრომდე არ გვხვდებიან, შესაძლებელია აიხსნას წყაროების ნაკლებობით და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში მათი ადგილისა და როლის მცირე მნიშვნელობით. „XI საუკუნესთან შედარებით—წერს აკად. ნ. ბერძენიშვილი—XII—XIII საუკუნეებში საქართველოს სახელმწიფოს თითქმის ყოველი ხელისუფლის უფლება-მოვალეობა გართულდა და გაიზარდა. ეს გამოწვეული იყო სახელმწიფოს იმ სწრაფი ზრდით, რომელსაც ამ დროს ჩვენი ქვეყანა განიცდიდა"[6]. მწიგნობართუხუცესი, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი და მსახურთუხუცესი ასეთი ხელისუფლებაგართულებული მოხელეები არიან. გარკვეული დროიდან ეს „უხუცესები" არაბული „ვაზირის" სახელწოდებას იღებენ. ამ არაბული სახელწოდების ქართული სახელმწიფოებრივი ინსტიტუტის, ვაზირის, ქართულ სინამდვილეში შესწავლის მიზნით აუცილებელია ჩვენი ე. წ. „უხუცესთა" ინსტიტუტის გათვალისწინება.

მწიგნობართუხუცესი და სხვა „უხუცესები" ქართულ სინამდვილეში ადრევე არსებობდნენ. რომ „უხუცესობის" ინსტიტუტი ჩვენში ძალიან ძვე-

[1] Сиасет-Намэ, Книга о правлении вазира XI столетия Низам аль-Мулька. Перевод, введение и изучение памятника и примечания проф. Б. Заходера. М.—Л., 1949, გვ. 103.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია. წ. II, ნ. I, გვ. 124; ნ. ბერძენიშვილი, სავახირო ფეოდალურ საქართველოში, „ენიმკი"-ს მოამბე, V—VI, თბილისი, 1940, გვ. 392.

[3] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია. წ. II, ნ. I, გვ. 157, 141.

[4] იქვე, გვ. 140, 157, 167, 187. აღსანიშნავია, რომ მათი ხელქვეშეთი მოხელეები XI ს. ძეგლებში არიან მოხსენებულნი.

[5] იქვე, გვ. 141, 157, 167, 182.

[6] ნ. ბერძენიშვილი, სავახირო ფეოდალურ საქართველოში, გვ. 281.

ლი მოვლენაა, ამის მაუწყებელია მათი („უხუცესების") მოხსენიება უძველეს წერილობით წყაროებში[1]. XII—XIII სს. ხდება ამ „უხუცესთა" უშუალო დაკავშირება ქართულ სამოხელეო წყობილებასთან. XII—XIII სს. საქართველოს სამეფო კარზე სწორედ ეს „უხუცესები", მწიგნობართუხუცესი, ამირსპასალარი (ესეც „უხუცესია"—სიტყვაწარმოებაა უცხოური), ბანდატურთუხუცესი, მეჭურჭლეთუხუცესი, მსახურთუხუცესი, მელვინეთუხუცესი, მონადირეთუხუცესი, ტყისმცველთუხუცესი, არიან წარმოდგენილნი მათი ხელქვეშეთი მოხელეებითურთ, იმავე XII—XIII სს. მანძილზე ხუთი ამ „უხუცესთაგანი", სახელდობრ მწიგნობართუხუცესი, ამირსპასალარი, მეჭურჭლეთუხუცესი და მსახურთუხუცესი, ვაზირად იქცევა[2].

როგორც ცნობილია, ყველა „უხუცესის" გავაზირება ერთბაშად არ მომხდარა. ყოველ შემთხვევაში, დანამდვილებით ვიცით, რომ მსახურთუხუცესი რუსუდანმა შეიყვანა სავაზიროში[3]. თუმცა ჩვენი წყაროები სხვა „უხუცესების" გავაზირებაზე პირდაპირ არას ამბობენ, მაგრამ იქნებ შესაძლებელი გახდეს უხუცესთა გავაზირების პროცესისათვის თვალის გადევნება.

უხუცესთა შორის ყველაზე ადრე უპირველესობა სხვა ხელისუფალთა შორის მწიგნობართუხუცესმა მოიპოვა. მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის გაუპირველესება, როგორც ცნობილია, ქართული ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებას, დავით აღმაშენებლის მოღვაწეობასა და მის ეპოქას უკავშირდება. „დავით აღმაშენებელმა—წერს აკად. ნ. ბერძენიშვილი—ფეოდალური საქართველო სახელმწიფო განვითარების ახალ გზაზე გამოიყვანა. უეჭველია, სახელმწიფო წყობილების ძლიერი გარდატეხისას სათანადო ცვლილება უნდა განეცადა ხელისუფალთა უფლება-მოვალეობასაც. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ამ მხრით კვლევა ჭარაკის უწარმოებია, რომ ეს ჩვენი a priori მსჯელობა საჭირო საბუთებით შეგვემაგრებინა. ამხელად ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ სპასალარობისა და მწიგნობართუხუცესობის მაგალითები მოვიშველიოთ. დიდგვარიანთა პოლიტიკური ბატონობის ხანის სპასალარის პირველობა ხელისუფალთ შორის ახალი სახელმწიფო წყობილებისათვის მიუღებელი იყო. ამიერიდან სპასალარს პირველობა უნდა დაეთმო გამჯერებული ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელისათვის. ასეთი კი იყო მწიგნობართუხუცესი და ამიერიდან სწორედ ის იქმნა „ვაზირი მეფისა"[4].

ამგვარად, დავით აღმაშენებლის დროს მწიგნობართუხუცესი ვაზირია და ეს „ვაზირობა" სხვა მოხელეთა შორის მისი უპირველესობის მაუწყებელი ნიშანია.

თუ მწიგნობართუხუცესის გავაზირება ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერება-განმტკიცებას უკავშირდება, სხვა ხელისუფალთა გავაზირება, ყოველ შემთხვევაში და პირველ რიგში ამირსპასალარის გავაზირება, მსხვილ ფეოდალებთან ჭიდილში ცენტრალური ხელისუფლების მარცხს უნდა უკავშირდებოდეს.

---

[1] მაგ., მხატვართუხუცესი მცხეთის IV ს. წარწერაში. იხ. თ. ყაუხჩიშვილი, ბერძნული წარწერები საქართველოში, 1951, გვ. 255.

[2] ცნობილია, რომ ათაბაგიც ვაზირია. მაგრამ რადგან ათაბაგობა სხვა ხასიათის მოვლენაა და ის ქართულ „უხუცესთა" ინსტიტუტს არ უკავშირდება, ჩვენ აქ მას არ ვეხებით.

[3] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია. წ. II, ნ. I, გვ. 182.

[4] ნ. ბერძენიშვილი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში, „ენიმკის" მოამბე, X, გვ. 228.

ამირსპასალარი (და შემდეგ ათაბაგი) მსხვილი ფეოდალების ინტერესების გამომხატველი ხელისუფალია. ის, როგორც მსხვილი ფეოდალების ინტერესების გამომხატველი, უპირისპირდებოდა მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს, რომელიც მეფის ცენტრალური ხელისუფლების დასაყრდენი და მისი ინტერესების გამომხატველია. „ცენტრალური ხელისუფლების ასეთი დასუსტებისას—წერს აკად. ნ. ბერძენიშვილი—ადვილი გასაგებია, რომ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის „ჯელის“ მნიშვნელობა კიდევ უფრო შესუსტდა, XIII ს-ში პირველი ვაზირი, „ვაზირთა უხუცესი“ ნამდვილად არის არა ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი, არამედ ათაბაგი, რომელიც ამავე დროს ამირსპასალარიც არის“[1]. ცენტრალური ხელისუფლების დასუსტება მსხვილ ფეოდალებთან ბრძოლაში, როგორც ცნობილია, თამარის გამეფების პირველ წლებში შეინიშნება. ვფიქრობთ, რომ ამირსპასალარის გავაზირებაც ამ დროს ხდება.

თამარის ისტორიაში („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“) გიორგი III სიცოცხლეში არც ერთი ხელისუფალი, მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს გარდა, ვაზირობით არ იხსენიება[2]. ნიშანდობლივია, და არა შემთხვევითი, რომ მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელი სულ ვეზირად იწოდება, მის გვერდით კი ამირსპასალარი (და არც სხვა ვინმე ხელისუფალი) არ იწოდება ვაზირად. „მოიხილეს გარემოს (გიორგი III გარდაცვალების ჟამს.—მ. ლ.) და იხილეს მიქაელ პატრიარქი, ყოველთა ეპისკოპოზთა თანა მდგომი, და ვაზირი ანტონი და ამირსპასალარი ყუბასარ და სხუანი ჯელისუფალნი: ყუთლუ-არსლან მეჯურჯლეთუხუცესი, ვარდან დადიანი ჩუხჩარხი, ჭიაბერი მეჯინიბეთ-უხუცესი, აფრიდონ მსახურთ-უხუცესი...“[3]. ამგვარად, გიორგი III გარდაცვალების ჟამს ვაზირი მარტო მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელია. მართალია, იგივე ისტორიკოსი გიორგი III მეფობის დროს ორ შემთხვევაში „ვაზირს“ მრავლობით რიცხვში ხმარობს, მაგრამ ვფიქრობთ—ეს ჩვენ მოსაზრებას არ ეწინააღმდეგება. ორსავე შემთხვევაში მრავლობითი რიცხვი ისტორიკოსს მჭერმეტყველების მაღალფარდოვანი სტილის დასაცავად ჭირდება. ანისის აღების გამო ის წერს: „იხილა მეფემან „კონსტანტინე“ საყუარელნი და საკუთარნი ვაზირნი, სპასალარნი, ჯელისუფალნი და თავადნი, დიდებულნი, აზნაურნი, მონანი და მოყმენი“[4]. ხოლო მეორე შემთხვევაში, თამარ მეფის კურთხეის გამო ეკითხულობთ: „განრჩევითა და გამორჩევითა, განგებითა და გაგონებითა ზენისა მის ხუედრისა შარავანდელთა მნებებელისაგთა მეფე-ყო (გიორგი III-მ თამარი, მ. ლ.) თანადგომითა ყოველთა პატრიარქთა და ებისკოპოსთა, დიდებულთა იმიერთა და ამერთა, ვაზირთა და სპასალართა და სპასპეტთა“[5]. სტილის დაცვის მიზნით ჩვენი აეტორი ამირსპასალარსაც კი მრავლობით რიცხვში იხსენიებს: „ამირ-სპასალართა, დიდებულთა და ლაშქართა, ამათ აქაჲთ და მათ მუნით, ადინეს ღუარი სისხლისაჲ“[6]. გასათვა-

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ფეოდალურ საქართველოში. „ენიმკის“ მოამბე, ტ. X, გვ. 293.

[2] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, კ. კეკელიძის გამოცემა, თბ., 1941, გვ. 53—73.

[3] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 72.

[4] იქვე, გვ. 60.

[5] იქვე, გვ. 69.

[6] იქვე, გვ. 59.

ლისწინებელია ის გარემოებაც, რომ აეტორი ამ თხზულებას იმ დროს წერს, როდესაც ვაზირები უკვე არიან მრავლობით რიცხვში. ასე რომ „ვაზირნის“ ხმარება არ ეწინააღმდეგება მის ცნობიერებაში არსებულ ვაზირებს. თუმცა, როდესაც საკუთრივ რომელიმე ხელისუფალს ასახელებს, სანამ მათ ვაზირობა არა აქვთ მიღებული, არც უწოდებს არც ერთ მათგანს ვაზირს. მაგ., ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი ყუბასარი ვაზირი არაა.

მსხვილმა ფეოდალებმა ცენტრალურ ხელისუფლებასთან ბრძოლაში დიდი გამარჯვება მოიპოვეს და მიიღეს სახელმწიფო საქმეთა გადაწყვეტაში „ერთნებაობის და თანადგომის“ უფლება. ყუბასარის ხელისუფლებაც მათ მიიტაცეს. სწორედ ამის შემდეგ ამირსპასალარი ვაზირად ხდება „პირველად გარდაცვალებასა და გამორჩევასა შინა ორთა ვაზირთა და სპასპეტთასა თანადგომითა და ერთნებობითა (შჳდთაეე სამეფოთა დიდებულთაჲთა), ბრძანა დამტკიცებად ჭყონდიდლად, მწიგნობართა-უხუცესად და (ვაზირთა) ვაზირად ანტონი.... და განაჩინა ამირ-სპასალარად სარგის მჯარგრძელი, კაცი გუარიანი და აღზრდილი ლაშქრობათა შინა... და განაჩინა და უბოძა ჴიაბერს მანდატურთუხუცესობაჲ და მისცა არგანი ოქროჲსაჲ ჴელჲთა მისა“[1]... აქ ერთი საკითხი დგება: „ორთა ვაზირთა გამორჩევა“ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესს და ამირსპასალარს ეხება, თუ ის (მწიგნობართუხუცესი)—იგულისხმება, რომ—უკვე ვაზირია და აქ ამირსპასალარის და მანდატურთუხუცესის გამორჩევაზეა ლაპარაკი? რომ ამირსპასალარი ვაზირი გახდა ეს ცხადია, მაგრამ მანდატურთუხუცესზე ამას გადაჭრით ვერ ვიტყვით. თუმცა უნდა აღენიშნოთ, რომ კონტექსტი მანდატურთუხუცესის სასარგებლოდ ლაპარაკობს. მწიგნობართუხუცესის, ამირსპასალარის და მანდატურთუხუცესის გამორჩევის შემდეგ აეტორი წერს: „დასუეს სელებთა ოქრო-ჭედილებითა რომელნიმე მარჯუენით მისსა (ე. ი. მეფისა, მ. ლ.) და რომელნიმე მარცხენით“[2]. ამის შემდეგ ისტორიკოსი მოუთხრობს, თუ ვის რა ხელისუფლება უბოძეს. მეჭურჭლეთუხუცესობა ვარდანის ძეს კახაბერს მისცეს, მსახურთუხუცესობა ვარდან დადიანს და სხვ. აღსანიშნავია, რომ მანდატურთუხუცესი მწიგნობართუხუცესსა და ამირსპასალართან ერთად ერთ ჯგუფშია გამოყოფილი. შემდეგაც ის პირველ სამთა ვაზირთა ჯგუფში შედის. ავტორის ცნობით, ეს სამი ხელისუფალი სელებით ოქროჭედილ სკამებზე დასვეს; მეჭურჭლეთუხუცესი, მსახურთუხუცესი და ჩუხჩარხი, კი რომელთა გამორჩევაზე ცალკეა საუბარი, მხოლოდ სასთაულიან სკამებზე დასვეს[3]. როგორც ვხედავთ, ის (მანდატურთუხუცესი) ვაზირების—მწიგნობართუხუცესის და ამირსპასალარის ჯგუფშია მოთავსებული. შესაძლებელია მან ვაზირობა ამირსპასალართან ერთად ძიღო. მაგრამ თუ ეხლა არა, ძალიან მალე ამის შემდეგ, ყოველ შემთხვევაში შამქორის ომის დროს, ის უკვე ნამდვილად ვაზირია. შამქორს გამარჯვების აღსანიშნავად „შეიქმნა დარბაზობაჲ, და დასხნეს ამირ-მირმან და შარვანშა თჳთოეული თჳსსა ადგილსა, ეგრეთვე ვაზირნი: მანდატურთ-უხუცესი და ამირ-სპასალარი და შემდგომნი წესისაებრ, რომელი აქუნდა წესი ჯდომისა და დგომისაჲ, დასვეს“[4]. ე. ი. ამ დროს მანდატურთუხუცესი უკვე ვაზირია.

[1] ისტორიანი და აბმანი, გვ. 78.
[2] იქვე, გვ. 78—79.
[3] იქვე, გვ. 79.
[4] იქვე, გვ. 108.

არ ვიცით, როდის მიიღო ვაზირობა მეჯურჭლეთუხუცესმა, მაგრამ, როგორც ჩანს, ბევრად ადრე მსახურთუხუცესზე. „ჯელმწიფის კარის გარიგება", ჩამოთვლის რა ვაზირებს, აღნიშნავს, რომ ჭყონდიდელი ძველი ვაზირია, ათაბაგი კი ახალი. „ჭყონდიდელი მამა არს მეფისა, ათაბაგი ახალია"[1]. ასევე, მსახურთუხუცესთან შედარებით, რომელიც რუსუდანს შეუყვანია სავაზიროში, მეჯურჭლეთუხუცესი ძველი და საპატიო ვაზირია. „მეჯურჭლეთ-უხუცესი ძველი ვაზირი არის, საბატიო და ვინ ამას იტყჳს: მსახურთუხუცესი მანაველი რუსუდან მეფეს შეუყვანია სავაზიროს"[2]. აქედან ჩანს, რომ ჭყონდიდელი-მწიგნობართუხუცესი საერთოდ ყველაზე ძველი ვაზირია, მასთან შედარებით ათაბაგი, რომელმაც ვაზირობა თამარის მეფობის უკანასკნელ წლებში მიიღო, ახალია, ხოლო მეჯურჭლეთუხუცესი ასევე ძველი ვაზირია მსახურთუხუცესთან შედარებით, რომელმაც ვაზირობა რუსუდანის მეფობაში მიიღო.

ნიშანდობლივია, რომ მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელი, ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი, როგორც ადრე გავაზირებულნი, ქმნიან პირველ სამთა ვაზირთა ჯგუფს, ხოლო მეჯურჭლეთუხუცესი და მსახურთუხუცესი კი მეორე ორთა ვაზირთა ჯგუფს. ამავე დროს გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ათაბაგიც პირველ სამთა ვაზირთა ჯგუფში შედის. მაგრამ ათაბაგის საკითხი სხვაა. ჯერ ერთი, ათაბაგობა პირველ ათაბაგს (ივანე მხარგრძელს) ამირსპასალარობასთან ერთად ეძლევა[3] და, რაც მთავარია, „ათაბაგობის შემოღება—როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს—[თამარის მეფობის მიწურულს] და მისი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესისადმი დაპირისპირება ცენტრალური ხელისუფლების კიდევ ერთი დამარცხება იყო უმაღლეს ფეოდალებთან ბრძოლაში"[4]. უმაღლეს ფეოდალთა ეს ხელისუფალი გავაზირდა და პირველ სამთა ვაზირთა ჯგუფშიც შევიდა.

ცნობილი გარემოებაა, რომ ამირსპასალარის როლი საქართველოში განსაკუთრებით თამარის მეფობაში გაიზარდა, მაგრამ ქართულ წყაროებში, როგორც აღნიშნულიც გვქონდა, ამირსპასალარი უკვე გიორგი III დროსაა დამოწმებული. მიუხედავად იმისა, რომ მხედართმთავრის მოვალეობას მეფე ასრულებს (გიორგი III), ამირსპასალარის ფუნქციები გიორგის დროს შეზღუდულად არ გამოიყურება. დავით აღმაშენებლის დროს დათრგუნულმა, ფეოდალთა ბატონობის ეპოქის სპასალარმა, გიორგი III დროს უკვე ამირსპასალარის სახით წამოყო თავი. ნიშანდობლივია, რომ სწორედ ეს „სპასალართა თავი" არა „უხუცესია", არამედ „ამირსპასალარია"—ეს „ჯელი" ქართული „უხუცესთა" ინსტიტუტიდან არ მოდის. ეს ახალი მოვლენაა, მეფის წინააღმდეგ მებრძოლ ფეოდალთა მიღწევაა. ნიშანდობლივია, რომ სწორედ გიორგი III დროს ის უკვე იჩენს თავს, ხოლო თამარის დროს კი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს ამოუდგება გვერდში როგორც ვაზირი. გამარჯვებული ფეოდალები ათაბაგის ინსტიტუტს აწესებენ, ათაბაგი თავის ხელში ამირსპასალარობასაც იგდებს და ის გარკვეული დროიდან იკავებს კიდევაც სახელმწიფოში პირველი პირის ადგილს.

---

[1] ჯელმწიფის კარის გარიგება. ე. თაყაიშვილის გამოცემა, თბილისი, 1920, გვ. 19.

[2] იქვე.

[3] როგორც ცნობილია, ეს „ჯელი" შემდეგაც ყოველთვის, როგორც წესი, სხვა „ჯელთანაა" ხოლმე გაერთიანებული.

[4] ნ. ბერძენიშვილი, საქართველო ფეოდალურ საქართველოში. „ენიმკის" მოამბე, ტ. X, გვ. 289.

„უხუცესთა“ გავაზირების პროცესი გრძელდება, როგორც ვნახეთ. მანდატურთუხუცესი, მეჭურჭლეთუხუცესი, მსახურთუხუცესი ვაზირობას იღებენ. საფიქრებელია, რომ ეს მოვლენა ქართული ფეოდალური მონარქიის შექმნას უკავშირდება. მრავალ „უხუცესთა“ შორის ნაწილისათვის ვაზირობის მინიჭება მაუწყებელია მათი უშუალო მონაწილეობისა სახელმწიფოს მმართველობაში.

„უხუცესთა“ ინსტიტუტი ადგილობრივ ქართულ ნიადაგზეა წარმოშობილი და განვითარებული. შემდეგ კი, როგორც ვნახეთ, ზოგი მათგანი თავისებურს ისტორიულ პირობებსა და ვითარებაში აღმოსავლური წარმოშობის ინსტიტუტის, ვაზირის სახელწოდებას იღებს, შინაარსს კი ქართულს ინარჩუნებს[1].

„უხუცესთა“ ნაწილისათვის ვაზირის სახელწოდების მინიჭების შემდეგ იქმნება სავაზირო, ვაზირთა საბჭო, რომელიც, შესაძლებელია, ცენტრალური ხელისუფლების მიერ შექმნილიყ უფლებაგაზრდილი დარბაზის საპირისპიროდ.

აღმოსავლეთში სავაზირო არ არის. სავაზიროს რთული შემადგენლობა და ორგანიზაცია ქართულ სახელმწიფოს შემდგომ განვითარებასთანაა დაკავშირებული. სავაზირო ქართულ ნიადაგზეა ჩამოყალიბებული და განვითარებული. არაბულიდან ნასესხები მხოლოდ ტერმინი „ვაზირი“ ჩანს.

თუ ერთის მხრით, ფეოდალური საქართველოს სავაზირო უკავშირდება არაბული სახელწოდების ტერმინს (ვაზირს), ხოლო ამ ტერმინში აღმოსავლურ შინაარსს გამორიცხავს, მეორეს მხრივ ის გენეტურად დაკავშირებულია ქართულ „უხუცესთა“ ინსტიტუტთან.

ამგვარად, ქართული ვაზირი და სავაზირო თავისთავადი მოვლენაა, აღმოცენებული ძირითადად ქართული „უხუცესთა“ ინსტიტუტიდან.

М. Д. ЛОРДКИПАНИДЗЕ

## ПРИДВОРНЫЕ ЧИНОВНЫЕ ЛЮДИ ГРУЗИНСКОЙ ФЕОДАЛЬНОЙ МОНАРХИИ

(Вазиры)

Р е з ю м е

Среди придворных людей Грузинской феодальной монархии первое место занимали «вазиры».

Термин — «вазир» персидско-арабского происхождения.

В халифате при первых Аббасидах наивысшими сановниками являлись вазиры. В дальнейшем, как известно, в халифате вазиры постепенно теряют свое значение. После распада Халифата происходит возрождение института вазира; первые признаки чего замечаются в государстве Саманидов, и окончательно оформляется должность вазира в государстве Турок-сельджуков.

В Грузии XII — XIV вв. институт «вазира» представлен своеобразно.

[1] თითოეული ამ მოხელის უფლება-მოვალეობაზე არას ვამბობთ, რადგან ეს საკითხი სათანადოდ დამუშავებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში.

В отличие от восточно-мусульманского мира (где, как правило, в государстве один вазир) в грузинской феодальной монархии представлены пять вазиров, среди которых один (мцигнобартухуцеси) является первым.

Вазиры, как должностные лица при грузинском дворе, встречаются с XII века, но следует отметить, что все те политические институты, которые с XII века принимают название вазиров, представлены в Грузии и ранее этого времени, таковыми являются мцигнобартухуцес, мечурчлетухуцес и др.

Институт «ухуцесов» (старейшин, глав) в Грузии существовал издревле. «Ухуцесы» являлись главами отдельных ведомств (мцигнобартухуцес — канцлер, мечурчлетухуцес — глава хранителей государственных имуществ, ткисмцвелтухуцес — главный лесничий, мхатвартухуцес — глава художников и ряд др.).

На протяжении XII — XIII вв. совместно с быстрым развитием государственной жизни феодальной Грузии, функции и обязанности ряда «ухуцесов» расширяются, они непосредственно включаются в аппарат государственного управления, в связи с чем и получают титул «вазира».

Из грузинских «ухуцесов» первым титул «вазира» получает, в царствование Давида Строителя, мцигнобартухуцес; в дальнейшем, в первые годы царствования царицы Тамары вазирами становятся амирспасалар, мандатуртухуцес и мечурчлетухуцес, в последние годы царицы Тамары атабег, а в царствование Русуданы мсахуртухуцес.

Институт «ухуцесов» чисто грузинское явление; часть из «ухуцесов», в определенных исторических условиях, принимает восточный титул вазира, но по содержанию остается грузинским институтом.

Совместно с возведением ряда «ухуцесов» в сан вазиров создается «Савазиро» (Совет вазиров).

Восточно-мусульманский мир института «Савазиро» не знает.

Институт «Савазиро», как и «ухуцесов», самобытное, грузинское явление, созданное и развитое на местной почве. Сложная система «Савазиро» непосредственно связана с дальнейшим развитием грузинского феодального государства.

Принятым из Восточно-мусульманского мира является лишь термин «вазир».

ო. სოსელია

# საგლეხო ვალდებულებანი დასავლეთ საქართველოში XVII ს.

XVII საუკუნის საგლეხო ვალდებულებათა ნორმებში ზოგი ისეთი ტერმინი გვხვდება, რომლის მნიშვნელობა დღეს გაუგებარია, ასეთია მაგალითად: „ხმელი ბეგარა", „ნავტობა", „ალაყურტი", „მოიღო", „ოზურლი" და სხვ. აღნიშნულ სიტყვათა შინაარსობრივი მნიშვნელობის დადგენა საჭიროა ყმა-გლეხების ვალდებულებათა სახისა და ექსპლუატაციის ხარისხის წარმოსადგენად. შევეცდებით ამ ტერმინთა მნიშვნელობა გავარკვიოთ.

## 1. „ხმელი ბეგარა"

„ხმელი ბეგარა" პირველად აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდ დავთარში არის ნახსენები. ამ წყაროს ჩვენებით XVII ს-ის პირველ ოცეულში ჯგალში მოსახლე „ათს კომლს კ[ა]ცს[1] ხმელი ბეგარა მართებს"[2]. ასევე ნაგვაზუს მცხოვრები რვა კომლი გლეხი „ხმელ ბეგარას" იხდის[3].

ბეგარა მეტად მრავალმხრივი შინაარსის შემცველი ცნება იყო. განსვენებული ლ. მუსხელიშვილის განსაზღვრით: „ბეგარა ეწოდებოდა ყოველგვარს ფულადსა და სულადს გადასახადს, რომელიც მიწას ედო და მიწის პერასთან იყო დაკავშირებული".

იმავე მკვლევრის განმარტებით, ბეგარის ცნებაში „ფულადს და სულადს გადასახადს" გარდა სამსახურებრივი ვალდებულებაც შედიოდა[4]. ამას ლ. მუსხელიშვილის მიერ დამოწმებული საქუთათელო გამოსაელის დავთრის სახელწოდების გარდა („დავთარი ქუთათისის საყდრის გამოსაელის ბეგრისა...") სხვა მონაცემებიც ადასტურებენ. ეს მონაცემები საესებით დამაჯერებელს ხდიან ლ. მუსხელიშვილის მოსაზრებას. მაგალითად, XVI ს-ის მეორე ნახევრის ოცხანის გლეხთა გამოსაელის ნუსხის ბოლოს ვკითხულობთ: „ორი მცეხველი ანგარიშში დადებული არ არის, მაგრამ ბეგარა არა მართებს სამსახურისა და მცეხველობის მეტი"[5]. აქ შრომითი ვალდებულება — „სამსახური და მცეხველობა" ბეგრის ცნებაშია მოქცეული, წყაროს გაგებით ესეც ბეგარაა.

---

[1] გამოცემაში ამ სიტყვას ჭარაგმა უხის (იხ. ს. კაკაბაძე, აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდი დავთარი, ტფ., 1914, გვ. 43. შემდეგში ვასახელებთ შემოკლებით; აფხ. საკ-ხო დავთ.), გახსნილია ჩვენ მიერ.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 17.

[4] ლ. მუსხელიშვილი, დასავლეთ საქართველოს გლეხობის სოციალურ-ეკონომიური კატეგორიები XVI—XVII სს. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის „მოამბე", V—VI, თბ., 1940, გვ. 274 (სქოლიო).

[5] აფხ. საკ-ხო დავთ., გვ. 51.

უფრო გვიან, XVII ს-ის პირველ ოცეულში შედგენილ ამავე ოცხანის გლეხთა ვალდებულების ნუსხაც ბეგარაში შრომით ვალდებულებასაც გულისხმობს: „ამ სამი კაცის ბეგარაჲ 4 სამოსელი და 20 თეთრი, 3 საკლავი, ცხრა კოკა ღვინო, სამი გოდორი ღომი, 3 ქათამი, პური, ყველი, კუერცხი, თევზი, ღომი, ღვინო, საშსახური, მუშაობაჲ, ტვირთი და ხის კრებაჲ მართებს“[1].

ასევე საქუთათლო გამოსაელის დავთრის მერმინდელ (XVIII ს-ის დასასრულისა და XIX ს-ის დამდეგის) მინაწერში სიტყვა ბეგარა ნახმარია როგორც ნატურით, ისე შრომითი ვალდებულების აღსანიშნავად: „მართებს მამუკა გოგსაძეს ბეგარა: ოცი კოკა ღვინო ოთხ დოქიანი, ერთი მარჩილი თეთრი, ერთი ქათამი, ერთი ფოხალი ღომი, ან შინაყმობა და ან სეფობა“[2].

ამგვარად, ფართე გაგებით ბეგარა ეწოდებოდა ყმის ყოველგვარ ვალდებულებას—ნატურით, ფულადსა და შრომითსაც. ვიწრო გაგებით ბეგარას ეძახდნენ მხოლოდ ფულადს და ნატურით გადასახადს, ხოლო კიდევ უფრო ვიწრო გაგებით—ამა თუ იმ ცალკეულ ვალდებულებას. მაგალითად, ღომის გამოსაღებს ღომის ბეგარა ერქვა, სანთლის გამოსაღებს—სანთლის ბეგარა, თეთრის გამოსაღებს—თეთრის ბეგარა, ღორის გამოსაღებს—ღორის ბეგარა და სხვ[3].

საგლეხო ვალდებულების ნორმაში შემავალი ერთი ასეთი ცალკეული სახის გამოსაღები იყო „ხმელი ბეგარა“.

ახლა დავაკვირდეთ „ხმელი ბეგრის“ შინაარსობრივ მნიშვნელობას.

ავიღოთ XVII ს-ის პირველი ოცეულის თილითის საკათალიკოზო გლეხების გამოსაღებთა ნუსხა: „მართებს ლომინიას ციხკარავას საკლავისა ქანდაქი და სამოგვე, ჴმელის ბეგრისა ერთი სამოგვე, 5 კოკა ღვინო, გოჭკუმუ, სასახლის სამსახური“.

„მართებს შურითოლი მალურავას ჴმ[ე]ლის ბეგრისა 2 ქანდაქი, მესამეს წელსა საკლავისა ქანდაქი და სამოგვე, ორი კოკა ღვინო, 2 ჯამი ღომი, ყანის მუშაობაჲ კვირაშიდ ორორი დღე, ნაჯგიბუს მ[ა]ულის ყურძნის კრეფაჲ“[4]...

„მართებს მიხილიაჲ სეფანასკირსა საკლავისა ქანდაქი და სამოგუე, ჴმელის ბეგრისა ქანდაქი და სამოგუე, მესამეს წელსა შვიდი კოკა ღვინო, შვიდი ჯამი ღომი და გოჭკუმუ“.

„მართებს თასიას ჩერჩიას 2 ქანდაქი ჴმლის ბეგრისა, ქანდაქი და სამოგუე საკლავისა, 12 კოკა ღვინო, 12 ჯამი ღომი, გოჭკომუ, სასახლის სამსახური“[5].

მოტანილ ამონაწერთა მიხედვით უეჭველად შეიძლება ითქვას, რომ „სამოგუე“ ანუ „საჩექვე“ მიიღებოდა როგორც „საკლავი“-დან, ისე „ხმელი ბეგ-

---

[1] აფხ. საკ-ხო დავთ., გვ. 42.

[2] ე. თაყაიშვილი, დავთარი ჯუთათისის საყდრის გამოსავალი ბეგრისა, შედგენილი 1578 წელს, ძველი საქართველო, ტ. IV, ე. თაყაიშვილის რედ., ტფ., 1914—1915, გვ. 71.

[3] ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წიგ. II, ტფ., 1921, გვ. 2, 127; წიგ. I (ტფ. 1921), გვ. 93, 95 (შემდეგში შემოკლებით. დას. საქ. საეკლ. საბ.).

[4] აფხ. საკ-ხო დავთ., გვ. 35.

[5] აფხ. საკ-ხო დავთ., გვ. 34. გამოცემაში სიტყვა „ჴმელი“ ხოგან ჭარაგმით წერია—„ჰმ'ლი“, ხოგან კიდევ უჭარაგმოთ—„ხმელი“ (იხ. იქვე, გვ. 17,43). ციტირებულ ადგილებში ჭარაგმა ჩვენ მიერ არის გახსნილი.

რიდანაც". ამის თქმის საფუძველს იძლევა „საკლავის სამოგუე", „ხმელი ბეგრის სამოგუე"[1].

„საკლავის სამოგუე", ცხადია, საკლავის ტყავია. ასევე „ხმელი ბეგრის სამოგუეც" სხვა არ შეიძლება იყოს რა, თუ არა „ხმელი ბეგრის" ტყავი. ვაშასადამე, „ხმელი ბეგრის" გატყავება ისევე შეიძლებოდა, როგორც საკლავის, და მისი ტყავი ისევე გამოსადეგი იყო „სამოგუედ", როგორც საკლავის.

საგლეხო ვალდებულებათა ნორმებში დასახელებული საკლავი უდრის ღორს. მაგალითად, გრიგოლ კათალიკოზი ბიქვინტის ღვთისმშობლისადმი მირთმეულ 1705 წლის შეწირულების წიგნში ამბობს: „...შემოგწირეთ ჯიქთუბანს კომლი კაცი ოთხი... ამ გლეხებს ოთხოთხი ღორი ემართათ, ერთი დიდი და სამი მომცრონი. აწე იმ სამი საკლავი ამოგვიწერია და მისი სანთელი დაგვიც..."[2].

ასევე ლევან დადიანის მიერ ბიქვინტის ღვთისმშობლისადმი მირთმეულ 1628 წლის შეწირულების წიგნში ნათქვამია: „...შემოგწირეთ... კვამლი კაცი ორმოცი... ამათგან ერთის მოსახლისა კაცისა გოჭკომური მართებული საალაპოდ გაგვიჩენია...გოჭკომური თითო ღორი მართებს და იმ თითო საკლავის ფასი თევზი გაგვიჩენია..."[3].

აქ ორივე შემწირველი „საკლავს" ღორის მნიშვნელობით ხმარობს. სხვა შემთხვევებშიც „საკლავი" ღორს გულისხმობს[4].

როგორც აღვნიშნეთ, „ხმელი ბეგარა" ისეთი გამოსაღები იყო, რომლისაგან ტყავი მიიღებოდა („ხმელი ბევრის სამოგუე"), ტყავს კი („სამოგუეს") საკლავისაგან ღებულობდნენ („საკლავის სამოგვე"). „საკლავი", როგორც გაირკვა, ღორს ეწოდებოდა. აქედან, ცხადია, „ხმელი ბეგარა" „ხმელი", შეკმღილი სახით წარმოდგენილი ღორის ხორცი—შაშხი უნდა ყოფილიყო. ამ „ხმელი" ღორის, ანუ საკლავის ტყავი („სამოგუე") გლეხს ზოგჯერ ცალკე გამოსაღებად მართებდა.

„ხმელ ბეგარაში"-ში სწორედ ღორის ხორცი იგულისხმება და არა სხვა რომელიმე საკლავის. ეს გასაგებიცაა: საკლავთა შორის „ხმელი" სახით ღორის ხორცი იყო მიღებული ხმარებაში ძველათაც და ახლაც ასევე იხმარება ის.

აღსანიშნავია, რომ „ხმელი ბეგრის" ანალოგიურ გამოსაღებს წარმოადგენს „ხმელი თევზი", რომელიც საგლეხო ვალდებულებათა ნორმებში „ნედლი თევზი"-სგან განსხვავებით არის გათვალისწინებული[5].

### 2. „ნავტობა"

სიტყვა „ნავტობა"—„ნაეტეობა", ანუ „მენავტეობა" პირველად 1622 წელს შედგენილ აფხაზეთის საკათალიკოზოს საბეგრო ნუსხებში გვხვდება. მაგალითად, ნიეანეულს მოსახლე გლეხს ზაქარია უჩაიას მართებს: „გოჭკომუ, ბეგარაჲ ტილო, 2 გობი ღომი, 2 ქათამი, 6 ფოხალი ღვინო, ნავტობაჲ და ყანობაჲ".

---

[1] ჩექმა საბას განმარტებით „სხუათა ენაა, ქართულად=მოგვი" (იხ. სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედ., ტფ., 1928). მოგვიდან ნაწარმოები „სამოგვე" „სახეკმეს" ნიშნავს.

[2] დას. საქ. საეკლ. საბ., I, გვ. 89.

[3] იქვე, გვ. 44.

[4] იხ. იქვე, გვ. 93.105, 145. „საკლავი" რომ სწორედ ღორს გულისხმობს, ეს ლ. მუსხელიშვილსაც აქვს შენიშნული (იხ მისი დასახელებული ნაშრომი, გვ. 76, სქოლიო).

[5] აფხ. საკ-ხო დ-ვთ., გვ. 30, 56.

ბუბუტია სუბუქიას მართებს: „გოქკომუ, ბეგარაჲ ტილო 3 საყანე, ქათამი 2, კოკა ღვინო 6, მუშაობაჲ, ნავტობაჲ, ზროხაჲ, თიბვაჲ“.

ასევე ტყავრუს მოსახლე მაშუტა შამბიას მართებს „მენავტეობაჲ, მეთევზეობაჲ, საპურობო“[1].

ამათ გარდა „ნავტობა“ მართებთ სხვა გლეხებსაც.

რას წარმოადგენდა ნავტობა შინაარსობრივად?

ამ ვალდებულებას ყურადღება მიაქცია განსვენებულმა მკვლევარმა ლ. მუსხელი'შვილმა, როცა იგი დასავლეთ საქართველოს გლეხობის სოციალურ-ეკონომიური კატეგორიების საკითხს არკვევდა. მაგრამ „ნავტობის“ შინაარსობრივი მნიშვნელობა მან ვერ განსაზღვრა. ისე გაკვრით შენიშნა „...ნავტობა, რამდენადაც ჩანს, საპატიო სამსახური უნდა ყოფილიყო“-ო. ამის თქმის უფლება მას იმ გარემოებამ მისცა, რომ ნატანეულს „დაუბეგრავ მსახურს დიდიას სამსახურად მხოლოდ ნავტეობა აქვს გადაკვეთილი... მეორე მხრით მეტვირთე ყმა, რომ მენავტეც იყოს ასეთი შემთხვევა არსად არ გვხვდება“[2].

ეს მართლაც ასეა, მაგრამ სანამ „ნავტობას“ საპატიო ან სათაკილო სამსახურის ჯგუფს მივაკუთვნებდეთ, უნდა გავარკვიოთ ამ ტერმინის შინაარსობრივი მნიშვნელობა.

„ნავტე“, საბას განმარტებით, „მომცრო ნავის მნეს“, „მენავეთა გამრიგებელს“ ნიშნავს[3]. თუ „ნავტობა“, ანუ „მენავტეობა“ „ნავტე“-დან არის ნაწარმოები, მაშინ იგი ნაოსნობასთან დაკავშირებულ საქმიანობად წარმოგვიდგება.

იქნებ ამ ვალდებულების კონკრეტული შინაარსი იმალებოდეს მეგრულ სიტყვა „ნოთე“-სა და მისგან წარმომდგარ „მენოთობა“-ში?

მეგრულად „ნოთე“ ეწოდება სიმინდის გამხმარი ღეროებისაგან შეკრულ ალმოდებულ კონას, რომელსაც ძველად და ამ ორი ოცეული წლის წინათაც ზემო სამეგრელოში თევზის ჭერის დროს იყენებდნენ. „ნოთობა“ კი ასეთი ხერხით თევზის ჭერის პროცესს ნიშნავს. ხოლო „მენოთე“ იმ ადამიანს ჰქვია, რომელსაც ანთებული სიმინდის ღეროების შეკვრა უპირავს. ამგვარად, „მენოთე“ მეთევზე კი არ არის, არამედ მეთევზის დამხმარე პირია.

ამ წესით თევზაობა მხოლოდ ღამით წარმოებს. ცნობილია, რომ ზოგიერთი სახეობის თევზი სინათლისაკენ მიისწრაფის და მის დანახვაზე ის წყლის ზედაპირს ეფინება[4]. ეს კი აადვილებს მის ჭერას. ♦სეთი ხერხით თევზის ჭერა საჭეგრელოში მიღებული იყო უფრო გაზაფხულზე, როდესაც ახალი მოსავლის თესვის სამზადისში ყანები სიმინდის ღეროებისაგან იწმინდება, მეორე მხრით თევზთა დაქვირითების პერიოდი დგება და მათი ზღვიდან მდინარეებისაკენ სვლა იწყება. ასე რომ სიტყვა „ნოთობა“ სამეგრელოში პერიოდული მეთევზეობის აღსანიშნავად იხმარებოდა. ამ წესით თევზის ჭერის პროცესში ზოგან ნავსაც იყენებდნენ, ზოგან კი ის უნაოთ ხდებოდა. ეს დამოკიდებული იყო მდინარის სივრცე-სიღრმეზე.

შეიძლება, „ნავტობა“ ანუ „მენავტეობა“ შინაარსობრივად პერიოდულ მეთევზეობას უდრის და მეგრულ „ნოთობა“-„მენოთობა“-ს შეესატყვისება.

---

[1] აფხ. საკ-ხო დავ. ფვ. 24—25, 39.

[2] ლ. მუსხელი'შვილი, დასავლეთ საქართველოს გლეხობის სოც.-ეკონომ. კატეგორიები..., ენიმკი-ს „მოამბე“, V—VI, გვ. 299.

[3] სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი.

[4] Лов сельди с помощью электросвета, «Заря Востока», 6 мая, 1953, № 106 (868о).

ნიშანდობლივია ისიც, რომ გლეხთა უმეტესი ნაწილი, რომელსაც ეს ვალდებულება მართებს, ნაჟანეულში ცხოვრობს. ნაჟანეული კი მდინარე ენგურთან ახლოს, სადღაც მის გალმა მდებარეობდა[1]. მეთევზეობა უნდა დაეკისრებინათ სწორედ იმ გლეხებისთვის, რომელნიც ტერიტორიულად რომელიმე მდინარესთან ახლოს მკვიდრობდნენ.

აქ უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება. ტყავრუს გლეხთა საგადასახადო ნორმა მეთევზეობას და „მენავტობას" ერთმანეთისაგან განასხვავებს. მაგალითად: „მართებს ქუქულია შამბიას მენავტობაჲ, მეთევზობაჲ, საპურობო"; უჩაკოჩი ჭუჭურიას მართებს: „ნავტობაჲ, მეთევზობაჲ და საპურობო"[2].

ტყავრუს გლეხთა ვალდებულების თვით სათაურშიც მეთევზე და „მენავტე" ცალკეა დასახელებული. „არის ტყავრუს მეთევზე და მენავტე"[3].

ამ ორი ვალდებულების ამგვარად დასახელება მათ იგივეობას გამორიცხავს. მაგრამ ეს ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას სრულებით არ ეწინააღმდეგება: „მენოთე", როგორც აღვნიშნეთ, მეთევზის დამხმარე პირი არის. როცა ერთსა და იმავე გლეხს ევალება მეთევზეობა და „მენავტობა", ეს იმას ნიშნავს, რომ, ჯერ ერთი, ეს გლეხი ვალდებულია თევზი მიართვას ბატონს წლის დროთა განურჩეველად, და ამას გარდა მას მართებს მეორე ვალდებულებაც—გარკვეულ დროს (გაზაფხულზე) თევზაობის პროცესში „მენოთის" მოვალეობის შესრულება. ამით შეიძლება ავხსნათ ტყავრუს გლეხთა ვალდებულებაში მეთევზეობისა და „მენავტეობის" ცალ-ცალკე მოხსენიება.

ყოველ შემთხვევაში უექველად მხოლოდ ერთის თქმა შეიძლება: „ნავტობა" სანაოსნო ვალდებულებას გულისხმობს. შეიძლება ეს სანაოსნო ვალდებულება, როგორც აღვნიშნეთ, პერიოდულ მეთევზეობასთან („მენოთობასთან") იყოს დაკავშირებული. მაგრამ შესაძლებელია ისიც, რომ ნაჟანეულში მცხოვრებ „მენავტე" გლეხის ვალდებულება აქ გამვლელ მგზავრთა ან ადგილობრივ მკვიდრთა მდინარე ენგურზე ნავით გაყვან-გამოყვანაში გამოიხატებოდა[4].

ახლა შეიძლება სამსახურებრივ თუ მუშაობით ვალდებულებათა შორის „ნავტობის" ადგილი განვსაზღვროთ. განსვენებული მკვლევრის ლ. მუსხელიშვილის ვარაუდი სწორი ჩანს. „ნავტობა" სათაკილო სამსახური არ უნდა იყოს. პერიოდული მეთევზეობაა „ნავტობა" თუ სანაოსნო ვალდებულება, იგი არა მაღალღირსების, მაგრამ მაინც საპატიო სამსახურთა რიცხვს უნდა ეკუთვნოდეს[5].

---

[1] ს. კაკაბაძე, აფხაზეთის საკათალიკოზო დიდი იადგარი, საისტორიო მოამბე, II, ტფ., 1925, გვ. 182; დას. საქ. საეკლ. საბ., I, გვ. 105. ნაჟანეულის ადგილმდებარეობის შესახებ იხ. Н. Г. Антелава, Очерк по истории Абхазии XVII—XVIII веков, Сухуми, 1949, გვ. 9.

[2] აფხ. საქ-ხო დავთ., გვ. 39.

[3] იქვე.

[4] „ნავტობის" ასეთი გაგებისადმი ჩვენი ყურადღება გაამახვილა ისტორიის ინსტიტუტის ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის განყოფილების მეცნიერ თანამშრომელმა ზ. ანჩაბაძემ, რასაც მადლობით აღვნიშნავთ.

[5] ნაოსნობით სამსახურს უნდა გულისხმობდეს „ზავტიკით" სამსახური, რომლისათვის „აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდი დავთრის" გამომცემლ—ს. კაკაბაძეს *sic* მიუწერია (იხ. გვ. 40). „ზავტიკი"-ს პირველი ასო (ზ) კალმის შეცდომა უნდა იყოს და აქ „ნავტიკი" უნდა ეწეროს. „ნავტიკი" არის „მცირე ტივი გუდებკრული" (იხ. სულხან—საბა ორბელიანის ქართული ლექსიკონი). აქედან „ნავ-ტიკით" სამსახური „მცირე ტივით" სამსახურს უნდა ნიშნავდეს.

### 3. „მოიღი"

„მოიღი"-ს ვალდებულებაც პირველად ზემოხსენებულ წყაროში გვხვდება. შემდეგდროინდელ წყაროებში ეს ვალდებულება არ ჩანს.

XVII ს-ის პირველ ოცეულის ბაუჟელის მოსახლე გლეხთა საგადასახადო ნუსხაში ვკითხულობთ: „მართებს გინძიას საპურობო ქათამი, 2 ქანდაქი და სამოგვე, ერთი დღის ყანის შველაჲ, ლაშკრობაჲ და მგზავრობაჲ და მოიღი"-ან კიდევ: „მართებს უჩარდია სალტიას საპურობო, ქანდაქი და სამოგვე, მოიღი, ლაშკრობაჲ და სამსახური"[1]. ამათ გარდა „მოიღს" იხდის აქ კიდევ 15 კომლი გლეხი[2].

„მოიღი" მეგრული სიტყვაა და ნიშნავს მოგიტანე-ს. ძველად სამეგრელოში, როცა ავადმყოფის ან დიდი ხნის უნახავი ნათესავის სანახავად მიდიოდნენ, უსათუოდ რამე მოსაკითხი მიჰქონდათ[3]. ეს წესი ზემო სამეგრელოში ნაწილობრივ დღესაც არის შემონახული. დღესაც აქ მეზობელ ავადმყოფთან ან დიდი ხნის უნახავ ნათესავთან რომ მიდიან, თან მიაქვთ ხაჭაპური, ქათამი, კვერცხები, სასმელი, ტკბილეული და სხვ. თუ მისატანი არა აქვთ და ამის გამო ვერ მიდიან, მაშინ იტყვიან „მიოღალარი" (მისატანი) არა გვაქვსო

ამგვარად, „მიოღალარი" არის მოსაკითხი, მისართმევი ანუ ძღვენი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ XVII ს-ის „მოიღი" (მოგიტანე) შინაარსობრივად სწორედ მისართმევს, ძღვენს გამოხატავს.

დამახასიათებელია, რომ იმ გლეხების ვალდებულებაში, რომელთაც „მოიღი" მართებთ, ძღვენი არ იხსენიება და „მოიღი"-დ წოდებულ ვალდებულებას მხოლოდ ოდიშის სამთავროს ტერიტორიაზე მცხოვრებ გლეხთა გამოსაღების ნორმებში ვხვდებით.

### 4. „ალაყურტი"

„ალაყურტი", „ალაკურტი" ანუ „ყურტი", როგორც საგლეხო ვალდებულების სახე, პირველად XVII ს-ის პირველ ოცეულში შედგენილი საცაიშლო გამოსაღების დავთარში იხსენიება. სხვა წყაროებში ეს ვალდებულება არ გვხვდება.

აღნიშნულ დავთარში „ალაყურტის" გადამხდელ გლეხთა რაოდენობა ოთხი კომლით განისაზღვრება.

„მართებს ხუხუტია მეფორიას უფროს-უნცროსი საკლავი, 1 ქათამი, მისი მარილი, 1 პური, 10 ფოხალი ღვინო, 10 ნაგუშუო ატარი ღომი და ალაყურტი და გოჭკომური მისითა ღომითა, ღვინითა, ხორცითა, თევზითა, ყველითა, კვერცხითა, სამარხოთა, რაჲცა იმ დღესა მოუნდებოდეს". „მართებს ივანეს მეფორიას უფროს-უნცროსი საკლავი, 1 ქათამი, მისი მარილი, 1 პური, 8 ფოხალი ღვინო და 8 ნაგუშუო ატარი ღომი, ალაკურტი და გოჭკომური კარგი საჭმელი მისითა ღომითა, ღვინითა, ხორცითა, თევზითა, ყველითა, კვერცხითა, სამარხოთა, რაჲცა იმ დღესა მოუნდებოდეს"[4].

---

[1] აფხ. საკ-ზო დავთ., გვ. 36—38.

[2] იქვე, გვ. 36—39.

[3] ა რ კ ა ნ ჯ ე ლ ო ლ ა მ ბ ე რ ტ ი, სამეგრელოს აღწერა, თარგმანი ალ. ჰყონიასი ლ. ასათიანის რედ., თბ., 1938, გვ. 115.

[4] ს. ჯ ა ჯ ა ბ ა ძ ე, საცაიშლო გამოსაღების დავთარი, ტფ., 1913, გვ. 37.

დანარჩენი ორი კომლიდან ერთი კომლის ვალდებულება ისეა განსაზღვრული, როგორც ზემომოტანილი ნორმა, ხოლო მეორე კომლის გამოსაღებთა ნორმაში ათი „ყურტი“ არის შეტანილი[1].

„ალაყურტი“, როგორც ჩანს, არ იყო ფართედ გავრცელებული გამოსაღები. ამას მოწმობს ის, რომ საცაიშლო გამოსაღების დავთარში აღრიცხულ 363 კომლიდან ეს ვალდებულება მხოლოდ ოთხ კომლს მართებს.

„ალაყურტიც“ მეგრული სიტყვაა[2]. „ალაყურტი“ ეწოდებოდა მოხალულ და წვრილად დაფქული ღომის, სელის მარცვლის ან ყვითელი სიმინდის ფქვილისაგან თაფლში გაკეთებულ „ღომს“, რომელიც საგანგებოდ კარგად იყო მოზელილი და ზედ ნიგვზის ზეთი ან ერბო ჰქონდა გადასხმული.

დღესაც ზემო სამეგრელოში „ალაყურტი“ კარგად გაკეთებული ღომის სინონიმია. კარგად მოზელილ ღომზე იტყვიან: „ალაყურტივით“ ღომი არისო[3].

## 5. „ოზურლი“

„ოზურლი“ც პირველად აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხობის დიდ დავთარში არის დასახელებული. სხვა წყაროები „ოზურლ“-ს არ გვიჩვენებენ.

მუხურს მოსახლე გლეხს ქერებინ კიტიას მართებს: „ოზურლი საპუროობო, მგზავრობაჲ, ლაშქრობაჲ“. შურმიდგი კიტიას მართებს: „ოზურლი, საპურობო, მუშაობაჲ, ლაშქრობაჲ და მგზავრობაჲ“[4]. „ოზურლი“ მართებს კიდევ მუხურს მცხოვრებ 12 კომლსა და თილითს მოსახლე 2 კომლ გლეხს[5].

სიტყვა „ოზურლი“-ს ორ უკანასკნელ თანხმოვან ასოს ქარაგმა უზის. ეს. ქარაგმა რ-სა და ლ-ს შუა „ა“ ბგერას უნდა აღნიშნავდეს. თუ ქარაგმას გავხსნით, ეს სიტყვა ასე წაიკითხება: „ოზურალი“.

„ოზურალი“-ც მეგრული სიტყვაა. ეს კარგად ჩანს მისი თაესართიდან იგი ეხლანდელ მეგრულში ხმარებაში მიღებულ „ოზირალი-ს“ ძველ ფორმას წარმოადგენს.

მეგრული „ოზირალი“ სიტყვა-სიტყვით მოსაკრეფს ნიშნავს[6]. ამასთან დაკავშირებით ჩვენ გვაგონდება სხვა წყაროებში „მოსაკრეფი“ ან „მოსაკრეფლობის“ სახელით ცნობილი ვალდებულება. მაგალითად, ხოსია ინასარიძე 1658 წელს ცაგერის ღვთისმშობლისადმი მირთმეულ შეწირულების წიგნში ამბობს: „...ლეხიდარსა და ჯვარ დამწვარ შუა, რაც სარჯულაეი და მოსაკრეფლობა მოვიდოდა, ყველასი მესამედი ჩვენი იყო და ორი წილი ცაგერლისა. აწე ჩვენის

---

[1] ს. კაკაბაძე, საცაიშლო გამოსაღების დავთარი, გვ. 37.

[2] ალაყურტი სიტყვა-სიტყვით გადასაყლაპს ნიშნავს (ალა—თანდებული, ყურტი—ყლაპვ. იხ. И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка, СПБ, 1914, мингрельско—русский словарь, სიტყვა: ყურტუა, ყინტუა).

[3] „ალაყურტს“ ახლა სამეგრელოში იშვიათად თუ ვინმე აკეთებს. „ალაყურტის“ რაობის განსაზღვრისას ვისარგებლეთ ს. კირცხის (ჩხოროწყუს რაიონი) მცხოვრებ კახა კვირტიას (106 წლის) და ამავე სოფლის მცხოვრებ ოლიფანტე ხაქარაიას (70 წლის) ზეპირი ცნობებით, რისთვისაც მათ მადლობას მოვახსენებთ.

[4] აფხ. საკ.ხო დავთ., გვ. 31.

[5] იქვე, გვ. 31—33,35

[6] უნდა აღინიშნოს, რომ „ოზრლი“-ს და „მოიღი“-ს მნიშვნელობას გაკვრით ეხება პროფ. ს. კაკაბაძე და თუმცა დაუსაბუთებლად, მაგრამ ამ ტერმინთა სწორ გაგებას იძლევა. იხ. მისი მასალები დასავლეთ საქართველოს სოციალური და ეკონომიური ისტორიისათვის, საისტორიო კრებული, III, ტფ., 1928, გვ. 32—35.

სულის საოხად ჩვენ ყველა ასრე ხელმოხსნით შეგვიწირავს"-ო[1]. ქაიხოსრო იაშვილის XVII ს-ის მეორე ნახევრის შეწირულების წიგნში ნათქვამია: ეს გლეხები „ასრე შეგვიწირავს, რომე ჩვენი არა მიადგებოდეს რა და არც ჩვენი ელი შევიდოდეს აღაპის მეტი. ასრე განთავისუფლებით შემიწირაეს იმ ჩვენი საფლავისათვის. ვინცა ვინ წინამძღვარი იჯდეს, რაც იმ წიგნში გარიგებული აღაპი ეწეროს, ჩვენ იმას გვიზემდეს ყოველს წელიწადს უკლისად. სხვა ჩუენი იმ გლეხებს არა მიადგებოდეს რა, არა მოსაკრებლობა, არა ჩვენით კარით გამოსული არა ეთხოვებოდეს რა"ო[2].

ამავე ხანის ერთ შეწირულების წიგნში შემწირველი აცხადებს: „...ასრე განთავისუფლებით შეგვიწირავს, რომე არას კაცის ხელი არ შევიდოდეს... არა ჯურუმი, არა მოსაკრეფულობა არა ეთხოვებოდეს რა"-ო[3].

ასევე სოლომონ II ბეჟან ჯაფარიძისადმი ბოძებულ XIX ს-ის დამდეგის წყალობისა და იმედის წიგნში პირობას უდებს თავის ყმას: „...არას ჩვენის მოხელისაგან და ბოქაულისაგან შენი ყმის არც საური, არც საუდიერო, არც ხორცისა და პურის გადასახადი და არც სოფლის მოსაკრეფი რამე არ გეთხოვებოდეს"-ო[4].

როგორც მოტანილი ამონაწერებიდან ვხედავთ, „მოსაკრეფი" ანუ „მოსაკრეფლობა" საგლეხო ვალდებულების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენდა.

თუ რა იგულისხმებოდა შინაარსობრივად „მოსაკრეფლობაში", წყაროებიდან ეს ნათლად არ ჩანს. ვიცით მხოლოდ, რომ 1700 წლის ახლო ხანებში ოკრიბას „...ღვთისმშობლის კაცს საკათალიკოზოს სამოურავო მოსაკრებულო რკინა ემართა"[5].

ხოლო „სულერთობით ღვიმის შამომავალი" წერეთლიანთ „კაცი" 1784 წლამდე წერეთლიანთ სასარგებლოდ სხვა ვალდებულებათა შორის „ხორცის მოსაკრეფლობას" იხდიდა[6].

არის ერთი ცნობაც, რომელიც ქათმის „მოსაკრეფლობის" არსებობაზე უნდა მიგვითითებდეს. ქუთაისის საყდრის გამოსავლის დავთარში ვკითხულობთ: „...მართებს ბუბანს... გრძელიძესა გოგიჩასა ღვინო საბეგროთ კოკითა ორმოცდათუთხმეტი, საკლავი თორმეტის თეთრისა, თავი ბეგარა თეთრი ათი, კვერცხი ოცი, ღომი ურემი ერთი ოცდაოთხი სანაოთხალო, საბელი ერთი, როდისცა მოუნდეს, ქათამი მოვკრიფოთ და მოვახსენოთ..."[7].

ქათმის „მოკრეფა" და „მოხსენება" ქათმის „მოსაკრეფლობა" უნდა იყოს.

ამგვარად, „მოსაკრეფლობის" გადამხდელ გლეხთაგან ზოგი ამ ვალდებულებას ხორცის სახით იხდის, ზოგი რკინისა და ზოგი კიდევ ქათმის. აქედან ჩანს, რომ „მოსაკრეფლობა" ეთი განსაზღვრული სახით დადგენილი ვალდებულება არ იყო. იმ გლეხისათვის, რომელსაც „მოსაკრეფლობა" მართებდა, ბატონს შეეძლო დაეკისრებია ესა თუ ის გამოსაღები ამა თუ იმ რაოდენობით თავის საჭიროების მიხედვით. უფრო სწორად, „მოსაკრეფლობა" იყო ბატონის წინასწარ გაუთვალისწინებელი საჭიროების დაკმაყოფილებისათვის დაწესებული ვალდებულების ზოგადი სახელი. როცა ეს ვალდებულება

[1] ს. კაკაბაძე, საცაგერლოს გამოსავლის დავთარი, ტფ., 1914, გვ. 14.

[2] დას. საქ. საეკლ. სიბ., I, გვ. 74.

[3] იქვე, გვ. 72.

[4] ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის საბუთი, № 1183.

[5] დას. საქ. საეკლ. სიბ., I, გვ. 100.

[6] ქუთ. სიბ. ისტ. მუზ. სიბ., № 81.

[7] ე. თაყაიშვილი. დავთარი ქუთათისის საყდრის გამოსავალი ბეგრისა..., გვ. 35.

ბატონის საჭიროების შესაბამისად კონკრეტული სახით დგინდებოდა, მაშინ მას ამ კონკრეტული შინაარსის გამომხატველი სახელიც ემატებოდა, ისე როგორც, მაგალითად, ხორცის ან რკინის მოსაკრეფლობა და სხვ.

ვფიქრობთ, რომ „ოზირალი“ როგორც სიტყვა-სიტყვით, ისე შინაარსობრივადაც „მოსაკრეფს“, ანუ „მოსაკრეფლობას“ უნდა უდრიდეს.

О. Н. СОСЕЛИА

## КРЕСТЬЯНСКИЕ ПОВИНОСТИ В ЗАПАДНОЙ ГРУЗИИ В XVII В.

**Резюме**

В нормах крестьянских повинностей XVII в. встречаются такие термины, значение которых в настоящее время не ясно. Таковы, напр.: «хмели бегара», «навтоба», «моиги» („მოიღი“), «алакурти» („ალაყურტი“), «озурли» и др. Необходимо установить значение этих терминов для того, чтобы ясно представить сущность повинностей крепостных крестьян и степень их эксплуатации.

Статья ставит своей целью выяснение значения указанных выше терминов.

Установлено:

1. «Хмели бегара» представлял собой повинность в виде копченной свинины («шашхи»);

2. «Навтоба»—обязаннось обслуживания лодок по реке. Возможно. также, что данная обязанность была связана с периодическим рыболовством.

3. „Моиги» („მოიღი“) означал подарок, приношение;

4. «Алакурти» („ალაყურტი“)—«гоми», сделанное в мёде из муки поджаренных зёрен кукурузы, льна или просо и заправленное маслом.

5. «Озурли»—подлежащее сбору с крестьян в пользу помещика.

გ. აკოფაშვილი

# აზნაურთა უფლებრივი მდგომარეობის საკითხისათვის XV—XVIII სს. საქართველოში

აზნაურთა სოციალური ფენის მდგომარეობა გვიანფეოდალურ საქართველოში ქართულ ისტორიოგრაფიაში ცალკე კვლევის საგნად არ ყოფილა. მკვლევრები ამ საკითხს სხვა საკითხებთან დაკავშირებით იხილავდნენ.

ის მკვლევრები, რომლებიც სათავადოთა შესწავლაზე მუშაობდნენ, სხვათა შორის ეხებოდნენ სათავადო აზნაურების საკითხსაც.

პროფ. ნ. ბერძენიშვილმა თავის გამოკვლევაში «Очерк из истории феодальных отношений в Грузии XIII—XVI века»[1] ზოგადი დებულებები გამოთქვა აზნაურთა ფენის შესახებ XIII—XVI საუკუნეების საქართველოში. ეს დებულებები ჩვენთვის ამოსავალი იყო საკითხის კვლევის დროს.

აზნაურთა ფენის, როგორც გარკვეული სოციალური ძალის, შესწავლა საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს.

ფეოდალურად დაქუცმაცებულ ქვეყანაში ცხოვრების მომწესრიგებლის როლში სამეფო ხელისუფლება გამოდიოდა. მეფე იბრძოდა დაშლილი სახელმწიფოს გაერთიანებისათვის, რასაც ქვეყნის შემდგომი წინსვლის ინტერესები მოითხოვდა, იბრძოდა ძლიერი თავადების, როგორც ქვეყნის დამშლელი ძალების, ალაგმვისათვის. ამ ბრძოლაში სამეფო ხელისუფლების ერთ-ერთ დასაყრდენად საქალაქო ფენებთან ერთად აზნაურობა უნდა ყოფილიყო.

აზნაურები, როგორც წვრილი ფეოდალები, ძლიერად საჭიროებდნენ ცენტრალური ხელისუფლების დახმარებას თავიანთი კლასობრივი ბატონობის განხორციელებისათვის. მეფის ხელისუფლების მფარველობა მათთვის საჭირო იყო იმიტომაც, რომ თავი დაეცვათ ძლიერ თავადთა შემოტევებისაგან. ერთი სიტყვით აზნაურობა დაინტერესებული იყო მტკიცე ცენტრალური ხელისუფლების არსებობაში და ამიტომ ცენტრალური ხელისუფლებაც თავის მხრივ დასაყრდენს ამ სოციალურ ფენაში ეძებდა.

ამრიგად, აზნაურთა ფენის შესწავლის საკითხი დაკავშირებულია სამეფო ხელისუფლების დასაყრდენი ძალების რაგვარობის, მათი სისუსტე-სიძლიერის გამოკვლევის საკითხთან.

ირკვევა, რომ აზნაურთა ფენა გვიანფეოდალურ საქართველოში თავისი სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობით მეტად სუსტია. ამ ფენის მთავარი სისუსტე იმაში მდგომარეობს, რომ იგი არ შეადგენს ერთ მთლიან ძალას. აზნაურთა დიდი უმრავლესობა დამორჩილებული ჰყავთ თავადებს. დამოუკიდებელი აზნაური ამ დროისათვის აღარ არსებობს. აზნაუ-

[1] გვ. 38—39.

რები ეკუთვნიან ან თავადს, ან ეკლესიას და ან მეფეს[1]. სათავადო და საეკლესიო აზნაურებთან შედარებით სამეფო აზნაურების რიცხვი გაცილებით მცირეა, ხოლო სათავადო აზნაურებსა და მეფეს შორის თავადია ჩამდგარი. თავადებს ძლიერად ჰყავთ დამორჩილებული თავიანთი აზნაურები. სათავადოში აზნაურები შეადგენდნენ სამხედრო ძალას და ქმნიდნენ მის სამოხელეო აპარატს. აზნაურთაგან შემდგარი რაზმები უზრუნველყოფდნენ ფეოდალთა ბატონობას თავიანთ ყმებზე[2]. გარდა ამისა, აზნაურთა სამხედრო რაზმები ქმნიდნენ თავადების ხელში იმ სამხედრო ძალას, რის საშუალებითაც ეს თავადები ებრძოდნენ სამეფო ხელისუფლების ცდებს მიმართულს ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანებისაკენ. ამრიგად, თავადთა ყმობაში მოქცეული აზნაურობა გადაიქცა ისეთ ძალად, რომელიც ამტკიცებდა სათავადოს, მის ძლიერებას და უადვილებდა თავადს ქვეყანაში ფეოდალური დაქუცმაცებულობის შენარჩუნებისათვის ბრძოლას.

სათავადო აზნაურებს შორის არსებობდა მისწრაფება სამეფო აზნაურებად გახდომისა, რადგანაც სამეფო აზნაურს სოციალური და ეკონომიური დაწინაურების უფრო მეტი შესაძლებლობა ჰქონდა[3]. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ აზნაურები, როგორც ფეოდალთა კლასის წარმომადგენლები, პირადად თავისუფალნი იყვნენ, მათი წასვლა თავადისაგან არც თუ ისე ადვილი იყო. აზნაურები თავადებისადმი მჭიდრო ეკონომიურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ. უმეტეს შემთხვევაში ისინი ვერ ახერხებდნენ მათგან თავის დაღწევასა და მეფის ყმობაში გადასვლას.

პროფ. ნ. ბერძენიშვილი თავის ნაშრომში «Очерк из истории феодальных отношений в Грузии XIII—XVI вв.» აღნიშნავს: «Отказаться» от своего патрона и отойти к другому азнаур может лишь отказавшись от пожалованных ему во владение патроном земли и крестьян. Но и после этого отход азнаура, тем более, если он «мквидри», связан с трудностями... Не только пожалованное, но и все недвижимое имение азнаура—вассала патрони склонен со временем рассматривать как достояние своего «дома» и в случае отхода вассала он посягает и на эту часть его собственности. Патрони противиться отходу вассала»[4].

---

[1] «Независимых, сидящих лишь на собственных последственных вотчинах азнауров к этому времени, как общее явление давно уже нет. Азнауры являются либо царскими, либо церковными, либо княжескими» (Н. Бердзенишвили, Очерк из истории феод. отношений Грузии XIII—XVI вв. стр. 38).

[2] «Иерархическая структура земельнсй собственности и связанная с ней система вооруженных дружин давали дворянству власть над крепостными». (К. Маркс и Ф. Энгельс, Немецкая идеология, Сочин., т. IV, გვ. 14).

[3] «Царские азнауры несут те же функции, что и азнауры церкви или княжеские, но, понятно, царские азнауры находятся в сравнительно лучших условиях, чем их социальные собратья. Возможностей экономического усиления и социального возвышения у царского азнаура больше» (Н. Бердзенишвили, Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии XIII—XVI вв. стр. 39).

[4] ასეთივე დასკვნამდე მიდის დოც. დ. გვრიტიშვილი თავის სადოქტორო დისერტაციაში („სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან ჭვიანფეოდალურ საქართველოში. ქართლის სათავადოები". გვ. 445). იგი წერს: „...აზნაურს უფლება აქვს წავიდეს ბატონისაგან. ეს უფლება, როგორც ჩანს, უფრო ფორმალური ხასიათისაა, რადგან წასვლა დაკავშირებულია მფლობელობასთან. იგი თუ წავა იმ ყმა-მამულს, რომელიც მას უბოძეს, თავის ძველ პატრონს უტოვებს კანონი. მეტიც, თუ აზნაური „მკვიდრია", მაშინ წასვლის შემთხვევაში აზნაურების მთელი უძრავი ქონება პატრონს რჩება". შ. ხანთაძესაც თავის საკანდიდატო დისერტაციაში („სოციალური ბრძოლის ისტორიიდან საქართველოში XIX საუკუნის დასაწყისს, სათავადო

წინამდებარე წერილი მიზნად ისახავს არსებული მასალების საფუძველზე განიხილოს საკითხი, თუ რამდენად შეეძლო აზნაურს დაეტოვებინა თავისი ბატონი და სხვას ყმობოდა, რამდენად სარგებლობდა იგი პირადი თავისუფლებით. ამ საკითხის გადასაწყვეტად ვცდილობთ პასუხი გავცეთ შემდეგ კითხვებს: რა მდგომარეობაშია აზნაურის ეს უფლება სახელმწიფო სამართლის მიხედვით, როგორ უყურებს მას თავადი და ამის შედეგად რა რეალური შესაძლებლობა აქვს აზნაურს ამ უფლების ცხოვრებაში განხორციელებისათვის.

საკანონმდებლო ძეგლებში აზნაურთა აღნიშნული უფლების შესახებ არავითარი მითითება არა გვაქვს, რაც სრულიად გასაგებია. აზნაურის პირადი თავისუფლება იყო ბუნებრივი, უდაო უფლება ფეოდალური კლასისა, რომელსაც ეს ფენა ეკუთვნოდა და მას საგანგებო აღნიშვნა არ ესაჭიროებოდა. მხოლოდ XIX საუკუნის დამდეგს დავით ბატონიშვილის მიერ რუსულ ენაზე შედგენილი ქართული სამართლის მიმოხილვაში («Обозрение Грузии по части прав и законоведения»), სადაც ფეოდალური საზოგადოების არაერთი დაუწერელი კანონი თუ სახელმწიფო წყობილების ნიშანი არის ჩაწერილი, სათავადო აზნაურების შესახებ ვხვდებით ასეთ განცხადებას: «Княжеские дворяне в лице и фамилии своей суть свободны. Они имеют волю избирать местопребывание и пользуются всеми преимуществами благородному грузинскому дворянству присвоенными»[1]. დავით ბატონიშვილის ეს სიტყვები, ისე როგორც ზოგიერთი სხვა ადგილი მისი თხზულებისა, უფრო სახელმწიფო ნორმას გამოხატავს, ვიდრე რეალურ ვითარებას სახელმწიფოში. ქართული სახელმწიფოს დაუწერელი კანონის მიხედვით მართლაც ასე ითვლებოდა— აზნაურს შეეძლო თავისი ნებით დაეტოვებინა ბატონი და ვისთანაც სურდა მას მისვლოდა ყმად. მაგრამ რეალურად ისეთი ვითარება იყო შექმნილი, რომ აზნაურს რიგ შემთხვევებში უჭირდა თავისი უფლებების ცხოვრებაში განხორციელება.

XVIII საუკუნის სასამართლო აქტებში საჭირო გამხდარა აზნაურის თავისუფალი წასვლის უფლების საგანგებო დადასტურება, აღნიშვნა იმისა, რომ აზნაური შეიძლება წაუვიდეს თავის ბატონს (ჩანს, ეს საკითხი სადაოდ იყო ქცეული ზოგიერთისათვის). სასამართლო დოკუმენტებში აზნაურთა ამ უფლების აღიარებისას შენიშნავდნენ, რომ აზნაურს ბატონისაგან წასვლის უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში ჰქონდა, თუ თავის ყმა-მამულს ბატონს დაუტოვებდა. 1795 წლის ერთ სასამართლო განაჩენში, რომელსაც ხელს აწერს ერეკლე II, ვკითხულობთ: „აზნაურიშვილს რომ თავისმა მებატონემ ყმა ან მამული გაუყიდოს, ან ჩამოართოს და ან კიდევ თითონ აზნაურიშვილმა თავის ნებით ყმასა და მამულზე ქელი აიღოს და თავისის მამულიდამ ადგეს, თავის მებატონეს საქმე აღარ ექნება“[2].

აზნაურების საკითხისათვის“) აღნიშნული აქვს შემდეგი: „გვიანფეოდალურ ხანაში აზნაურს თავადისაგან წასვლის უფლება შეუნარჩუნებია... თუ კი აზნაური დაუტოვებდა თავის პატრონს ნაწყალობევ უძრავ ქონებას და ყმებს, მას უფლება ჰქონდა წასვლოდა ბატონს“. უფრო ქვემოთ დასძენს: „ფაქტიურად აზნაურის პირადი თავისუფლებაც შელახულია. თავადი ხელს იწვდის აზნაურის პიროვნებაზეც“ (გვ. 28).

[1] Царевич Давид. Обозрение Грузии по части прав и законоведения, § 242. ეს ძეგლი ხელნაწერის სახით გაგვაცნო მეცნ. თანამშრომელმა აპ. როგავამ, რომელიც მას გამოსაცემად ამზადებს.

[2] საქ. ც. არქ. ფ. 226, № 873.

აზნაურის პირადი თავისუფლება ერთ-ერთი მთავარი ნიშანთაგანია, რაც განასხვავებს აზნაურს გლეხისაგან. ეს ნიშანი მკაფიოდ მოჩანს XVIII საუკუნის მეორე ნახევრის სასამართლო განაჩენებში. მოვიტანთ ერთ-ერთ ასეთ საბუთს, რომელიც წარმოადგენს განაჩენს, დადებულს აზნაურ ქვლივიძესა და კაკაბეთის მფლობელ მემამულეს შორის წარმოებულ დავაზე.

სვიმონ და გოგია ქვლივიძის მამა ოთარი ქართლიდან კახეთს გადასულა ვახტანგ VI დროს და იქ დასახლებულა. მყრელობის დროს ოთარ ქვლივიძე ქართლში დაუბრუნებიათ. ოსმალობის დროს მისი შვილები სვიმონ და გოგია ისევ აყრილან და კახეთს მისულან. იქ მანავს დამდგარან სამეფო ყმად, ხიზნად. მას შემდეგ 50 წელი გასულა. ახლა კაკაბეთის პატრონი წამოდავებია ამ ქვლივიძეებს. სამართალი სამეფო კარზე მყოფ მდივანბეგებს გაუჩენიათ, სასამართლომ აღიარა, რომ კაკაბეთის პატრონს არავითარი უფლებები არა აქვს ქვლივიძეებზე და ეს ასე დაასაბუთა: ერთი, რომ „კაკაბეთიდამ აყრილი დიდს ხანს ქართლში მდგარა, მერმე კაკაბეთს აღარ მისულა, მანავს უყოფილა და დღეს ორმოცდაათი და კიდევ მეტი წელიწადია ჭელმწიფის ყმად არის. კაკაბეთს აღარ მისულა; მეორედ, რომ აზნაურშვილია, თავისუფლება აქვს, გლეხკაცურად ვეღარ იყმობენ“[1]. განაჩენს აზის მდივანბეგების ბეჭდები; იგი დამტკიცებულია მეფე ერეკლე II-ის მიერ.

მოტანილ განაჩენში სრულიად მკაფიოდ და უცილებლად არის აღიარებული აზნაურის პირადი თავისუფლება. მაგრამ სხვა საკითხია, თუ როგორ იყენებს აზნაური ამ უფლებას ცხოვრებაში და ნამდვილად შეუძლია თუ არა მას ასეთი თავისუფლების მოპოვება.

აზნაურის ბატონისაგან წასვლა დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. უმთავრესი დაბრკოლება არის ის, რომ აზნაური ეკონომიურად ძლიერად არის დამოკიდებული თავის ბატონისაგან. ზემოთ ციტირებული 1795 წლის სასამართლო განაჩენიდან ცხადად ჩანს, რომ აზნაური თავისუფალია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თავის „ყმასა და მამულზედ ხელი აიღო და თავისის მამულიდამ ადგა“. ამრიგად, ბატონისაგან წასვლის შემთხვევაში აზნაური კარგავს თავის სამკვიდრო მამულს. სამკვიდრო ყმა-მამულის დაკარგვა ეს ისეთი დაბრკოლება იყო, რომელიც ნებას არ აძლევდა, ხელს უშლიდა აზნაურს წასულიყო ბატონისაგან, აიძულებდა მას ბატონის მორჩილებაში დარჩენილიყო, მისთვის ემსახურა. აქ ძლიერად მეღავნდება აზნაურის ეკონომიური დამოკიდებულება ბატონისაგან, ის რომ თავადს აზნაური ეკონომიურად ჰყავს დამორჩილებული. აზნაურისა და მისი სენიორის ურთიერთდამოკიდებულებაში შესანიშნავად დასტურდება ცნობილი დებულება, რომ მიწის ფეოდალური საკუთრება წარმოადგენს ფეოდალური ურთიერთობის საფუძველს[2]. სენიორისა და მისი აზნაურის ურთიერთდამოკიდებულებაც მიწის-მფლობელობის საკითხზეა დაფუძნებული. აზნაური არ იყო თავისი ყმა-მამულის ერთადერთი მესაკუთრე. აზნაურის ყმა-მამულზე საკუთრების გარკვეული უფლებები გააჩნდა აზნაურის მებატონესაც. ჩვენ აქ საქმე გვაქვს საკუთრების

[1] საქ. ც. არქ. ფ. 226, № 867.

[2] ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, 1952, გვ. 45 („რა თქმა უნდა, გარეშე ეკონომიური იძულება როლს ასრულებდა მემამულე-მებატონეების ეკონომიკური ძალაუფლების განმტკიცების საქმეში, მაგრამ იგი კი არა, არამედ მიწის ფეოდალური საკუთრება წარმოადგენდა ფეოდალიზმის საფუძველს“).

იმ ფორმასთან, რომელიც იურიდიულ ლიტერატურაში დანაწევრებული საკუთრების (dominum divisum) სახელწოდებას ატარებს. ბატონის უფლებები აზნაურის ყმა-მამულზე შემდეგი გარემოებებით მტკიცდება: აზნაურს არა აქვს თავისი ყმა-მამულის თავისუფალი გასხვისების უფლება. თავისი ყმა-მამულის გაყიდვის, ანდერძად გაცემის, შეწირვის თუ სხვა მისთანა შემთხვევაში აზნაურმა ნებართვა უნდა აიღოს თავის ბატონისაგან; როდესაც აზნაური არ დგას თავის მამულზე, ტყვედ არის ჩავარდნილი, თუ წასული და დაკარგულია სადმე, ბატონი მის ყმა-მამულს თავისად სთვლის და თავისთვის იხმარს, ყიდის ან წყალობად გასცემს (თუმცა, აზნაურის ტყვეობიდან დაბრუნების შემთხვევაში ბატონი ვალდებულია დაუბრუნოს ან მისცეს სანაცვლო ყმა-მამული); თუ აზნაური რაიმე მძიმე დანაშაულს ჩაიდენდა, ბატონს უფლება ჰქონდა ჩამოერთმია მისთვის ყმა-მამული; უძეოდ გარდაცვლილი აზნაურის ყმა-მამული მთლიანად ბატონის ხელში გადადიოდა[1]. მაგრამ ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ აზნაურის განკარგულებაში მყოფი საკუთრების სხვადასხვა სახეობანი, რადგან აზნაურის ბატონი ყმის ყოველგვარ საკუთრებას ერთნაირად ვერ შეეხებოდა. აზნაურის ყმა-მამული საკუთრების ხასიათის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდებოდა: 1. სამკვიდრო ყმა-მამული, 2. ბატონისაგან ნაწყალობევი და 3. ბატონისაგან დამოუკიდებლად ნაშოვნი, პირადი გარჯით შეძენილი ყმა-მამული (ნასყიდი, ნასისხლი, ნამხითვი, ნაჯილდოები...). განსხვავება საკუთრების ამ სამ სახეობას შორის ნათლად შეიმჩნევა აღებული ხანის საბუთებში. მოვიტანთ ზოგიერთ ასეთ საბუთს: 1441 წლის შეწირულობის წიგნით მეფე ალექსანდრე I სწირავს სვეტი-ცხოველს მაკუპას-ძეთ თავიანთი ყმა-მამული. ალექსანდრე მეფე ამ მაკუპას-ძეთ მცხეთისშვილად სვაძს და ასე აღნიშნავს: „ესრე და ამა წესითა შეგწირენ, რომე მცხეთისშვილად დაგსხენ... თქუენით მკუიდრითა მამულითა და ნასყიდითა მამულითა და ჩუენგან ბოძებულითა ერწოულითა მამულითა და სოფლითა შემოწირვითართ...“[2]. ამრიგად, აქ ცალ-ცალკეა მოხსენებული „მკუიდრი მამული“, „ნასყიდი მამული“ და „ჩუენგან (ამ შემთხვევაში მეფისაგან, გ. ა.) ბოძებული მამული“.

ერეკლე II-ის მიერ მანუჩარ ყორღანაშვილისადმი მიცემულ წყალობის წიგნში, რომლითაც ერეკლე II უბოძებს ყორღანაშვილს პაპამისის ყმა-მამულს, ხათქვამია: „...სადაც პაპაშეხს შალუტას-შვილს თამაზას ყმა ჰყოლია და მამული ჰქონებია სამკვიდრო, ნასყიდი თუ უსყიდი და ან თუ მებატონისაგან ნაწყალობევი ჰქონოდეს, თავისის სამართლიანის სამძღვრით... შენთვის და სახლისა შენისა მომავლისათვის გვიბოძებია“[3].

ქაიხოსრო და იოსებ ნახუცრიშვილების მორიგების წიგნში, სადაც ქაიხოსრო ნახუცრიშვილი თავის ბიძაშვილს თაეიანთ მამულებში წილს უდებს, ნათქვამია: „თუ მამა-პაპის ნაქონი მამული კავთიჴევს სალაპარაკო

---

[1] საკითხი აზნაურის საკუთრების უფლების შესახებ თავის ყმა-მამულზე ცალკე და დიდი საკითხია, რომლის დეტალურად გამოკვლევას აქ ვერ შევუდგებით, ვინაიდან თემის ფარგლები და წერილის მოცულობა ამის საშუალებას არ გვაძლევს. ამიტომ აქ, ამ შემთხვევაში, ზოგადად და ფაქტიური მასალის მოტანის გარეშე, ხოლო ქვემოთ მოკლედ და მცირეოდენი ფაქტიური მასალის მოშველიებით ვიხილავთ აზნაურის საკუთრების უფლებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

[2] ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, წ. III. № 22.

[3] ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, წ. III, № 191, გვ. 168.

ან ნაწყალობევი, ან ნასყიდი და შემატებული გამოვიტანოთ ვისგანმე რამე, იმისიც მეხუთედი წილი მოგეცეს“ [1].

ნიკოლაოს კანდელაკი თავის ანდერძის წიგნში (1798 წ.) წერს: „...ჩემდა დამმარხველად და მომვლელად... ოქროპირი დავადგინე და ჩემდა შვილად ავიყუანე და ჩემი მამისეული, ან ბატონის წყალობა, ან ჩემი ხელით მონაგარი რაც მქონდა გლეხები, ადგილ-მამული, ვენახი, ტყე, ამ მტკიცე წერილით მივეცი“ [2].

ამრიგად, აზნაურის ყმა-მამული ზემოაღნიშნულ სამ ძირითად სახეობად შეიძლება დავყოთ.

ნაწყალობევი ქონება აზნაურის ყველაზე უფრო მერყეევი საკუთრება იყო. ასეთი სახის ქონების უკან წაღება ყოველთვის შეეძლო მწყალობელს. ამის მაგალითები საბუთებში ხშირია. მოვიტანთ მხოლოდ ერთ საბუთს, რომლითაც განსაკუთრებით ნათლად ჩანს ნაწყალობევი მამულის ამგვარი ხასიათი, მისი განსხვავება სხვა სახის საკუთრებისაგან: ერეკლე II ბრძანებას აძლევს შარტყოფის მოურავს სულხანს, რომ ცმაგურის-შვილის ბეითალმალი მიწა, რომელიც მან, ერეკლემ, ჩიტრეკაშვილს უბოძა, ახლა თუშმალ გაბრიელისათვის უბოძებია და ამ გაბრიელს უნდა მოაბაროო. მაგრამ აქვე დასძენს: თუ ეს მიწა ჩიტრეკაშვილის „მამისა და პაპის სამკვიდრო იყოს, მოგვახსენოს და ვერ გამოვართმევთ. თუ ჩვენგან მიცემული არის, აქ ორი ზომა გამოგვართოს და ეგ მიწა მაგას დაანებოსო“ [3].

ამ საბუთით კარგად შეიმჩნევა ნაწყალობევი ქონების ეს არამტკიცე ხასიათი. მწყალობელს შეუძლია თავისი სურვილის მიხედვით, თუ საჭიროდ დაინახავს, ადვილად წაიღოს უკან ნაწყალობევი ქონება, ანდა, უფრო ხშირად—გამოცვალოს იგი სხვა წყალობით, იმ დროს, როდესაც სამკვიდრო ქონებას ასე თავისუფლად ვერ მოეპყრობა. ცხადია, აზნაურის საკუთრების უფლება ბატონისაგან ნაწყალობევ ყმა-მამულზე მეტად შეზღუდულია. ბატონთან ახლადმისული აზნაურის ქონება ჩვეულებრივ მთლიანად ასეთი სახის საკუთრებისაგან, ნაწყალობევი ქონებისაგან, შესდგება. ამიტომაა, რომ ასეთ აზნაურს თავისი ყმა-მამულის გაყიდვის უფლება არ გააჩნია. ერთ-ერთ საბუთში ვკითხულობთ: „მაჰავარიანი (ქართლში გადმოსული იმერეთიდან, ეყმო ფალავანდიშვილს. გ. ა.) მოსული კაცია, ის მამულს როგორ გაჰყიდის“ [4].

აზნაურის სამკვიდრო ყმა-მამული ეს ისეთი სახის ქონებაა, რომელსაც ეს აზნაური ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და რომელშიც შესულია როგორც ნაწყალობევი, ისე მისი საკუთარი, ე. წ. „თანმოყოლილი“ ყმა-მამული და სხვა. დროთა განმავლობაში მან დაისაკუთრა ნაწყალობევი ყმა-მამული. ბატონი ასე ადვილად ვეღარ წაიღებს უკან ამ ყმა-მამულს. ზემოთ მოტანილ საბუთში სამკვიდრო ქონების ეს შედარებით უფრო მტკიცე ხასიათი კარგად მოჩანს: თუ „მამისა და პაპის სამკვიდრო იყოს, მოგვახსენოს და ვერ გამოვართმევთ“, აღნიშნავს მეფე თავის ბრძანებაში [5].

სამკვიდრო ქონების შედარებით უფრო მტკიცე ხასიათს შესანიშნავად მოწმობს ერეკლე II-ის სიტყვები გამოთქმული აზნაურ ბაქრაძისადმი მიცემულ განაჩენში. ამ განაჩენს ერეკლე II ასეთ დასკვნას აწერს: „ქ. რადგან ამ

[1] საქ. მუზ. Qd № 2169.
[2] საქ. მუზ. Ad № 1570.
[3] საქ. ც. არქ. ფ. 226, № 459.
[4] საქ. მუზ. Hd № 1774.
[5] საქ. ცენტრ. არქივი ფ. 226, № 459.

ბაქრაძის მამა და პაპა დიდი ხნის დასახელებული არის მერეს მამულზედ, სამართლით არც მამული გამოერთმევა ამ ბაქრაძესა. ალავერდის ყმობისა მეფის ალექსანდრეს გუჯარი აქვს და მამულზედ ა(მ) მოწმე(ე)ბს უფიცავს, რომ ამთონს თაობას გაუვლია და ამას მამული როგორღა წავართოთ“ [1]. ეს უკანასკნელი სიტყვები შესანიშნავად ადასტურებს სამკვიდრო საკუთრების თავისებურ სიმტკიცეს.

მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ „მკვიდრი“ მამული აზნაურის სრული საკუთრება იყო.

ვახტანგის სამართლის ერთ-ერთ მუხლში საგანგებოდ აღნიშნულია, რომ აზნაურს, იქნება ის სამეფო თუ სათავადო, უფლება არა აქვს ბატონის დაუკითხავად გაჰყიდოს თავისი ყმა-მამული [2]. დაახლოებით ასევეა აღნიშნული ერეკლე II-ის ერთ სასამართლო განაჩენშიც [3]. ეს კანონი ძირითადად სწორედ აზნაურის სამკვიდრო ქონებას შეეხება.

ნაწყალობევი და სამკვიდრო საკუთრების გარდა აზნაურს გააჩნია კიდევ ნასყიდი, ნამზითვი, ნასისხლი, საჯილდაოდ ნაშოვნი და საერთოდ პირადად, თავისი გარჯით, „ქარგკაცობით“ მოპოვებული, თავისი ხელით მონაგარი ქონება. ასეთი ქონების განსხვავებული ხასიათი კარგად ჩანს საბუთებში, ერთ საბუთში ვკითხულობთ: „ლაპარაკი ჩამოვარდა რუისის ღ(ვ)თაების სასაფლაოზედ. კლიმიას-შვილები ამბობდენ: ბატონის ჩვენისაგან არ მოგვცემია, ჩვენის კაცობით გვიშოვნია საჯილდაოთა“ [4]. როდესაც კლიმიაშვილები ასე დაჟინებით ცდილობენ დაამტკიცონ და ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ეს სადაო ადგილი თავიანთი ბატონისაგან მიღებული წყალობა კი არაა, არამედ ბატონისაგან დამოუკიდებლად, მათი „კაცობით“ ნაშოვნი საკუთრებაა („საჯილდაო“), ჩანს, მათთვის დიდი მნიშვნელობის ამბავია ამის დამტკიცება და ამ ადგილის „საჯილდაოდ“ შოვნის ფაქტი მათი უდაო უფლებების დამადასტურებელი უნდა ყოფილიყო.

აზნაურის პირად, უცილებელ საკუთრებას წარმოადგენს მისი ნასყიდი ყმა-მამული. ეს აზნაურის ყველაზე მტკიცე საკუთრებაა.

ნასყიდი ქონების სიმტკიცის დამადასტურებელ გამოთქმებს, საერთოდ, იურიდიულ აქტებში არაიშვიათად ვხვდებით: „ნასყიდობა არავის მოშლიაო“, აღნიშნავენ თავადები, „ნასყიდობა არ მოიშლებოდაო“, შენიშნავს მეფე თავის ერთ-ერთ სასამართლო განაჩენში [5], „ნასყიდობა არავის წართმეიაო“ [6], აცხადებს გლეხი თავის არზაში. ნასყიდი ქონების სიმტკიცე და ხელუხლებლობა დაცულია კანონით. ვახტანგის სამართალში ნათქვამია: „თუ კაცმან ნასყიდობა ქნას მამული, სოფელი, საქონელი, თუ პირუტყვი, დიაღ ალალი შესარჩენი საქმე არის, ბატონის მეტი კაცი ვერ მოუშლის და თუ ბატონი გაუწყრეს,

---

[1] საქ. ც. არქ. ფ. 226, № 359.

[2] „კელმწიფის სახასოს აზნაურიშვილისას და სახასო გლეხისას ხელმწიფის უდასტუროდ თავადი, ნურც თავადის ყმა თავისი ბატონის უბეჭდოდ ნურავინრას გაყიდის, თორემ მისი მებატონე არ იყაბულებს, მამულს თვითან დაიჭერს და ფასს მიმსყიდველს სთხოვს“ (დ. ჩუბინიშვილი, კრებულმთია, 1848 წ., გვ. 428, § 163).

[3] „საქართველოს რიგით და წესით ასრე გავარიგეთ და დადებულიც ასრე არის, თავისის ბატონის უდასტუროდ ვერა კაცი მამულს ვერ იყიდის და ვერც გაჰყიდის“ (საქ. ც. არქ. ფ. 226, № 607).

[4] ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, წ. III, № 12.

[5] საქ. მუზ. dH № 4135.

[6] საქ. ც. არქ. ფ. 226, № 467.

სულს გარდა ყველაზე ხელი მიუწვდება, მაგრამ ბატონსაც ეს მართებს, სხვა რიგად, რომ კაცმან კაცს გარდაახდევინოს, ნასყიდი მაინც არ უნდა მოუშალოს“ [1]. ასე რომ, დანაშაულის შემთხვევაში, მართალია, მეფეს შეუძლია უკლებლივ მთელი ქონება ჩამოართვას დამნაშავეს, მაგრამ კანონი ურჩევს მას, რომ, როგორც არ უნდა დასაჯოს დამნაშავე, „ნასყიდი მაინც არ უნდა მოუშალოს“.

ნასყიდი მამულის სრული, შეუზღუდველი საკუთრების ხასიათი გამოხატულია იმ ფორმულაში, რომელიც ჩვეულებრივ იხმარებოდა ხოლმე ნასყიდობის აქტებში: „გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან, როგორც სხვას ალალს მონასყიდეს მოხმარებოდეს. ხელგეწიფოდეს გასასყიდად, გასამზითვად, თუ რითაც ფერად გინდოდეს“. ამ ფორმულაში დადასტურებულია ნასყიდი ქონების თავისუფალი გაყიდვის, გამზითვების, საერთოდ გასხვისების უფლება.

აზნაურის ნასყიდი ყმა-მამულიც ასეთივე განსაკუთრებულ მდგომარეობაშია (მისი ნამზითვიც, ნასისხლიც და სხვა მისთანა, ბატონისაგან დამოუკიდებლად ნაშოვნი ქონება). ასე მაგალითად, ბატონი ვერ ეუკრძალავდა აზნაურს ნასყიდი ყმა-მამულის გაყიდვას თუ გაანდერძებას, სამკვიდრო და მით უფრო ნაწყალობევი ყმა-მამულის გასხვისება-გაყიდვის საკითხში კი აზნაური თავისი ბატონის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული. ბატონს უფლება ჰქონდა ეკრძალა თავისი აზნაურისათვის ასეთი ყმა-მამულის გასხვისება და უფლება ჰქონდა დაერღვია ნასყიდობის აქტი, თუკი იგი მისი ნებართვის გარეშე იყო შედგენილი. ამის დამადასტურებელი არაერთი საბუთი მოგვეპოვება [2].

აზნაურის ნასყიდი ყმა-მამული კი ამ მხრივ რამდენადმე განსხვავებულ მდგომარეობაში იყო. მართალია, ვახტანგის სამართლის იმ მუხლში, რომელიც ზემოთ მოვიტანეთ, საუბარია აზნაურის ყმა-მამულზე საერთოდ და არაფერია ნათქვამი, თუ რა უფლებები გააჩნია აზნაურს კერძოდ თავისი ნასყიდი ქონების მიმართ, მაგრამ საბუთების მიხედვით შესაძლებელი ხდება გარკვეული დასკვნის გამოტანა იმის შესახებ, თუ რამდენად აქვს აზნაურს თავისი ნასყიდი ქონების თავისუფალი გაყიდვის უფლება. ამ მხრივ საინტერესოა ნასყიდობის წიგნი, გაცემული სომხითის აზნაურის გიორგი იაგულაშვილის მიერ. იაგულაშვილმა გიორგიმ ჯელფეჯას ვენახი მიჰყიდა. ნასყიდობის წიგნში იგი აღნიშნავს: „ერთი ესე, რომე ჩემიც ნასყიდი იყო ეს ვენახი და ძლევის მთავარმოწამის შეწირული იყო. ბატონს ჯელი არ ქონდა, არ აქს. მეც ასრე შენთვის მომიყიდია, ჯელი არა აქვს“ [3].

როგორც გამყიდველი აღნიშნავს, გაყიდული ვენახი მისი ნასყიდი ყოფილა და ამიტომ მის ბატონს „ხელი არა ჰქონია“. მაგრამ საინტერესო და ნიშანდობლივია, რომ ამ საბუთს აშიაზე ასეთი მინაწერი ახლავს: „მე ედიშერს ამისი ყაბული მაქვს. ამისი მოწამე გერმანოზიშვილი კაცია“. ცხადია, ეს ედიშერი, თავის თანხმობას რომ აღნიშნავს საბუთში, არის საბუთის გამცემის, გიორგი იაგულაშვილის ბატონი. მართალია, ეს ვენახი იაგულაშვილის ნასყიდი იყო, ე. ი. მის უცილებელ საკუთრებას წარმოადგენდა, მაგრამ მაინც ზედმეტი არ ყოფილა ბატონს თავისი ყაბულობა განეცხადებინა

[1] დ. ჩუბინაშვილი, ქრესტომათია, 1848, გვ. 428, § 160.

[2] საქ. ც. არქ. ფ. 226, № 1479; საქ. მუზ. Hd № 6335; ნ. ბერძენიშვილი. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, წ. I, № 270.

[3] ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, წ. II, № 35.

ნასყიდობის წიგნში. შეიძლება ეს აეხსნათ იმ გარემოებით, რომელიც ერთ-ერთ საბუთშია აღნიშნული, რომ თუ ყმის „ბატონს ენდომება იმ მამულის სყიდვა, იმისი უპრიანია და იმან უნდა იყიდოს და თუ იმის ბატონს არ ენდომება სყიდვა, დასტურს დასცემს წერილის მოცემით და მერე ვისაც უნდა მიჰყიდის“ [1]. ან იქნებ, აქ უნდა დავინახოთ თავადების იმ ტენდენციის გამოვლინება, რომელიც სხვა საბუთებიდანაც შეიმჩნევა—ხელი დაადგან თავიანთი აზნაურის ნასყიდ ქონებასაც, აზნაურის ნასყიდი ქონებაც, ისე როგორც მთელი მისი ყმა-მამული, თავიანთი სახლის საკუთრებად წარმოადგინონ [2].

სამართლის მიხედვით ბატონი ვერ დაუშლიდა ყმას ნასყიდი ყმა-მამულის გაყიდვას: ბეჟან ამილახვარი ჩივის მეფესთან თავისი ყმის შესახებ—ჩემს ნაწყალობევ ადგილებს ჰყიდისო, „ჩვენგან მიცემულს მამულს თუ სამართალი გააყიდვინებს, ნება სამართლისა არისო“. მაგრამ გამოირკვა, რომ ეს ადგილები ამილახვრის ყმას თავისი ბატონისაგან ნაწყალობევი კი არ ჰქონია, არამედ სახასო კაცისაგან უყიდია. ამის საფუძველზე სასამართლოს გამოაქვს განაჩენი: „ასე გაყიდულის მებატონე თავის გლეხს ვერ დაუშლის გასყიდვას“.

ამრიგად, სამკვიდრო და მით უფრო ნაწყალობევი მამულის გაყიდვის შემთხვევაში ბატონს უფლება აქვს არ დაანებოს თავის ყმას გაყიდვა, არ დათანხმდეს გაყიდვაზე და ეს კანონიერი იქნება. მაგრამ, თუ ყმა თავისი ნასყიდი მამულის გაყიდვას მოინდომებს, ბატონი მ ო ვ ა ლ ე ა მისცეს მას თავისი დასტური.

ამ დებულების დასამტკიცებლად შეიძლება კიდევ სხვა საბუთების მოტანაც. დავემაყოფილდებით ერთით: აზნაური პაპალოა სანთლიკუდაშვილი ჩივის მეფესთან, რომ მისი ბატონი ედია ავალიშვილი არ ანებებს მას ნასყიდი მამულის გაყიდვას. მეფე უბრძანებს თავადს, მისცეს მან თავის აზნაურს ნასყიდი მამულის გაყიდვის საშუალება ან არადა გადაუხადოს იმ ვალების ნაწილი, რომლის გამოც ამ აზნაურს მამულის გაყიდვა უხდება [3]. ურჩი თავადი არ ემორჩილება ამ ბრძანებას. მეფე ხელმეორე ოქმს უგზავნის: „ჩვენი ბძანება არის, ამ პაპალას თავის სახსრის ვალი რომ დაზღებია, იმას უწინაც მიეცით ოქმი, თავის ნასყიდი მამული გაყიდოს და მოვალეს მისცეს, მაგრამ, რომელიც ნასყიდი არა ჰქონდეს, სამკვიდროს მამულს ნუ გაჰყიდის“ [4].

ასევე წყდება საკითხი იმ შემთხვევაშიაც, როდესაც აზნაური ეკლესიას სწირავს თავის ყმა-მამულს. აზნაურს არ შეუძლია შესწიროს ეკლესიას თავისი სამკვიდრო ქონება ბატონის ნებართვის გარეშე. აზნაურის შეწირულობის წიგნს ასეთ შემთხვევაში აუცილებლად ახლავს ბატონის დამტკიცება [5]. მაგრამ თავისი ნასყიდი ქონების შეწირვა კი აზნაურს შეუძლია ისე, რომ მისი შეწირულობის წიგნს ბატონის ხელრთვა არ ახლდეს [6].

ანალოგიური მდგომარეობა უნდა გვქონდეს იმ შემთხვევაშიაც, როდესაც აზნაურს თავისი ყმა-მამულის ანდერძით დატოვება სურს ვინმესათვის. აზნაური თავის სამკვიდრო ყმა-მამულს ვერავის ვერ დაუტოვებდა ბატონის

[1] ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, წ. II, № 249.

[2] «Не только пожалованное, но и все недвижимое именне азнаура-вассала патроны склонен со временем рассматривать как достояние своего «дома»...» (Н. Бердзенишвили, Очерк... გვ. 36).

[3] საქ. ც. არქ. ფ. 226, № 446.

[4] საქ. ც. არქ. ფ. 226, № 430.

[5] საქ. ც. არქ. ფ. 226, № 2349.

[6] საქ. ც. არქ. ფ. 226, № 364.

ნებართვისა და გაანდერძების აქტში მისი აქტიური მონაწილეობის გარეშე. მაგრამ აზნაურის ნასყიდი ქონება ამ მხრივ, ჩანს, გამონაკლისს შეადგენდა. ასეთი დასკვნის საშუალებას იძლევა შემდეგი საბუთი: არჩვაძე გოგიამ გედევანიშვილს პატარაკაცს მიჰყიდა მიწა. ნასყიდობის ამ წიგნს აშიაზე ახლავს მიწის მსყიდველის გედევანიშვილის მინაწერი: „თუ უშვილო გარდავიცვალო, ჩემი ანდერძია, ჩემი ნასყიდობა ჩემსავე მამის შვილს დარჩეს“ [1].

ამრიგად, აზნაური შედარებით თავისუფალია თავისი ნასყიდი ქონების გასხვისების საკითხში, მაგრამ საბუთების მიხედვით აშკარა ხდება ერთი გარემოება, ფრიად დამახასიათებელი აზნაურის მდგომარეობისათვის გვიანფეოდალურ საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ სამართალით დაცულია ნასყიდი ქონების ხელუხლებლობა და ცენტრალური ხელისუფლება ცდილობს დაიცვას ყმა-აზნაურის უფლებები ნასყიდ ყმა-მამულზე, თავადების მძლავრობისა და სამეფო ხელისუფლების სისუსტის პირობებში აზნაურის ეს უფლებები ყოველთვის დაცული როდია. აღნიშნული გარემოება კარგად შეიმჩნევა ზემოხსენებული სანთლიკუდაშვილის საბუთების მაგალითზეც და აგრეთვე სხვა საბუთებითაც. თავადები ცდილობენ თავიანთი უფლებები გაავრცელონ აზნაურის ამ სახის საკუთრებაზედაც.

აზნაურის ნასყიდი ყმა-მამულის სამკვიდრო და ნაწყალობევი ყმა-მამულისაგან განსხვავებული ხასიათი მეღავნდება იმ ფაქტშიც, რომ აზნაურის ბატონისაგან წასვლის შემთხვევაშიც აზნაური თავის ძველ ბატონთან სტოვებს როგორც მისგან წყალობის სახით მიღებულ ყმა-მამულს, ისე თავის სამკვიდრო ყმა-მამულსაც, მაგრამ საკუთრების უფლებას ინარჩუნებს თავის ნასყიდ ყმა-მამულზე.

XIX საუკუნის დამდეგს რუსეთის ხელისუფლება საქართველოში, სხვა საკითხთა შორის, დაინტერესებული იყო საკითხით სათავადო აზნაურთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ. მთავრობამ ამ საკითხზე ქართველ თავადთაგან ახსნა-განმარტება მოითხოვა. კითხვაზე იმის შესახებ, თუ ქონების რა ნაწილს უტოვებდა თავის ბატონს აზნაური მისგან წასვლის შემთხვევაში, ქართველმა თავადებმა ასეთი პასუხი გასცეს: „თავადის აზნაურნი, ვიცით, რომ რამდენიმე თავიანთის მებატონისაგან გასულან სამეფოს მამულში და აგრეთვე სხვისა სათავადოსა სამფლობელოსა შ[ი]ა, მარამ ხსენებულთა მათ აზნაურთა თავადისათა, რაიცა ჰქონებიათ ყმა, გინა მამული, ის კი სრულებით დაუტევებიათ თავეთის მებატონეთათვის და აზნაურის დატევებულის ყმასა და მამულში თავადისადმი ნასყიდიც რევებულა თუ არა, იგი ჩვენ არა ვუწყით“ [2].

ქართველი თავადების ამ პასუხში აშკარად შეიმჩნევა ის ტენდენცია, თავადებს რომ ახასიათებთ აზნაურთა ნასყიდი ყმა-მამულის მიმართ. მათ არ სურთ იცნონ აზნაურის განსხვავებული, უცილობელი უფლებები ასეთი სახის ყმა-მამულზე და ამით უნდა აიხსნებოდეს ის გარემოებაც, რომ თავიანთ პასუხში მათ ეს უფლება მიჩქმალეს.

XIX საუკუნის დამდეგს შედგენილ ქართული სამართლის მიმოხილვაში დავით ბატონიშვილი ამ საკითხის შესახებ ასე წერს: «Княжеские дворяне в лице и фамилии своей суть свободны. Они имеют волю избирать место-

[1] საქ. მუზ. Hd № 14261.

[2] საქ. ც. არქ. ფ. 1, საქმე № 627. «О разсмотрении прав грузинских княжеских дворян».

пребывание и пользуются всеми преимуществами благородному грузинскому дворянству присвоенными. Имения пожалованныя от царей, благоприобретенныя, равно и приданое за женами остаётся неприкосновенным. Прочее же стяжание полученное от милостей князей, их патронов, остаются навсегда за прежними владельцами, покровителями сих дворян»[1].

ქართული სამართლის ეს მუხლი უფრო სწორად გამოხატავს არსებულ წესს, რასაც სხვა საბუთებიც ემოწმება. ასე მაგალითად, ბებურიშვილის ბუშისათვის მიცემულ აზნაურშვილობისა და სითარხნის წიგნში თავადი აღნიშნავდა: „ჩემი მოცემული მამული კი ჩამოგართვი და თქვენის ნასყიდის მამულით გაგანთავისუფლეო და საბატონყმოთ ხელი არა მაქვს შენთანაო“.

პაპუნა დოქიძემ, მეფე ბაქარის საუფლისწულო ყმამ სვეტიცხოველის ყმობაში გადასვლა არჩია. ვახტანგ VI-ის ბრძანებით იგი დომენტი კათალიკოზს ახლდა სპარსეთში და მის ყმობაში შესვლა მოინდომა. კათალიკოზ დომენტის მიერ პაპუნა დოქიძისადმი მიცემულ წყალობის წიგნში ნათქვამია: „აწე ჩვენს ძმისწულთან მეფეს ბაქართან შუა შემოგვიყუანე და სვეტიცხოვლის ყმობა მოინდომეო“. მეფე ბაქარ დათანხმებულა და ნება დაურთავს, ანუ, როგორც ნათქვამია საბუთში, „შეუწირავს“ დოქიძე სვეტიცხოველისათვის. დოქიძის სამკვიდრო მამული ბაქარს დარჩენია, მაგრამ ნასყიდი მამული კი თან გაუყოლია დოქიძეს ახალ ბატონთან: „ის შენი მამა-პაპათ სამკვიდრო მამული ისევ საუფლისწულოდ დადევს და შენ ამ შენგან ნასყიდობით შემოგწირეს“ [2], აღნიშნავს დომენტი კათალიკოზი დოქიძისადმი მიცემულ წყალობის წიგნში, რომლითაც ამ თავის ახლადშეძენილ აზნაურს ყმა-მამულს უბოძებს.

ერეკლე II-მ ურჩ ფეოდალებს—დავით, პაატა და ნიკოლოზ ციციშვილებს ჩამოართვა აზნაური მეღვინეთხუცესშვილი თავისი ძმისწულებით და სახასო ყმად გაიხადა, მეღვინეთხუცესშვილების სამკვიდრო მამული ციციშვილებისად სცნო, ხოლო ნასყიდი კი მეღვინეთხუცესშვილებს დაუტოვა. ბრძანების წიგნში ერეკლე II ასე წერს: მეღვინეთხუცესშვილები „ციციშვილს პაატას და ნიკოლოზის წილიდამ უმამულოთ გამოვართვით და ჩვენს სახასოთ დავიჭირეთ. ციციშვილებს გაყრა რომ მოუხდესთ, სხვა სახლისკაცებმა ამ მეღვინეთხუცესშვილის სამაგიეროდ უმამულოთ სხვა აზნაურშვილი უნდა აიღონ და ამათთან ციციშვილებს საბატონყმოთ ხელი აღარა აქვსთ, ჩვენი სახასო არისო.

ქ. რომელიც მამულები ამ მეღვინეთხუცესშვილებს ნასყიდი აქვს და ან მოსული კაცი ჰყავსთ რომ ციციშვილებისაგან მიცემული არ ყვანდესთ, ის იმათივე არის და ვერცავინ მოუშლისთ და რომელიც ციციშვილებისაგან ამათ ყმა და მამული მისცემია, ის ისევ ციციშვილებისა არის და მეღვინეთხუცესშვილებს ამ ყმასთან და მამულთან ხელი აღარ აქვსთ“ [3].

ამრიგად, აზნაურს უფლება აქვს დასტოვოს თავისი ნებით ბატონი და სხვას ეყმოს, მხოლოდ ძველ ბატონს უნდა დაუტოვოს თავისი სამკვიდრო და ნაწყალობევი ყმა-მამული. ნასყიდ ყმა-მამულზე კი იგი ინარჩუნებს საკუთრების

[1] Царевич Давид. «Обозрение Грузии по части прав и законоведения». § 242.

[2] საქ. მუზ. Ad № 1575.

[3] საქ. მუზ. Qd № 420.

უფლებებს. მართალია, საკანონმდებლო ძეგლებში ამგვარი კანონი აღნიშნული არ არის, მაგრამ ასეთი წესის არსებობა ცხოვრებაში სრულიად ცხადი ხდება ზემოთ ნახსენები სასამართლო განჩინებებით, რომელიც ბატონისაგან აზნაურის წასვლას ეხებოდა[1]. ამასვე მოწმობს როგორც დავით ბატონიშვილის „მიმოწერილება“[2], ისე XIX საუკუნის დამდეგის ქართველი თავადების ახსნა-განმარტება[3].

ასეთი იყო საკითხის იურიდიული მხარე. მაგრამ გასარკვევია, თუ როგორ უყურებდა თავადი აღნიშნულ წესს და ჰქონდა თუ არა აზნაურს რეალური შესაძლებლობა, რომ აღნიშნული უფლებებით ესარგებლა.

აზნაურისათვის ხშირად გადამწყვეტი, საარსებო მნიშვნელობა ჰქონდა ბატონისაგან წასვლის შემთხვევაში თავისი სამკვიდრო ყმა-მამულის დატოვებას. მართალია, აზნაური ინარჩუნებდა ნასყიდ ყმა-მამულს, მაგრამ აზნაურთა ძირითად ძასას, ეკონომიური სივიწროვის პირობებში, ასეთი სახის ყმა-მამული ან არ გააჩნდა, ან კიდევ თუ ჰქონდა, ნაკლებმნიშვნელოვანი იყო მისი მეურნეობისათვის. აზნაურის ქონების ძირითად ნაწილს შეადგენდა მისი სამკვიდრო, მამა-პაპეული ყმა-მამული, რომელსაც აზნაური საუკუნეთა მანძილზე ფლობდა. „სამკვიდროში“ იგულისხმებოდა როგორც ბატონისაგან ნაწყალობევი, ისე აზნაურის მიერ პირადი გარჯით მოპოვებული ყმა-მამული, რადგანაც როგორც ერთი, ისე მეორე სახის მამული დროთა განმავლობაში აზნაურის სამკვიდრო მამულად იქცეოდა. მაგრამ ბატონი ცდილობდა თავისი უფლებების გავრცელებას აზნაურის არა მარტო სამკვიდრო ქონებაზე, არამედ მის ნასყიდ ქონებაზედაც და აზნაურის წასვლის შეთხვევაში არც ამ სახის ქონებას ანებებდა მას[4].

მეფესთან გადასული აზნაურიც კი ყოველთვის არ იყო ყმა-მამულის მხრივ შესაფერისად უზრუნველყოფილი და დაკმაყოფილებული; მართალია, მეფე ცდილობდა აზნაურთა მოზიდვას თავის მხარეზე, მაგრამ მას ყოველთვის არ შეეძლო მათი სათანადოდ მომარაგება.

თუ რამდენად შეზღუდული იყო აზნაური ეკონომიურად წასვლის უფლების განხორციელებაში, კარგად ჩანს აზნაურ ფარსადან ესიტაშვილის მიერ თავის ბატონის ქაიხოსრო ჩოლოყაშვილისადმი მიცემულ ყმობის წიგნიდან. „ჩემის ცოდვით და უკეთურებით ურჩება მოვინდომე,—წერს ამ წიგნში ესიტაშვილი,—და თქვენი ბატონ-ყმობა უარვყავ და ბატონთან ჩივილი დავიწყე და თქვენის ყმობიდან განთავისუფლება მოვინდომე და თქვენ ბატონისათვის მოგეხსენებინათ და ბატონი გამწყრომოდა და გარსევან ეშიკაღათბაში იასაულად ებოძებინა და რომელიც თქვენის მამა-პაპისაგან წყალობა მამული მქონდა, იმ მამულსაც და ასი თუმანი სინჯიკაშვილების სახსარი რომ მეპირა, ის ყმა და მამულიც და ეს თეთრიც ჩემთვის უნდა გამოერთმევინა და თქვენთჳს მიებარებინა. ახლა მოველ და შემოგეხვეწე და ეს ჩემი დანაშაული

[1] „საბატონყოთ ვერ შემოგივედით აზნაურობის მიზეზით“—1797 წლის საბუთი (საქ. ც. არქ. ფ. 226, № 2997); „აზნაურშვილია, თავისუფლება აქვს, გლეხკაცურად ვერ იყმობენ“—1774 წლის სასამართლო განაჩენი (საქ. ც. არქ. ფ. 226, № 867); „აზნაურშვილმა თავისი ნებით ყმაია და მამულზედ ქვეი აიღოს და თავისიც მამულიდამ ადგეს, თავის მებატონეს საქმე აღარ ექნება“—1792 წლის სასამართლო განაჩენი (საქ. ც. არქ. ფ. 226, № 873).

[2] Царевич Давид. Обозрение... § 242.

[3] საქ. ც. არქ. ფ 1. საქმე № 627.

[4] Н. Бердзенишвили, Очерк... გვ. 38.

მაპატიეთ, რომ, რადგან თქვენის მამა-პაპის ერთგულად ნამსახურის კაცის შვილი ვიყავ და შენი მემკვიდრე აზნაურშვილიც ვიყავ, ეს ყმა და მამული და ეს თეთრიც მეექ წყალობა მიყავით. დღეს და დღეის იქ-თ, როგორც ერთს სხვას ჩემისთანას აზნაურშვილს თავისის მემკვდრის ბატონისათჳს ერთგულად ემსახუროს, მეც ისე თავდადებით და ერთგულად გმსახურო თქვენცა, თქვენს ძმისწულსაც და თქვენს ჩამომავლობასაც" [1].

მოტანილი საბუთიდან შეიმჩნევა, რომ საქმეს სწყვეტს ის ყმა-მამული, რომელიც ესიტაშვილს წასვლის შემთხვევაში უნდა დაეტოვებინა ბატონთან. ესიტაშვილმა ამ ყმა-მამულის შენარჩუნება ვერ მოახერხა და იძულებული გახდა, რომ ისევ თავის ძველ ბატონთან დარჩენილიყო.

აზნაურის განთავისუფლებას, ეკონომიური დამოკიდებულების გარდა, პირადი დამოკიდებულებაც აძნელებდა. ბატონი სრულიად არ თვლიდა აზნაურს უფლებამოსილად, რომ მას თავისი ნებით მიეტოვებინა საცხოვრებელი, უგულვებელეყო სამსახურებრივი მოვალეობანი და წასულიყო სხვასთან.

აზნაურის ყმა-მამულს თავადი თავისად სთვლიდა, თავადის ასეთი მიდრეკილების საფუძველზეა წარმოშობილი მისი დამოკიდებულება აზნაურის ყმა-მამულისადმი აზნაურის წასვლის შემთხვევაში—თუ აზნაური წავა, ყმა-მამული ბატონს რჩება; კიდევ მეტიც, დროის განმავლობაში თავადი იმის დაკანონებასაც კი ცდილობდა, რომ აზნაურს საერთოდ, არავითარ შემთხვევაში, არც ყმა-მამულის დატოვების პირობით არ ჰქონდეს ბატონისაგან თავისუფალი წასვლის უფლება. საბუთებიდან ნათლად ჩანს, თუ როგორ დაეინებით ცდილობდა თავადი აეკრძალა აზნაურისათვის წასვლა, ხელი შეეშალა მისთვის ამგვარი ცდების განხორციელებაში.

მიუხედავად იმისა, რომ თავადის ყმობიდან წასული აზნაურის ყმა-მამული თავადის ხელში გადადიოდა და მაშასადამე, აჭის შემდეგ თავადი ხდებოდა ამ ყმა-მამულის შემოსაელის ერთადერთი მესაკუთრე და მომხმარებელი, თავადები, მაინც სასტიკად ეწინააღმდეგებიან აზნაურების ყმობიდან წასვლას.

ამის ახსნა იმით, რომ თავადს ესაჭიროება აზნაური თავის მეურნეობისათვის როგორც მოხელე, სჭირდება, როგორც დამხმარე ძალა ექსპლუატირებული მასის დასამორჩილებლად და სხვა, ვფიქრობთ, სამართლიანი იქნებოდა, მაგრამ არა საკმაო. ისმის კითხვა: ის ფაქტი, რომ თავადები ასეთ სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ აზნაურს მისი ყმობიდან წასვლის შემთხვევაში, ხომ არ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ეს თავადები ნაკლებად არიან ჩაბმულნი სასაქონლო მეურნეობაში, ნაკლებად არიან დაინტერესებულნი თავიანთი მეურნეობის ზრდა-განვითარებით და რომ ეს იმ ტიპის ფეოდალია, რომლის შესახებ მარქსს აქვს აღნიშნული, რომ მისი მადა მისი კუჭის მოთხოვნილებით გაიზომება.

აზნაურის წასვლის შემთხვევაში თავადი ჩვეულებრივ დიდი ხნის განმავლობაში დაეძებდა მას. როცა იპოვიდა, მოითხოვდა მის უკან დაბრუნებას და, თუ აზნაური ნებით არ დაემორჩილებოდა, მაშინ სასამართლოში ჩიოდა, ცდილობდა იმის დამტკიცებას, რომ აზნაურს უფლება არა ჰქონდა თვითნებურად წასვლოდა ყმობიდან. ამრიგად, თავადი აზნაურის პირად დამორჩილებასაც ცდილობს. ამ თვალსაზრისით საინტერესო ცნობებს იძლევა აზნაურ საყვარელიძეთა საბუთები.

[1] საქ. ც. არქ. ფ. 226, № 1558.

აზნაური გიორგი საყვარელიძე იმერეთიდან ქართლს გადმოსულა XVIII საუკუნის პირველ ნახევარში. იგი ჯერ ციციშვილთან დამდგარა ხიზნად, შემდეგ დავითიშვილთან გადასულა და „ხლებია“ მას, საბოლოოდ კი დიმიტრი ამილახორის-შვილის ყმად შექნილა. გავიდა 20 წელი. დიმიტრი ამილახორის-შვილის ყმა-მამული სამეფოდ გამოაცხადეს და ამასთან დაკავშირებით საყვარელიძეც სახაზო ყმად იქცა. მაშინ დავითიშვილმა გაიხსენა, რომ საყვარელიძე ერთ დროს მისი ყმა იყო. მან საჩივარიც აღძრა. გიორგი საყვარელიძემ ამასთან დაკავშირებით არზა მიართვა მეფეს, სადაც სწერდა: „ღ(მერ)თ(მა)ნ ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს მათ მიწა-მტვერს საყვარელიძეს გიორგის. მერე ამას მოვახსენებ: დავითის-შვილს ელიზბარს არზა მოურთმევია—საყვარელიძე ჩემი ყმა არისო. ბედნიერს ხელმწიფეს ამას ვეუბედრები, რომ გძლათ მოხსენებისათვის არ გამიწყრეს და ჩემი საჩივარი წერილად მოიხსენოს“. გიორგი საყვარელიძე აღწერს თავის თავგადასავალს იმერეთიდან გადმოსვლის შემდეგ, თუ როგორ იდგა ყმად ჯერ ციციშვილთან, მერე დავითიშვილს მიუვიდა და როდესაც დავითიშვილები იყრებოდნენ, როგორ გამოვიდა ძათი ყმობიდან და ისევ იმერეთს გადავიდა და სხვ. გიორგი საყვარელიძე ამტკიცებდა, რომ დავითიშვილს არავითარი საფუძველი არ ჰქონდა იმისათვის, რომ ბატონს ხელი დაედო მისთვის. აზნაური სთხოვს მეფეს, დაიცვას იგი ამ უკანონო პრეტენზიებისაგან: „ჩემთან რა საქმე ვისმე აქვს,—წერს საყვარელიძე,—თუ სიტყვა ჰქონდა ვისმე, აქამდინ რატომ არ მოხსენდა ბედნიერ ხელმწიფესა. ასლა ბედნიერს ხელმწიფეს ამას ვეუბედრები: მე ერთი დაუძლურებული კაცი გახლავარ, ოთხი ხბლის ამქნევი შვილი მყავს. ამათ თავისის ბედნიერის კალთას ქვეშ გაძლება მისცეს და ამათ ერთი მუჭი ს(ისხლი) ბედნიერმა ხელმწიფემ თავის წინ დააქცევინოს“ [1]. თუ რა მოჰყოლია შედეგად ამ არზას, საბუთებიდან არ ჩანს, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ, როგორც გიორგი საყვარელიძის შვილების მიერ დაწერილი თხოვნიდან ჩანს, დავითიშვილს კვლავ წამოუყენებია ძველი პრეტენზიები და ისევ უცდია საყვარელიძეთა დამორჩილება. 1776 წლის აგვისტოს 23-ს ლევან ბატონიშვილისადმი მიცემული არზით საყვარელიძეები შიოშ, ზაალ, იესე და ქაიხოსრო ითხოვენ დაცვას დავითიშვილის პრეტენზიებისაგან. „ჩვენთან არას კაცს საქმე არა აქვსრა, უბრალოს კაცის სიტყვით ნუ შეგვბეზღებთ“, სწერენ ისინი არზაში [2]. ლევან ბატონიშვილს ბრძანება გაუცია, რომ საყვარელიძეებს მეფისათვის მიემართათ. იმავე წლის 13 ოქტომბერს შიოშ საყვარელიძე არზით მიმართავს ერეკლე II-ს და წერს: „პაპაჩემი მკუ(ი)დრი იმერელი ყოფილა, იმერეთიდამ გადმოსულა, დიდ ციცის მისელია, ყმა და მამული იმას უბოძებია. პაპაჩემი რომ თქუშნის ჭირის სანაცვლო შექმნილა, მამაჩემს ციცის ყმა და მამული გაუშვია, ელიზბარ დავითის-შვილს მისელია, ყმა და მამული მიუცია. მერე ელიზბარს რომ თავის ძმა გაჰყრია, მამაჩემიც წილში უგდიათ. მამაჩემს არ უყაბულნია, თავიანთი მიცემული ყმა და მამული იმათთუისვე დაუგდია, მარტო ცარიელი თავი გამოუტანია იმათგან... ახლა ზაალ დავითის-შვილი და ელიზბარ მედაებიან, პაპის-ჩვენის ნაახლები ხარ, ჩვენი ყმა ხარო. ეს როგორც მომიხსენებია, ჩვენი საქმე ასეა. დავითის-შვი-

[1] საქ. მუზ. Hd № 2564. ეს არზა უთარიღოა, დაწერილი უნდა იყოს 1765 — 1770 წლებში.

[2] საქ. მუზ. Hd № 5354.

ლის მემკუიდრე ყმაც რომ ეიყო, აზნაურიშვილი ვარ, იმისი ყმა და მამული გამიშვია, ჩემთან რაღა ჭელი აქუს, ტყვილად მაცოდვილებს. ოცდახუთმეტი წელიწადი დიმიტრი ამილახორის-შვილს ვახლდი, სად იყო აქამდინ, ტყუის, თქუენი ყმა გახლავარ, სამართალი მაღირსედ; ღ(მერ)თი გაგიმარჯვებს" [1].

როგორც ამ არზიდან ირკვევა, მიუხედავად იმისა, რომ საყვარელიძეს დაუტოვებია ყმა-მამული და ისე წასულა დავითიშვილისაგან, ეს უკანასკნელი მაინც თვლის, რომ საყვარელიძე მისი ყმაა და ცდილობს მეფის კარზე ჩივილით, სამართლის საშუალებით დაიბრუნოს იგი. ჩანს, დავითიშვილს მიაჩნდა, რომ ყმა-აზნაური პირად თავისუფლებას მოკლებული იყო.

ასევე ფიქრობდა თავადი ფალავანდიშვილიც, რომელსაც მისი აზნაურები — ჩუბინიშვილები წასვლიან. მიუხედავად იმისა, რომ ჩუბინიშვილები „დიდი ხნის აყრილი და წამოსული ყოფილან", ფალავანდიშვილმა მათ მეფის სამართალში უჩივლა. სამართლის ძალით ჩუბინიშვილები განთავისუფლებულ იქნენ ფალავანდიშვილის ხელყოფისაგან და ეს უკანასკნელი იძულებული შეიქნა მიეცა მათთვის განთავისუფლების წიგნი. ამ საბუთში იაკობ ფალავანდიშვილი წერდა: „თავისუფლების წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და ბოგეცით ჩვენ, ფალავანდიშვილმა იაკობმა, შვილთა და მომავალთა ყოველთავე სახლისა ჩვენისათამან თქვენ, ჩვენს აზხაურშვილს ჩუბინაშვილებს ბიძინა-ა, ქაიხოსროსა და იასესა, თქვენს ძმისწულს ზა(ა)ლსა, შვილთა თქვენთა ბეჟანსა, დიმიტრისა, როსტომსა, სოლომონსა, ივანესა, ბეციასა, ლუკასა, შვილთა და მოსავალთა ყოველთავე სახლისა თქვენისათა,—ასე რომე ჩემის ქვეყნიდამ დიდის ხნის აყრილი და წამოსული იყავით. მოველ და ბატონის სამართალში გიჩიელეთ და თქვენც სამართალში მოხვედით. ბევრს გედავენით, მაგრამ საბატონყმოთ ვერ შეძოგივედით აზნაურშვილობის მიზეზითა. ზა(ა)ლ დავითიშვილს ქონდა ბატონის ბრძანება ჩვენის მორიგებისა. ჩემის ნება-დართვითა და თქვენც ინებეთ და ასრე მოვახდინეთ, ჩემი გული შეიჯერიეთ და მშვიდობიანად დავშველდით. ჩემი თქვენთან დავა და სალაპარაკო აღარა დარჩომილარა. ეს მიზეზიცა გქონდათ, რომე ორნივ ძმანი ტყვეობიდამ მოხვედით. ეს მტკიცე სიგელი და პირი მოგეცით, რომე მე თქვენთან სადაო საქმე აღარა მაქვსრა, არცა ერთის იოტის ფასი ძმობისა და სიყვაროულის მეტი. დღესა და დღეის იმას იქით არც ჩემს ჩამომავლობას და არც ჩემს ნათესავსა და არც ჩემს სახლის კაცთ თქვენთან საქმე არავისა აქვს თვინიერ ღეთისა მეტსა" [2].

ამ საბუთში ჩუბინიშვილების ყმა-მამულის შესახებ ხსენებაც არ არის. ცხადია, ჩუბინიშვილებს არ უკაიათ თავიანთი სამკვიდრო მამული, აკი ფალავანდიშვილიც აცხადებს—„ჩემის ქვეყნიდან დიდი ხნის აყრილი და წამოსული იყავითო". ამ მხრივ საინტერესოა, რომ 16 წლის შემდეგ, როდესაც ფალავანდიშვილის ყმობისაგან განთავისუფლებულნი უკვე გაყრილნი ჩუბინიშვილები ბიძინა, ქაიხოსრო და იასე შეთანხმების წიგნს სდებენ, ამ წიგნში მათ საუბარი აქვთ მხოლოდ თავიანთი ნასყიდი ყმა-მამულის შესახებ [3]. ჩანს, ეს არის მთელი ის ქონება, რომელსაც ჩუბინიშვილები ფალავანდიშვილისაგან წასვლის შემდეგ ფლობენ. სამკვიდრო ყმა-მამული მათ ამ დროისათვის აღარ გააჩნიათ. ასე რომ, მოცემულ შემთხვევაში ფალავანდიშვილი ამ აზნაურებს მხოლოდ და მხოლოდ პირად თავისუფლებაში ედავება.

[1] საქ. მუზ. Hd № 5284.
[2] საქ. ც. არქ. ფ. 226, № 2997.
[3] საქ. ც. არქ. ფ. 226, № 300.

მოტანილი საბუთი იმითაც არის საინტერესო, რომ ცხადად მოწმობს სახელმწიფო სამართლის თვალსაზრისსაც აზნაურის პირად თავისუფლებაზე. „ბატონის სამართალში გიჩივლეთ, — წერს ფალავანდიშვილი,—ბევრს გედავენით, მაგრამ სახატონყმოთ ვერ შემოგიეედით აზნაურშვილობის მიზეზითაო". მაშასადამე, სამართლით, აზნაურს თუ აღარ სურდა ამა თუ იმ თავადის ყმობა და ყმა-ნამულს მას დაუტოვებდა, ეს უკანასკნელი ვერას გააწყობდა. სამართალი იცავდა აზნაურშვილის პირად თავისუფლებას. მაგრამ თავადს მაინც მიეღწევია ერთგვარი წარმატებისათვის იმ მხრივ, რომ აზნაურის ყმობიდან განთავისუფლებისათვის საჭირო გამხდარა ამ აზნაურსა და მის ყოფილ მებატონეს შორის საგანგებო საბუთის—განთავისუფლების წიგნის დადება. როგორც მოტანილი მაგალითიდან დავინახეთ, მიუხედავად იმისა, რომ სამართალმა სცნო ჩუბინიშვილების თავისუფლება ფალავანდიშვილების ყმობისაგან, მაინც საჭირო გახდა მათი „მორიგება" და ფალავანდიშვილის „გულისშეჯერება" „მშვიდობით დასაშველებლად" (რაშიც, შესაძლებელია, ჩუბინიშვილებს მხრით გარკვეული თანხის გაღებაც კი იგულისხმება) იმ მიზნით, რომ განთავისუფლების წიგნი გაფორმებულიყო. ერთი სიტყვით, ყმობიდან განთავისუფლების დროს აზნაური თავის ბატონისაგან სათანადო საბუთს ღებულობდა და მხოლოდ ამის შემდეგ ითვლებოდა თავისუფლად. მხოლოდ ამის შემდეგ იყო იგი სავსებით დაზღვეული ყოფილი ბატონის ზოსალოდნელი პრეტენზიებისაგან მომავალში.

აღნიშნული თვალსაზრისით საინტერესოა სხვა მაგალითებიც: აბაშიძის აზნაური იოსებ სავანელი თავისი სამკვიდრო მამულიდან დიდი ხნის წასული იყო, თავისი ყმა-მამული დატოვებული ჰქონდა, უცხოეთში იყო გაზრდილი, იქვე ცხოვრობდა და თავის ბატონზე „გულ გაგრილებულს" აღარ უნებებია მისი ყმობა. აღარც აბაშიძეს შეუწუხებია იგი და თავისუფლება მიუცია. თითქოს, რაკი აზნაურმა ხელი გაუშვა თავის ყმა-მამულს, წავიდა თავისი ბატონის სამფლობელოდან და უცხო ქვეყანაში ცხოვრობდა, თავისთავად ცხადი უნდა იყოს, რომ იგი განთავისუფლდა. მაგრამ მთლად ასე არ ყოფილა, სრული თავისუფლების მქონედ იგი მაშინ ჩაითვლებოდა, თუ ბატონი თვითონ, თავისი ნებით აიღებდა მასზე ხელს და ამას წერილობითაც დაადასტურებდა. სავანელის ბატონი ნიკოლოზ აბაშიძე განთავისუფლების წიგნში წერს: „მე, აბაშიძე დიამბეგი [ნიკოლოზ] ამ თავისუფლების წერილს გაძლევ შენ, ჩემს აზნაურიშვილის შვილს სავანელს იოსებს. შენ ობოლი იყავ და შენ შენის ყმისა და მამულისა არცა იცირა და არც მოგიხმარნია, სულ უცხოებაში და უცხო ქვეყანაში გამოიზარდე და იერუსალიმს და საბერძნეთში ანტონი ჯვარისმამისათვის სამსახური და ღვაწლი დაგიდგია და ჰყავხარ მამობრივის ნუგეშინის ცემით და [შენც ჩვენზედ გული გაგგრილებოდა და აღარ ინებე ჩვენი ყმობა და შენი მამული და არც ჩვენ შეგაწუხეთ და მებძანა ანტონი ჯვარისმამისაგან შენი თავისუფლება და მეც ასე ნება მომიცია, რომ არას ჩემს ოჯახისშვილობას შენთან საქმე არა აქვს, არც შვილს და არც შვილისშვილს. ღ(მერ)თ(მან) ნებისამებრ შენისა გაცხოვროს" [1].

განთავისუფლების ამგვარი სიგელების არსებობა იმას მოწმობს, რომ თავადები დიდად აბრკოლებდნენ აზნაურთა თავისუფალ წასვლას და მათ პირად თავისუფლებასაც ზღუდავდნენ.

[1] საქ. ც. არქ. ფ. 229, № 33/260

თავადების ასეთ ტენდენციას თავისი ისტორიული საფუძველიც ჰქონდა, რაც იმ ცვლილებაში მდგომარეობდა, რომელიც აზნაურებმა განიცადეს დროთა განმავლობაში თავიანთი უფლებრივი მდგომარეობის მხრივ. ამ საკითხს აქ მხოლოდ მოკლედ და ზოგადად შევეხებით.

XVI—XVIII საუკუნეებში აზნაურებს განასხვავებდნენ იმისდა მიხედვით, თუ რა გზით მოხვდნენ ისინი ყმობაში. ამის გამოსახატავად სპეციალური ტერმინებიც არსებობდა. აზნაურები იყვნენ: მკვიდრი, მეფის მიერ ნაწყალობევი, ნამზითვი, ნასისხლი, ნასყიდი, წყალობის (ნებით მოსული). ეკლესიას ჰყავდა შეწირული აზნაურებიც.

მეფის მიერ თავადისათვის აზნაურის ბოძება ამ აზნაურის ყმა-მამულთან ერთად ხშირი მოვლენა იყო XV—XVIII საუკუნეების საქართველოში [1]. არაიშვიათად ვხვდებით მეფისა თუ თავადის ქალიშვილისაგან აზნაურის მზითვად გაყოლების ფაქტებს [2]. იყვნენ ნასისხლი აზნაურები, ე. ი. სისხლის საფასურში გაღებული აზნაურები [3]. თავადებს ჰყავთ საჩუქრად მიღებული აზნაურებიც [4], ე. ი. აზნაურები გასაჩუქრების ობიექტსაც წარმოადგენენ. არსებობდნენ ნასყიდი აზნაურებიც [5]. იყვნენ ე. წ. წყალობის აზნაურები. ეს უკანასკნელნი ისეთი აზნაურები არიან, რომელნიც თავისი ნებით მივიდნენ რომელიმე თავადთან, მიიღეს მისგან ყმა-მამული და ამის სანაცვლოდ იკისრეს მისი სამსახური.

უკვე ის გარემოება, რომ აზნაური წყალობა-გაჩუქების ობიექტს წარმოადგენდა და ეს მისდა დაუკითხავად ხდებოდა, იმაზე მიუთითებს, რომ აზნაურის ერთ-ერთი ძირითადი სოციალური ნიშანთაგანი, პირადი თავისუფლება, შელახული იყო. ამჯერად ჩვენ ვერ ვეხებით საკითხს იმის შესახებ, თუ როდის და რა პირობებში შემოდის აზნაურების წყალობად გაღების ჩვეულება. ამ საკითხს შემდგომი კვლევა ესაჭიროება. ჯერჯერობით მხოლოდ ვადასტურებთ ამგვარი ჩვეულების არსებობას და გავრცელებულობას XV—XVIII საუკუნეებში.

თავადისათვის აზნაურის წყალობად მიცემის ჩვეულება მიუთითებს იმაზე, რომ აზნაურის პირად თავისუფლებას უკვე პირობითი ხასიათი მიეცა. თუ უფრო ადრე, ბატონყმობის გამარჯვებამდე საქართველოში, წერილი აზნაურები საკუთარი ნება-სურვილით შედიოდნენ დიდებული აზნაურების მფარველობაში ანდა ექცეოდნენ მსხვილი ფეოდალების ხელში არა პერსონალურად, არამედ მთელი მხარეების მათ საგამგეოში გადასვლასთან დაკავშირებით, გვიანფეოდალურ ხანაში უკვე გათავადებული ეს მსხვილი ფეოდალები აზნაურებს ცენტრალური ხელისუფლებისაგან ღებულობდნენ საჩუქრად, ყმად, ღებულობენ მათ საჩუქრად ამ აზნაურის ყმა-მამულთან ერთად. ასე რომ, თავადს უკვე გარკვეული უფლებები გააჩნია აზნაურის ყმა-მამულზედაც [6]. თავა-

[1] ნ. ბერძენიშვილი, დოკ. საქართველოს სოციალური ისტორიიდან, წ. II, № 441; საქ. ც. არქ. ფ. 226, № 107, 523, 584; საქ. მუზ. № 4133, 5234, 10869, 6919 და სხვ. მრავალი.

[2] ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, წ. III, № 519; წ. II, № 281; საქ. მუზ. № 465, 1975, 9665; საქ. ც. არქ. ფ. 226, № 1170 და სხვ.

[3] საქ. მუზ. № 8421 და სხვ.

[4] საქ. ც. არქ. ფ. 229, № 3/278.

[5] ნ. ბერძენიშვილი, დოკ. საქართველოს სოც. ისტორიიდან, წ. II, № 92; წ. I, № 634; საქ. მუზ. № 1620, 1757, 3147.

[6] ამასთან დაკავშირებით შ. ხანთაძეს სამართლიანად შენიშნული აქვს თავის დისერტაციაში: „ამ დროისათვის (საუბარია გვიანფეოდალურ ხანაზე, გ. ა.) აზნაურთა წოდება დაპოკიდებულ წოდებად გადაიქცა. ამ ცვლილების ძირითადი მიზეზი იყო აზნაურების მიერ მიწის დაკარგვა“ (გვ. 28).

დისა და აზნაურის პატრონყმობა ამ დროს პირობითი დამოკიდებულება და ურთიერთშეთანხმების საკითხი კი აღარაა, არამედ ბატონყმური მოვლენაა. თაყადის ბატონობა აზნაურზე ხორციელდებოდა უკვე აზნაურის დაუკითხავად და იმ უფლებით, რომელიც თავადს უზენაესმა ხელისუფლებამ მიანიჭა. ამ დროს ჩვენ საქმე გვაქვს აზნაურსა და სენიორს შორის ყმური დამოკიდებულების დამძიმების ფაქტთან. ასევე, თუ არა კიდევ უფრო მეტად, ჩრდილს ფენს აზნაურის პირად თავისუფლებას მისი მზითვად გაყოლების ფაქტებიც, ანდა სისხლის საფასურში აზნაურის მიცემა—ნასისხლი აზნაურების კატეგორიის არსებობა. ყველა ასეთი შემთხვევა აზნაურის დაუკითხავად ხდება. იგი ერთი ბატონიდან მეორის ხელში გადადის, როგორც პირად თავისუფლებას მოკლებული ყმა, რადგან მის ნება-სურვილს ანგარიშს აღარ უწევენ. იგი ასეთ შემთხვევაში უკვე ვალდებულია ემსახუროს თავის ძველსა თუ ახალ ბატონს.

ასე რომ, თუ ერთის მხრივ, როგორც ზემოთ დავინახეთ, სახელმწიფო სამართალი ცდილობს დაიცვას აზნაურთა ფენის უფლებები, მეორეს მხრივ, ცხოვრება აზნაურთა უფლებრივი მდგომარეობის საზიანოდ არის შებრუნებული.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ აზნაურები პროტესტს გამოთქვამდნენ მათი გასაჩუქრებისა თუ გამზითვების შემთხვევებში, ისინი ცდილობდნენ წინააღმდეგობის გაწევას, როცა კი ეს მოსახერხებელი ჩანდა. მეფე თეიმურაზ II-ს თავისი ქალიშვილი ყაფლანიშვილისათვის მიუთხოვებია და მზითევში კახეთის სახასო აზნაურის ზაალ ნაცვლიშვილის გატანება განუზრახავს. ზაალ ნაცვლიშვილს რომ ეს გაუგია, არზა მიურთმევია მეფისათვის და ჯარი უთქვამს მზითევში გაყოლაზე. იგი ჩიოდა, რომ მას, როგორც კახელ კაცს, ყაფლანიანებთან ყოფნა გაუძნელდებოდა. თეიმურაზ II-ის გარდაცვალების შემდეგ, 1764 წელს ხელმეორედ დაწერილ არზაში ნაცვლიშვილი წერდა: „როდესაც სანატრელმა ცხებულმა მეფემ თავისის ქალისათვის ჩემი მზითევში გატანება ბძანა, მაშინ მე მოვახსენე: თქვენი შვილის ხლება ჩემთვის დიდი ღ(ვთ)ის წყალობა არის, მაგრამ მე კახი კაცი გახლავარ და ყაფლანიანთში გაძლება არ შემიძლიან მეთქი. ჩემ(ე)ა ხელმწიფემ ასე მიბძანა, შენ ყაფლანის-შვილს კი არ გაძლევ, ჩემს ქალს გატან, ცოტას ხანს უნდა ემსახუროო".

როგორც ამ არზიდან ჩანს, თეიმურაზ მეფეს ნაცვლიშვილის თხოვნის შედეგად უარუყვია თავისი პირვანდელი განზრახვა და მზითევში არ გაუტანებია იგი, მხოლოდ თავისი ქალის სამსახური დაუვალებია მისთვის. ამასვე მოწმობს ამ არზაზე ნიწერილი ერეკლე II-ის ოქმი: „ქ. ჩვენი ბრძანება არის ნაცვლის-შვილო ზა(ა)ლ, სანატრელის მამის ჩვენისაგან გვაქვს ნაბძანები, ჩვენის ქალისათვის მზითევში არც ზა(ა)ლ მიგვიცია და არც გაურახიო".

ზაალ ნაცვლიშვილი თავის არზაში სთხოვს ერეკლე II-ს: „ახლა, მოგეხსენებათ, რაერთიც ხანია, რომ თქვენს დას ვემსახურები. მოწყალებას ვთხოვ თქვენს სადღეგრძელოთ, ახლა კი განმათავისუფლეთ".

ერეკლე II ბძანებს: „რადგან ჩვენმა დამ გვთხოვა, მანამ ცოცხალი ვიყო გაურახს ნუ ჩამომართმევთო, ამისთვის ჩვენს დას ვერ მოგაშორებთ. მანამ ჩვენი და ცოცხალი ბძანდება, უნდა ემსახუროს. გაურახისა და ვაშლოვნის მოურაობაც შენთვის გვიბოძებია საშვილიშვილოთ. არ მოგეშალოს და ჩვენს დას უკან გაურახიც სახასო არის და შენც ეს ასე იცოდე"[1].

[1] საქ. ცენტრ. არქ. ფ. 226, № 426.

მაშასადამე, ზაალ ნაცვლიშვილმა მიაღწია თავისას. იგი ნამზითვად მეფის ასულს არ უბოძეს, დააჯალეს მხოლოდ სამსახური მისი სიცოცხლის განმავლობაში. მეფის ქალიშვილის გარდაცვალების შემდეგ ნაცვლიშვილი ისევ სახასო უნდა იყოს.

აღსანიშნავია ისიც, რომ დროთა მანძილზე ყველა ეს აზნაური—ნებით მოსული, ნაწყალობევი, ნასყიდი თუ სხვა, ერთ საერთო კატეგორიაში ექცევიან, სამკვიდრო აზნაურთა სახელს ატარებენ.

საჭირო მასალის სათანადო სისრულით უქონლობის გამო ჩვენ ამჯერად გვიჭირს დავადგინოთ, არსებობდა თუ არა რაიმე უფლებრივი განსხვავება ნაწყალობევსა და ნასყიდ თუ სხვა ამგვარ აზნაურს შორის. ამ საკითხის გარკვევისათვის მეტი მასალის მოპოვება და კვლევის გაღრმავება არის საჭირო. ერთი რამ კი სრულიად ცხადია—ე. წ. წყალობის აზნაურები სხვა აზნაურებთან შედარებით უფრო მსუბუქ ყმურ დამოკიდებულებაში იმყოფებიან თავიანთი ბატონის მიმართ.

წყალობის აზნაურის, ანუ ნებით მოსულის ყმობის შედარებით იოლი ფორმა აშკარად შეიმჩნევა. როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, გიორგი საყვარელიძე თავისი შვილებით წყალობის ყმად მისვლია დიმიტრი ამილახორის შვილს. იმავე საყვარელიძეების არზებიდან ვტყობილობდით, რომ მანამდე ისინი ასეთივე წყალობის ყმად იყვნენ მისულნი ქართლის სხვა თავადებთან—ჯერ ციციშვილთან, ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ კი (ჩანს, საყვარელიძეებს არ სურთ სამკვიდრო აზნაურებად გადაქცევა და ამიტომ დაანებეს თავი ციციშვილის მემკვიდრის ყმობას) ელიზბარ დავითიშვილთან. „პაპა ჩემი,—წერს არზაში შიოშ საყვარელიძე,—მკუ(ი)დრი იმერელი ყოფილა, იმერეთიდამ გარდმოსულა, დიდ ციცის მისვლია, ყმა და მამული იმას უბოძებია. პაპაჩემი რომ თქუ(ი)ნის ჭირის სანაცვლო შექმნილა, მამაჩემის ციცის ყმა და მამული გაუშვია, ელიზბარ დავითის-შვილს მისვლია, ყმა და მამული მიუცია“ [1]. შემდეგში საყვარელიძეს დავითიშვილის მიერ მიცემული მამულიც დაუგდია და სხვას მისვლია ყმად. გავიდა რამოდენიმე ხანი და დავითიშვილმა გაიხსენა საყვარელიძის ყმობა. მოვიდა და ყმობით წამოედავა მას—„პაპის ჩვენის ნაახლები ხარ, ჩვენი ყმა ხარო“. შიოშ საყვარელიძე მეფისადმი მირთმეულ არზაში თავს იცავს დავითიშვილის პრეტენზიებისაგან მეტად საინტერესო არგუმენტით: „დავითის-შვილის მემკუიდრე ყმაც რომ ვიყო, აზნაურშვილი ვარ, იმის ყმა და მამული გამიშვია, ჩემთან რაღა ქელი აქუს, ტყვილად მაცოდეილებს“-ო. ეს სიტყვები იმას მოწმობს, რომ წყალობის აზნაური, თავის ნებით ნაყმობი, ჩვეულებრივ აზნაურზე უფრო ნაკლებად დაბონებული ჩანს და მის პირად თავისუფლებას ადვილად ვერ შეეხებიან.

საინტერესოა ისიც, თუ რა პირობებში მოუხდა საყვარელიძეს წასვლა დავითიშვილის ყმობიდან. ელიზბარ დავითიშვილი ეყრებოდა თავის ძმას და მამულს იყოფდნენ. დავითიშვილებს საყვარელიძის „ბარათში ჩაგდებაც“, ე. ი. სხვა გასაყოფ ყმა-მამულთან ერთად განაწილება, მოუნდომებიათ. საყვარელიძეს ეს არ უყაბულნია. ჩანს, ამით, მისი ბარათში ჩაგდებით, ძმებს შორის განაწილებით მისი ყმობის ხასიათი შეიცვლებოდა. ის უკვე „ბარათში ნარგები ყმა“ გახდებოდა და ამრიგად, უკვე მკვიდრი აზნაურების კატეგორიაში გადავიდოდა და უფრო მძიმე ბატონყმურ დამოკიდებულებაში მოექცეოდა.

[1] საქ. მუზ. Hd № 5355.

ამის გამო საყვარელიძეს უჩიელია მეფესთან: „მე რადგან მოსული გახლდი, მეფე ვახტანგს მოვახსენეთ და მე და ზარდიაშვილი მაშინვე აქეთ გადმოგვაყენეს და ბარათში აღარ ჩაგვაგდეს. ყმანი რომ არ გახლდით, აღარც ბატონმა ჩაგვაგდო ბარათში“.

ამრიგად, წყალობის აზნაური ეს ისეთი აზნაურია, რომელიც ბატონთან ახლად არის მისული, მისი არამკვიდრი ყმაა. იგი ბატონისაგან ღებულობს წყალობის სახით ყმა-მამულს და კისრულობს ამის სამაგიეროდ ერთგულ სამსახურს. როგორც თავისი რება-სურვილით არის მისული ბატონთან, ასევე თავისივე სურვილის მიხედვით შეუძლია დასტოვოს იგი და სხვას მიუვიდეს. ასეთი აზნაური მეტი თავისუფლებით სარგებლობს და უფრო სუსტად არის დაკავშირებული ბატონთან. როგორც საყვარელიძის არზაში გამოთქმული სიტყვებიდან ჩანს, თავადი ასეთ აზნაურს თავისი სამკვიდრო აზნაურებისდაგვარად ვერ მოეპყრობოდა. იგი მას, მაგალითად, თავისი ქონების გაყოფაში ვერ მოახვედრებს, თუ კი ამ აზნაურს ეს არა სურს.

მაგრამ ისეთი სახის ყმა-აზნაურიც კი, როგორიც არის წყალობის ყმა, ზოჯერ ბატონისაგან წასვლის შემთხვევაში ღებულობს თავისი ბატონისაგან განთავისუფლების წიგნს. ასე მაგალითად, ხვარეშან ბატონიშვილი განთავისუფლების ასეთ წიგნს აძლევს თავის წყალობის აზნაურს გიორგი მღვდელსა და მის შვილს მახარას: „ჩემი წყალობის ყმანი იყვენით და ჩემი ზითვის მამულზე ძამუკაშვილის მამულზე დაგასახლე, ის კაცი ამოსწყდა და იმისი მამული მოგეც. რახან შვილი მომიკუდა და უშვილო დავრჩი, ის ჩემი ზითვის მამული გასასყიდლად მოვინდომე. თუ ის მამული გავყიდო, შენთან ჯელი არაისა ქონდეს. ვისაც შენმა გულმა მოინდომოს, იმას ეყმევ. თუ გინდათ ჩვენს ყმათ იყავით, თუ გინდათ თქვენთვის აზნაურათ“ [1]. საბუთს ახლავს ერეკლე მეფის დამტკიცებაც: „მამიდის ჩვენის განთავისუფლების წიგნს ვამტკიცებ თეიმურაზის ძე ერეკლე“ [1].

ამგვარი განთავისუფლების წიგნები იმას მოწმობენ, რომ თავადთა მისწრაფება წაერთვათ აზნაურებისათვის თავისუფალი წასვლის უფლება—გამარჯვებას აღწევდა. იმ დევნას, რომელიც წყალობის აზნაურს აუტეხეს, და ასეთსავე მთელ რიგ სხვა შემთხვევებს შედეგად მოჰქონდა ის, რომ წყალობის აზნაურებიც კი ბატონისაგან წასვლის შემთხვევაში თავს სრულიად თავისუფლად გრძნობდნენ მხოლოდ მაშინ, როდესაც ხელში ეჭირათ ბატონისაგან მიცემული ყმობიდან განთავისუფლების წიგნი.

აზნაურის წასვლის უფლებაზე თავადის შეხედულების საილუსტრაციოდ შესანიშნავ მასალას გვაწვდის საბუთების ერთი წყება, რომელიც წარმოადგენს ქართლის ერთ-ერთი მსხვილი თავადის ზაალ დავითიშვილის არზებს—საჩივარს თავისი აზნაურის ზარდიაშვილის მისგან წასვლის გამო. აღნიშნული არზების მიხედვით კარგად ჩანს, თუ როგორ იბრძოდნენ თავადები (ამ შემთხვევაში ზაალ დავითიშვილი) აზნაურის თავისუფალი წასვლის უფლების წინააღმდეგ.

ზარდიაშვილი დავითიშვილების სამკვიდრო აზნაური იყო. 1720 წლის რთი საბუთის მიხედვით ავთანდილ ზარდიაშვილი ელიზბარ დავითიშვილის ყმა იყო. დავითიშვილებს იგი მზითვად გაუტანებიათ თავიანთი ქალიშვილისათვის, რომელიც ყორჩიბაშ ამილახორის მეუღლე გამხდარა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ზარდიაშვილი ისევ დავითიშვილის მამულშივე რჩებოდა, ამი-

[1] საჭ. მუზ. Hd № 14220.

ლახორთან არ წასულა (აქაც, აზნაურის პროტესტის გამოვლინებასთან შეიძლება გვქონდეს საქმე). 1720 წელს ფარემუზ ამილახორის-შვილი ყორჩიბაშის შვილი თავის ბიძაშვილს, დედის ძმისშვილს ელისბარ დავითიშვილს სათანადო საბუთით უთმობს ამ აზნაურს, აღნიშნავს რა საბუთში, რომ, მართალია, ეს ზარდიაშვილი, როგორც დედაჩემის მზითვი მე მეკუთვნოდაო, მაგრამ შეთანხმების შედეგად „შენის ნდომისა და სიყვარულისათვის" შენ მოგეციო, „არავის ჩემს სახლის კაცს ამასთან ხელი არ ქონდეს, შენიაო" [1].

1750 წელს, როდესაც დავითიშვილების სათავადო სახლის გაყრა მომხდარა, აზნაური ზარდიაშვილი სახლის უფროს შტოს, გიორგი დავითიშვილს ერგო წილად, მისი „ბარათში გამოყოლილი ყმა", სამკვიდრო აზნაური შეიქნა [2].

მაგრამ ოციოდე წლის შემდეგ მდგომარეობა იცვლება. ზარდიაშვილს უკვე ქსნის ერისთავის ყმებს შორის ვხედავთ. ზაალ დავითიშვილის 1769 წლის არზიდან ჩანს, რომ ზარდიაშვილი დავითიშვილს წასვლია და ქსნის ერისთავთან გადასულა. 1771 წლის საბუთში ქსნის ერისთავი დავითი თავის ყმად იხსენიებს ზარდიაშვილს. ეს საბუთი წარმოადგენს დავით ქსნის ერისთავის მიერ მეფისადმი მიცემულ არზას, რომლითაც დავით ერისთავი ჩივის თავისი ყმების შეუძლებლობას და აღნიშნავს, რომ ბევრმა მათგანმა დაჰკარგა თავისი საქონელი, ხოლო „ამას გარდა, ფურცელაძე, ზარდიაშვილი, ქსუისი, კულბითი და ნახევარი დიციც ისე დასეტყვა, რომ არაფერი არ მოსვლიათრა-ო". ამის გამო ერისთავი ითხოვს, რომ მის ყმებს შეუმცირდეთ შეწერილი სახელმწიფო გადასახადი [3]. მაშასადამე, ზარდიაშვილი 1771 წლისათვის უკვე ქსნის საერისთაოშია, ერისთავის ყმად ითვლება, იქა აქვს თავისი ყმა-მამული და საერისთაოს სხვა ყმებთან ერთად იხდის სახელმწიფო გადასახადს. ზაალ დავითიშვილის არზებიდანაც, რომელიც ამის მომდევნო ხანებშია დაწერილი, ირკვევა, რომ ზარდიაშვილს თავისი ნებით მიუტოვებია ყმა-მამული სადავითიშვილოში და ზაალ დავითიშვილის დაუკითხავად ქსნის ერისთავთან მისულა ყმად. აზნაურის ასეთი თვითნებობით აღშფოთებულია მისი ბატონი ზაალ დავითიშვილი, იგი ჩივის სასამართლოში და ითხოვს დახმარებას თაენება აზნაურის დასამორჩილებლად.

თავისი პირველი არზა ზაალ დავითიშვილს 1769 წელს მიურთმევია ერეკლე II-სათვის. ამ არზაში დავით და ზაალ დავითიშვილები წერენ, რომ მათ ბევრჯერ უნდოდათ შემოეტანათ საჩივარი, მაგრამ მეფის მოუცლელობის გამო ვერ ბედავდნენ: „დიაღ მრავალჯერ გვინდა გეეწყინა თავი, მაგრამ მრავალს საქმეში ბრძანდებით, ვაითუ ყური ვერ მოგვიგდოსო, ამის მიზეზით ვერ მოგახსენეთ". დავითიშვილები ჩივიან, რომ მათი აზნაური ზარდიაშვილი ქსნის ერისთავთანაა და ითხოვენ სამართალს: „ამას გეეედრებით თქვენ და მართლმსაჯულებას, რომ ყური მიუგდოთ ჩვენ საჩივარს. ქსნის ერისთავთან (არის) ზარდიაშვილი ჩვენი აზნაურიშვილი და ამ მოწყალებას ვითხოვთ, იმაზე სამართალი გვაღირსოთ. თუ რომ ჯერ არ გეცალოსთ, ისინი იყრებიან, იმას წილში ნუ ჩააგდებენ. ნურც იმის ანგარიშზე საუფროსოს და საჭინახულოს აიღებენ" [4]. მეფის

[1] საქ. მუზ. Hd № 465.
[2] საქ მუზ. Hd № 2168.
[3] საქ მუზ. Hd № 2567.
[4] საქ მუზ. Hd № 14909.

რეზოლუცია დადებული ამ არზის საპასუხოდ შემორჩენილი არ არის, მაგრამ რამდენიმე წლით გვიან დავითიშვილების მიერ მიცემული არზიდან ვტყობილობთ, რომ მეფეს იმჯერად არ გაურჩევია მათი საქმე და მაოლოდ უბრძანებია, რომ, როდესაც ერისთავები გაყრას შეუდგებიან, მაშინ მოგვახსენე და თქვენს საქმესაც გავარჩევთო. შემდეგი, 1773 წლის, არზით ზაალ დავითიშვილი ასე ჩივის: „ერთი ძირი აზნაურშვილი მეკარგება. ერისთვიენი იყრებიან. ზარდიაშვილი ჩემი არის... უწინ მოვახსენე თქვენს სიშაღლეს და ასე მებძანა—როდესაც სწორეს გაყრაზე დადგნენო, მაშინ მოგვახსენე და სამართალს გიბოძებთო". ზაალ დავითიშვილი ამ არზაშიც იმასვე სთხოვს ბეფეს—არ მისცეს მან საშუალება ერისთავებს, რომ მათ თავიანთი ყმა-მამულის გაყოფისას წილში ჩააგდონ ზარდიაშვილი: „არას კაცს საქმე არა აქვსრა, ან თქვენ უნდა მედაოთ, ან აბაღახორიენი, თორამ სხვას კაცს საქმე არავისა აქვს". ზაალ დავითიშვილი ამავე არზით მოითხოვს აგრეთვე იმ გლეხებსაც, რომელნიც ზარდიაშვილს გაყოლიან მისი მამულიდან [1].

მეფე ერეკლე იძლევა ბრძანებას, რომ ზარდიაშვილი არ მოახვედრონ ერისთავებმა მამულის გაყოფაში, ვინაიდან ეს აზნაური სადაოა და სამართალმა უნდა გადასწყვიტოს საკითხი, თუ ვის ეკუთვნის იგი. თავის ოქმს მეფე ასეთი სიტყვებით ამთავრებს: „ჩივის, თუ სამართალს არ მივცემთ, ხომ არ იქნებაო". სამწუხაროდ, ჩვენ არ მოგვეპოვება ხელთ ამ საქმეზე სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი და არც ვიცით, საერთოდ, შემსდარა თუ არა საქმის გარჩევა, მაგრამ თუ კი მოხდა, უნდა ვიფიქროთ, რომ საქმე ზაალ დავითიშვილის სასარგებლოდ არ გადაუწყვეტია სასამართლოს. რომ მას ეცნია ზარდიაშვილის უფლება—წასულიყო თავის მებატონისავან. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ როგორც ზაალ დავითიშვილის შემდეგი დროის არზებიდან ირკვევა, ზარდიაშვილი ისევ ერისთავიანთ მამულში განაგრძობს ყოფნას და არ სცნობს ზაალ დავითიშვილს თავის მებატონედ. აბლა უფრო მეტსაც ცდილობს ზარდიაშვილი—ცდილობს გავრცელოს თავისი უფლებები ყმა-მამულის იმ ნაწილზე, რომელიც მან სადავითიშვილოში დატოვა. 1788 წლის არზაში ზაალ დავითიშვილი ჩივის, რომ ზარდიაშვილმა აყარა ერთი მისი, ზაალის ყმა და თავისად გამოაცხადა: „ზარდიაშვილს ყალატად მოუხსენებია,—წერს თავის არზაში ზაალ დავითიშვილი,—ერთი ჩემი კაცი ეორთს არისო, არას მეპოებაო. ოქმი გიბოძებიათ. იასაულები მოვიდნენ, აყარეს, და(ა)ეიოკეს, არც ბრძანება გვიჩვენეს, არც გამიკითხეს. ჩემი კაცი აყარა. ამ წყალობას ვითხოვ, ის კაცი ისევ თავის სახლში გამოვიდეს თავისის საჭირლით, ზარდიაშვილი აქ სამართალში გიახლოს, მეც აქ გახლავარ, თუ სამართალში მე გამივიდეს, ერთი ორათ მოგართვათ" [2]. ზაალ დავითიშვილი იმასაც ვერ შერიგებია, რომ მისმა აზნაურმა საკუთარი ნება-სურვილით აარიდა თავი ყმობას, ზარდიაშვილი კი პრეტენზიებს აცხადებს მის საბატონოში მიტოვებულ ყმა-მამულზე. ეს უკვე სრულიად გაუგებარი, საოცარ და დაუშვებელ გარემოებად მიიჩნია თავადს. 1790 წელს დავითიშვილი ასეთი არზით მიმართავს ერეკლე II-ს: „ზარდიაშვილი ჩემ ყმა არის, მაგრამ ძლავრობით წართმეული მყავს... ახლა, ჩემო ხელწიფევ, საერისთაოდამ მანდულსა და ყმას მეცილება. თუ ზარდიაშვილი წამერთმევა, ყმასა და მამულს ხომ ვერ

[1] საქ. მუზ. Hd № 521.
[2] საქ. მუზ. Hd № 451.

გავატან თანა. ამდენი თქვენი წყალობა დამემართოს, სამართლამდინ ყმა და მამული მე დაძნებდეს და როსცა თქვენს წინ სამართალში გავიაროთ, თუ გამამტყუნოს, დიდათ ჯარიმათ გადამახდევინე და ერთი იმდონი იჩისთვინ მიმაცემინე. ამისთანა ღვთის რისხვა როგორ იქნება, ჩემ(მ)ა აზნაურშვილმა თავიც წამართვას, სხვის ქვეყანას იყოს და იქიდამ ყმასა და მამულს მედავებოდეს! ეს თქვენს დროში არ მომხდარა ასე ყმა თავის ბატონს მორეოდეს და ნურც მე მამრემ ჩემს ყმასა, მიშველე რამე, ღ(მერ)თი გაგიმარჯვებს. ამ ყოფას სიკვდილი მირჩევნია. სხვა ქვეყნიდამ ჩემი ყმა მამიხდეს, ავათაც მამეპყრას და ყმასა და მამულსაც მართმემდეს!" [1]. მეფე ბრძანებს ოქმით, რომ სამართლამდის სადაო ყმა-მამული დანებდეს ზაალს. სამართალმა უნდა გააჩკვიოს საკითხი, ეკუთვნის თუ არა სადავითიშვილოდან წასულ ზარდიაშვილს იქ დატოვებული ყმა-მამული. მაგრამ, ნათქვამია ოქმში, თუ ზარდიაშვილს აქვს მიღებული რაიმე განაჩენი, მაშინ დავა ამ განაჩენის მიხედვით უნდა გადაწყდესო.

ამის შემდეგ ისე გამწვავებულა ურთიერთობა ზარდიაშვილსა და ზაალ დავითიშვილს შორის, რომ საქმე კინაღამ შეიარაღებულ შეტაკებამდე, სისხლის ღვრამდე მივიდა. 1791 წლის 13 იელისს ნიკოზელი ეპისკოპოსი ათანასე იძლევა ჩვენებას ზარდიაშვილსა და დავითიშვილს შორის მოხდარი შეტაკების შესახებ. ათანასე ნიკოზელის ჩვენებით „ზარდიაშვილი ამ დავითიშვილზე იწვედა" და „თოფი ფეხზე ქონდა შესმული". „მოკლევდენ თუ არა, ღ(ვ)თის ნება იყოო". ზარდიაშვილს კი თვითონვე უთქვამს — „თუ მიევწვი ვისმე, მოვკლევდიო" [2].

ამავე წლის 3 იელისის არზაში ზაალ დავითიშვილი წერს, რომ ზარდიაშვილმა „ორნიე მამა-შვილნი კინაღამ თოფებით დაგეხოცაო". ამ არზით ზაალ დავითიშვილი ჩივის, რომ ზარდიაშვილი ყრის სადავითიშვილოს მამულიდან კაცებს და საერისთაოში მიყავსო. ხოლო შიგ სადავითიშვილოშიც ცდილობს აცლოს ღალატი, ე. ი. ზარდიაშვილი თელის, რომ იქ გარკვეული მიწები ისევ მას ეკუთვნის. „ახლაც მიხდომია ჩემ კაცს,—წერს ზარდიაშვილის შესახებ არზაში დავითიშვილი,—და ძროხა წაურთმევია... ჩემს მამულში ღალა აუღია თავის თავათ... მუდამ ჩემის ყმისაგან ამ ყოფას ვერ გავძლებ და ძნელიც არის, კაცს თავის ყმა წაუვიდეს, იქავ მეზობლის მამულში იდგეს და ამ ყოფაში ყვანდეს! არავის დამართია თავისის ყმისაგან და მეც მიშველე რამ ქრისტეს სიყვარულისათვის ჩემო მოწყალევ", მიმართავს დავითიშვილი ერეკლე II-ს. მეფე ოქმით სამართალში იბარებს ზარდიაშვილს, მაგრამ საქმე ისევ გაურჩეველი თუ გადაუწყვეტელი რჩება. ამავე წლის 31 ოქტომბერს ზაალ დავითიშვილი ხელახალი არზით მიმართავს მეფეს: „ეს ოცი წელიწადია მუდამ თავს გაწყენ, ზარდიაშვილი ჩემი ყმა არის და მძლავრობით თავს მართმემს მეთქი". „კაცებს ცალკე მართმევენ... ამ ზაფხულს კიდევ ჩემს კაცს მიხდომიან თავის თავათ, ძროხა წაურთმევიათ უბრალოს კაცისათვინ". ზაალი მოითხოვს ამ ძროხის უკან დაბრუნებას პატრონისათვის, გარდა ამისა, ასეთი თხოვნით მიმართავს მეფეს: „ამდენი წყალობა დამემართოს, ეს ჩემი ორი კაცი ჯოხაძე(ე)ბი მე მებოძოს. იმისი სამკვიდრო ხომ არ არის, ნასყიდობით დაობს და თუ შემამივიდეს, ჯარიმით გადამახდევინე" [3]. ზარდიაშვილი სადავითიშვილოში დარჩენილ ყმაის ყმებზე აცხადებდა პრეტენ-

[1] საქ. მუზ. Hd № 554.
[2] ნ. ბერძენიშვილი, დოკ. საქ. სოც. ისტ-დან, წ. II, № 256.
[3] იქვე, № 268.

ზიებს იმიტომ, რომ ამ ყმებს მის მიერ შეძენილ, ნასყიდ ყმებად თელიდა. სწორედ ამას უარყოფდა დავითიშვილი და ამტკიცებდა, რომ აღნიშნული ყმები მის სამკვიდრო საკუთრებას შეადგენდნენ—„ამ ჩემს სამკვიდრო კაცებზე მკლავსო“ და ნასყიდობით ვერ შემომიეაო“. არზის დასასრულს ისევე თავისას იმეორებდა თავადი: „თავის თავსაც ვედავები, რომ ჩემი ყმა არისო“. მეფე მკაცრი ოქმით ზარდიაშვილს კვლავ სასამართლოში იბარებს. 1794 წლის ერთი საბუთიდან ვიგებთ, რომ სამართალი შემდგარა და განაჩენის მიხედვით სადაო ყმები—ჯოხაძეები სამეფოდ გადაურიცხავთ. თუ რა მოსაზრებით გადაუწყვეტიათ ასე, ჩვენს ხელთ არსებული საბუთებიდან არ ჩანს. ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ჯოხაძეები ჩიეიან მეფესთან, რომ თქვენ სამეფოდ დაგვედევით და ზაზა გაბაშვილსაც უბრძანეთ, რომ თქვენს დავთარში ჩავეწერინეთ, მაგრამ ეს არ შესრულებულა და იმავე დავთარში ვწერიეართო. მამული დავითიშვილმაj ჩამოგვართვა, რადგან იმისა იყო, ხოლო შემოსაწერი ისევე ზარდიაშვილისაგან გვეწერებაო. მეფე იძლევა ბრძანებას, რომ ამოშალონ ისინი იმ დავთრიდან, სადაც ზარდიაშვილის ყმად სწერიან და სამეფოდ დასწერონ [1].

ზაალ დავითიშვილი ამის შემდეგაც განაგრძობს დავას. 1798 წელს იგი არზით მიმართავს იულონ ბატონიშვილს—ზარდიაშვილი ჩემს კაცებს ჰყრის მამულიდან და მიჰყავსო [2]. რა შედეგი მოჰყვა ამ არზას, ცნობილი არაა. არსებობს ზაალ დავითიშვილის კიდევ ერთი და უკანასკნელი არზა ამავე საქმეზე. ის დაწერილია 1801 წლის 12 სექტემბერს იმპერატორ ალექსანდრე I-ის სახელზე. ზაალ დავითიშვილი ამ არზაში ისევე თავიდან იწყებს დავას მისგან წასული აზნაურის გამო. „ზარდიაშვილი ჩემი ყმა არის, თავი წამართვა, საერისთაოში გავიდა“ და ვერაფერი გავაწყეო. იგი დასძენდა, რომ მისმა ყოფილმა ყმა-აზნაურმა მას გლეხებიც აუყარა... თავადი კვლავაც მოითხოვდა ზარდიაშვილის დასჯას [3].

ამრიგად, მთელი 32 წლის განმავლობაში (პირველი არზა 1769 წელსაა დაწერილი, უკანასკნელი კი 1801 წელს) ზაალ დავითიშვილი თავს არ ანებებდა საჩივრების წერას მისგან თავისი ნებით წასული აზნაურის გამო და სამართალს ეძებდა ამ აზნაურის დაბრუნების მიზნით. განხილული საბუთების მიხედვით აშკარა ხდება, რომ დავითიშვილი არ ცნობდა აზნაურის უფლებას ყმობიდან წასვლის შესახებ და იმედი ჰქონდა, რომ სამართალი მის მხარეზე იქნებოდა. მაგრამ რაკი ასე არ მოხდა და ზარდიაშვილმა მაინც მოახერხა დაუსჯელად მიეტოვებინა თავისი ბატონი და სხვას მისელოდა, ეს, დავითიშვილის აზრით, „მძლავრობა“ იყო. მისივე აზრით, ამ „მძლავრობაში“ ზარდიაშვილს ხელი შეუწყეს ერისთავებმა, შემდეგ კი იულონ ბატონიშვილმა და რომ ეს არ ყოფილიყო, მაშინ სამართლიანობა მის მხარეზე იქნებოდა და ამგვარი საქმე თავადს არ დაემართებოდა.

ზაალ დავითიშვილის არზებში ნათლად მჟღავნდება თავადისათვის დამახასიათებელი შეხედულება აზნაურის, როგორც ყმის უფლებრივ მდგომარეობაზე. ამავე დროს კარგად ჩანს ისიც, რომ სამართალი, სახელმწიფო კანონი აზნაურის მხარეზე იყო. მიუხედავად ზაალ დავითიშვილის გამუდმებული საჩივრებისა, ზარდიაშვილი ისევ და ისევ მის მიერ არჩეულ მდგომარეობაში

[1] საქ. მუზ. Hd № 557.
[2] საქ. მუზ. Hd № 2245.
[3] საქ. მუზ. Hd № 5014.

რჩება. არსად თავის ბრძანებაში მეფე არ აცხადებს, რომ ზარდიაშვილის საქციელი კანონის საწინააღმდეგო საქმე ყოფილიყოს. ერეკლე მხოლოდ იმას აღნიშნავდა, რომ რადგანაც თავადი ჩივის, საჩივარი სასამართლოში უნდა განეხილათ.

მაგრამ ცენტრალური ხელისუფლების სისუსტისა და ფეოდალთა ძლიერების პირობებში თავადების მისწრაფებას აზნაურთა პიროვნული დამონებისაკენ საკმაოდ ფართო გასაქანი მიეცა; ცხოვრებაში უკვე მტკიცედ დამკვიდრებული ჩვეულება—ბატონის წერილობითი ნებართვის საჭიროება აზნაურის ყმობიდან განთავისუფლებაზე (ე. წ. განთავისუფლების, ანუ აზატობის წიგნებში) და ამასთან დაკავშირებული მრავალი ძნელად თავდასაღწევი დაბრკოლების არსებობა, იმის მაჩვენებელი იყო, რომ აზნაურთა ძირითადმა მასამ საბოლოოდ დაჰკარგა თავისი ძველი სოციალური პრივილეგიები.

Г. Д. АКОПАШВИЛИ

## К ВОПРОСУ ПРАВОВОГО ПОЛОЖЕНИЯ СОЦИАЛЬНОГО СЛОЯ АЗНАУРОВ В XV — XVIII вв.

**Резюме**

Слой азнауров в означенную эпоху, вместе с другими более или менее прогрессивными элементами, в стране составляет ту силу, на которую обыкновенно опирается центральная власть в борьбе за усиление власти и централизацию страны. Вопрос о правовом положении азнауров связан с вопросом о выяснении положения тех сил в стране, которая должна составлять опору царской власти.

Выясняется, что в данную эпоху социальный слой азнауров крайне слаб по своему социальному, политическому и экономическому положению.

Как известно, слой азнауров не составляет к этому времени единой цельной массы. Большая часть азнауров подпала под власть крупных феодалов. «Азнауры являются либо царскими, либо церковными, либо княжескими» [1]. Княжеские азнауры «стремятся стать царскими, но царю нелегко удовлетворить их желания» [2]. Несмотря на то, что юридически азнауры владеют личной свободой, правом свободного перехода от одного сеньера к другому, фактически осуществление этого права сталкивается с трудно преодолимыми для азнаура препятствиями. Азнаур может уйти от своего сеньера только в том случае, если оставит ему свое имение. Правда, азнаур в таких случаях сохраняет за собой лично им приобретенную часть имущества, т. н. «наскиди», но это последнее обыкновенно составляет настолько несущественную часть имущества азнаура, что вышеуказанное условие свободного отхода азнаура — отказ от своего родового имения в пользу своего сеньера является часто непреодолимым препятствием для азнаура в деле осуществления своих прав на личную свободу. Азнауры находятся в тесной эконо-

[1] Н. Бердзенишвили. Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII—XVI в.). Тбилиси, 1938, стр. 38.

[2] таже, стр. 39.

мической зависимости от своих сеньеров, так как азнаур не является единственным собственником своей земли и крепостных. Право собственности на землю и крепостных он разделяет со своим сеньером. В этом ясно сказывается непреложный закон феодального общества, что феодальная собственность на землю является основой феодализма. Отношения сеньера и его азнаура основывается на порядке землевладения в данном феодальном обществе.

Кроме того, что азнаур связан экономически в деле перехода от одного сеньера к другому, отход его от своего сеньера затруднен еще тем, что тавады отнюдь не склонны признавать за азнауром его права на свободный отход даже и в том случае, если азнаур откажется от своего имения. Тавады стремятся распространить свою власть и на личную свободу азнауров. В случае своевольного отхода азнаура, тавад обыкновенно долгое время разыскивает азнаура и требует его немедленного возвращения, жалуется на него в суд, утверждает, что азнаур не имеет права покинуть своего сеньера без согласия последнего. В становлении такого взгляда тавадов относительно личной свободы азнауров решающее значение имеет то обстоятельство, что в означенный период одним из главных источников приобретения азнауров тавадами является пожалование царем таваду азнауров вместе с их имением и крепостными. Тавад, таким образом, получает власть над азнауром без согласия последнего на основании пожалования свыше. Азнауров отдают в приданое, они являются предметом дарения, продажи и т. п. В таких условиях азнаур обязан нести службу того или иного сеньера независимо от его личного желания.

Несмотря на это, центральная власть старается сохранить за азнауром его право личной свободы, однако реальное положение дел не в пользу правового положения азнауров.

В условиях политического могущества тавадов и слабости центральной власти, защищающей личную свободу азнауров, попытки тавадов помешать свободному переходу азнауров большей частью достигают успеха.

Личной свободе азнауров в данную эпоху нанесен значительный ущерб.

ვ. გაბაშვილი

# იოსებ ქართველი — XVIII ს-ის დიპლომატი და ისტორიკოსი

იოსებ ქართველი ქართული სამეცნიერო-საისტორიო მწერლობისათვის სავსებით უცნობი პიროვნებაა. მაგრამ საკმაოდ კარგად იცნობენ მას ევროპელი ირანისტები და ორიენტალისტები. მისი აღმოსავლურ და ევროპულ ენებზე დაწერილი თხზულებები წარმოადგენენ მთავარ წყაროებს ე. წ. „აშლილობის ხანის“ (სეფიანთა დინასტიის მოსპობა-გადაშენების პერიოდის) ირანის ისტორიისათვის.

იოსებ ქართველი უცხოეთში მყოფი ერთი იმ ქართველთაგანია, რომელთაც XVII—XVIII სს. ევროპის თუ აღმოსავლეთის პოლიტიკურ და კულტურულ ასპარეზზე მოუხდათ მოღვაწეობა.

ამ მოღვაწეთა შორის „თბილისის მკვიდრი“ იოსებ ქართველიც იქცევს ყურადღებას. იგი ანთიმოზ ქართველის თანამედროვეა. თუ ანთიმოზ ქართველი ძირითადად რუმინეთში მოღვაწეობდა, იოსებ ქართველის მოღვაწეობის სარბიელს ირანი და თურქეთი წარმოადგენდა, ახალგაზრდობა კი მან დას. ევროპაში გაატარა.

საყურადღებოა, რომ ანთიმოზმაც და იოსებმაც უცხოეთში მოღვაწეობისას თავიანთ სახელს სადაურობის აღმნიშვნელი „ქართველი“ დაურთეს.

იოსებ ქართველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გასაცნობად საჭირო ყველა მასალა ამჟამად ჩვენთვის ხელმისაწვდომი არაა. მისი ვინაობის გამო ეპიზოდური ხასიათის ცნობები მოიპოვება იმ ავტორთა თხზულებებსა და გამოკვლევებში, რომელნიც მისი ნაწერებით სარგებლობდნენ ან ამ ნაწერებს სწავლობდნენ. ამ მხრივ ყველაზე საყურადღებოა XVIII ს-ის ფრანგი მწერლის ლუი ანდრე დე ლა მამიე-კლერაკის (La Mamye-Clairac) „სპარსეთის ისტორია“, რომლის შესავალში დაცულია იოსებ ქართველის შესახებ ცნობები და დასახელებულია მისივე თხზულებები[1]. ბიოგრაფიული ხასიათის ცნობებს ეხვდებით აგრეთვე იოსებ ქართველის თურქულად დაწერილი თხზულების პატარა წინასიტყვაობაში. ამ თხზულების ხელნაწერი გლაზგოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში აღმოაჩინა და შეისწავლა ინგლისელმა ორიენტალისტმა ვაირმა[2].

როდის დაიბადა იოსებ ქართველი, არსად აღნიშნული არ არის. ვიცით მხოლოდ, რომ იგი თბილისის მკვიდრია („A native of Tiflis“)[3]. ჯერ ისევ ბავ-

---

[1] La Mamye-Clairac, Histoire de la Perse, depuis la Comensement de ce Siecle, Paris, 1750, Introduction.

[2] Wair, T. H. The Rievolution of Persia at the beginning of the 18 th Century (from a Turkish Ms in the University of Glasgow). A vol. of Oriental Studies presented to Ed. Browne, Cambridge, 1922, გვ. 480—490.

[3] იქვე, გვ. 481.

შვი („a mere boy")[1] იგი ევროპას გამგზავრებულა ევროპული ენების შესწავლის მიზნით. ვენეციაში, გემით კონსტანტინოპოლში დაბრუნების წინ, იოსებ ქართველი შეუერთდა საფრანგეთის ელჩს გარდანს, რომელიც ლუი XIV საგანგებო დავალებით ირანის შაჰის კარზე იყო წარგზავნილი. ელჩი თავის ამალით ზღვით ტრაპიზონს მივიდა. აქედან კი ხმელეთით გაიარეს ერზერუმი, ერევანი, ნახჩევანი, თავრიზი, სულტანიე და ყაზვინს მივიდნენ 1717 წელს. ამ დროსვე ყაზვინს მოვიდა შაჰ-ჰუსეინი (1694—1722), რომელსაც გარდანმა გადასცა რწმუნების სიგელები. იოსებ ქართველი გარდანის ელჩობის დროს ასრულებდა თარჯიმანის მოვალეობას.

იმდროინდელი თარჯიმნების როლი და მნიშვნელობა განსხვავდებოდა XIX—XX სს. დიპლომატიური პრაქტიკით ცნობილ თარჯიმნების მოვალეობისაგან. XVII—XVIII სს. თარჯიმანები პასუხსაგებ დიპლომატიურ დავალებებსაც ასრულებდნენ. დრაგომანების როლი აღმოსავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობაში იმდენად კარგად არის შესწავლილი საყც. ლიტერატურაში, რომ მასზე მკითხველის ყურადღებას არ შევაჩერებთ. გაკვრით აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ამბატი რიშარი, სულხან-საბა ორბელიანის თარჯიმანი ლუი XIV კარზე, უაღრესად პასუხსაგებ დიპლომატიურ დავალებებს ასრულებდა. მან თითქმის ერთდროულად მოაწყო ორი ელჩობის ორგანიზაცია: სულხან-საბა ორბელიანის და მოჰამედ რიზა-ბეგის[2]. 1714 წლის ივნისში, ე. ი. სულხან-საბა ორბელიანის პარიზიდან გამგზავრების შემდეგ, მან ერთხელ კიდევ სცადა საფრანგეთის შუამავლობით ვახტანგ VI-ის დანაბარების წარმატებით მოგვარება.

გარდანის ელჩობის მთავარ მიზანს შეადგენდა 1715 წელს დადებული საფრანგეთ-ირანის ხელშეკრულების რატიფიკაცია. ამავე დროს, ჩანს, რომ მას ევალებოდა ვახტანგ VI მდგომარეობის გამორკვევა ირანში. 1717 წლის 5 ოქტომბრით დათარიღებული წერილით ერევნიდან გარდანი თავის ადრესატებს ვახტანგ VI-ის შესახებ პირველ ცნობებს აწვდიდა[3].

საფრანგეთის ელჩის თარჯიმანის ქართველობას, ცხადია, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მინიჭებოდა ვახტანგ VI და ირანში მყოფ ქართველებთან ურთიერთობის დასამყარებლად. საამისო ცნობები, გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ (ამის მოწმობას ახლა გარდანის წერილი წარმოადგენს), საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში უნდა მოიპოვებოდეს. აღსანიშნავია, რომ ვახტანგ VI ადრევე იყო დაკავშირებული საფრანგეთის საელჩოსთან კონსტანტინოპოლში[4]. მისი წერილები კონსტანტინოპოლს ფრანგ მისიონერებს მიჰქონდათ[5].

იოსებ ქართველი, ამრიგად, ერთის მხრივ მონაწილეობდა საფრანგეთ-ირანის მეტად მნიშვნელოვან მოლაპარაკებაში, ხოლო მეორე მხრივ მისი შუამავლობით გარდანს უნდა დაემყარებინა კავშირი ირანში მყოფ ქართველებთან.

---

[1] Wair, T. H. გვ. 481. თბილისელი იოსებ ქართველი სარწმუნოებით კათოლიკე უნდა ყოფილიყო. საფიქრებელია, რომ თავდაპირველად იგი თბილისის კათოლიკე მისიონერთა სასწავლებელში სწავლობდა.

[2] Lang, D. M. Georgian Relations with France during the reign of wakhtang VI (1711—24) Iournal of the Royal Asiatic Society, parts 3 et 4, Paris, 1950, გვ. 119—122.

[3] იქვე, გვ. 124—125.

[4] იქვე, გვ. 119.

[5] იქვე.

გარდანისათვის ქართველებთან ურთიერთობა იმ მხრივაც უნდა ყოფილიყო სასურველი, რომ მათ ირანში ეკავათ უმაღლესი სახელმწიფო და სამხედრო თანამდებობები.

სათანადო მასალების გამოვლინება-შესწავლა უეჭველია შუქს მოჰფენს იოსებ ქართველის დიპლომატიური მოღვაწეობის იმ მხარეს, რომელიც მის ქართველებსა და საქართველოსთან ურთიერთობასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული.

გარდანის ელჩობა დიდ დაბრკოლებებს წააწყდა. ამიტომ ვახტანგ VI-ის საკითხი ახლაც ისევე უნდა მოხსნილიყო, როგორც თავის დროზე ვერსალში. საფრანგეთის წინააღმდეგ ირანში ენერგიულად მოქმედებდნენ ინგლისელები და ჰოლანდიელები. ინგლისი და ჰოლანდია დიდად იყო უკმაყოფილო საფრანგეთ-ირანის 1708 წლის და, განსაკუთრებით, 1715 წლის ხელშეკრულებით. ეს ხელშეკრულებები საფრანგეთს ანიჭებდნენ ისეთ შეღავათებს ირანთან დიპლომატიურ და სავაჭრო ურთიერთობაში, რომლის მსგავსი მანამდე არც ერთ ევროპულ სახელმწიფოს არ ჰქონდა მოპოვებული[1]. საფრანგეთის მხრივ სწორედ ამ განსაკუთრებული მნიშვნელობის ეკონომიური ხასიათის შეღავათების მოპოვებასთან არის მჭიდროდ დაკავშირებული სენ-საბა ორბელიანის ელჩობის მარცხი ლუი XIV კარზე.

ინგლისი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რათა არ დაეშვა საფრანგეთის გავლენის განმტკიცება ირანში. თავის მხრივ რუსეთი და თურქეთი ფხიზლად ადევნებდნენ თვალყურს მოელენების განვითარებას ირანში. 1717 წლიდან შაჰის კარზე იმყოფებოდა რუსთა ელჩი ვოლინსკი, ხოლო 1720 წელს იქვე მივიდა ხონთქრის ელჩი დურრი ეფენდი. საფრანგეთს მიღწეული წარმატება ხელიდან ეცლებოდა. ირანის ელჩმა მოჰამედ-რიზა ბეგმა, 1715 წელს საფრანგეთისათვის მეტად ხელსაყრელ პირობებში რომ დასდო ხელშეკრულება, სამშობლოში დაბრუნებისთანავე თავი მოიკლა. თვითონ შაჰი არ მალავდა თავის უკმაყოფილებას. საქმე ისაა, რომ ირანი საფრანგეთის დახმარებით აპირებდა მასკატის დაპყრობას, საფრანგეთი კი ამ წინადადებას ყველანაირად უხვევდა გვერდს და ყურადღებას სავაჭრო ურთიერთობაზე ამახვილებდა. გარდანს მეტად დაძაბულ ვითარებაში მოუხდა შაჰთან მოლაპარაკების წარმოება. საფრანგეთ-ირანის 1715 წლის ხელშეკრულების რატიფიკაცია მხოლოდ 1722 წელს გახდა შესაძლებელი.

ისფაჰანში იოსებ ქართველმა 1725 წლამდე დაჰყო. მისი ირანში ყოფნის დროს მოხდა გადამწყვეტი მნიშვნელობის ამბები, რომელთაც ერთბაშად შეცვალეს ძალთა განწყობილება მახლობელ აღმოსავლეთში. 1722 წელს ავღანელებმა, მირ-მოჰამედის მეთაურობით, დაიპყრეს ისფაჰანი და დაატყვევეს თვითონ შაჰ-ჰუსეინი. ამ ამბების თანადამხდური და თვითმხილველი იყო იოსებ ქართველი. გამარჯვებულ მირ-მოჰამედთან გარდანმა ძვირფასი საჩუქრებით გაგზავნა იოსებ ქართველი და მფარველობა სთხოვა. იოსებ ქართველის მოციქულობა წარმატებით დამთავრდა. მირ-მოჰამედმა შეიწყნარა საფრანგეთის ელჩის თხოვნა და მას უშიშროება აღუთქვა. იოსებ ქართველი, ჩანს, შაჰის სასახლეში დაესწრო იმ მომენტს, როდესაც შაჰ-ჰუსეინმა გვირგვინი მოიხადა და საკუთარი ხელით დაადგა თავზე გამარჯვებულ ავღანელს[2].

[1] А. А. Зонненштраль-Пискорский, Международные торговые договоры Персии, М., 1931, стр. 50—58.

[2] Wait, T. H., op. cit., გვ. 489.

1725 წლის შემოდგომიდან იოსებ ქართველი უკვე კონსტანტინოპოლში მყოფება და ფრანგი დიპლომატების წრესთან არის დაკავშირებული. ოსმალეთის დიდვეზირის დავალებით მან თურქულ ენაზე აღწერა ირანში მომხდარი ამბები. კონსტანტინოპოლში იგი, ჩანს, დიპლომატიურ სამსახურში იმყოფება. სწორედ ფრანგ დიპლომატებს და საფრანგეთის საელჩოს თანამშრომლებს უნდა გაეცნოთ იოსებ ქართველი ფრანგ სამხედრო ინჟინერ მ. კლერაკისათვის, რომელიც კონსტანტინოპოლში 1724—1727 წლებში იმყოფებოდა. მ. კლერაკის მეგობრები კონსტანტინოპოლში იყვნენ დახელოვნებული დიპლომატი მარკიზ დე ბონაკი, დ. ანდრეზელი, მარკიზ დე ვილნევი და ამ უკანასკნელის ძმა[1]. რამდენ ხანს დაჰყო კონსტანტინოპოლში იოსებ ქართველმა ან სად, როდის და რითი დამთავრდა მისი თავგადასავალი, სამწუხაროდ, საამისო ცნობები არ მოგვეპოვება.

იოსებ ქართველმა სიტყვიერად და წერილობით გააცნო მ. კლერაკს ირანში მომხდარი ამბები. ასე რომ ამ ფრანგი ისტორიკოსის „სპარსეთის ისტორია", რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი დათმობილი აქვს ავღანთა შემოსევებს, ბატონობას და ავღანთა ბატონობის მომდევნო ხანას, ძირითადად იოსებ ქართველის ინფორმაციას და თხზულებებს ემყარება. თვითონ მ. კლერაკი თავის ისტორიის შესავალში ასახელებს იოსებ ქართველის 4 თხზულებას:

1. Mémoire sur la différence du rit entre la Turcs et les Persans.
2. Notes de M. Joseph.
3. Relazione della Rivoluzione di Persia.
4. Relazione della Rivoluzione di Persia, seconda Parte[2].

როგორც ვნახეთ, იოსებ ქართველს თავისი თხზულებები შეუდგენია ფრანგულ და იტალიურ ენებზე. ეს კი მის მიერ ამ ევროპული ენების საფუძვლიანი ცოდნის მოწმობას წარმოადგენს. ამასთანავე მან, ჩანს, ჯარგად იცოდა აღმოსავლური ენებიც: სპარსული და თურქული. სპარსული იმ დროს დიპლომატიის ენად ითვლებოდა მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობაში, ხოლო თურქული სეფიანთა შაჰების კარზე იყო გაბატონებული. ასე რომ იოსებ ქართველს, როგორც თარჯიმანს, აუცილებლივ უნდა სცოდნოდა სპარსული ენა. მის მიერ თურქული ენის ცოდნას მტკიცება არ სჭირდება, რადგან მას ერთ-ერთი თავისი თხზულება თურქულ ენაზე აქვს დაწერილი.

იოსებ ქართველის პირველი თხზულების შინაარსი ეხება ოსმალთა და და სპარსელთა შორის არსებულ რელიგიურ სხვაობას (სუნიტობასა და შიიტობას). ეს გარემოება კარგად მოწმობს, თუ როგორ იცნობდა იოსებ ქართველი ოსმალეთის და სპარსეთის პოლიტიკურ და რელიგიურ ვითარებას, ორთავე მუსლიმანური ქვეყნის ისტორიას. მ.კლერაკი ამ თხზულებას იმოწმებს იმ შემთხვევაში, როდესაც იგი ოსმალთა და სპარსელთა შორის არსებულ სარწმუნოებრივ სხვაობას ეხება. მეორე თხზულება წარმოადგენს შენიშვნებს, რომელიც იოსებ ქართველს სიტყვიერად მიუწოდებია (უკეთ მისი კარნახითაა ჩაწერილი) მ. კლერაკისათვის. ეს შენიშვნები წარმოადგენდნენ იოსებ ქართველის სხვადასხვა თხზულების კომენტარებს. მათ მ. კლერაკი

[1] Lockhart, Nadir-Shah, London, 1939, გვ. 307.
[2] Wair, T. H., op. cit., გვ. 480.

იყენებს მის მიერ აღწერილი ზოგიერთი მოვლენის განსამარტავად. მესამე თხზულებაში აღწერილია ირანის შინაური არეულობანი ავღანთა ამბოხებიდან მოყოლებული 1724 წლამდე. მეოთხე თხზულება წინა თხზულების გაგრძელებაა და იოსებ ქართველის რელაციონის მეორე ნაწილს წარმოადგენს. ამ თხზულებაში დამატებათა სახით მოტანილია პირველ ნაწილში გამოტოვებული ისტორიული მოვლენები, თხრობა კი 1725 წლის დამლევამდეა მიყვანილი. ვაირის აზრით, ეს უკანასკნელი იოსებ ქართველს თავდაპირველად დაუწერია თურქულ ენაზე კონსტანტინოპოლში ყოფნის დროს, ხოლო შემდეგ მასვე იტალიურად უთარგმნია მ. კლერაკისათვის[1].

იოსებ ქართველის თურქულად დაწერილი თხზულების ხელნაწერი დაცულია გლაზგოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. ხელნაწერის აღწერა და მისი შინაარსი გადმოსცა ვაირმა 1922 წელს გამოქვეყნებულ წერილში. ამ აღწერის მიხედვით ხელნაწერი შეიცავს 60 ფურცელს. თითოეულ ფურცელზე 15 სტრიქონია მოთავსებული. ხელი: სუფთა ნასხი. აღმწერელის სიტყვით ხელნაწერის ფურცლებზე მოიპოვება ერთი თუ ორი სენტენცია, რომლის წაკითხვა, დასძენს ავტორი, შეუძლებელი უნდა იყოს ხელნაწერის მდგომარეობის თუ ჩემი უცოდინარობის წყალობითო. უნებლიეთ ისმის კითხვა: ხომ არაა დაწერილი ეს სენტენციები ქართულ ენაზე?

იოსებ ქართველის მიერ თურქულად დაწერილი თხზულება, რამდენადაც ვიცით, დღემდე არავის გამოუქვეყნებია. 1922 წ. ვაირმა დაბეჭდა მხოლოდ მისი შინაარსის საკმაოდ ვრცელი ნაწყვეტების თარგმანი ინგლისურ ენაზე.

სად ინახება ამჟამად, ან საერთოდ არსებობენ თუ არა, იოსებ ქართველის ევროპულ ენებზე დაწერილი თხზულებები, საამისო ცნობები არ მოგვეპოება[2]. მაგრამ რადგან მისი თხზულებები წარმოადგენდნენ მ. კლერაკის „სპარსეთის ისტორიის“ მთავარ და ძირითად წყაროებს, ძნელი არ უნდა იყოს, ტექსტობრივი ანალიზის საშუალებით, ფრანგი ისტორიკოსის თხზულებაში მოვნახოთ ის, რაც საკუთრივ იოსებ ქართველს ეკუთვნის (მ. კლერაკი ყველგან მიუთითებს თავის წყაროებს). ასეთ სამუშაოს ერთის მხრივ გვიადვილებს XVII—XVIII სს. მწერლობისათვის დამახასიათებელი თხზულებების შედგენის კომპილიაციური წესის ცოდნა[3], ხოლო მეორე მხრივ ის ხელსაყრელი გარემოება, რომ მოიპოვება იოსებ ქართველის თურქულად დაწერილი თხზულება.

ამგვარი სამუშაო ნაწილობრივ შესრულებული აქვს ვაირს. მან იოსებ ქართველის თურქული თხზულების ადგილები შეაჯერა მ. კლერაკის თხზულების, ამ თხზულებაში დამოწმებულ იოსებ ქართველის რელაციონების და ჰანვეის თხზულების სათანადო ადგილებს, და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ე. წ. „აშლილობის ხანის ირანის“ (ევროპული ტერმინოლოგიით: „სპარსეთის რევოლუციის“) ისტორიოგრაფიაში იოსებ ქართველის თხზულებებს უპირველესი ადგილი უჭირავს[4].

[1] W a i r, T. H., op. cit., გვ. 480.

[2] ლ ო ჰ კ ა რ ტ ი, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა XVIII საუკ-ის ირანის ისტორიის წყაროები, აღნიშნავს რომ მას არ უნახავს იოსებ ქართველის თხზულებები (იხ. Lockhart, Nadir-Shah, Appendixe III, გვ. 309).

[3] ამჟამად ნიშანდობლივაა დადგენილი იოსებ ქართველის თანამედროვე პოლონელი მისიონერის და მწერლის კრუშინსკის ცნობილი თხზულების ვერსიები.

[4] To sum up, it does not seem to much to claim for the Glasgow Ms that it is a primary source for the events which it narrates. W a i r, T. H., op. cit., გვ. 490.

გლაზგოს უნივერსიტეტის თურქული ხელნაწერის აღწერის დასასრულს ვაირი აღნიშნავს, რომ იოსებ ქართველის თხზულების შინაარსი იგივეა, რაც მ. კლერაკის „სპარსეთის ისტორიის“ ოთხი წიგნის და ჰანვეის თხზულების III ტომის შინაარსი.

ვაირმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებასაც, რომ ჯონ ჰანვეი, რომლის თხზულება 1753 წელს გამოქვეყნდა[1], თავის წყაროდ კრუშინსკის თხზულებას სთვლის, მაგრამ ჰანვეი, განაგრძობს ავტორი, სიტყვებითა და ფრაზებით იმდენად მჭიდროდაა დაკავშირებული მ. კლერაკის თხზულების სათანადო ადგილებთან, სადაც ეს უკანასკნელი იოსებ ქართველის ტექსტს მისდევს, რომ უნდა არსებულიყო მჭიდრო ურთიერთობა კრუშინსკისა და იოსებ ქართველს შორისო[2]. აღნიშნული გარემოება სრულიად ახლებურად აყენებს „აშლილობის ხანის“ ირანის ისტორიოგრაფიის საკითხს.

ირკვევა, რომ მ.კლერაკის „სპარსეთის ისტორიაზე“ მთლიანად არის დამოკიდებული ჰანვეის თხზულების ის ნაწილები, რომლებშიაც მოთხრობილია ავღანთა აჯანყებასა და ავღანთა ბატონობასთან დაკავშირებული ამბები („Revolution of Persia“). საზოგადოდ, ჰანვეის თხზულების პირველი ნაწილები არავის არ მიაჩნდა ორიგინალურ ნაწარმოებად. ჯერ კიდევ ედვარდ ბროუნმა შენიშნა, რომ ჰანვეის თხზულების პირველი ნაწილების, XVIII ს-ის ირანის ისტორიის პირველ მეოთხედს რომ შეიცავს, თხრობა დიდად არის დამოკიდებული კრუშინსკიზე, ხოლო გვიანდელი პერიოდი (1727—1750), ნადირ-შაჰის ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერა, ავტორის დამოუკიდებელი დაკვირვების ნაყოფია და, ამდენად, ღირებულ ისტორიულ წყაროს წარმოადგენს[3].

უახლოეს ლიტერატურაში დადგენილია, რომ ჰანვეის „Revolution of Persia“ შემოკლებული თარგმანია იმისა, რაც ერთხელ უკვე დაწერა ფრანგმა მ. კლერაკმა. ლოკჰარტის მიხედვით: ჰანვეის თხზულების II თავი, ვიდრე V თავამდე, ემთხვევა მ. კლერაკის „სპარსეთის ისტორიის“ პირველი ტომის შინაარსს, ხოლო VI—VII თავები ამავე თხზულების მეორე ტომს[4]. ამრიგად, გამორკვეულია ჰანვეის „ისტორიის“ გარკვეული ნაწილების მთავარი წყარო. მაგრამ ამასთან გამოკვლეულია ისიც, რომ თავის მხრივ მ. კლერაკი დამოკიდებული იყო იოსებ ქართველის თხზულებებზე.

ლუი ანდრე დე ლა მამიე-კლერაკი სარგებლობდა აგრეთვე კრუშინსკის თხზულებით, კრუშინსკის თხზულების სერსოს ვერსიით და პატრი რეინალის რელაციონით, მაგრამ მის თხრობაში მთავარი ადგილი მაინც იოსებ ქართველის თხზულებებიდან მოტანილ ცნობებს უჭირავთ. აშკარაა: იოსებ ქართველის თხზულებები ისეთსავე პირველწყაროებს წარმოადგენენ, როგორსაც კრუშინსკის თხზულება.

---

[1] Hanway, I. An historical accanut of the British trade over the Caspian sed. London, 1753.

[2] Ionas Hanway states that he is indebdet for his narrative to Father Krusinschi, but Hanway agrees so closely in word and phrase with La Mamye—Clairac where he follows Ioseph, that here must have been an even closer relation betwen Krusinschi and Ioseph. Watr, op. cit., გვ. 490.

[3] Browne, E. A literary History of Persia, IV.

[4] Lockhart, L., op. cit., გვ. 309.

თადეუზ კრუშინსკის თხზულება, როგორც ცნობილია, წარმოადგენს „აშლილობის ხანის“ ირანის ისტორიის ერთ-ერთ საუკეთესო წყაროს. კრუშინსკი დიდი ხნის განმავლობაში (1702 წლიდან მოყოლებული) იმყოფებოდა იეზუიტთა პროკურატორად ისფაჰანში. მართალია, მისი ვრცელი თხზულება სეფიანთა დინასტიის ბატონობის დასაწყისით იწყება და 1727 წლამდე გრძელდება, მაგრამ განსაკუთრებული ადგილი მის თხრობაში ეთმობა ავღანელთა აჯანყებას, მათს შემოსევებს და ამ შემოსევების შედეგების დაწვრილებით აღწერას. კრუშინსკიც, ისევე როგორც ყველა ავტორი, ვისაც კი „აშლილობის ხანის“ ირანის ისტორიაზე უწერია, ბევრს ლაპარაკობს ირანში მოღვაწე ქართველებზე (გიორგი XI, ქაიხოსრო ბატონიშვილი. . .), რომელნიც ავღანთა წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლების აქტიური მონაწილენი იყვნენ.

კრუშინსკი მის მიერ აღწერილი ამბების თანადამხდური და ნაწილობრივ თვითმხილველი იყო. ამიტომ, ცხადია, მის თხზულებას, როგორც წყაროს, უფრო მეტი ღირებულება აქვს, ვიდრე მ. კლერაკის ან ჰანვეის თხზულებებს.

ასეთივე მნიშვნელობა აქვთ იოსებ ქართველის ნაწარმოებთ.

იოსებ ქართველი თვალყურს ადევნებდა ირანში განვითარებულ მოვლენებს. ძირითადად იგი, ჩანს, ყაზვინსა და ისფაჰანში იმყოფებოდა. ისფაჰანის გარეთ და, საზოგადოდ, 1717 წლამდე მომხდარი ამბები მას ზეპირი წყაროების საშუალებით უნდა მოესმინა.

ვინ იყვნენ მისი ინფორმატორები? სავსებით ბუნებრივია, რომ მას, როგორც ქართველს, მჭიდრო ურთიერთობა უნდა ჰქონოდა დამყარებული ირანში მოღვაწე ქართველებთან, რომელნიც იმდროინდელი ირანის პოლიტიკურ და სამხედრო სარბიელზე დუნენ დაწინაურებულნი. ამასთან მას, როგორც ქართველს და საფრანგეთის საელჩოს თანამშრომელს, უშუალო მონაწილეობა უნდა მიეღო ვახტანგ VI-ის მდგომარეობის გამორკვევაში. ამის გამორკვევა, როგორც ზემოთ შევნიშნეთ, გარდანის ელჩობის დავალებათა შორის იყო გათვალისწინებული, რათა ელჩს, შესაძლებელ შემთხვევაში, საფრანგეთის მეფის სახელით და შუამავლობით ვახტანგ VI-ისათვის დახმარება აღმოეჩინა. ფრანგებისათვის უცხო არ იყო ქართველთა უარყოფითი პოლიტიკური განწყობილება ირანის მიმართ. გარდანს ირანის პოლიტიკური ვითარების შესახებ ცნობების შეკრება სწორედ ქართველთა წრეში შეეძლო. ამ მხრივ განსაკუთრებული როლი უნდა შეესრულებინა იოსებ ქართველს. მას თავის თვისტომებთან უფრო ადვილად შეეძლო კავშირის დამყარება, ვიდრე კრუშინსკის. ამ უკანასკნელს კი თავის მხრივ სრული შესაძლებლობა ჰქონდა მისთვის საპირო ცნობები (ავღანთა აჯანყებასა და ავღანთა წინააღმდეგ ქართველების ბრძოლასთან დაკავშირებული) საფრანგეთის ელჩის თარჯიმანისაგან მიეღო. ვაირი, ვფიქრობთ, არ სცდებოდა, როდესაც კრუშინსკისა და იოსებ ქართველის ურთიერთობაზე ამახვილებდა ყურადღებას.

კრუშინსკის ურთიერთობა საფრანგეთის საელჩოსთან მრავალი ცნობით დასტურდება. მან შეაჯერა (ირანის მთავრობის დავალებით?) საფრანგეთ-ირანის 1715 წ. ხელშეკრულების სპარსული და ფრანგული ტექსტები. ცხადია, ამგვარ დავალებათა შესრულების დროს მას ახლო ურთიერთობა უნდა ჰქონოდა საფრანგეთის საელჩოს თარჯიმანთან. ამის გარდა, ცნობილია, რომ კრუშინსკიმ საფრანგეთის საელჩოს თანამშრომლებთან ერთად (რომელთა

შორის იოსებ ქართველიც იმყოფებოდა) 1725 წელს დასტოვა ირანი და კონსტანტინოპოლს გაემგზავრა[1]. კრუშინსკის და იოსებ ქართველს შეხების წერტილები კონსტანტინოპოლშიც უნდა ჰქონოდათ, რადგან როგორც ერთს, ისე მეორეს ოსმალეთის დიდვეზირმა იბრაჰიმ-ფაშამ ირანში მომხდარი ამბების აღწერა დაავალა. კრუშინსკიმ ლათინურად დაწერილი თავისი თხზულება თურქულად სთარგმნა[2], ხოლო იოსებ ქართველმა ირანში მომხდარი ამბები თურქულად აღწერა. კრუშინსკიმ თურქულ ენაზე გადათარგმნა აგრეთვე დურრი ეფენდის სპარსულად დაწერილი თხზულება, რომელიც 1727 წელს გათურქებულმა უნგრელმა იბრაჰიმ მუთაფერიკმა სტამბური წესით გამოაქვეყნა (პირველი თურქული ბეჭდვითი გამოცემაა) ჩანს, კრუშინსკის ხელთ იყო სპარსეთის შესახები ის აღწერილობანი, რომელთაც ასე გულდასმით სწავლობდა თურქეთის მთავრობა. კრუშინსკისათვის, რომლის განკარგულებაში აღმოჩნდა ისეთი ოფიციალური დოკუმენტი, როგორსაც თურქთა ელჩის დურრი ეფენდის დღიური წარმოადგენდა, ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო აგრეთვე იოსებ ქართველის აღწერილობა. ყველა ამის შემდეგ გასაგები უნდა იყოს ის გასაოცარი მსგავსება, რაც მკვლევართა მიერ შენიშნულია კრუშინსკის, იოსებ ქართველის, მ. კლერაკის და ჰანვეის თხზულებებს შორის.

მაკარ ხუბუამ ყურადღება მიაქცია ჰანვეის და ქართველი ისტორიკოსის სეხნია ჩხეიძის „მეფეთა ცხოვრებაში" მოტანილი ცნობების, ქართველების ავღანთა წინააღმდეგ ბრძოლას რომ ეხება, „იშვიათ იდენტობას". ინგლისური თხზულების და ქართული საისტორიო ნაწარმოების რიგი ადგილების ერთმანეთთან შედარების საფუძველზე მკვლევარი აღნიშნავდა: „მოტანილი და სხვა ადგილების შედარებიდან ცხადად ირკვევა ამ ორი ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებელი ანავტორის ცნობათა იშვიათი იდენტობა"[3]. მაგრამ ახლა ჩვენთვის უკვე ცხადია, რომ სეხნია ჩხეიძის „მეფეთა ცხოვრებაში" მოტანილი ცნობები იდენტიურია არა მარტო ჰანვეის თხზულებიდან შესადარებლად მოტანილი ადგილებისა, არამედ იდენტიურია იოსებ ქართველის თხზულებებზე დამოკიდებული მ. კლერაკის „სპარსეთის ისტორიის" სათანადო თავების შინაარსისაც. ასე რომ ამიერიდან შესადარებლად გათვალისწინებული უნდა იყოს არა ჰანვეის თხზულების პირველი ნაწილები, რომელიც მთლიანად დამოკიდებულია მ. კლერაკზე, არამედ ამ უკანასკნელის წყარო—იოსებ ქართველის თხზულებები.

ამრიგად, ფაქტიურად ირკვევა ორი ქართველი ისტორიკოსის სეხნია ჩხეიძის და იოსებ ქართველის ცნობათა „იშვიათი იდენტობა". მათი საერთო წყაროა ირანში მყოფი ქართველთა წრე. ამ წრესთან უშუალოდ და მჭიდროდაა დაკავშირებული ისტორიკოსი სეხნია ჩხეიძე. უეჭველია, ამავე წრეში ღებულობს საჭირო ინფორმაციას იოსებ ქართველი, რადგან ქართველები იყვნენ ავღანთა წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლის აქტიური მონაწილენი. ამ ბრძოლების მონაწილეთაგან უნდა მოესმინა იოსებ ქართველს ის, რაც მის ირანში მისვლამდე, ე. ი. 1717 წლამდე, მოხდა სეფიანთა სახელმწიფოში. შემდეგ კი თვითონ იგი იყო ავღანელთა შემოსევების, ისფაჰანის საკმაოდ ხან-

[1] A Chronicle of the Carmelites in Persia, London, 1939, გვ. 568.

[2] Reichman, J. Znaymści nauczanił jezikow orientalnyeh w Polsce, Wroclaw, 1950, გვ. 151. იქვე, ბიბლიოგრაფია კრუშინსკის შესახებ. პოლონურიდან ჩვენთვის საინტერესო ადგილები თარგმნა დოც. მაკს. ბერძნიშვილმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

[3] მ. ხუბუა, ქართულ-ირანულ ურთიერთობიდან, ენიმკი-ს „მოამბე", ტ. V—VI, გვ. 361.

გრძლივი გარემოცვისა და მისი დაცემის თანადამხდური და თვითმხილველი სეხნია ჩხეიძეს და იოსებ ქართველს თითქმის ერთნაირად აქვთ აღწერილი XVIII ს-ის პირველ ათეულში და მეორე ათეულის დასაწყისში მომხდარი ამბები მიუხედავად იმისა, რომ სეხნია ჩხეიძის ირანში ყოფნის დრო არ ემთხვევა იოსებ ქართველის ისფაჰანში ყოფნის პერიოდს.

სეხნია ჩხეიძე ისფაჰანს პირველად მივიდა 1697 წლის 5 მარტს[1]. იგი თან ახლდა გიორგი XI, რომელსაც ირანში გურგინ-ხანი უწოდეს და რომელიც, ისევე როგორც ქაიხოსრო ბატონიშვილი, „აშლილობის ხანის" ირანის ისტორიოგრაფიის მთავარ პერსონაჟს წარმოადგენს. „ლევანის გაზრდილი. . . და მერმე ქაიხოსროსთან შეზრდილი" სეხნია ჩხეიძე პირადად მონაწილეობდა ავღან-ბულუკთა აჯანყების ჩაქრობაში[2]. 1699 წელს მას მონაწილეობა მიუღია „ბულუკთა" წინააღმდეგ ომებში უდაბნოში. ქირმანის ნაიბმა ბატონიშვილმა ლევანმა ორას გამორჩეულს თათრის ჯარს „უთავა ჩხეიძე სეხნია"[3]. 1700 წლის ივნისში მას, ლევან ბატონიშვილის სარდლობით, მონაწილეობა მიუღია „ბულუკთა და ავღანთა" ოკუქცევაში[4]. 1703 წელს სეხნია ჩხეიძე თან გაჰყვა საქართველოს ნაიბად დანიშნულ ლევან ბატონიშვილს ქართლში[5], მაგრამ 1704 წელს ლევან ჯანიშინმა იგი ფეშქაშით ყანდაჰარის ბეგლარბეგ გიორგი მეფესთან გაგზავნა და აქ ისტორიკოსი 1707 წლის თებერვლამდე დარჩენილა[6]. 1707 წელს ისფაჰანში მომხდარი აჯანყების ჩასაქრობად ქაიხოსრო ბატონიშვილმა „ჩაფრად თან წაიყვანა სეხნია"[7]. 1707—1712 წწ. სეხნია ჩხეიძე საქართველოში ჩანს[8]. 1712 წლის თებერვალში სეხნია ჩხეიძე ვახტანგ VI-ს ხლებია ირანს და შაჰის კარზე 1714 წლამდე დარჩენილა[9]. 1714—1722 წწ. იგი, როგორც ჩანს, სამშობლოში იმყოფება. 1722 წ. ვახტანგ VI-მ სეხნია ჩხეიძე ხელახლა გაგზავნა ირანს, ახლა უკვე თავრიზს—შაჰ-თამაზთან[10].

ამრიგად, სეხნია ჩხეიძეს დროგამოშვებით, მაგრამ მაინც ხანგრძლივად უხდებოდა ირანში ყოფნა. იგი სეფიანთა ირანის ფაქტიურად უკანასკნელი შაჰინშაჰის შაჰ-ჰუსეინის დროს მომხდარი ამბების თანამხდური, თვითმხილველი და ხშირად მონაწილე იყო. აღნიშნული გარემოება მის „მეფეთა ცხოვრებას", როგორც წყაროს, განსაკუთრებულ ადგილს უთმობს „აშლილობის ხანის" ირანის ისტორიოგრაფიაში.

აკად. ივ. ჯავახიშვილი სეხნია ჩხეიძის საისტორიო თხზულების დახასიათებისას ამბობდა: „რაკი ავტორმა დიდ ხანს სპარსეთში დაჰყო და სპარსეთის საქმეები უფრო ვრცლად და უკეთესად იცოდა, ვიდრე თავის სამშობლოს ამბავი, ამიტომ მის ნაწარმოებში ერანის სახელმწიფო საქმეებს საპატიო ადგილი უნდა ჰქონოდა. ასეც მოხდა და თვით ისტორიკოსს თავის თხზულების სათაურში აღნიშნული აქვს, რომ მისი ისტორია არის „არა მარტივად

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, მეორე—მესამე შეესწბული გამოც., 1945, გვ. 362.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 363.

[4] იქვე.

[5] იქვე.

[6] იქვე.

[7] იქვე.

[8] იქვე.

[9] იქვე.

[10] იქვე.

ქართლისა", არამედ „ამბითა უცხოთა ქვეყნისათა" შემკული. ამგვარად ს. ჩხეიძის ისტორია ისე ქართლის ისტორია არ არის, როგორც მართლაც ქართლის „მეფეთა ცხოვრება". ხოლო რაკი ბედის უკუღმართობის წყალობით ქართლის მეფეები იძულებული იყვნენ თავიანთი მეფობის უმეტესი ნაწილი საქართველოს გარეშე გაეტარებინათ და სპარსეთში „ბეგლარბეგობისა" და „ამირსპასალარობისა" თანამდებობითაც დატვირთულნი სპარსეთის ურჩ ქვეშევრდომთათვის შეელიათ თავიანთი ძალ-ღონე და დღენი, ამიტომ მათი „ცხოვრება" უნებლიედ ისტორიკოსს უნდა დაეწერა „ამბითა უცხოთა ქვეყნისათა არა მარტივად ქართლისათა"[1].

საყურადღებოა, რომ ფაქტიურად სპარსეთში მოღვაწე ქართლის „მეფეთა ცხოვრების" ელფერი გადაჰკრავთ პოლონელ თადეუს კრუშინსკის, სომეხ აბრამ ერევანეცის, თურქი დურრი ეფენდის და იოსებ ქართველის თხზულებათა შინაარსს. ადვილად გასაგებია: სეფიანთა ირანის არსებობის კრიტიკულ მომენტში ბეგლარბეგებად, ამირსპასალარებად, მდივანბეგებად, ყაენის ნაიბებად და ისფაჰანის ტარუღებად ქართველი მეფე-ბატონიშვილები იყვნენ ქართველი სარდლები, რომელთა ავანგარდში ქართველი მეომრების ლაშქარი იყო, ებრძოდნენ ავღანელთა აჯანყებას, რომლის ლიკვიდაციისაკენ მიმართული იყო ირანის მთელი ენერგია XVII ს-ნის მიწურულიდან მოყოლებული XVIII ს-ის პირველი მეოთხედის დამლევამდე.

თავისთავად ცხადია, რომ ირანის ისტორიის ამ მონაკვეთისათვის ყველაზე უხვი ცნობები უნდა ჰქონოდა ქართველ ისტორიკოსს. ასეთია სეხნია ჩხეიძის „მეფეთა ცხოვრება", ასეთივეა იოსებ ქართველის საისტორიო ნაწარმოებები. ეჭვი არაა, რომ კრუშინსკის ცნობილი თხზულების მთავარ წყაროს წარმოადგენს ავტორის ურთიერთობა ქართველებთან, რადგან კარგადაა ცნობილი ირანში მყოფი ქართველი მეფე-ბატონიშვილების ურთიერთობის ხასიათი კათოლიკე მისიონერებთან.

საინტერესოა, რომ იოსებ ქართველი დაახლოებით იქ გამოდის სპარსეთის ამბების თანადამხდურად და თვითმხილველად, როდესაც სეხნია ჩხეიძე უკვე სამშობლოში იმყოფება და მხოლოდ 1722 წელს ბრუნდება ირანში, უკეთ თავრიზში, სადაც თავშესაფარი ჰპოვა ისფაჰანიდან გაქცეულმა სეფიანმა უფლისწულმა. ამრიგად, 1697—1725 წწ. ირანში მომხდარი ამბების აღმწერელად და, შეიძლება ითქვას, ერთიმეორის ერთგვარ გამგრძელებლად, გვევლინება ორი ქართველი ისტორიკოსი, რომელთა თხზულებების, როგორც წყაროების, მნიშვნელობა „აშლილობის ხანის" ირანის ისტორიოგრაფიაში აშკარა უნდა იყოს.

დასასრულ, აღსანიშნავია ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: „აშლილობის ხანის" ირანის ისტორიის თანამედროვე სპარსული წყაროები არ მოგვეპოვება. საერთოდ, სპარსელი მწერლები ერიდებოდნენ დაეწერათ ირანის „ეროვნული სირცხვილის" ისტორია. XVII ს-ის მიწურულის და XVIII ს-ის პირველი მეოთხედის ირანის პოლიტიკურ ვითარებას გაკვრით ეხებიან მხოლოდ ნადირ-შაჰის დროინდელი ისტორიკოსები: მოჰამედ მუჰზინი, შეიხ მოჰამედ ალი-ხაზინი, შეიხ მოჰამედ მაჰდი-ხან ასტრაბადელი, მოჰამედ კაზიმ მერველი, მირზა მოჰამედ შირაზელი..

მოჰამედ მუჰზინის „ზუბდაუთ თავარიხ" წარმოადგენს მსოფლიო ისტორიას. დაწერილია იგი 1154 წ. (1741—1742 წ.) ნადირ-შაჰის დავალებით, ირა-

[1] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძვ. ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 364.

ნის ამ მბრძანებლის უფროსი ვაჟიშვილის რიზა-ყული მირზას სახელმძღვანელოდ. თხრობა, როგორც ეს წესად ჰქონდათ შუა საუკუნეების ისტორიკოსებს, იწყება ადამიდან. თხზულების ბოლო ნაწილი ეხება სეფიანთა დინასტიის მოსპობა-გადაშენებას და ნადირის აღზევებას. ავღანთა აჯანყებასთან დაკავშირებული თარიღები, შესაძლებელია გადამწერის წყალობით, შეცდომითაა ნაჩვენები (ზოჯერ განსხვავებაა 2—3 წელს უდრის). შეიხ მოჰამედ ალი-ხაზინის (დაიბადა 1692 წელს) „მემუარები" („თარიხ-ი ახვალ-ი შეიხ-ი ხაზინ, ქი ხოდ ნავიშთე ასთ") დაიწერა 1740 წელს. მისი თხზულება მოიცავს XVIII ს-ის 20—40-იან წლების ამბებს, მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებო ცნობები ნადირ-შაჰის აღზევებისა და გახელმწიფების პერიოდისათვის მოიპოვება. კიდევ უფრო ეპიზოდური ხასიათის ცნობები მოეპოვებათ „აშლილობის ხანაზე" დანარჩენ სპარსელ ისტორიკოსებს.

„აშლილობის ხანის" ირანის ისტორიის თანამედროვე სპარსული წყაროს უქონლობით აიხსნება, რომ 1795 წ. ირანში თურქულიდან სპარსულად თარგმნეს კრუშინსკის თხზულება[1].

XVIII ს-ის პირველი მეოთხედის ირანის ისტორიისათვის წყაროები (დოკუმენტური, ნარატიული . . .) უპირატესად უცხოურ (ქართულ, სომხურ, თურქულ, რუსულ, ლათინურ—ევროპულ ენებზე) მოიპოვება. მათ შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ სეხნია ჩხეიძის „მეფეთა ცხოვრებას" და აღმოსავლურ-ევროპულ ენებზე დაწერილ იმ თხზულებებს, რომელთა ავტორს თავისი ქვეყნის ბედუკუღმართობის გამო უცხოეთში მოუხდა გადახვეწა-ცხოვრება და, როგორც ჩანს, უცხოეთშივე დაამთავრა თავისი სიცოცხლე.

იოსებ ქართველის ჩვენამდე მოღწეული თურქული თხზულების მოპოვება, მისი თარგმნა-გამოქვეყნება ქართველი საბჭოთა თურქოლოგების და ისტორიკოსების საპატიო მოვალეობას წარმოადგენს. იოსებ ქართველის ბიოგრაფიის და თხზულებების მეცნიერული შესწავლა, დღემდე ცნობილ მასალებთან ერთად, გაგვირკვევს ისეთ საკითხებს, როგორიცაა სულხან-საბა ორბელიანის დიპლომატიური მისია დასავლეთ ევროპაში, ირან-საქართველოს ურთიერთობა ვახტანგ VI-ის მეფობაში და ქართველთა მოღვაწეობა სეფიანთა ირანის პოლიტიკურ ასპარეზზე. ამავე დროს მისი თხზულებების შესწავლა-გათვალისწინებას, როგორც ვნახეთ, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს „აშლილობის ხანის" ირანის ისტორიოგრაფიის შესწავლის საქმეში.

„აშლილობის ხანის" ირანის ისტორიის შესწავლას ის მნიშვნელობაც აქვს, რომ სწორედ ამ დროს, რუსეთის დახმარებით, გაძლიერდა ამიერკავკასიის ხალხთა ბრძოლა ირანელი დამპყრობლების წინააღმდეგ. ეს ბრძოლა კი, XVII ს-ის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, სეფიანთა სახელმწიფოს დასუსტებისა და მისი მოსპობა—გადაშენების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო.

[1] Storey, C. A.,Persian Literature a bio-bibliographical Survey, II. London, 1936, გვ. 321.

იასე ციცაძე

# XVIII საუკუნის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის არქივიდან

საკმაოდ ცნობილი ფაქტი არის, რომ 1768—1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს რუსეთის თვითმპყრობელობის საგარეო საქმეთა კოლეგიის რჩევით, ხოლო ეკატერინე II დასტურით, საქართველოში რუსეთის კორპუსი იქნა გადმოყვანილი. ამ რაზმის მიზანდასახულება არ ყოფილა ქართული სამეფო-სამთავროების ხელში ჩაგდება და რუსეთისათვის შეერთება. რუსეთის რაზმის საქართველოში გადმოყვანა ბალკანეთზე თურქების ძალების შესასუსტებლად იყო მოფიქრებული. საგარეო საქმეთა კოლეგიას საქმე ასე ჰქონდა დაგეგმილი, რომ რუსეთის რაზმით ქართველი მეფეები უნდა გამხნევებულიყვნენ, თურქეთის წინააღმდეგ ომში უნდა ჩაბმულიყვნენ, თურქები იძულებული უნდა გაეხადათ გარკვეული ძალები აქ ამიერკავკასიისაკენ გადმოეყვანათ და ამით ბალკანეთისაკენ მეომარ რუსეთის ძალებს შეღავათი მიეცემოდათ.

ქართველი მეფეები ამ ომში უპირველესად რუსეთის მხარეზე გამოვიდნენ, მაგრამ, რა თქმა უნდა, საკუთარი ქვეყნის მდგომარეობის გაუმჯობესებას მოელოდნენ: სოლომონ I თურქეთის ბატონობისაგან თავის დაღწევას, ხოლო ერეკლე II სამცხის ნაწილის თურქთა ბატონობისაგან განთავისუფლებას. დეტალურად ამ საკითხზე შეჩერება არ მოგვიხდება.

მეტის-მეტად საყურადღებოა ის საარქივო მასალა, რომელიც რუსეთის რაზმის საქართველოში გადმოსვლის შედეგად სპარსეთში შექმნილ მდგომარეობას გვისურათებს. აქ წინასწარ უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსული რაზმი საქართველოში დარიალის გზით შემოვიდა და ქართლ-კახეთის მეფის ტერიტორიის გავლით იმერეთის სამეფოში გადავიდა. მაშინდელი დიპლომატიის გაგებით რუსეთ-თურქეთის ომის დროს რუსეთს იმერეთის საზღვრებში შეჭრისათვის ისევე შეეძლო პასუხისგება, როგორც ბალკანეთის პროვინციებში, იმერეთი თურქეთისეულ ვასალურ სამფლობელოდ იყო ცნობილი. მაგრამ, რადგანაც რუსეთის ლაშქარი ქართლ-კახეთის მეფის ნებართვით ამ სამეფოს ტერიტორიით ახერხებს იმერეთში გადასვლას, ხოლო ქართლ-კახეთის სამეფო ირანის სახელმწიფოს ხელქვევით მყოფ სამფლობელოდ ითვლებოდა და ირანსა და თურქეთს შორის საზავო ურთიერთობა სათანადო ხელშეკრულებით ამ ომის დროსაც გრძელდებოდა, ერეკლე II ასეთი ნაბიჯი თურქეთში მეტის-მეტად იუცხოვეს; თურქეთში ჯერ კიდევ არ იცოდნენ, რომ ერეკლე II მიმდინარე ომში საკუთარი ინიციატივით სპარსეთთან შეუთანხმებლად ჩაერეოდა და რუსეთის მხარეზე გამოვიდოდა. ამიტომ ახალციხის ნაჰმან ფაშა ერეკლე II-ს შეშფოთებული სწერდა, რომ სოლომონმა (იმერეთის მეფემ) თურქეთის სულტნის „სიკეთე და მოწყალეობა“ დაივიწყაო: „...და გულში ჩადებული

ორგულობა, სიავე, სიფინთე, ღალატი, მუხანათობა და ჰარამზადობა გამოაცხადა. მოსკოეს უსჯულოებთან, ღმერთმან იმათი ბოლო დააქციოს, სოლომონს კაცი გაეგზავნა იმ ურჯულოებთან და რამდენიმე ასი კაცი მოუყვანინებია, რომ თქვენ ორისაე დოვლაფსაგან მართლსარწმუნოდ და ჭისანდოდ დიდგვარობაზე ცნობილ ხართ, თქვენის მიწიდამ, რომ ის უსჯულოები თქვენს შეუტყობრად და უნებურად გადმოსულიყუნენ—ეს ხომ არ იეშვება, ხუთსა ან ათს დღესა თქვენს ქვეყანაში ულიათ, ამასუკან იმერეთს გარდასულან, ჴელმწიფის ციხეებისაგან შარაპანის...ციხეს...შემოდგომოდნენ, ღვთის წყალობით... ვერ ექნათ და ხელი ვერაზედ მისწვდომოდათ, რჯულის მოღალატის და სიწუწკის საზომის მჭონებლის სოლომონის ვითარება შეეტყოთ და ისევ უკან დაბრუნებულ იყვნენ თავისავ საძაგელის მიწისაკენ[1]. უკან დაბრუნებაში ახლა თქვენს მიწაში დამდგარან, და გვიკვირს ამისთანა საქნელი საქმე,—გასინჯეთ საჭარათების დიდ დიდებას და უფროსების გულის შეცუდა, შეძრვა და ამღურევა არ იქნება... მაგრამ მაგ ურჯულოების თქვენს ქვეყანაში ყოფნა და დგომა მაღლის საუკუნოდ მყოფის ჴელმწიფის დოვლაფისათვის და ჰერანის დოვლაფისათვის სხვადასხვა ფიქრი და თქვენის სისწორისა და მეგობრობის ყოფილის ვითარებისა დიდი ზარალი და დასაკლისი არ იქნება ჩვენსა და თქვენში ამისთანა მტკიცე საბლის საკვრელი რომ არის?“[2].

მაგრამ ამით, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა დაკმაყოფილებულიყო თურქეთი. ქარიმ-ხან ზენდის ერეკლე II-დმი გამოგზავნილი წერილიდან ჩანს, რომ ოსმალეთის სახელმწიფოს დიდ ვეზირს ხალილ ფაშას საგანგებოდ წერილი გაუგზავნია ქარიმ-ხანისადმი. ამ წერილში ხალილ ფაშა ქარიმ-ხანს აუწყებდა, რომ ერეკლე II შეუკავშირდა რუსეთს და მასთან შეთანხმებით არა მარტო თურქეთის საზღვრებს არბევს, არამედ შეიჭრა სიღრმეში და იქ დიდი ზარალი მიაყენა ზოგიერთ დასახლებულ ადგილს. ვეზირი მოაგონებს ქარიმ-ხანს, რომ თურქეთსა და ირანს შორის მეგობრობისა და მშვიდობიანობის ტრაქტატი არის დადებული და არც ერთი მხარე ამას არ არღვევს ამდენი ხანია. ერეკლე მეფის მოქმედება (იგულისხმება ვითარცა ირანის სახელმწიფოს ხელქვევით მყოფი პოლიტიკური ერთეულის) სრულიად შეუფერებელია თურქეთისა და ირანის მეგობრულ და მტკიცე საზავო ურთიერთობისათვისო[3]. მაშინდელ ირანს, რა თქმა უნდა, ერეკლე II სამეფოს დატუქსვა და შეშინება არ შეეძლო, მით უმეტეს ისეთ ვითარებაში, როცა თურქეთის წინააღმდეგ ამხედრებული რუსეთი ამ ერეკლეს მოკავშირედ ეგულებოდათ, მაგრამ თურქეთს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა და ირანს, ვითარცა აღმოსავლეთ საქართველოს პატრონს, საყვედურით შეჩივლა და ირანის იმ დროის პირისუფალმა არ დააყოვნა, ერეკლესათვის საკმაოდ მორიდებით რჩევა-დარიგების წერილი მოეწერა, მაგრამ ამ წერილის შესახებ ქვემოთ[4].

---

[1] ნაჰმან ფაშა ცდება, რუსეთის რაზმი იმერეთიდან მაშინ რუსეთისაკენ კი არ წასულა, არამედ ქართლში გადმოვიდა ერეკლე II ახალციხისაკენ თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩასაბმელად.

[2] Цагарели. Грамоты... II, вып. I, გვ. 16.

[3] იხ. აქვე, საბუთი № 6.

[4] ახლა რაკი ერეკლესა და ქარიმ-ხანის მიმოწერიდან რამდენიმე საბუთი ჩვენს ხელთ არის, ჩვენთვის სავსებით ნათელი ხდება, რომ ცნობილი სოლომონ ლეონიძე ისტორიულ ფაქტს აღნიშნავდა, როცა ერეკლე II დასაფლავების დღეს წარმოთქმულ სიტყვაში სხვათა შორის თქვა: „თუ ოსმანთ დაიპყრეს საყდარი მეფისა შენისა, საკურთხეველი წმინდა ღვთისა—

მოსკოვში დაცული საარქივო დოკუმენტებიდან ნათელი ხდება, რომ რუსეთის რაზმის საქართველოში გადმოსვლის გამო არა მარტო თურქეთი, არამედ ირანიც შეშინებულა. სალიანის ნაეთსადგურში მყოფი რუსეთის კონსული სულიაკოვი 1770 წლის მაისში რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიას ატყობინებდა: „По вступлении в Грузию Российских войск здешних окрестностей, то есть: Тавризской, Генджинской, Шекинской и Шушинской ханы в крайнем находятся страхе, почему они, по достоверным слухам, между собою имеют переписку, чтобы им быть без всякого междуусобия в тишине, понеже российское войско везде умножается".

სულიაკოვს მოუწადინებია საგანგებო წერილებით ხსენებული მფლობელების დამშვიდება, რომ ირანს არავითარი საშიშროება არ მოელოდა რუსეთიდან, მაგრამ რახან სულიაკოვს სპარსული ენის მცოდნე თანამშრომელი არ ჰყავდა, განზრახულის სისრულეში მოყვანა ხელსაყრელ შემთხვევამდე გადაუდვია.

სანამ სულიაკოვი თავის ცნობას, სპარსეთის მფლობელების შეშფოთების შესახებ, დაწერდა და გაგზავნიდა, საგარეო საქმეთა კოლეგიას ორი თვით ადრე გაუთვალისწინებია სპარსეთში შესაძლებელი ვითარების შექმნა და ენზელის ნაეთსადგურში მყოფ რუსეთის კონსულს ბოგოლიუბოვს 1770 წლის თებერვალში საგანგებო მიმართვა და სპარსეთის მფლობელებისათვის დასამშვიდებლად დასაგზავნი წერილების ნიმუში გამოუგზავნა.

ჩვენს ხელთ არსებული ზოგიერთი ცნობა გვაფიქრებინებს, რომ საგარეო საქმეთა კოლეგია ამ ღონისძიების ჩატარებისას ერეკლე II რჩევით ხელმძღვანელობდა. 1769 წლის ზაფხულში ერეკლე II რუსეთში გაგზავნილ თავის ელჩს ა. ანდრონიკაშვილს პანინისათვის ზეპირად მოსახსენებლად სხვათა შორის დაავალა: „ჩვენ გვგონია, რომ მისის დიდებულების ბრძანებით გამორჩეულიც ექნებათ საქმე, რომ ჰერანში ვინც ჩინებულნი არიან იმათი ასეთი რიგი კაცი წიგნი და სიტყვა ებრძანოთ, რომ იმათ თავიანთ თავზედ არა იფიქრონ რა და დაწყნარებულის გულით იყვნენ. ეს მოგონება და მოხსენება ჩემმან გულმან ასე დაინახა, რომ ამ მოხსენებისათვის თანამდებობა გექონდა და ყოვლითურთ ნება მისის დიდებულებისა არს" [1]. საგარეო საქმეთა კოლეგიამ ანდრონიკაშვილთან იმავე 1769 წლის დეკემბრის დამლევს დაამთავრა მოლაპარაკება [2] და 1770 წლის იანვარში გამოისტუმრეს სამშობლოში. ენზელში მყოფ კონსულს ბოგოლიუბოვს 1770 წლის თებერვალში უგზავნიან სპარსეთის მფლობელთათვის დასაგზავნი წერილების ნიმუშს და სხვა საორიენტაციო ცნო-

---

ციციშვილის ბადურიშვილის ნაყმევმა, გვარამაძების ყმებმა და ერთმა კომლმა გლახას ნაყმევმა — კოდი ცხრა . . . . . თ (9)

ხიდისთავს ატენელებმა — კოდი ოცდა თექვსმეტი . . . . . ლვ (36)

აქავ საკაძის გოგიას ყმამ — კოდი ექვსი . . . . . ვ (6)

აქავ საკაძის ბეჟანის ნაყმევმა კოშორიძებმა — კოდი თერამეტი იზ (18)

აქავ საკაძის ზურაბის ყმამ — კოდი ოცდა ერთი . . . . . კა (21)

აქავ მელვინეთხუციშვილის თომას ყმამ — კოდი ოცდაშვიდი . . კზ (27)

აქავ ჯომარდიძის ყმამ — კოდი ექვსი . . . . . ვ (3)

აქავ თურმანიძის გლახას ყმამ — კოდი ცხრა . . . . . თ (9)

სასირეთს გლურჯიძის მოლარეთხუცის ნიკოლოზის ყმამ — კოდი ოცდაათი . . . . . ლ (30)

აქავ გლურჯიძის გოგიას ყმამ — კოდი ექვსი . . . . . ვ (6)

აქავ გლურჯიძის იოსების ყმამ — კოდი თერამეტი . . . . . იზ (18)

ხოლეს ჯავახიშვილის თეიმურაზის შვილის ყმამ — კოდი ოცდაერთი . . . . . კა (21)

აქავ ჯავახიშვილის ეახუშტი მდივანბეგის ყმამ — კოდი თხუთმეტი იე (15)

აქავ ჯავახიშვილის ნინიას ობლის ყმამ — კოდი ოცდაოთხი . . კდ (21)

აქავ ჯავახიშვილის დიმიტრის ყმამ — კოდი ექვსი . . . . . ვ (6)

როჭიკაშვილის ნაზირის გლახას ყმამ — კოდი ოცდაერთი . . . კა (21)

ახალქალაქს თარხნიშვილის მინბაშის ლუარსაბის ყმამ — კოდი ოცდა თექვსმეტი . . . . . ლვ (36)

თარხნიშვილის გლახაშვილების ყმებმა — კოდი ოცდათექვსმეტი ლვ (36)

თარხნიშვილის მეითარის სოლომონის ყმამ — კოდი ოცდათექვსმეტი . . . . . ლვ (36)

თარხნიშვილის მამუკას ნაყმევმა, გინდა ეყიდოს ვისმე და გინდა გირაოთა ჰყვანდეს, სათხოვარი იქავ ეთხოებათ — კოდი ცხრა . . . . . თ (9)

თარხნიშვილის ბესარიონის ყმამ — კოდი ოცდაათი . . . . . ლ (30)

კავთისხევს ჭვაბთახევის ეკლესისა ყმამ — კოდი ოცდაცხრამეტი . . . . . ლთ (39)

აქავ ნახუცრისშვილის ყმამ — კოდი სამი . . . . . გ (3)

აქავ სახასომ იესემ — კოდი სამი . . . . . გ (3)

წინარეხს მანგლისის ეკლესიის ყმამ — კოდი თვრამეტი . . . . იჱ (18)

ციციშვილის ზაზას ყმამ — კოდი თხუთმეტი . . . . . იე (15)

ნიჩბისს ციციშვილის გივის შვილების ყმამ — კოდი ოცდაოთხი კდ (24)

ჯამი იქმნა ლვ კალმისა კოდი რვაას სამოცდათოთხმეტი ყოდ (874)

**ტფილისის ნაპირის ხოფლებს განწესებული სამი კოდი ხურხათი შესწერდათ, კომლზე ასე უნდა გამოიღონ:**

ნავთლუღს მსახლობელთ — კოდი ოთხმოცდაათი . . . . . ჟ (90)

კუკიაში მოსახლემ დიდუბელებმა — კოდი თვრამეტი . . . . იჱ (18)

აქავ წინწყაროელებმა — კოდი ოცდაოთხი . . . . . კდ (24)

დიღომში მოსახლემ სახასომ დიღმელებმა — კოდი ოთხმოცდაათი . . . . . ჟ (90)

მწუნეთმა — კოდი ოცდაათი . . . . . ლ (30)

წავკისმა ციცისშვილების ყმამ — კოდი თხუთმეტი . . . . . იე (15)

ხატის თელეთმა — კოდი ცხრა . . . . . თ (9)

წარახპურს დავით გარესჯის მონასტრის ყმამ — კოდი ექვსი . ვ (6)

სონღალუხელებმა — კოდი თვრამეტი . . . . . იჱ (18)

კუმისს იკორთის ეკლესის ყმამ — კოდი სამოცი . . . . . ჲ (60)

აქავ ნახუცრისშვილის ყმამ — კოდი ექვსი . . . . . ვ (6)

ორბელიანის ვახტანგის ყმამ — კოდი თხუთმეტი . . . . . იე (15)

თურქისტანიშვილის ფრანგისტანის ყმამ, ერტის მოსახლემ — კოდი ცხრა . . . . . თ (9)

აქავ ერტისს ყ'დ სამღვდელოს ტფილელის ყმამ — კოდი ექვსი ვ (6)

ბორბალას სოლაღაშვილის მოლარეთხუცის ზაზას[1] ყმამ — კოდი ცხრა . . . . . თ (9)

აქავ სოლაღაშვილის იესეს მსაჯულისშვილის ზაზას ყმამ — კოდი ცხრა . . . . . თ (9)

გერმანოზიშვილის სულხანის ყმამ — კოდი ექვსი . . . . . ვ (6)

გერმანოზიშვილების გოგიასი და სხვების ყმამ — კოდი ექვსი . ვ (6)

გერმანოზიშვილის კიკოლას ყმამ — კოდი სამი . . . . . გ (3)

მარნეულელებმა — კოდი თხუთმეტი . . . . . იე (15)

ქავთარიშვილის გოგია ნაზირის ყმამ — კოდი ცხრა . . . . . თ (9)

ქავთარიშვილის იოთამის ყმამ — კოდი სამი . . . . . გ (3)

გოსტაშაბიანთ ყმებმა — კოდი ცხრა . . . . . თ (9)

სამისშვილის მდივანბეგის ზაალის ყმამ — კოდი სამი . . . . გ (3)

თაყაშვილების ყმებმა — კოდი თორმეტი . . . . . იბ (12)

საგინაშვილების ყმებმა — კოდი ექვსი . . . . . ვ (6)

ბარათაშვილის სესიას ყმებმა — კოდი თორმეტი . . . . . იბ (12)

იოთამიშვილის მინბაშის იოსების ყმებმა — კოდი ცხრა . . . თ (9)

ორბელ უხბაშის ყმამ — კოდი სამი . . . . . გ (3)

გაბაშვილების ყმამ — კოდი ცხრა . . . . . თ (9)

ჯამი იქმნა ლ. კალმისა კოდი ხუთას ცხრამეტი . . ფით (519)

**გატეხილ ხიდს ზემოთ ელებს და სომხის ხოფლებს კომლზედ სამი კოდი განწესებული სურსათი შესწერდათ:**

ჩალაბლიმ — კოდი ოცდაათი . . . . . ლ (30)

ნაჯბადინმა — კოდი სამოცდა ხუთმეტი . . . . . ოე (75)

ხანჯულაზმა — კოდი ორმოცდახუთი . . . . . მე (45)

ბატონიშვილის ბაგრატის ყმათ ყირიბლოელთ და შამალელთ — კოდი სამოცი . . . . . ჲ (60)

სადახლომ — კოდი ასორმოცდაათი . . . . . რნ (150)

დიდმა შულავერმა — კოდი ექვსასი . . . . . ქ (600)

პატარა შულავერმა — კოდი ოცდაოთხი . . . . . კდ (24)

უახრალომ — კოდი სამოცი . . . . . ჲ (60)

[1] ჩამატებულია სტრიქონს ზემოთ.

ემირჰასანმა — კოდი თვრამეტი . . . . . იᲤ (18)

დედოფლის მარიამისელებმა სომხებით — კოდი ასორმოცდა(ა)თი . . . . . რნ (150)

სარავანმა — კოდი ასორმოცდა ათი . . . . . რნ (150)

მისის სიმაღლის დედოფლის დარეჯანის ყმამ ელმა — კოდი ოცდაათი . . . . . ლ (30)

გაურარხსა და საცა ჰყავს ორბელიანის ეშიკაღაბაშის თამაზის ელებმა, საცა ჰყავს — კოდი ორას ათი . . . . . სი (210)

ჰალავარმა — კოდი თვრამეტი . . . . . იᲤ (18)

სარდალ სალთხუცის ორბელიანის იოანეს ყმამ საცა ჰყავს ქართველი, სომეხნი და თათრის ელებით — კოდი სამას სამოცდა თორმეტი . . . . . ტობ (372)

შინიხმა — კოდი ოთხმოცდაათი . . . . . ქ (90)

უზუნლარმა — კოდი ოცდაოთხი . . . . . კდ (24)

ჰახპატმა — კოდი ოცდაათი . . . . . ლ (30)

სინაჯინმა — კოდი თვრამეტი . . . . . იᲤ (18)

დისიყმა — კოდი სამოცი . . . . . ჯ (60)

ჯამი იქმნა კ. კალმისა, კოდი ორი ათას ორას თოთხმეტი — . . . . . ცსიდ (2.114)

მეფის ძის დავითის ყმამ, ბორჩალომ, დემურჩი-ჰასანლომ და გულთაფამ კოდი შვიდას ოცი . . . . . ღკ (720)

ბაიდარმა, ქურთმა და ბეგლარმა — კოდი ას ორმოცდა ათი . რნ (150)

ყაზახმა, ერთობით თათრებმა და სომხებმა — კოდი ცხრა ათასი ჳ (9000)

შამშადილმა, თათარმა და სომეხმა — კოდი სამი ათასი . . . ძ (3000)

შორაგალმა, თათარმა და სომხებმა — კოდი ათას ხუთასი . . ჩფ (1500)

ფამბაკმა, ერთობით თათრებმა და სომხებმა კოდი ათას ხუთასი ჩფ (1500)

ჯამი ვ. კალმისა კოდი ხუთმეტი ათას რვაას სამოცდა ათი . . . . . იეჩყო (15.870)

ჯამი ერთიანად რვა კალმის ჯამებისა იქმნა ოცდახუთი ათას ხუთას სამოცდა სამი კოდი . . . . . კეჩფჯგ (25.563)

მინაწერი რუსულ ენაზე (ფურ. 41, verso): Каждый код имеет в себе 10 литра, литр-же[1] 20 стиль т. е. 8фунтов с походом. Сего же сбора полагается кода в 22 стиля, что составит на каждую коду по одной литре лишняго, и сей излишек делился пополам: половину в казну, а другая (sic).

[1] ეს ოთხი სიტყვა სტრიქონს ზემოთაა ჩამატებული.

приемщику провиантмейстеру. Эсаулам или сборщикам сурсата положено сверх того от каждой коды по одной литре.

Впрочем отдавалось на волю поселянам вместо хлеба коду взносить деньгами по 1 р. серебром.

Сия ведомость подана от князя Игнатия Туманова о сурсате в Картлинии собираемом, после представленной им общей на таковой же сбор.

## კახეთი

საბუთი 3. 1802 წ. ცნობა კახეთისათვის შეწერილი სახელმწიფო პურის გადასახადის — სურსათის შესახებ. საქ. ცსსა, ფ. 16, საქ. № 31, ფურც. 36, დედანი.

ოდესმე ჩვენის მეფეების დროს საჭიროებისათვის კახეთის საზოგადოებას ეთხოებოდა კომლად სურსათი სამი კოდი პური და ქერი, ორი წილი პური და მესამედი ქერი ათ ლიტრიანის კოდით და ოცდაორის სტილიანის ლიტრით:

წტეშ (4398) ქ. ერთობით ქიზიყს სურსათი პური — კოდი ოთხი ათას სამას ოთხმოცდა თვრამეტი.

ჩღზ (1707) ქ. გურჯაანიდამ მოკიდებული კარდანახამდინ, საენდრონიკო, საეაჩნაძო, პირ-აქეთ და პირ-იქით — პური კოდი ათას შვიდას შვიდი კოდი.

ცით (2019) ქ. ჯიმითიდამ მოკიდებული პირ-აქეთ და სოფლებს ბულაჩაურამდინ, პური კოდი სურსათისა ორი ათას ცხრამეტი კოდი.

ცკგ (2023) ქ. ჩუმლაყიდამ მოკიდებული თურდომდინ — სურსათი პური კოდი ორი ათას ოცდა სამი კოდი.

ჩღო (1770) ქ. რუისპირიდამ მოკიდებული თიანეთამდინ — სურსათი პური კოდი ათას შვიდას სამოცდაათი.

ცშოე (2975) ქ. მატნიდამ მოკიდებული გავაზამდინ — სურსათი პური კოდი ორი ათას ცხრაას სამოცდა თხუთმეტი კოდი.

ჩქნ (1650) ქ. ერთობით კახეთის ელებს პირ-აქეთ და პირ-იქით — სურსათი პური კოდი ათას ექვსას ორმოცდა ათი.

ჯჭფმბ (16.542) ქულუ (?) კახეთის სურსათის პური არის ჯამი — კოდი თექვსმეტი ათას ხუთას ორმოცდა ორი კოდი.

კახეთის სახასოთ კოდის პური ამას ქვევით დაიწერება:

ცმ (2040) ქ. ქიზიყს, წმინდის ნინოს ყმას გარდა — კოდის პური კოდი ორი ათას ორმოცი კოდი.

ტჲ (360) ქ. საგარეჯოს პატარძეულით — კოდის პური კოდი სამას სამოცი. ამის ნახევარი მათს უწმინდესობას მიერთმევა.

ტმ (340) ქ. ორსავ ხევს, მარტყოფს — კოდის პური კოდი სამას ორმოცი საკუთრად სამეფ(ო)ა ეს კალამი.

რმ (140) ქ. კალაურს აძევს კოდის პური ას ორმოცი კოდი

პ (80) ქ. შაშიანს აძევს კოდის პური კოდი ოთხმოცი

ლ (30) ქ. ქვემო ხოდაშენს აძევს კოდის პური კოდი ოცდაათი. ამ სამის კალმის კოდის პურის ნახევარი იმისის უწმინდესობისა არის.

ცშჲ (2990) ამ ზემო კალმის კოდის პურის ჯამი არის პური კოდი ორი ათას ცხრაას ოთხმოცდაათი კოდი.

კახეთის სურსათისა და კოდის პურის ჯამია ორისავ კალმისა — კოდი (19532) ცხრამეტი ათას ხუთას ოცდათორმეტი კოდი.

კულუხი ღვინისა აქეთ საგარეჯოებისა და იქითის პირის საგარეჯოებისა არის საპალნე 170, ას სამოცდაათი. ამისი ნახევარი კათოლიკოზისა არის, სახელმწიფო იქნება 85, საპალნე ოთხმოცდახუთი. მარტყოფიდამ საკუთრად სახელმწიფო კულუხი ღვინო — ორმოცი 40. სახელმწიფო ღვინო სულ იქნა ჯამად 125 საპალნე ას ოცდახუთი.

თავადი ალექსანდრე მაყაოვი სალთხუცესი

ბოლო გვერდზე (37, verso) მინაწერი — რუსულად: Ведомость от князя Александра Макашвилова о сборе хлебом сурсат и кодиспури и вином в Кахети, по которому исчислению показано количество о сурсате и в расписании о доходах на 1802-ой год.

**საბუთი 4.1802** წ. სექტემბრის 6 — კახეთის სახელმწიფო პურის გადასახადი — სურსათი. საქ. ცსსა, ფ. 16, საქ. 31, ფურც. 42, 45, 49, 51, 54, 63. დედანი.

ა) ფურც. 42 წარწერით: ამ სიის პური თელავს უნდა მივიდეს.

წელსა ჩ ყ ბ, სექდენბრის ვ. ვარდისუბნიდამ მოკიდებული ჭალაანამდინ შესწერდათ ამ სიით სურსათის პური:

| | |
|---|---|
| ვარდისუბანმა — პური კოდი . . . . . | ქ (90) |
| მერეს საწინამძღვარომ — პური კოდი . . . . . | ლ (30) |
| ალექსანდრე სალთხუცის ყმამ — პური კოდი . . . . . | მთ (48) |
| გოშპარის ყმამ — პური კოდი . . . . . | მთ(48.) |
| ზურაბის ყმამ — პური კოდი . . . . . | მთ (48) |
| აქავ სამოძღვართმოძღვრომ — პური კოდი . . . . . | მთ (48) |
| გულგულას სამოძღვართ მოძღვრო[1] კაცმა — პური კოდი . . . | ჲ (60) |
| აქავ ბერძნის ყმამ — პური კოდი . . . . . | იე (15) |
| ახატელს ალავერდელის ყმამ — პური კოდი . . . . . | იე (15) |
| კონდოლის მოურავის დავითის ყმამ — პური კოდი . . . . . | კა (21) |
| პატარა დავითის ყმამ — პური კოდი . . . . . | იბ (12) |
| იყალთოს დავით ნაზირის ყმამ — პური კოდი . . . . . | კბ (22) |
| აქავ დიმიტრი მაყაშვილის ყმამ — პური კოდი . . . . . | იე (15) |
| ომან მაყაშვილის ყმამ — პური კოდი . . . . . | ლე (35) |
| აშხანს და იყალთოს დავით გარეჯის ყმამ — პური კოდი . . . | ვ (6) |
| აწყურს ბანცურიშვილის ყმამ — პური კოდი . . . . . | ვ (6) |
| აქავ მარდანის ობლის ყმამ — პური კოდი ოცდაათი . . . . | ლ (30) |
| აქავ ევსუქისა და სოლომონის ყმამ—პური კოდი . . . . . | ლ (30) |
| აქავ სალთხუცის პაატას ყმამ — პური კოდი . . . . . | იმ (18). |

[1] „მოძღვრო" ჩამატებულია სტრიქონს ზემოთ.

ხოდაშენს და იულთას საგინაშვილის ზუასა და გივის ყმამ — პური კოდი ცხრა . . . . . თ (9)
სახასო ხოდაშენმა — პური კოდი სამოცი . . . . . ჲ (60)
აქავ საწინამძღვარომ — პური კოდი ოცდაოთხი . . . . . კდ (24)
აქავ ბოქორმის ყმამ — პური კოდი ექვსი . . . . . ვ (6)
აქავ წმინდის გიორგის ყმამ — პური კოდი სამი . . . . . გ (3)
ოქიოს ალავერდლის ყმამ — პური კოდი ორმოცდა ორი . . . მბ (42)
დავითისა და აქაზის ყმამ — პური კოდი ორმოცდახუთი . . . მე (45)
აბელაშვილის ყმამ — პური კოდი თვრამეტი . . . . . იზ (18)
კოლოთოს ალავერდლის ყმამ — პური კოდი . . . . . ლ (30)
ბაიხოს თანიაშვილების ყმათ — პური კოდი ცხრა . . . . . თ (9)
ვარჯანის ყმამ — პური კოდი თორმეტი . . . . . იბ (12)
აქავ ალავერდლის ყმამ — პური კოდი ცხრა . . . . . თ (9)
ალავერდულს ალავერდლის ყმამ — პური კოდი . . . . . იზ (18)
ხორხელს ალავერდლის ყმამ — პური კოდი სამოცი . . . . . ჲ (60)
ნაცვლისა და უგანაძის ყმამ — პური კოდი . . . . . იბ (12)
ობოლიძეს ალავერდლის ყმამ — პური კოდი . . . . . კდ (24)
ბოქორმელთ — პური კოდი ასოცი . . . . . რკ (120)
ქისტაურს მირიანის ყმამ — პური კოდი . . . . . ლთ (39)
ახმეტას და საცა ჰყავთ ტუსიანთ — პური კოდი ათი . . . . ი (10)
ახმეტას და თიანეთს სარუსთლო კაცთ — პური კოდი . . . . ნ (50)
ჩოლაკაიეს (sic) სალთხუცეს ქაიხოსროს, საცა ჰყავთ ყმა — პური კოდი სამოცი . . . . . ჲ (60)
დიმიტრი ჩოლაყოვის ყმამ — პური კოდი . . . . . მე (45)
ჩოკაანთ ყმამ — პური კოდი ოცდაშვიდი . . . . . კზ (27)
სამთავრომ — პური კოდი ოცდათექვსმეტი . . . . . ლვ (36)
თიანეთს და ახმეტას მოლარეთხუცის შვილების ყმათ — პური კოდი თორმეტი ივანეთი . . . . . იბ (12)
ახმეტას კათალიკოზის ყმამ — პური კოდი ექვსი . . . . . ვ (6)
ცარევიჩი დავითის ყმათ, თიანეთს — პური კოდი . . . . . რჟზ (168)
აქავ თიანეთს ალავერდლის ყმამ — პური კოდი . . . . . მზ (48)
თიანეთს სახარჯაშნლოს კაცთ პური კოდი . . . . . ოე (75)

ახმეტას ჰავჰავაძე გრიგოლისა და მელიქსადეკის ყმათ — პური კოდი ოცდაათი . . . . . ლ (30)

ყარალაშვილის ყმამ თიანეთს და ახმეტას — პური კოდი ოცდაერთი . . . . . კა (21)

რჩეულეთს წმინდის გიორგის ყმათ — პური კოდი . . . . . ლ (30)

ჭალაანმა — პური კოდი თხუთმეტი . . . . . იე (15)

ჯამი ამ ზემო კალმის სურსათის პურისა — პური კოდი ათას შვიდას სამოცდა ათი . . . . . ჩღო (1770)

ბ) ფურც. წარწერით: საგარეჯოს უნდა მივიდეს.
წელსა ჩყბ, სეკდენბრის ვ შესწერდათ სურსათის პური გურჯაანიდამ მოკიდებული კარდანახამდი:

სახასო გურჯაანმა — პური კოდი . . . . . ჲვ (66)

დავით ერასტიშვილის ყმამ — პური კოდი . . . . . რნ (150)

ადამ მდივანბეგის ყმამ — პური კოდი . . . . . ობ (72)

ნინიასა და პეტრეს ყმამ — პური კოდი . . . . . ჲვ (66)

დავით აბაშიძის ყმამ — პური კოდი . . . . . რკ (120)

რევაზ მოურავის ყმამ — პური კოდი . . . . . ობ (72)

მზეპაბუკის ყმამ — პური კოდი . . . . . ო ბ (72)

სვიმონ ელიაღასის ყმამ — პური კოდი . . . . . როა (171)

ზაქარია მოურავის ყმამ — პური კოდი . . . . . ჟ (90)

სოლომონ მოურავიშვილის ყმამ — პური კოდი . . . . . ჲ (60)

ზაალ ზურაბიშვილის ყმამ — პური კოდი . . . . . რნვ (156)

კოტეს ყმამ — პური კოდი . . . . . ლვ (36)

ლუარსაბ ონანაშვილის ყმამ — პური კოდი . . . . . ჲთ (6?)

ზაქარია ონანიშვილის ყმამ — პური კოდი . . . . . ნა (51)

ბაკურციხეს აგათოშვილის ზაზასა და იოსების ყმამ — პური კოდი . . . . . მბ (42)

აქავ ტეტიას ყმამ — პური კოდი . . . . . იე (15)

კარდანეხს ასათიშვილის ნინიასა და იოსების ყმამ — პური კოდი ჲ (60)

აიდემურ ეშიკალაბაშის ყმამ — პური კოდი . . . . . ჲ (60)

გურგენის ყმამ — პური კოდი . . . . . ლთ (39)

ბებურიშვილის ნინიას ყმამ — პური კოდი . . . . . კვ (26)

გავაზი(ს) მოურავის რევაზის ყმამ — პური კოდი . . . . . ჲ (60)

სოლომან ბებურიშვილის ყმამ — პური კოდი . . . . . ლ (30)

პაპაშვილი სვიმონის ყმამ — პური კოდი . . . . . მბ (42)

ანჯიქოს ყმამ — პური კოდი . . . . . ლთ (39)

ნინია აფხაზის ყმამ — პური კოდი . . . . . მე (45)

ჯამი ამ ზემო სურსათის პურისა კოდი . . . . . ჩღზ (1707)

გ) ფურც. 47. წარწერით: ამ სიის პური კალაურს ქვეით საგარეჯოს უნდა მივიდეს, ზეითი თელავში.

წელსა ჩ ყ ბ, სექდენბრის ვ. შესწერდა სურსათის პური ჩუმლაყიდამ მოკიდებული თელავამდინ:

ჩუმლაყს რუსთველის ყმამ — პური კოდი . . . . . ნე (56)

ავალიშვილი გივის ყმამ — პური კოდი ოცდაათი . . . . . ლ (30)

კოშკს სვიმონ ველისციხის მოურავის ყმამ — პური კოდი . . იე (15)

ზეგანს — პური კოდი ოცდაათი . . . . . ლ (30)

ახაშენს მიწობლიძის ყმამ — პური კოდი . . . . . ი (10)

დავით გიჯიმყრელის ყმამ — პური კოდი . . . . . ლ (30)

აქავ ქათალიკოზის ყმამ — პური კოდი . . . . . მა (41)

ველის ციხემ — პური კოდი ორას ცამეტი . . . . . სიგ (213)

აქავ სიმონ მოურავის ყმამ — პური კოდი . . . . . თ (9)

მუკუზანს გარსევან ეშიკალაბაშის ყმამ — პური კოდი . . . . ლ (30)

ურიათუბანს მეფის რძლის ქეთევანის ყმამ — პური კოდი . . . ნ (50)

სახასო შაშიანმა — პური კოდი სამოცი . . . . . ჲ (60)

სახასო კალაურმა — პური კოდი ასოცი . . . . . რკ (120)

აქავ ჯანდიერიშვილის ფრიდონის ყმამ — პური კოდი . . . . კ (20)

სილოანეს ყმამ — პური კოდი . . . . . ვ (6)

ომან კალაურის მოურავის ყმამ — პური კოდი . . . . . ლ (30)

ლუარსაბ თარხნის ყმამ — პური კოდი . . . . . ნ (50)

ჯიმითის მოურავის ყმამ როსებისმა — პური კოდი . . . . . იდ (14)

ახურამ — პური კოდი სამოცი . . . . . ჲ (60)

ვანთელთ — პური კოდი ოცი . . . . . კ (20)

ხოდაშენს გოგნიაშვილის ყმამ — პური კოდი . . . . . ზ (40)

სახასო ხოდაშენმა — პური კოდი ოცი . . . . . კ (20)

წინანდალს კოზმანიშვილის ლუარსაბის ყმამ — პური კოდი . . ი (10)

იოსებ ნაზირის ყმამ — პური კოდი ოცდაათი . . . . . ლ (30)

ნინიას ყმამ — პური კოდი ოცდათოთხმეტი . . . . . ლდ (34)

გარსევან ეწიკალაბაშის ყმამ — პური კოდი . . . . . ო (70)

ტოლნიანმა — პური კოდი ოთხ ოცი . . . . . პ (80)

კირილე სუფრაჯიშვილის ყმამ — პური კოდი თერამეტი . . . იე (18)

კონდოლს წმინდის გიორგის ყმამ — პური კოდი ოთხმოცდაათი . . . . . ჟ (90)

კისისხევს ხარჭაშნლის ნიკოლოზის ყმამ — პური კოდი . . . თ (9)

სვიმონ მდივნის ყმამ — პური კოდი ოცი . . . . . კ (20)

მდივნის დავითისა და იოვანეს ყმამ — პური კოდი ოცდაათი . ლ (30)

კისისხევს და ნასომხარს წმინდის გიორგის ყმამ — პური კოდი ორმოცდაათი . . . . . ნ (50)

შალაურს მირიან ცარევიჩის ყმამ, აზნაურიშვილის ყმებით — პური კოდი ორმოცდაათი. . . . . ნ (50)

თელავს ბაზარმა — პური კოდი სამასი . . . . . ტ (300)

გიორგი კახისა და სოლომონის ყმამ — პური კოდი . . . . . ლ (30)

რევაზ ბაზერთხუცესშვილის ყმამ — პური კოდი . . . . . პ (80)

ვამიყისა და გრიგოლის ყმამ პური კოდი . . . . . ლ (30)

დიმიტრისა და დავით ნაზირიშვილის ყმამ — პური კოდი . . . მ (40)

ბეჟანისა და დავითის ყმამ — პური კოდი . . . . . ნ (50)

ბარამიშვილების ყმამ — პური კოდი . . . . . ნ (50)

ჯამი ამ ზემო სიის სურსათის პურისა — კოდი . . . . . ცკგ (2023)

დ) ფურც. 49. წარწერით: მარტყოფს ზეით რაც სოფლებია თბილისში მოიტანონ და იმას ქვევით საგარეჯოს მიიტანონ

ჯიმითმა — პური კოდი ასსამოცდახუთი . . . . . რჟე (165)

ყანდაურამ — პური კოდი ასოცი . . . . . რკ (120)

კაკაბეთმა — პური კოდი ასსამოცი . . . . . რჟ (160)

მანავს სახასომ — პური კოდი ასოცი . . . . . რკ (120)

კაკაბეთის მოურავის ყმამ — პური კოდი ოცდაათი . . . . . ლ (30)

ავთანდილის ყმამ — პური კოდი ოცდაოთხი . . . . . კდ (24)

ნიკოლოზ ჩერქეზის ყმამ — პური კოდი ოცდაათი . . . . . ლ (30)

რამაზ ჩერქეზის ყმამ — პური კოდი ორმოცდარვა . . . . . მთ (48)

გიორგიწმინდელთ სახასომ — პური კოდი ასთერამეტი . . . . რიᲘ (118)

სახასო თვალმა (sic) — პური კოდი ასორმოცდარვა . . . . . რᲛᲘ (148)

ნინოწმინდლის ყმამ — პური კოდი ასსამოცდარვა . . . . . რᲜᲘ (168

ერთობით სათისჭალამ — პური კოდი სამოცი . . . . . Ნ (60)

პატარძეულმა — პური კოდი ას სამოცდა თხუთმეტი . . . . . როე (175)

ყარაბულახმა — პური კოდი ოცდაათი . . . . . ლ (30)

მარტყოფს დიდხევმა — პური კოდი ორას ოცი . . . . . სკ (220)

აქავ რუსთველის ყმამ — პური კოდი ოთხმოცდაათი . . . . . ჟ (90)

სახასო ნორიომ — პური კოდი ას სამოცი . . . . . რᲜ (160)

ავჭალას ზაალ გურამიშვილის ყმამ — პური კოდი . . . . . იᲘ (18)

გოგიასა და ეფრემის ყმამ — პური კოდი თხუთმეტი . . . . იე (15)

გიორგი მაიორის ობლის ყმამ — პური კოდი . . . . . იე (15)

ლევან მილახვრის ყმამ — პური კოდი . . . . . იე (15)

ზემო ავჭალამ — პური კოდი ოცდაათი . . . . . ლ (30[ე])

ბულაჩაურმა — პური კოდი სამოცი . . . . . Ნ (60)

ჯამი ზემო კალმის სურსათის პურისა კოდი . . . . ცით (2019)

ე) ფურც. 51, წარწერით: ამ სიით ენისელს ზეით თელავს უნდა მაიტანონ და ენისელს ქვევით ანაგას მაიტანონ.

წელს ჩ ყ ბ, სექდენბრის ვ. შესწერდათ სურსათის პური მატნიდამ მოკიდებული გავაზამდინ:

მატანს თიანეთის მოურავის ყმამ — პური კოდი ოცდაათი . . ლ (30)

აქავ სახასო მარილისმა — პური კოდი თხუთმეტი . . . . . იე (15)

ბახტრიონმა — პური კოდი ოცდაათი . . . . . ლ (30)

ოთხთვალს პეტრიაშვილის ყმათ — პური კოდი . . . . . იბ (12)

ფიჩხოვანმა — პური კოდი ოცდაათი . . . . . ლ (30)

მაღრანს მირიანის ყმათ — პური კოდი ოცდაოთხი . . . . . კდ (24)

აქავ ნაცვლიანთ ყმამ — პური კოდი ექვსი . . . . . ვ (6)

აქავ ალავერდლის ყმამ — პური კოდი თერამეტი . . . . . იᲘ (18)

გიორგი ნათალიშვილის და ამისი სახლის კაცის ყმამ — პური კოდი ოცდაათი . . . . . ლ (30)

ტახტისციხელთ კაცთ — პური კოდი ცხრა . . . . . თ (9)

თუშთ მოურავის და ედიშერის ყმამ — პური კოდი . . . . . Დთ (69)

ნიკოლაოზ ჩოლაყოვის ყმამ — პური კოდი სამოცი . . . . . ჲ (60)
იულთას ბაბადიშის ყმამ — პური კოდი ოცდაერთი . . . . . კა (21)
სახასო ფშაველმა — პური კოდი ოთხმოცდაცამეტი . . . . . ჟგ (93)
ართანას რევაზ ყარალაშვილის ყმამ — პური კოდი . . . . . ჲ (60)
ნაფარეულის გარსევან ეშიკაღაბაშის ყმამ პური კოდი . . . რკ (120)
ქვაყრილმა — პური კოდი ორმოცდა ხუთი . . . . . მე (45)
სახასო ლომის ციხემ ცარევიჩის ყმამ — პური კოდი . . . . . რკ (120)
ფაშაანმა — პური კოდი სამოცი . . . . . ჲ (60)
სახასო ვეფხის ციხემ — პური კოდი ასოცი . . . . . რკ (120)
სახასო ენისელმა ცარევიჩის ყმათ — პური კოდი . . . . . რლბ (132)
აქავ დიმიტრი მოურავის ყმამ — პური კოდი . . . . . ოე (75)
ზურაბის ყმამ — პური კოდი სამოცდა თორმეტი . . . . . რბ (72)
ნოშრევანის ყმამ — პური კოდი . . . . . ოე (75)
გვერდისძირს ხატის ყმამ — პური კოდი ოცდაათი . . . . . ლ (30)
საბუეს და საცა ჰყავს ნოდარიშვილს გიორგის ყმამ — პური კოდი . . . . . ნდ (54)
გრიგოლასა და დავითის ყმამ — პური კოდი . . . . . მბ (42)
ნათლისმცემლის მონასტრის ყმამ — პური კოდი . . . . . პა (81)
შილდას ნეკრესლის ყმამ — პური კოდი . . . . . რმდ (144)
აქავ მორდლის იროდიონის ყმამ — პური კოდი . . . . . ოე (75)
აქავ აბიბოს ყმამ — პური კოდი ორმოცდათოთხმეტი . . . . ნდ (54)
ბარამის ობლის ყმამ — პური კოდი ორმოცდა თერთმეტი . . . ნა (51)
ვეძისხეველთ — პური კოდი ორმოცდა ცამეტი . . . . . ჟგ (93)
ყვარელს საწინამძღვრომ — პური კოდი . . . . . რპთ (189)
აქავ მელქისიდეკის ყმამ — პური კოდა . . . . . ლვ (36)
გრიგოლ პაქუაძის ყმამ — პური კოდი . . . . . ლთ (39)
აქავ ალავერდლის ყმამ — პური კოდი . . . . . ჳ (90)
კუპატანმა — პური კოდი ას სამოცდა თოთხმეტი . . . . . როდ (174)
გავაზს გძელმინდორმა — პური კოდი ორასი . . . . . ს (200)
გავაზს ალავერდლის ყმამ — პური კოდი . . . . . თ (9)
სახასო ჭიკაანმა — პური კოდი ას ორი . . . . . რბ (102)

სანავარდომ — პური კოდი ორმოცდა თექვსმეტი . . . . . ნვ (56)

შაქრიანმა — პური კოდი ასი . . . . . რ (100)

სანადირომ — პური კოდი ოცდაათი . . . . . ლ (30)

ჯამი ამ ზემო კალმის სურსათის პურისა — პური კოდი ორი ათას ცხრაას სამოცდა თხუთმეტი . . . . . ცშოე (2975)

ვ) ფურც. 54, წარწერით:

წელსა ჩყბ, სეკდენბრის ვ. შესწერდა სურსათის პური კახეთის ელებს, თბილისში უნდა მოიტანონ:

ყიზილაჯილმა — პური კოდი ასორმოცდაათი . . . . . რნ (150)

ყარაჯალამ — პური კოდი სამას სამოცი . . . . . ტჲ (360)

ქაფანაქჩიმ — პური კოდი ორას ათი . . . . . სი (210)

ყამარლიმ — პური კოდი ოთხმოცდაათი . . . . . ჟ (90)

არუხლუმ — პური კოდი ას ოცი . . . . . სკ (120)

თაქლამ — პური კოდი ასოთხმოცი . . . . . რპ (180)

ახალმა თაქლამ — პური კოდი ორას ათი . . . . . სა (210)

ლაბალ ქეშალმა — პური კოდი ას ორმოცდა ათი . . . . . რნ (150)

სარაჯლიმ ძველმა და ახალმა — პური კოდი . . . . . რპ (180)

ჯამი ამ ზემო ცხრა კალმის სურსათის პურის კოდი გახდა . . ჩქნ (1650)

ზ) ფურც. 63 წარწერით: ეს სურსათის პური ანაგას უნდა მივიდეს

წელსა ჩყბ, სეკდენბრის ვ. ერთობით ჭიზიყს შესწერდა სურსათის პური ამ სიით:

ანაგამ — პური კოდი ორას ოთხმოცდა ხუთი . . . . . სპე (285)

ვაქირბა, თავის საქემხოთი — პური კოდი ხუთას ოთხმოცი . . ფპ (580)

საკობომ — პური კოდი ორასი . . . . . ს (200)

საკობოს მაღაროს საქემხომ — პური კოდი ორასი . . . . . ს (200)

ჯუგაანმა, თავის საქემხოთი — პური კოდი სამასორმოცდახუთი ტმე (345)

მაჩხაანმა — პური კოდი ოთხას ოცი . . . . . უკ (420)

მირზაანმა ორბოშიკით — პური კოდი ოთხას ოცდა ცხრა . . . უკთ (429)

სულუკაანმა — პური კოდი სამოცი . . . . . ჲ (60)

ნუკრიანმა, საკობოს საქემხომ—პური კოდი ორას ოცდახუთი სკე (225)

მაღაროთ — პური კოდი ოთხას ოცი . . . . . უკ (420)

მაშრაანმა — პური კოდი ოთხმოცდაათი . . . . . ყ (90)

სიღნაღმა — პური კოდი სამასი . . . . . ტ (300)

ბოდბემ — პური კოდი ექვსას ორმოცდა ოთხი . . . . . ქმდ (644)

ბოდბისხევმა — პური კოდი სამასი . . . . . ტ (300)

ჯამი ამ ზემო სიისა პური კოდი ოთხიათას სამას ოთხმოცდა თერამეტი . . . . . წტყთ (4398)

საბუთი 5 1802 წ., დეკემბრის 10. — ცნობა სად რამდენი სახელმწიფო პურის გადასახადი — სურსათი უნდა იქნეს მიტანილი (კახეთი). საქ. ცსსა, ფ. 16, საქ. № 31, ფურც. 55, 57,59,61.

ა) წელსა ჩყბ, დეკენბერის ი.
საგარეჯოს უნდა მოვიდეს სურსათი:

გურჯაანიდამ მოკიდებული კარდენახამდინ, საენდრონიკო სავაჩნაძომ — პური კოდი ათას ორას შვიდი . . . . . ჩსზ (1207)

ამათვე — ქერი კოდი ხუთასი . . . . . ფ (500)

ახურიდამ მოკიდებული ჩუმლაყამდინ სოფელმა უნდა მოიტანოს — პური კოდი ექვსასი . . . . . ქ (600)

ამათვე — ქერი კოდი ორას ოთხმოცდა სამი . . . . . სპგ (283)

მირზაანიდამ უნდა მოვიდეს სურსათის პური კოდი ორას ორმოცდაცხრამეტი . . . . . სნთ (259)

სულუკაანმა.
ნუკრიანმა, საქობოს საქემხომ,
მაღარომ,
მაშრაანმა,
სიღნაღმა,
ბოდბის ხევმა —

ამათ რაც აწერიათ, ამ ექვს კალმის სოფლის კაცთ, სურსათი უნდა მოიტანონ საგარეჯოს — პური კოდი ათასი . . . ჩ (1000)

ამათვე ქერი უნდა მოიტანონ — კოდი სამას ოთხმოცდათხუთმეტი ტჟე (395)

ჯამი არის ამ ზემოთ კალმის სურსათის პურისა კოდი სამიათას სამოცდა ექვსი კოდი . . . . . ძხვ (3066)

ჯამი ამავ სიისა ქერი არის ათას ას სამოცდა თერამეტი კოდი . . . . . ჩროთ (1178)

ჯამი სულ ქერისა და პურისა არის სულ ამ სიით — ოთხი ათას ორას ორმოცდა ოთხი კოდი . . . . . წსმდ (4244)

ბ) წელსა ჩყბ, დეკენბრის ი.
ანაგას უნდა მივიდეს სურსათი

ანაგელთ — ქერი კოდი ორას ოთხმოცდა ხუთი . . . . . სპე (285)

ვაქირმა — ქერი კოდი ხუთას ოთხმოცი . . . . . ფპ (580)

საქობომ — ქერი კოდი ორასი . . . . . ს (200)

საქობოს მაღაროს საქემხომ — ქერი კოდი ორასი . . . . . ს (200)

გურჯაანმა, თავის საქემხოთი — ქერი კოდი სამას ორმოცდა ხუთი . . . . . ტმე (345)

მაჩხაანმა — ქერი კოდი ოთხას ოცი . . . . . უკ (420)

მირზაანმა უნდა ანაგას მიიტანოს — ქერი კოდი ას სამოცდაათი რო (170)

ორას ორმოცდა ცხრამეტი კოდი პური საგარეჯოს უნდა მოიტანოს მირზაანმა

ჯამი ამ ზემო კალმის სურსათის ქერისა კოდი ორი ათას ორას ათი კოდი ანაგას მისატანი . . . . . ცსი (2210)

გ) წელსა ჩყბ, დეკენბრის ი.
თელავის ქალაქში უნდა მოვიდეს სურსათი:

მატნიდამ მოკიდებული გაღმა კახეთმა გავაზებამდინ უნდა მოიტანონ — პური კოდი ორი ათას ხუთასი . . . . . ცფ (2500)

ამათვე — ქერი კოდი ოთხას სამოცდა თხუთმეტი . . . . . უოე (475)

შიგნით კახეთმა, ვარდისუბნიდამ მოკიდებული თიანეთამდინ — პური კოდი ათას ოთხასი კოდი . . . . . ჩუ (1400)

ამათვე — ქერი კოდი ორას ორი . . . . . სბ (202)

თელავიდამ მოკიდებული ვანთამდინ, ამ სოფლებმა უნდა მოიტანონ პური სურსათისა კოდი ათას ას რვა . . . . . ჩრმ (1108)

ამათვე — ქერი კოდი ოცდასამი კოდი . . . . . კგ (23)

ჯამი ამ ზემო კალმის სურსათის პურისა კოდი ხუთიათას რვა ჳმ (5008)
ჯამი ამ ზემოთ სიის ქერისა კოდი შვიდასი . . . . . ღ (700)

დ) წელსა ჩყბ, დეკენბრის ი.
თბილისში უნდა მოიტანონ სურსათი:

ერთობით კახეთის ელებმა — პური კოდი ათას ას ორმოცდა ათი ჩრნ (1150)

ამათვე — ქერი კოდი ხუთასი . . . . . ფ (500)

ჯიმითიდამ მოკიდებული პირ-აქეთ სოფლებს ბულაჩაურამდინ უნდა მოიტანო(ნ) პური კოდი ათას ოთხას ცამეტი . . . ჩუიგ (1413)

ამათვე — ქერი კოდი ექვსას თოთხმეტი . . . . . ქიღ (614)

ბოდბიდამ უნდა მოვიდეს პური კოდი ოთხასი . . . . . უ (400)

ამათვე — ქერი კოდი ორას ორმოცდა ცამეტი . . . . . სნგ (253)
თიანეთს მეფის ძის დავითის ყმათ — პური კოდი ოცდა ჩვიდმეტი . . . . . ლზ (37)

ამათვე — ქერი კოდი ას ოცდა თორმეტი . . . . . რლბ (132)

ამ ზემო კალმის ჯამი არის სამი ათასი კოდი, თბილისში უნდა მოვიდეს . . . . . ძ (3000)

ჯამი ამ ზემო სიის ქერისა კოდი ათას ხუთას ერთს კოდ ნაკლები . . . . . ჩუჟთ (1499)

ელ. დოჩანაშვილი

# მასალები ადიშის ოთხთავის წარმომავლობის საკითხისათვის

სერიაში „მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის“ (ნაკვეთი 29, 1951 წ.) ჩვენ მიერ გამოქვეყნებულია წერილი: „ადიშის ოთხთავის კომპოზიტების შესახებ ოთხთავის სომხურ და ბერძნულ ტექსტებთან მიმართებით“. წინამდებარე წერილი წარმოადგენს ამავე სამუშაოს გაგრძელებას, რომლის მიზანსაც შეადგენს გარკვეული მასალის მოცემა ადიშის ოთხთავის წარმომავლობის საკითხისათვის. ამჟამად ჩვენი ძიების საგანს წარმოადგენს ადიშის ოთხთავში დაცული ქართულ-სომხური საერთო ხმარების ლექსიკა: ცნობილია, რომ თარგმნილ ძეგლებში დედნის ენის გავლენა უპირველეს ყოვლისა თარგმანის ლექსიკას ემჩნევა. ამიტომაც ამა თუ იმ თარგმნილი ძეგლის წარმომავლობის საკითხის კვლევისას ამ ძეგლის ლექსიკის შესწავლა ერთ-ერთ აუცილებელ სამუშაოს წარმოადგენს.

ადიშის ტექსტში საკმაოდ დიდი ოდენობით გვხვდება ქართულ-სომხური საერთო ხმარების სიტყვები. ოთხთავის სომხურ ტექსტთან მიმართებით ადიშის ტექსტის ამ ქართულ-სომხური საერთო ხმარების ლექსიკაში რამდენიმე ჯგუფი შეიძლება განვასხვავოთ: ქართული და სომხური ტექსტებით შემხვედრი საერთო ხმარების სიტყვები, ე. ი. ის სიტყვები, რომლებიც ქართული და სომხური ტექსტების შესაბამის ადგილებში მუდამ თანხვდენილად არიან წარმოდგენილნი. ტექსტებით ალაგ-ალაგ შემხვედრი საერთო ხმარების სიტყვები, ე. ი. ისეთი სიტყვები, რომლებიც ქართულსა და სომხურ ტექსტებში ზოგან თანხვდენილად არიან წარმოდგენილნი, ზოგან კი არა: ქართულში არის საერთო ხმარების სიტყვა, სომხური კი შესაბამის ადგილას სხვა სიტყვას ხმარობს და პირიქით. ასე მაგ., გვხვდება: „განჴდა ჰამბავი ესე“ *իւ համբաւս այս* (მთ. $9_{26}$), მაგრამ არის შემთხვევა, როდესაც სომხურში არის *համբաւ*, ქართულ ტექსტში კი „ჰამბავის“ ნაცვლად დგას „სიტყუაჲ“: „განითქუა სიტყუაჲ ესე“ *իւ համբաւս այս* (მთ. $28_{15}$). ან მაგალითად: „ჴეშმარიტის“ შემთხვევაში არის ტექსტობრივი შეხვედრაც: „ჴეშმარიტ არს წამებაჲ მისი“ *ճշմարիտ է վկայութիւն նորա* (ინ. $21_{24}$) და ისეთი შემთხვევაც, როდესაც ქართული ტექსტის „ჴეშმარიტის“ შესატყვისად სომხურში სხვა სიტყვაა; ხშირად არის მაგ. *արդարն*, თუმცა თავისთავად ეს უკანასკნელიც ქართულ-სომხური საერთო ხმარების სიტყვაა: „აჰა ჴეშმარიტად ისრაჱლიტელი“ *ահա արդարև իսրայելացի* (ინ. $1_{47}$); და ბოლოს მესამე ჯგუფში შეიძლება შეეიტანოთ ტექსტობრივ მოსალოდნელი საერთო ხმარების სიტყვები, სადაც მოთავსდება: ა) ისეთი ქართულ-სომხური საერთო ხმარების სიტყვები, რომლებიც ქართულ ტექსტში მოიპოვება, მაგრამ სომხური ტექსტი ამ ადგილას სხვა სიტყვას იძლევა. მაგ., ადიშის ქართულ ტექსტში ნახმარია სიტყვა „როჭიკი“, სომხური კი ამ სიტყვის ნაცვლად იძლევა *քուշակ*-სა და *կն-*

*բակուր*-ს „კმა გეყავნ როჭიკი თქვენი“ *շատ լիցին ձեզ քոշակքն ձեր* (ლკ. $3_{14}$); b) ისეთი ქართულ-სომხური საერთო ხმარების სიტყვები, რომლებიც დაცულია სახარების სომხურ ტექსტში, ხოლო ადიშის ქართული ტექსტი ამ ადგილებში სხვა სიტყვებს ხმარობს. მაგ., სომხური ტექსტის *ասատիկ*-ის შესატყვისად ქართული ტექსტი „სასტიკ“-სვე კი არ იძლევა, არამედ „ძლიერს“: „ზღუაჲ იგი ძლიერთა ქართაგან აღიძროდა“ *ծովն ի սաստիկ հողմոյ շնչելոյ յուզեր* (ინ. $6_{18}$).

იმისათვის, რომ რელიეფურად გამოჩნდეს, თუ როგორია რაობა და ბუნება ადიშის ხელნაწერში დაცული ქართულ-სომხური საერთო ხმარების ლექსიკისა და კერძოდ რაში უნდა ვიგულოთ აქ არმენიზმი, მიზანშეწონილად მიგვაჩნია დავალაგოთ არსებული მასალა აღნიშნული ჯგუფების მიხედვით [1].

### 1) ტექსტობრივ შემხვედრი საერთო ხმარების სიტყვები

წარმოშობის თვალსაზრისით ამ ჯგუფის სიტყვებში (ისევე როგორც სხვა ჯგუფის სიტყვებშიც) სხვადასხვა მომდინარეობის სიტყვებთან გვაქვს საქმე. აქ გეხვდება: a) ბერძნულიდან, b) ირანულიდან, c) სემიტურიდან, d) სომხურიდან მომდინარე სიტყვები, e) ქართულ-ქართველური ენებიდან სომხურში შესული სიტყვები და ბოლოს f) უცნობი მომდინარეობის სიტყვები [2].

#### a. ბერძნულიდან მომდინარენი [3]

1. კეისარი—*կայսր*—καῖσαρ (მთ. $22_{17, 21}$ მკ. $12_{14, 16, 17}$ ლკ. $3_1$, $20_{22, 24, 25}$ $23_2$ ინ. $19_{12, 13, 15}$).
2. კონქი—*կոնք*—κόγχη, ტექსტშია *կոտիր* (ინ. $13_5$).

---

[1] შდრ. ილია აბულაძე, ქართულ-სომხური ფილოლოგიური შტუდიები, I ნაკვ. „ტფ. სახ. უნივერსიტეტის შრომები“, VI, 1936, გვ. 329—347 და II ნაკვეთი, „ენიმკის მოამბე“ VIII, გვ. 78 შმდ.; აგრეთვე მისივე „ქართ.-სომხ. ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს-ში“, გვ. 081 შმდ. და სხვა.

აქ წარმოდგენილი ლექსიკური შეხვედრების სიაში არ შეგვაქვს ისეთი სემიტური სიტყვები და გამოთქმები, როგორიცაა: ჰრაბი, ჰრაბბი, ჰრაბბონი, ჰრაბბუნი, რაბი (მკ. $9_5$, $10_5$, ინ. $1_{38}$, $_{49}$ $3_2$ $_{26}$ $6_{35}$, $9_2$ $20_{16}$), აბბა (მკ. $14_{36}$), ეფფათა (მკ $7_{34}$), კორბან (მკ. $7_{11}$), კეფა (ინ. $1_{42}$) ოსანნა (ინ. $12_{13}$), ტალითა კუმი (მკ. $6_{41}$), Ული! Ული! ლამა საბაკთანი ან „ელოი, ელოი, ელმანა საბაქთანი“ (მთ. $27_{46}$, მკ. $15_{34}$), რომლებიც თვით ოთხთავის ტექსტში უცხო სიტყვების სახით არიან მოყვანილნი, რასაც ჩვეულებრივ თარგმანიც სდევს ხოლმე. არ შეგვაქვს აგრეთვე ე. წ. ხმაბაძვითი სიტყვები, ე. ი. ისეთები, რომელთაც ხმაბაძვითობის გამო აქვთ მიღებული ერთნაირი სახე ორივე ენაში. ასეთებია მაგ.: ღაღადი (*աղաղակ*), ღრჭენა (*կրճիտ*); არ გვაქვს აღნიშნული აგრეთვე ზოგიერთი, ჩვენი მიზნებისათვის მცირე მნიშვნელობის მქონე, საერთო ხმარების სიტყვა.

ამ ნაშრომზე მუშაობისას ოთხთავის სომხური ტექსტისათვის ვსარგებლობდით, ა) *Աստուածաշունչ մատեան հին և նոր կտակարանաց... յաշխարհաբարեալ ի տեառն հ. յովհաննու ոսկեբերանէն... հատոր* IV *վենետիկ*, 1805. ბ) *Աստուածային գրչագիր ամէն տեառն* 887... *Մոսկվա*, 1899. ოთხთავის ბერძნული ტექსტისათვის კი ვსარგებლობდით: ტიშენდორფის 1869 წლის გამოცემით—Novum Testamentum graece, Edicio octava critica maior, Volumen I, Lipsiae, 1869.

[2] ქართულ-სომხური საერთო ხმარების სიტყვათა ეტიმოლოგიებისათვის ვსარგებლობდით უმთავრესად: 1) H. Hübschmann „Armenishe grammatik“ I—Arm. Etymologie, Leipzig, 1897 და 2) ჰრ. აჭარიანის შრომებით: ა) *Հայերէն արմատական բառարան*, I—VII, *Երեւան*, 1926—1935 ბ) *Հայոց լեզվի պատմութիւն Երեւան*, 1940.

[3] ბერძნული ტექსტის მონაცემი სპეციალურად აღნიშნული გვაქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ბერძნული ტექსტი ფონეტიკურად შესატყვის სიტყვას არ ხმარობს.

3. ლამპარი—*լապտեր* (*լամբար*)—λαμπτήρ (λάμπας) (ინ. $18_3$).
4. ლეგეონი—*լեգէոն*—λεγεών (მკ. $5_9$, $_{15}$ ლკ. $8_{30}$).
5. ლიტრა—*լիտր*—λίτρα (ინ. $12_3$ $19_{39}$).
6. მარგალიტი—*մարգարիտ*—μαργαρίτης (მთ. $7_6$ $13_{45}$, $_{46}$).
7. მილიონი—*մղոն*—μίλιον (მთ. $5_{41}$).
8. ნავი—*նաւ*—ბერძნ. ναῦς მთ. $4_{21}$, $_{22}$ $8_{23}$,$_{24}$ $9_1$ $13_2$ $14_{13}$, $_{22}$, $_{24}$, $_{29}$, $_{32}$ $15_{39}$ მკ. $1_{19}$ $3_9$ $4_{1}$,$_{36}$,$_{37}$ $5_{2}$,$_{18}$ $6_{32}$,$_{45}$,$_{47}$,$_{51}$,$_{54}$ $8_{10}$,$_{13}$,$_{14}$ ლკ. $5_{23}$,$_{23}$ $7_{2}$,$_{2}$,$_{11}$ $8_{22}$,$_{37}$ ინ. $6_{17}$,$_{19}$,$_{21}$,$_{21}$,$_{22}$,$_{22}$ $_{23}$,$_{24}$ $21_{3}$,$_{6}$,$_{8}$.
9. სტამანი—*ստաման*—στάμνος, ტექსტშია ξεστός (მკ. $7_4$).
10. ტეგანი—*փեդանայ*—πήγανον (სირიულშია pēgānā) (ლკ. $11_{42}$).
11. ფსალმუნი—*սաղմոս*—ψαλμός (ლკ. $24_{44}$).
12. ქლამინდი—*քղամիդ*—χγαμὺς (მთ. $27_{28}$, $_{31}$).

### b. ირანულიდან მომდინარენი

1. ამპარტავანი, ამპარტავნება—*ամբարտաւան, ամբարտաւանութիւն* ფალ. anbārtavān (მკ. $7_{22}$ ლკ. $1_{51}$).
2. ბევრი, ბევრეული—*բեւր, բեւրաւոր*—ფალ. bēvar (მთ. $18_{24}$ ლკ. $21_1$).
3. გრივი—*գրիւ*—ფალ.* grīw (grīb) (მთ. $13_{33}$).
4. გუნდრუკი—*կնդրուկ*—ფალ.* kundrūk (მთ. $2_{11}$).
5. მარი—*մար*—ირან.* mar (შდრ. ბერძნ. Μάρης) (ლკ. $16_6$).
6. მოგვ—*մոգ*—ფალ. moγ (მთ. $2_{1}$, $_{7}$, $_{16}$, $_{16}$).
7. პატრუკი—*պատրոյգ* (ან *պատրոյկ*)—ფალ. * pātrōk (მთ. $12_{20}$).
8. პაჰრაკი—*պահակ* * pāhrak (მკ. $15_{21}$).
9. ტაკუკი—*թակոյկ*—ფალ. takōk (ინ. $2_{8}$, $_{7}$).
10. ჯოჯოხეთი—*դժոխք*—ზნდ. daožahva, dužanhav (მთ. $11_{23}$ $16_{18}$ ლკ $10_5$ $16_{23}$).

### c. სემიტურიდან მომდინარენი

1. ბელზებული ბერზებული—*բէեղզեբուղ*—ებრ. be'elzebub (be'elzebul), ბერძნ. βεελζεβούλ (მთ. $10_{25}$, $12_{24}$, $_{27}$ მკ. $3_{22}$ ლკ. $11_{15}$, $_{18}$, $_{19}$).
2. გეჰენია—*գեհենան*—ებრ. gēi—hinnom (ბერძნ. γέεννα) (მთ. $5_{22}$, $_{29}$, $_{30}$ $10_{28}$ $18_9$ $23_{15}$, $_{33}$ მკ. $9_{47}$ ლკ. $12_5$).
3. ზეეზი—*բնհեզ*—სირ. būšā (ბერძნ. βύσσος)[1] (ლკ. $16_{19}$).
4. იოტა—*յովտ* (მთ. $15_{18}$).
5. ლარდიონი ‖ ნარდიონი—*նարդոս*—νάρδος (მკ. $14_3$ ინ. $12_3$).
6. მამონა — *մամոնայ* — სირ. māmōna ბერძნ. μαμωνᾶ (მთ.$6_{24}$ ლკ.$16_{11}$,$_{13}$).
7. მაննა—*մանանայ*—სირ. mannā, ებრ. mān (ბერძნ. μάννα) (ინ. $6_{31}$, $_{49}$, $_{58}$.).
8. მესია—*մեսիայ*—ებრ. mašixa (ბერძნ. Μεσσίας) (ინ. $1_{41}$, $4_{25}$)
9. მური—*զմուռս*—ებრ. mor, არაბ. mura (ბერძნ. σμύρνη, μύῤῥα) (მთ. $2_{11}$ ინ. $19_{39}$).

[1] ჰიობშმანს სომხური *բնհեզ* უცნობი მომდინარეობის სიტყვად მიაჩნია; იხ. დასახ.

10. პასქა—*ფასხ*—ებრ. pesax (ბერძნ. πάσχα) (ლკ. $22_{15}$).
11. სიონი—*Სիովն*—ებრ. sion (ბერძნ. Σιών) (მთ. $21_5$, ინ. $12_{15}$).
12. ქანქარი—*քանքար* სირ. kakkərā (მთ. $18_{24}$ $25_{30, 20, 20, 20, 15}$, $20_{16, 22, 22, 23, 24, 25, 28, 28}$).
13. შაფათი, შაბათი—*շաբաթ*—ებრ. šabbāṯ, სირ. šabbaṯā (ბერძნ. σάββατον) (მთ. $12_{1, 2, 5, 8, 10, 11, 12}$ $24_{20}$ $28_{1, 1}$ მკ. $1_{21}$. $2_{23, 24, 27, 27}$ $3_{2, 4}$. $6_2$ $15_{42}$ $16_{1, 2}$ ლკ. $4_{16, 31}$ $6_{1, 2, 5, 6, 7, 9}$ $13_{10, 14, 14, 15, 16}$ $14_{3, 5}$. $18_{12}$, $23_{54, 56}$, $24_1$ ინ. $5_{9, 10, 16, 18}$ $7_{22, 23, 23}$ $9_{14, 16}$ $19_{31, 31}$ $20_{1, 19}$).
14. შროშანი—*շուշան*—სირ. *šūšan (მთ. $6_{28}$ ლკ. $12_{27}$).
15. ხორშაკი—*խորշակ*—ებრ. xarīšī (ლკ. $12_{55}$).
16. ჰალო—*հալուէ* (ინ. $13_{39}$).

### d. სომხურიდან მომდინარე სიტყვები[1]

1. მგელი—*գայլ*[2] (მთ. $7_{15}$ $10_{16}$ ლკ. $10_3$ ინ. $10_{12, 12}$).
2. კალო—*կալ* (მთ. $3_{12}$ ლკ. $3_{17}$).
3. ხარკი—*հարկ* (მთ. $17_{24, 25}$ $22_{17, 19}$ მკ. $12_{14}$ ლკ. $20_{22}$ $23_2$).
4. ჯურღმული—*ջրմուղ*[3] (ლკ. $14_5$ ინ. $4_{11}$, 12).
5. ჰასაკი—*հասակ* (მთ. $6_{27}$ ლკ. $2_{52}$ $19_3$).

### e. ქართულ-ქართველური ენებიდან სომხურში შესული სიტყვები

1. პარი—*պար*[4] (ლკ. $15_{25}$).
2. წყურილი—*ծարաւ*[5] (მთ. $25_{35, 37, 42, 44}$ ინ. $7_{37}$).
3. ხვალ—*վաղ* (მთ. $6_{30, 34, 34}$ $27_{62}$ ლკ. $10_{35}$ $12_{28}$ $13_{32, 33}$ ინ. $1_{29, 35, 43}$: $6_{22}$ $12_{12}$).

### f. უცნობი მომდინარეობის ქართულ-სომხური საერთო ხმარების სიტყვები

1. ავაზაკი—*աւազակ*[6] (მთ. $21_{13}$ $26_{55}$ $27_{38, 44}$ მკ. $11_{17}$ $14_{48}$ $15_{27}$ ლკ. $10_{30, 36}$ $19_{46}$ $22_{52}$ ინ. $10_{1, 8}$ $18_{40}$).
2. ანგაჰრება—*ագահութիւն* (მკ. $7_{22}$ ლკ. $12_{15}$).
3. ბალარჯობა—*բաղարջակեր* (მთ. $26_{17}$ მკ. $14_{12}$).

---

[1] ამ კატეგორიაში ვათავსებთ ქართულ-სომხური საერთო ხმარების იმ სიტყვებს, რომელთა სომხურ სახეს გააჩნია შესატყვისი ფორმები სოსსურის მონათესავე ინდოევროპულ ენებში.

[2] ამ სიტყვის ეტიმოლოგიის შესახებ იხ. ილია აბულაძე „ქართ.-სომხ. ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს-ში“, გვ. 099.

[3] ეს სიტყვა ნ. მარის აზრით სომხ. *ջրմուղ*-იდან მოდის. ქართულ ფორმას „ღ“ აქვს დამატებით გაჩენილი ქართ. „ღრმასთან“ შეგუების მიზნით (XB, II, გვ. გვ. 171, 266).

[4] იხ. ნ. მართან (XV, II, გვ. 26 შმდ.).

[5] სომხ. *ծարաւ*-ი H. Vogt-ს ქართულ „წყურილიდან“ შეთვისებულად მიაჩნია (შდრ. ილ. აბულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 0106).

[6] ილ. აბულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 0109 შმდ. ჰრ. აჭარიანს ეს სიტყვა ქართულში სომხურიდან შეღწეულად მიაჩნია.

4. ზუარაკი—*ძուարակ*[1] (მთ. $22_4$).
5. მკელობელი—*կաղ*[2] (მთ. $11_5$ $15_{30, 31}$ $18_8$ $21_{14}$ მკ. $9_{45}$ ლკ. $4_{13, 21}$ $7_{22}$ ინ. $5_3$).
6. რეზი—*երէզ* (ინ. $1_{44}$: ადიშის „კრული... რეზითა“ სომხ. *երիզապինդ*).
7. ტალავარი—*տաղաւար* (მთ. $17_4$ მკ. $9_5$ ლკ. $9_{33}$ ინ. $7_2$).
8. ღვინო—*գինի* (მთ. $9_{17, 17, 17}$ $27_{34}$ მკ. $2_{22, 22}$ $15_{23}$ ლკ. $1_{15}$ $5_{37, 37, 38}$ $10_{34}$ ინ. $2_{3, 3, 9, 10}$ $4_{46}$).
9. წუმწუბი—*ծծումր* (ლკ. $17_{29}$).

## 2). ტექსტობრივ ალაგ-ალაგ შემხვედრი ძართულ-სომხური საერთო ხმარების სიტყვები

### a. ბერძნულიდან მომდინარენი

1. აგარაკი—*ագարակ*—ἀγρός. ეს სიტყვა ქართული და სომხური სახარების ტექსტებში ხშირი ხმარებისაა. ხშირად ისინი თანხვედნილად არიან წარმოდგენილნი. ასე მაგალითად: „რომელ მოიღო კაცმან და დასთესა აგარაკსა თჳსსა“ (მთ. $13_{31}$), *զոր առեալ մարդոյ սերմանեաց յագարակի իւրում* ὃν λαβὼν ἄνθρωπος ἔσπειρεν ἐν τῷ ἀγρῷ αὐτοῦ.

ასეთივე ტექსტობრივი თანხვედნილობა იჩენს თავს კიდევ: მთ. $13_{24, 36, 38, 44}$ $19_{29}$ $22_5$ $24_{40}$ $27_{7, 8, 8, 10}$ მკ. $5_{14}$ $6_{36, 56}$ $10_{29, 30}$ $15_{21}$ ლკ. $14_{18}$ $15_{25}$-ში. მაგრამ ქართულ ტექსტში გარდა „აგარაკისა“ სომხური *ագարակ*-ის შესატყვისად გვხვდება აგრეთვე „ველი“ და „დაბა“:

„რომელი ველსა გარე იყოს, ნუ უკუმოიქცევინ“ (მკ. $13_{16}$).
*որ յագարակին լեզ մի դարձցի յետս*
καὶ ὁ εἰς τὸν ἀγρὸν μὴ ἐπιστρεφάτω, იხ. აგრ. ლკ.$_{18}$, ლკ. $17_7$.

„განუტევე ერი ესე, რაჲთა წარვიდენ გარემო დაბნებსა“ (ლკ. $9_{12}$).
*արձակեա զժողովուրդսդ, զի երթեալ շուրջ ի գեղսն և յագարակն*
ἀπόλυσον τὸν ὄχλον, ἵνα πορευθέντες εἰς τὰς κύκλῳ κώμας καὶ ἀγροὺς, იხ. აგრ. ლკ. $8_{34}$.

არის ისეთი შემთხვევაც, როდესაც ქართულშია „აგარაკი“, სომხური კი სხვა სიტყვას იძლევა: *անդ*.

„კაცისაჲ ვისიმე მდიდრისაჲ ნაყოფიერ იყო აგარაკი“ (ლკ. $12_{16}$).
*առն ուրումն մեծատան ետուն անդ*
ἀνθρώπου τινὸς πλουσίου εὐφόρησεν ἡ χώρα, იხ. აგრ. ლკ. $23_{26}$.

2. ეკლესია—*եկեղեցի*—ἐκκλησία თავს იჩენს ტექსტობრივი თანხვედნილობაც:

„მაგას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია“ (მთ. $16_{18}$).
*ի վերայ այդր վիմի շինեսցից եկեղեցի*
ἐπὶ ταύτῃ τῇ πέτρα οἰκοδομήσω μου τὴν ἐκκλησίαν
მაგრამ ამის გვერდით ვხვდებით აგრეთვე არათანხვედნილობის შემთხვევასაც:

---

[1] ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 0108. ა ჭ ა რ ი ა ნ ი ამ სიტყვასაც ქართულში სომხურიდან შემოსულად სთვლის.

[2] „კელი“-დანაა ნაწარმოები. ნ. მ ა რ ი ს აზრით აქ ჩვენ საქმე უნდა გვქონდეს ქართულისა და სომხურის წინა არიული ფენის საერთო სიტყვასთან (იხ. TP, III, გვ. LIX).

ასე მაგალითად, სომხური *եկեղեցի*-ს საბადლოდ ადიშში ვკითხულობთ „კრებულს“:

„უკუეთუ არა ისმინოს მათიცა, უთხარ კ რ ე ბ უ ლ ს ა“ (მთ. $18_{17}$).

*թէ նոցա ոչ լուիցէ, ասասջիր յ ե կ ե ղ ե ց ւ ո ջ*

ἐὰν δέ παρακούσῃ αὐτῶν εἰπὸν τῇ ἐκκλησίᾳ, იხ. აგრ. მთ $18_{17}$.

3. პინაკი—*պնակ*—πινακίς ტექსტობრივი თანხვედენილობის შემთხვევასთანაც გვაქვს საქმე:

„გარეშე სასუმელისაჲ და პ ი ნ ა კ ი ს ა ჲ განსწმინდით“ (ლკ. $11_{39}$).

*զարտաքին զբաժակին և զպնակլին սրբէք*

τὸ ἔξωθεν τοῦ ποτηρίου καὶ τοῦ π ί ν α κ ο ς καθαρίζετε

მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ადიშის ტექსტის „პინაკი“-ს შესატყვისად სომხურში სხვა სიტყვა (*սկաւառակ*) დგას: „რომელმან შთამოყოს ჴელი ჩემ თანა პ ი ნ ა კ ს ა“ (მთ. $26_{23}$).

*որ մխեաց ընդ իս զձեռն իւր ի ս կ ա ւ ա ռ ա կ ն*

ὁ ἐμβάψας μετ'ἐμοῦ τὴν χεῖρα ἐν τῷ τ ρ υ β λ ί ῳ, იხ. აგრ. მკ. $14_{20}$.

### ხ. ბერძნულიდან მომდინარენი

1. ამბოხი, ამბოხება—*ամբոխ*—სპ. anbōh. ქართულ ტექსტში სომხური *ամբոխ*-ის შესატყვისად რამდენიმე ადგილასაა ნახმარი „ამბოხი“:

„იესუ მიარიდა ა მ ბ ო ხ ი ს ა მისგან“ (ინ. $5_{13}$).

*յիսուս խոյս ետ վասն ա մ բ ո խ ի ն*

ὁ γὰρ Ἰησοῦς ἐξένευσεν ὄχλου ὄντος ἐν τῷ τοπῳ

ასეთივე ტექსტობრივი თანხვედენილობა გვაქვს კიდევ ინ. $7_{49}$-ში.

მაგრამ ქართულში გვხვდება აგრეთვე „ერი“:

„იხილა ე რ ი მრავალი“ (მკ. $6_{34}$).

*ետես ա մ բ ո խ բազում*

εἶδεν πολὺν ὄχλον

ასევე სომხური *ամբոխ*-ის შესატყვისად ქართულში „ერი“ გვხვდება კიდევ: მთ. $9_{23, 25}$ $26_{47, 55}$ მკ. $3_{9}$ $5_{27, 30, 31}$ $14_{43}$ ლკ. $22_{47}$-ში.

ერთგან კიდევ სომხური *ամբոխ*-ის შესატყვისად ადიშშია „ლავილი“: „იხილა ლ ა ვ ი ლ ი და მტირალნი და მგლობარნი ფრიად“ (მკ. $5_{38}$).

*տեսանէ ա մ բ ո խ յոյժ, և լալականս և աղաղակ յոյժ*

θεωρεῖ θόρυβον καὶ κλαίοντας καὶ ἀλαλάζοντας

არის აგრეთვე ისეთი შემთხვევაც, როდესაც ქართულში „ამბოხი“, „ამბოხება“-ა, სომხური კი სხვა სიტყვას (*խռովութիւն*-ს) იძლევა: „ნუ უკუე ა მ ბ ო ხ ე ბ ა დ იყოს ერისაჲ“ (მკ. $14_{2}$).

*զի մի խռովութիւն լինիցի ժողովրդեանն*

μήποτε ἔσται θόρυβος τοῦ λαοῦ

ასევეა აგრეთვე მთ. $27_{24}$-ში.

2. ასპარეზი—*ասպարէս/ղ*—ფალ. asprēs, asprās. არის ტექსტობრივი შეხვედრაც:

„შესლულ იყვნეს ვითარ ოცდახუთ ოდენ ა ს პ ა რ ე ზ“ (ინ. $6_{19}$).

*վարեալ իբրև ասպարէս քսան և հինգ*

ἐληλακότες οὖν ὡς στάδια εἰκοσι πέντε

ასევეა: ლკ. $24_{13}$ ინ. $11_{18}$. მაგრამ არის შემთხვევა, როდესაც სომხური *ասպարէզ*-ის შესატყვისად ქართული ტექსტი ხმარობს „უტევან“-ს: „ხოლო ნავი იგი განშორებულ იყო ქუეყანით მრავალ უ ტ ე ე ა ნ“ (მთ. $14_{24}$).

*և նաւն մեկնեալ էր ի ցամաքէն բազում ա ս պ ա ր ի ս ա ւ ք*

τὸ δὲ πλοῖον ἤδη μέσον τῆς θαλάσσης ἦν

3. გუნდი—*գունդ*—ფალ. gund

არის ტექსტობრივი შეხვედრაც: „იუდა წარიყვანა მის თანა გ უ ნ დ ი“ (ინ. $18_3$).

*յուդայն առեալ ընդ իւր զգունդն*

ὁ οὖν Ἰούδας λαβὼν τὴν σπεῖραν, იხ. აგრ. ინ. $18_{12}$.

მაგრამ ქართულში „გუნდს“ გარდა სომხ. *գունդ*-ის შესატყვისად ნახმარია აგრეთვე „ნათესავი“:

„შეკრიბეს მის ზედა ყოველი ნ ა თ ე ს ა ვ ი“ (მთ. $27_{27}$).

*ժողովեցին ի վերայ նորա զամենայն զգունդն*

συνήγαγον ἐπ᾽ αὐτὸν ὅλην τὴν σπεῖραν

ან კიდევ „დასი“: „დამიდგინოს მე აწ აქა... ათორმეტი დ ა ს ი ანგელოზთაჲ“ (მთ. $26_{53}$).

*հաստեցանիցէ ինձ այժմ այսր... ևերկոտասան գունդս հրեշտակաց*

παραστήσει μοι ἄρτι πλείω ὀώδεκα λεγιῶνας ἀγγέλων

4. დანგი—*դանգ*—ფალ. dăng

თავს იჩენს ტექსტობრივი შეხვედრაც:

„არა ორი სირი ერთის დ ა ნ გ ი ს განიყიდის (მთ. $10_{29}$).

*ոչ ասպաքէն երկու ճնճղուկք դ ա ն գ ի միոջ վաճառին*

οὐχὶ δύο στρουθία ἀσσαρίου πωλεῖται

ასევეა: ლკ. $12_6$-ში, მაგრამ ზოგჯერ სომხური ტექსტი ადიშის „დანგის“ შესატყვისად *նաքարակիտ*-ს იძლევა:

„და დასხნა ორნი ფშიტნი, რომელ არს დ ა ნ გ ერთ“ (მკ. $12_{42}$).

*և ասէ երկուս լումայս, որ է նաքարակիտ մի*

ἔβαλεν λεπτὰ δύο, ὅ ἐστιν κοδράντης ასევეა—მთ. $5_{26}$.

5. დრაჰკანი—*դահեկան*

გვაქვს ტექსტობრივი თანხვედენილობაც: „რომელსა თანა-ედვა მისი ასი დ რ ა ჰ კ ა ნ ი“ (მთ. $18_{28}$).

*որ պարտէր նմա հարիւր դահեկան*

... ἑκατόν δηνάρια

ასევეა: მთ. $22_{19, 19}$ მკ. $6_{37}$ $12_{15}$ $14_5$ ლკ. $7_{41}$ $10_{35}$ $20_{24}$ ინ. $6_7$.

ამის გვერდით რამდენიმე შემთხვევაში სომხ. *դահեկան*-ის შესატყვისად ქართულში ნახმარია „სატირი“: „აღთქუმა-ყო მოქმედთა მათ მიმართ თითოჲ ს ა ტ ი რ ი დღისა“ (მთ. $20_2$).

*արկ վարձս մշակացն աւուրն զ ա հ ե կ ա ն*

συμφωνήσας δὲ μετὰ τῶν ἐργατῶν ἐκ δηναρίου τὴν ἡμέραν, ასევეა აგრეთვე მთ. $20_{9, 10, 13}$.

არის აგრეთვე ისეთი შემთხვევაც, როდესაც ქართულში არის წარმოდგენილი „დრაჰკანი“, ხოლო სომხური ტექსტი შესაბამის ადგილას *դահեկան*-ს კი არ იძლევა, არამედ *դինար*-ს: „ნელსაცხებელი ეგე განიყიდა სამასის დ რ ა ჰ კ ნ ი ს“ (ინ. $12_5$).

*ևղէ այլ վաճառեսյաւ սրևք հարիւր դենարի*

τοῦτο τὸ μύρον οὐκ ἐπράθη τριακοσίων δηναρίων

6. ვანი, საკანე—*վանք*—ირან. *wahana

„ვან“-ძირის სიტყვები რიგ შემთხვევაში თანხვედნილად იჩენენ თავს ადიშის ტექსტსა და სომხურ ოთხთავში; მაგალითად:

„სადა არს ვანი იგი ჩემი“ (მკ. $14_{14}$).

*ուր են իջևանքն*

ποῦ ἐστὶν τὸ κατάλυμά μου

ასევეა: ლკ. $2_7$, ინ. $1_{38, 39}$-ში, მაგრამ ერთგან ქართულში სომხურ *վան*-ის შესაბამისად ნახმარია „სახლი“. „მოჰყუანდა იესუ სახლით კაცთაგან“ (ინ. $18_{28}$).

*ածեն զնիսուս ի վանացն կայիափայ*

ἄγουσιν οὖν τὸν Ἰησοῦν ἀπὸ τοῦ καιάφα

7. ვარშამაგი—*վարշամակ*—ფალ. *vāršāmak

თავს იჩენს თანხვედნილობაც: „(ვ)არშამაგი იგი... არა... იდვა“ (ინ. $20_7$).

*տեսանէ զկտաւսն... և վարշամակն... ոչ... կայր*

τὸ σουδάριον ...οὐ ...κείμενον

ქართულ ტექსტში იკითხვის აგრეთვე „სუდარი“, რომელიც ბერძნულ სიტყვას წარმოადგენა და ბერძნული ტექსტიც აქ ამ სიტყვას იძლევა: „პირი მისი დახუეულ იყო სუდრითა“ (იხ. $11_{44}$).

*և մեռեալն ոտիւք կապկպուիք... և երեսաքն վարշամակապատաւք*

ἡ ὄψις αὐτοῦ σουδαρίῳ περιεδέδετο

8. ვაჭარი—*վաճառական*—ფალ. vāčār

არა ერთის ტექსტობრივი თანხვედნილობის შემთხვევები; მაგალითად: „მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ კაცსა ვაჭარსა“ (მთ. $13_{45}$).

*նման է արքայութիւն երկնից առն վաճառականի*

ὁμοία ἐστὶν ἡ βασιλεία τῶν οὐρανῶν ἀνθρώπῳ ἐμπόρῳ

ქართულ და სომხურ ტექსტებში წარმოდგენილია ამ ძირიდან ნაწარმოები სხვა სიტყვებიც: „სავაჭრო“, „ვაჭრობა“:

„ნუ შეიქმთ სახლსა მამისა (ჩემისა)სა სავაჭროდ“ (ინ. $2_{16}$).

*մի առնէք զտունն հօր իմոյ տուն վաճառի*

μὴ ποιεῖτε τὸν οἶκον τοῦ πατρός, μου οἶκον ἐμπορίου

ან კიდევ: „წარვიდეს: რომელნიმე თჳსა აგარაკად, რომელნიმე ვაჭრობად“ (მთ. $22_5$).

*դնացին ոմն յագարակ իւր, և ոմն ի վաճառ իւր*

ἀπῆλθον, ὃς μὲν εἰς τὸν ἴδιον ἀγρόν,ὃς δὲ ἐπὶ τὴν ἐμπορίαν αὐτοῦ

მაგრამ ამის გვერდით ჩვენ ვხვდებით ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც სომხური ტექსტის *վաճառ*-ძირის სიტყვათა შესაბამისად ადიშის ტექსტი სხვა, არა ამ ძირის, სიტყვებს იძლევა. ასე მაგალითად, ქართულ ტექსტში ვხვდებით „მოფარდულს“ და „ფრდა“-ს:

„ტაბლები იგი თესლის მოფარდულთაჲ დაამჴუა“ (მთ. $21_{12}$).

*կսեղանս հատաւճառացոյն կոլոմնանայց*

κατέστρεψεν... τὰς καθέδρας τῶν πωλούντων, აგრ. მთ. $21_{12}$ $25_9$.

ანდა: „რომელნი-იგი ტრედსა ფრდიდეს, ჰრქუა მათ“ (ინ. $2_{16}$).

*որ զաղաւնիսն վաճառէին ասէ ցնոսա*

τοῖς τὰς περιστερὰς πωλοῦσιν εἶπεν

აგრეთვე ინ. $2_{14}$. ქართულში გვხვდება აგრეთვე „განყიდვა“:

„განყიდა ყოველი, რაჲცა აქუნდა“ (მთ. $13_{44}$).

*ვაჭառէ ցամსნაչն ինչ ցոր ուն*

παντὰ ὅσα ἔχει ἀγοράζει

ასევეა: მთ. $10_{29}$ $13_{46}$ $18_{25}$ $19_{21}$ $26_{9}$ $27_{9}$ მკ. $10_{21}$ $14_{15}$ ლკ. $12_{5,\,33}$ $17_{28}$ $19_{45}$ $22_{36}$ $28_{22}$ ინ. $12_{5}$.

არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ადიშის ტექსტში „ვაჭარ“-ძირის სიტყვა იხმარება, ხოლო სომხური ტექსტი ამ ადგილებში სხვა, არა ამ ძირის სიტყვებს ხმარობს. ასე მაგალითად: „და იხილა სხუანი, მდგომარენი სავაჭროსა ზედა ცალიერად“ (მთ. $20_{3}$).

*եւտես այլս կի կացին դատարկք ի հրապարակս*

εἰδεν ἄλλους ἑστῶτας ἐν τῇ ἀγορᾷ ἀργούς

ასეთივე სახის შემთხვევა გვაქვს: მთ. $25_{27}$ მკ. $7_{4}$ ლკ. $19_{15,\,23}$-ში.

9. იავარი (იავარ-ყოფა)— *աւար հարկանել*—ფალ. āvār, გვაქვს ტექსტობრივი შეხვედრებიც: „ჰურჰელი მისი იავარ-ყვის“ (მკ. $3_{27}$).

*զկարասի հզաւրի... աւար հարկանել*

...τὰ σκεύη αὐτοῦ διαρπάσαι, იხ. აგრეთვე: ეკ. $3_{27}$

სომხურში არის აგრეთვე—*յափշտակել*: „ჰურჰლისა მისისა იავარ-ყოფაჲ“ (მთ. $12_{29}$).

*զկործեան նորա յափշտակել*

τὰ σκεύη αὐτοῦ ἁρπάσαι იხ. აგრეთვე: მთ. $12_{29}$.

10. ნიში—*նշան*—ფალ. nišān

არის ტექსტობრივი თანხვედენილობის შემთხვევებიც:

„მაშინ გამოჩნდეს ნიში იგი“ (მთ. $24_{30}$).

*և ապա երևեսցի նշան*

καὶ τότε φανήσεται τὸ σημεῖον

აგრეთვე ინ. $4_{48}$. მაგრამ ქართულ ტექსტში სომხ. *նշան*-ის შესატყვისად უფრო ხშირად „სასწაულია“ ნახმარი:

„სასწაული ზეცით უჩუენოს მათ“ (მთ. $16_{1}$).

*նշան յերկնից ցուցանել նոցա*

σημεῖον ἐκ τοῦ οὐρανοῦ ἐπιδεῖξαι αὐτοῖς

აგრეთვე: მთ. $12_{38,\,39}$ $16_{2}$ $24_{3}$ $26_{48}$ მკ. $8_{11,\,12,\,13}$ $13_{4}$ $14_{44}$ ლკ. $1_{22}$ $2_{12,\,34}$ $11_{3,\,16,\,29,\,30}$ $21_{7,\,11,\,25}$ $22_{47}$ $23_{8}$ ინ. $2_{11,\,18,\,23}$ $3_{2}$ $4_{45,\,54}$ $6_{2,\,14,\,20,\,30}$ $7_{31}$ $9_{16}$ $10_{41}$ $11_{47}$ $12_{18,\,37}$ $20_{25,\,30}$ $21_{19}$.

არის აგრეთვე შემთხვევა, როდესაც ქართულში ნახმარია „ნიში“, სომხური ტექსტის შესატყვის ადგილას კი არის არა *նշան*, არამედ *արուեստ*: ერთსა და იმავე მაგალითშია როგორც „ნიში“, ისევე „სასწაული“; „სასწაულის“ შესატყვისად სომხურში გაჩნდა *նշան*, ხოლო „ნიშის“ შესატყვისად კი *արուեստ*: „აღდგენ ცრუ წინაწარმეტყუელნი და სცენ სასწაულებ დიდ და ნიშებ“ (მთ. $24_{24}$).

*յարիցեն... սուտ մարգարէք և տացեն նշանս մեծամեծս և արուեստս*

ἐγερθήσονται γὰρ ψευδόχριστοι καὶ ψευδοπροφῆται, καὶ δώσουσι σημεῖα μεγάλα καὶ τέρατα

აგრეთვე ეკ. $13_{22}$. ერთგან სომხური ტექსტის *նշան*-ძირის სიტყვის შესაბამისად ქართულ ტექსტში ვხვდებით „წარჩინებულს“:

„პყრობილ ვინმე იყო მაშინ წარჩინებული“ (მთ. $27_{16}$).

*ունէին յայնժամ կապեալ մի նշանաւոր*

εἶχον δὲ τότε δέσμιον ἐπίσημον

11. პატივი (პატიოსანი, პატივის-ყოფა)—*պատիւ* ფალ.* pativ

„პატივ“-ძირის სიტყვებშიც არა ერთგზის იჩენს თავს ტექსტობრივი შეხვედრა; მაგალითად: „ყოველნი პატივსა-უყოფდენ ძესა, ვითარცა პატივსა-უყოფენ მაცხასა“ (ინ. $5_{23}$).

*ամենեքեան պատուեսցեն զորդի, որպէս պատուեն զհայրն*

πάντες τιμῶσι τὸν υἱὸν καθὼς τὸν πατέρα

ადიშის „პატივ“-ძირის სიტყვებს სომხურში ამავე ძირის—*պատուել* შეესატყვისება კიდევ: ლკ. $18_{20}$ ინ. $5_{23}$ $8_{49}$ $12_{26}$-ში. ასევე ლკ. $7_2$-სა და $14_8$-ში ადიშის ტექსტის „პატიოსანის“ შესატყვისად სომხურში ამავე ძირის *պատուական* იხმარება. მაგრამ ამასთან ერთად ვხვდებით ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც სომხური ტექსტის *պատիւ*-ძირის სიტყვების შესაბამისად ადიშის ტექსტი სხვა ძირის სიტყვებს იძლევა—მაგალითად „თავ-ყოფა“-ს.

„თავ-უყავ მამასა შენსა“ (მთ. $19_{19}$).

*պատուեա զհայր քո*

τίμα τὸν πατέρα

აგრეთვე მთ. $15_4$. ქართულ ტექსტში არის აგრეთვე „დიდება“:

„ერი ესე ბაგითა ხოლო მადიდებს მე“ (მთ. $15_8$).

*ժողովուրդս այս շրթամբք պատուէ զիս*

ὁ λαὸς οὗτος τοῖς χείλεσίν μὲ τιμᾷ

გვხვდება აგრეთვე ადიშის ტექსტში „მრავალ სასყიდელი“:

„პოის რაჲ ერთი მრავალ-სასყიდლისა მარგალიტი“ (მთ. $13_{46}$).

*գտեալ մի պատուական մարգարիտ*

εὑρὼν δὲ ἕνα πολύτιμον μαργαρίτην

ამისდა პარალელურად არის შემთხვევები, როდესაც ადიშის „პატივ“-ძირის სიტყვათა შესაბამისად სომხური ტექსტი არ ხმარობს ამ ძირის სიტყვებს; მაგალითად: „და ჴოიღეს ოც და ათი იგი ვეცხლი, სასყიდელი იგი პატიოსნისაჲ“ (მთ. $27_9$).

*և առին զվերնասուն արծաթին զգինս վաճառելոյն*

| მთ. $26_{17}$ მკ. $14_{12}$ | *բաղարջակերք* | ბალარჯობა | V АВДЕ უცომოება (ბერძნ. ἄζυμος)<br>V AB ასარი (ბერძნ. ἀσσάριον) |
| მთ. $5_{26}$ | *դանդ* | დანგი | |
| ინ. $20_{7}$ | *վարշամակ* | ვარშამაგი | V ДЕХ სუდარი (ბერძნ. σουδάριον) |
| ლკ. $15_{25}$ | *պար* | პარი | V ДЕУ განცხრომა |
| ინ. $11_{34}$ | *երիզ* | რეზი | V АВДЕ სახუეველი |
| მკ. $1_{6}$ | *ստև* | სტევი | V АВДЕ თმა |
| ინ. $2_{6,7}$ | *թակոյկ* | ტაკუკი | V ДЕ სარწყული |
| მთ. $26_{7}$ მკ. $14_{3}$ | *շիշ* | შიში | V АВДЕ ალაბასტრი (ბერძნ. ἀλάβαστρος) |
| მთ. $14_{1}$ | *չորորորդապետ* | ჩორორორდი | V АВДЕ ოთხთა სამთავროთა მთავარი |

ამას გარდა ხაზი უნდა გაესვას ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც ადიშის ხელნაწერი იძლევა ძველ ქართულ ძეგლებში საერთოდ იშვიათად ხმარებულ ქართულ-სომხურ საერთო ხმარების სიტყვებს, თუმცა ოთხთავის სომხური ტექსტის შესატყვის ადგილებში ჩვენ ამ ძირის სიტყვებს არ ვხვდებით. ეს ფაქტი, ცხადია, უფრო მეტი მნიშვნელობისაა, მაშინ, როდესაც ოთხთავის სხვა ქართული ხელნაწერები ამ ადგილებში სხვა სიტყვას იძლევიან. ასეთი მოვლენა იჩენს თავს, მაგ., ადიშის ხელნაწერის „ტაგარის“ და „მეხარბეს“ შემთხვევაში.

ასეთ შემთხვევებში, ვფიქრობთ, არ არის გამორიცხული, რომ თუ მართლა ადიშის რედაქცია სომხურ ტექსტთან დამოკიდებულებაში იმყოფება,

აქ თავს იჩენდეს ოთხთავის რომელიმე სომხური, ჩვენამდე არ მოღწეული, რედაქციის გავლენა.

| ადგილი | ადიში | ოთხთავის სხვა ქართ. ხელნაწერები |
|---|---|---|
| მკ. $12_1$ | ტაგარი | V A B Д E საწნეხელი |
| მკ. $6_{27}$ | მეხარბე | V A B Д E მეკრმლე |

აქვე შეიძლება ყურადღება მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ აქ ჩვენ მიერ აღნიშნულ შემთხვევებში, სადაც ლექსიკის სფეროში ადაშის ტექსტი ასე თუ ისე მნიშვნელოვან სიახლოვეს ამჟღავნებს ოთხთავის სომხურ ტექსტთან, არც ერთი არ მოხვდა ლუკას სახარების იმ ნაწილიდან ($3_9$—$15_7$ და $17_{26}$—$23_3$), რომელიც ადიშის ძირითადი ტექსტისაგან რედაქციულად განსხვავებულ, „პროტოვულგატას“ (ჯრუჭ-პარხლის ხელნაწერებით წარმოდგენილი ოთხთავის) ტიპის ტექსტს წარმოადგენს.

5. ყურადღების ღირსია აგრეთვე ის გარემოება, რომ ლექსიკის სფეროში ადიშის ტექსტი მეტ ლტოლვას იჩენს სომხურთან საერთო ხმარების სიტყვათა მოცემისაკენ, ვიდრე ოთხთავის სხვა ძველი ქართული ხელნაწერების ტექსტი. ჩვენ შევუდარეთ ადიშის ტექსტის ქართულ-სომხური საერთო ხმარების ლექსიკა ცალ-ცალკე: ვულგატას, ტბეთის, ოპიზის, ჯრუჭის, პარხლის, ხანმეტი ლექციონარისა და ხანმეტი სახარების სხვა გამოცემული ფრაგმენტების ლექსიკას, რის შედეგადაც შეგვიძლია მივუთითოთ რამდენიმე ათეულ ისეთ შემთხვევაზე, როდესაც ადიშის ტექსტი და სომხური ოთხთავი ერთი და იგივე ძირის სიტყვას ხმარობს, მაშინ როდესაც ოთხთავის სხვა ძველი ქართული ხელნაწერები ამ ადგილებში სხვა ძირიდან ნაწარმოებ სიტყვებს გვაწვდიან. ამასთანავე საინტერესოა ისიც, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ სავსებით ცალ-ცალკე ვუდარებდით ადიშის ლექსიკას ვულგატას, ტბეთის, ოპიზის, ჯრუჭის, პარხლის და სხვა ხელნაწერების ლექსიკას და რაიმე დაჯგუფება-გაერთიანებებისაკენ არ მივისწრაფოდით, აღმოჩნდა, რომ ქართულ-სომხური საერთო ხმარების ლექსიკის სფეროში ეს დასახელებული ხელნაწერები უპირისპირდება ადიშის ტექსტს, როგორც ერთი მთლიანი რამ: ჩვეულებრივ, შემთხვევათა უდიდეს ნაწილში. იქ, სადაც ადიშის ტექსტი და სომხური ტექსტი ლექსიკურ შეხვედრებს გვიჩვენებს (ე. ი. ერთი და იგივე ძირის სიტყვას ხმარობს), ხოლო ოთხთავის რომელიმე სხვა ძვ. ქართ. ხელნაწერი კი სხვა სიტყვას იძლევა, ამავე სიტყვას იძლევიან სხვა დანარჩენი ძვ. ქართ. ხელნაწერებიც. ასე მაგალითად, მთ. $6_8$-ში ადიში ხმარობს „ურაკპარაკს“ სომხ. ტექსტის ამავე ძირის სიტყვის—*հրապարակ*-ის შესაბამისად, ქართული ვულგატა, ტბეთის, ოპიზის, ჯრუჭისა და პარხლის ხელნაწერები კი ამ ადგილას ყველანი „უბანს“ კითხულობენ, და სხვ. როგორც ზემოთ დავინახეთ, ასეთივეა ვითარება იმ სიტყვების მიმართაც, სადაც ადიშის ტექსტი შედარებით მნიშვნელოვან სიახლოვეს ამჟღავნებს ოთხთავის სომხურ ტექსტთან (ბალარჯობა, დანგი, ვარშამაგი, პარი, რეზი, სტევი, ტაკუკი, შიში, ჩოროროდი). ეს ფაქტი გარკვეული რამის მთქმელია წარმომაელობის საკითხისათვისაც, მაგრამ უფრო ბევრის მთქმელია იგი ალბათ რედაქციუ-

ლობის თვალსაზრისით ქართული ოთხთავის სხვადასხვა ხელნაწერების დაჯგუფება-კლასიფიკაციისათვის.

რაკი, როგორც ვთქვით, ქართულ-სომხური საერთო ხმარების ლექსიკის სფეროში ადიშის ტექსტთან მიმართებით სხვა ძვ. ქართ. ხელნაწერები (ვულგატა, ტბეთის, ოპიზის, ჯრუჭის, პარხლის და სხვა) ერთნაირ განსხვავებებს გვიჩვენებენ, უპირისპირდებიან მას, როგორც ერთი მთლიანი რამ, ამიტომაც ქვემომოყვანილ ცხრილში ჩვენ სწორედ ამ სახით ვიძლევით ჩვენი შედარების შედეგებს. ამ ცხრილში ჩვენ აღვნუსხეთ ის შემთხვევები, როდესაც ლექსიკის სფეროში ადიშის ტექსტი და ოთხთავის სომხური ტექსტი ტექსტობრივ შეხვედრას იძლევა (ერთი და იგივე ძირის სიტყვას ხმარობს), ხოლო ოთხთავის სხვა ძვ. ქართ. ხელნაწერები კი სხვა სიტყვებს ხმარობენ[1].

| ადგილი | სომხური | ადიში | ოთხთავის სხვა ძვ. ქართ. ხელნაწერები (V—ვულგატა. A—ოპიზის, B—ტბეთის, Д—ჯრუჭის, E—პარხლის, X—ხანმეტი ლექციონარი, У—ივ. ჯავახიშვილის მიერ გამოც. ხანმეტი ტექსტები). | |
|---|---|---|---|---|
| მთ. $13_{31}$ | *ագարակ* | აგარაკი | V ABДE | მტილი |
| მთ. $19_{29}$ | „ | „ | ABДE | ქუეყანა |
| მთ. $24_{40}$ მკ. $15_{21}$ | „ | „ | V ABДE | ველი |
| ლკ. $15_{25}$ | „ | „ | V ДEУ | ველი |
| მკ. $5_{14}$ | „ | „ | V ABДE | დაბნები |
| მკ. $6_{36}$ | „ | „ | ABДE | დაბნები |
| | | | V | სოფელი |
| ინ. $5_{13}$ $7_{49}$ | *ամբոխ* | ამბოხი | V ДE | ერი |
| ლკ. $24_{13}$ ინ. $6_{19}$ $11_{18}$ | *ասպարէս/ղ* | ასპარეზი | V ДE (აგრ. X მთ. $24_{13}$) | უტვანი |
| მთ. $24_{15}$ მკ. $13_{14}$ | *պիղծ* | ბილწი | V ABДE | საძაგელი |
| ლკ. $16_{15}$ | „ | „ | V ДE | საძაგელი |
| მკ. $7_{15, 18, 18, 7, 20, 20, 23}$ | *պղծիլ* | ბილწ-ძირი | V ABДE | შეგინება |
| მთ. $13_{33}$ | *գրիւ* | გრიევი | V ABДE | საწყაული |
| ინ. $18_{3}$ | *կունդ* | გუნდი | V ДE | ერი |
| ინ. $18_{12}$ | „ | „ | V ДE | კრებული |
| მკ. $14_{14}$ | *վան* | ვანი | ДE | საყოფელი |
| ინ. $1_{38, 39}$ | „ | „ვან“-ძირი | V ДE | ყოფა |
| მთ. $26_{2}$ მკ. $14_{12}$ | *ղատիկ* | ზატიკი | V ABДE | ვნება |

[1] ამ ცხრილში ჩვენ არ შევიტანეთ „ჟამ“-ძირის და აგრეთვე ზოგიერთი ასეთი მცირე მნიშვნელობის სიტყვათა ხმარების შემთხვევები.

| ადგილი | სომხური | ადიში | ოთხთავის სხვა ძვ. ქართ. ხელნაწერები | |
|---|---|---|---|---|
| მთ. $16_{17,18}$ | *զատիկ* | ზატიკი | АВДЕ | ვნება |
| | | | V | პასქა |
| ინ. $12_{1}$ | » | » | V ДЕ | ვნება |
| მთ. $26_{19}$ ლკ.$2_{41}$ | » | » | V ДЕ | პასქა, პასექი |
| ინ. $11_{55,56}$ $13_{1}$ $18_{28}$ $19_{14}$ $20_{16}$ | | | | |
| ლკ. $16_{19}$ | *լինկլ* | ზეეზი | V ДЕ | ბისონი (ბერძნ. βύσσος) |
| ინ. $20_{16}$ | *թարգմանել* | თარგმანება | V ДЕ | რქუმევა |
| | | | X | თქუმა (ხითქუმის) |
| მკ. $3_{27,27}$ | *աւար* | იავარ (-ყოფა) | V ДЕ | გამოტყუენვა |
| ინ. $13_{15}$ | *կոնք* | კონქი | V ДЕ | საბანელი |
| ინ. $4_{18}$ | *արդար* | მართალი | V ДЕ | ჰეშმარიტი |
| ლკ. $16_{8}$ | *մար* | მარი | V ДЕ | საწნეხელი |
| მთ. $24_{30}$ | *նշան* | ნიში | V АВДЕ | სასწაული |
| მთ. $10_{9}$ მკ. $6_{8}$ | *պղինձ* | პილენძი | V АВДЕ | რვალი |
| ინ. $2_{15}$ | » | » | V ДЕ | კერჩა |
| ლკ. $13_{11}$ | *սպիտակ* | სპეტაკი | V ДЕ | ბრწყინვალე |
| მკ. $7_{4}$ | *ստոման* | სტამანი | АВ | ქუაბი |
| ინ. $7_{2}$ | *տաղաւար* | ტალავრობა | V ДЕ | კარვობა |
| მთ. $8_{6}$ | *տանջել* | ტანჯვა | V АВДЕ | გვემა |
| ლკ. $1_{58}$ | *տուհմ* | ტომი | V ДЕ | ნათესავი |
| მთ. $6_{5}$ | *հրապարակ* | ურაკპარაკი | V АВДЕ | უბანი |
| მთ. $18_{24}$ | *քանքար* | ქანქარი | АВДЕ | შანთი |
| | | | V | ტალანტი |
| მთ. $9_{4}$ $17_{15}$ $27_{23}$ | *չար* | ძჳრი | V ДЕ | ბოროტი |
| მკ. $3_{4}$ $7_{10,23}$ ლკ. $16_{25}$ $23_{22}$ ინ. $5_{29}$ $18_{30}$ | | | | |
| მთ. $9_{16}$ მკ. $2_{21}$ | » | » | V ДЕ | უფროჲსი |
| მკ. $2_{21}$ | » | » | ДЕ | უფროჲსი |
| ლკ. $23_{10,14}$ | | | | |
| ინ. $5_{45}$ $18_{29}$ | » | » | V ДЕ | შესმენა |
| მთ. $8_{6}$ | *չարաչար* | ძჳრძჳრად | АВДЕ | ძნიად |
| | | | V | ფრიად |
| ლკ. $12_{55}$ | *խուրձակ* | ხორშაკი | V ДЕ | სიცხე |
| მთ. $7_{17,17,18}$ $7_{18,33,33}$ | *չար* | ჯერკუალი | V АВДЕ | ხენეში |

მაგრამ ასეთი ვითარება (როდესაც ადიში და სომხური ტექსტი ერთსა და იმავე ძირის სიტყვებს იძლევა, ოთხთავის სხვა ძვ. ქართული ხელნაწერები კი სხვა ძირიდან ნაწარმოებ სიტყვებს ხმარობენ) როდია ერთადერთი და წესის სახით გატარებული: არის საწინააღმდეგო შემთხვევებიც, როდესაც, პირიქით, ოთხთავის ეს სხვა ძვ. ქართული ხელნაწერები უფრო მეტ სიახლოვეს იჩენენ ლექსიკის სფეროში სომხურ ტექსტთან, ვიდრე ადიშის ტექსტი. საილუსტრაციოდ შეიძლება რამდენიმე მაგალითი მოვიყვანოთ: 1) მკ. $11_{27}$-სა და $12_{35}$-ში V АВДЕ—და სომხური ტექსტი იძლევა „ტაძარ“-ს (*տաճար*), ადიში კი „სამღდელო“-ს. 2) მთ. $8_{29}$ $10_{17}$ $23_{34}$-სა და მკ. $5_{7}$ $13_{9}$-ში V АВДЕ და სომხური ტექსტი ხმარობს „ტანჯ“ (*տանջ*)-ძირიდან ნაწარმოებ სიტყვებს, ადიში კი „გვემა“-ს. 3) მთ. $5_{36}$-ში V АВДЕ კითხულობს: „განსპეტაკებად“. იგივე ძირის სიტყვა დგას სომხურშიც, ადიშში კია „განთეთრებად“. 4) მთ. $26_{6}$-სა და მკ. $13_{7}$-ში V ДЕ ხმარობს „ამბავს“, ისევე, როგორც სომხური ტექსტი, მაშინ როდესაც ადიში სხვა სიტყვას იძლევა. 5) იგივე ითქმის მკ. $14_{44, 45}$-ის „ამბორის“ და 6) მთ. $20_{1, 2, 8}$-ის „მუშაკის“ შესახებ. 7) მთ. $3_{4}$-ში ჯრუჭის ხელნაწერი, ისევე როგორც ოთხთავის სომხური ტექსტი, „სტევს“ (*ստև*) ხმარობს, ადიშში კი ამ ადგილას იკითხება „თმა“. 8) მკ. $4_{29}$-ში ადიში იძლევა „მღულს“, მაშინ როდესაც ჯრუჭის, პარხლის ხელნაწერები, ქართული ვულგატა და სომხური ტექსტი „მანგალ“-ს (*մանգաղ*) და ასე შემდეგ... მაინც, საჭიროა აღინიშნოს, რომ ასეთი ტიპის შემთხვევები უფრო მცირეა, ვიდრე წინა სახის შემთხვევები, ე. ი. ისეთები, როდესაც ადიშის ოთხთავი სხვა ძველ ქართულ ხელნაწერებთან მიმართებით უფრო მეტ სიახლოვეს აჩენს სომხურ ტექსტთან, მის ლექსიკასთან.

საინტერესოა, რომ ამ მეორე სახის შემთხვევებშიც თავს იჩენს ის ფაქტი, რომელიც აღვნიშნეთ წინა სახის მიმართ: ადიშის ტექსტის საპირისპიროდ სხვა ძველი ქართული ხელნაწერები ერთნაირ ჩვენებებს იძლევიან, უპირისპირდებიან ადიშის ტექსტს, როგორც ერთი მთლიანი რამ... ეს ფაქტი, როგორც ვთქვით, გარკვეული რამის მომცემია რედაქციულობის თვალსაზრისით ქართული ოთხთავის კვლევა-ძიებისას.

მაინც რისი მთქმელია ეს ორი სახის შემთხვევები? უეჭველია, რომ ისევე როგორც პირველი ტიპის შემთხვევები (იხ. ზემომოყვანილი ცხრილი) არ ლაპარაკობენ იმაზე, რომ აღნიშნულ ადგილებში მეღავნდება ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ სომხურისადმი ადიშის ტექსტობრივი დამოკიდებულება, ასევე მეორე სახის შემთხვევები როდი ლაპარაკობენ იმაზე, რომ ამ ადგილებში ვულგატა, ტბეთის, ოპიზის, ჯრუჭის, პარხლის ხელნაწერების ტექსტი ოთხთავის სომხური ტექსტისაგან დამოკიდებულებას ამჟღავნებს. აქ, ჯერ ერთი, შეიძლება შემთხვევითობას ექნეს ადგილი და მეორეც, უეჭველია, რომ ოთხთავის ამა თუ იმ ქართული რედაქციის ლექსიკა განიცდის არა მარტო იმ უცხოური ტექსტის ლექსიკის გავლენას, რომლიდანაც იგი მომდინარეობს, არამედ აქ ხშირად თავს იჩენდა ალბათ ოთხთავის სხვა ქართული რედაქციების ლექსიკის გავლენაც, იმ რედაქციებისა, რომლებიც ხშირად განსხვავებულ წყაროდან მომდინარეობდნენ. ეს ფაქტი, უსათუოდ, გასათვალისწინებელია ქართული ოთხთავის ამა თუ იმ რედაქციის ლექსიკაზე მსჯელობისას: ასე რომ ვულგატა, ვთქვათ, რომელიც აშკარად ბერძნულ წყაროზეა დამოკიდებული, ლექსიკაში (და სხვაშიც) შეიძლება აჩენდეს არა მარტო ბერძნიზმებს, არამედ

არმენიზმებსაც, რაც რიგ შემთხვევებში შეიძლება მოდიოდეს სომხურიდან მომდინარე ოთხთავის ამა თუ იმ ქართული რედაქციის გავლენიდან.

ამრიგად, თუკი შევაჯამებთ ყოველივე ზემოთქმულს, შეიძლება დავასკვნათ: 1. როგორც დავინახეთ, ადიშის ხელნაწერში საკმაოდ დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი ქართულ-სომხური საერთო ხმარების სიტყვები, მათ შორის კიდევ გვხვდება მხოლოდ ამ ძეგლით დამოწმებული ან საერთოდ ძველ ქართულ ძეგლებში იშვიათად ხმარებული ქართულ-სომხური საერთო ხმარების სიტყვები (აღსანიშნავია ისიც, რომ ხშირად სომხური ტექსტი ამ ადგილებში იგივე ძირის სიტყვებს ხმარობს, ხოლო ოთხთავის სხვა ძველი ქართული ხელნაწერები კი სხვა სიტყვებს გვაწვდიან). 2. ქართულ-სომხური საერთო ხმარების სიტყვათა კარგა დიდი ნაწილი ადიშის ხელნაწერსა და სომხურ ტექსტში თანხვდენილადაა წარმოდგენილი და 3. ადიშის ძირითადი ტექსტის ლექსიკა ოთხთავის სხვა ძველი ქართული ხელნაწერების ტექსტის ლექსიკასთან მიმართებით უფრო მეტ ლტოლვას იჩენს სომხურისაკენ (ხშირია ისეთი ადგილები, როდესაც ადიში და სომხური ტექსტი ერთსა და იმავე სიტყვას ხმარობს, ოთხთავის სხვა ქართული ხელნაწერების ტექსტი კი სხვა სიტყვას)—არ არის გამორიცხული, რომ ამაში თავს იჩენდეს ადიშის ოთხთავის ოთხთავის სომხურ ტექსტთან შეხების მოვლენა.

Е. И. ДОЧАНАШВИЛИ

## МАТЕРИАЛЫ К ВОПРОСУ О ПРОИСХОЖДЕНИИ АДЫШСКОГО ЧЕТВЕРОГЛАВА

**Резюме**

В серии «Материалы по истории Грузии и Кавказа» (вып. 29, 1951 г.) нами опубликована статья об отношении композитов Адышского четвероглава к композитам армянского и греческого текстов Четвероглава. Данная статья является продолжением предпринятой нами работы, целью которой является публикация материалов по вопросу о происхождении Адышского четвероглава. Темой настоящего исследования является засвидетельствованная в большом количестве в Адышском Четвероглаве грузино-армянская общая лексика. В работе показаны точки соприкосновения в этой области между армянским текстом Четвероглава и текстов Адышского четвероглава.

შ. მესხია

# მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის XVIII ს. საქართველოს ქალაქებში

(გორის ქეთხუდების საჩივარი)

საბუთი, რომელსაც ქვემოთ ვაქვეყნებთ, უკანასკნელ დრომდე, სანამ იგი ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს გადაეცემოდა, აკად. ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს პირად არქივში ინახებოდა. ივ. ჯავახიშვილმა ამ დოკუმენტზე მიუთითა 1918 წელს თავის ცნობილ წერილში—„ქალაქები, საქალაქო წესწყობილება და ცხოვრების ვითარება საქართველოში XVII—XVIII სს.“ [1]; მაგრამ ივ. ჯავახიშვილი მაშინ დოკუმენტის შინაარსს არსებითად არ შეხებია და ამიტომაც იგი უკანასკნელ ხანებამდე მკვლევართათვის უცნობი დარჩა. საბუთი კი მრავალმხრივ არის საინტერესო.

დოკუმენტი წარმოადგენს გორის მოსახლეობის მიერ ერეკლე II-ისადმი წარდგენილ საჩივარს; იგი, როგორც ადრე ივ. ჯავახიშვილმა გაკვრით აღნიშნა, შედგენილია გორის ქეთხუდების მიერ. ეს კარგად ჩანს თვით „საჩივრის“ ერთი ადგილიდან: „ამილახორს ნიხართან საქმე არა აქვს, ქ ე თ ხ უ დ ი ს ა არის. ჩ ვ ე ნ ნ ი ხ რ მ ი ც ე მ უ ლ ს ჯარიმს იღებს“, ე. ი. ჩვენგან, ქეთხუდებისგან, ნიხრმიცემულებს ამილახორი აჯარიმებსო. აშკარაა, მთელი ეს საჩივარი ქალაქის მოსახლეობის ზედაფენის წარმომადგენლებს, ე. წ. „აღმორჩეულ მოქალაქეებს“, ანუ ქეთხუდებს შეუდგენიათ. მაგრამ, ქეთხუდები ამ შემთხვევაში გამოდიან გორის მთელი მოსახლეობის სახელით, საჩივრის შინაარსი სწორედ ამაზე მიგვითითებს... და ეს არცაა გასაკვირი: ქალაქის მოსახლეობა ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენელთა წინააღმდეგ ხშირად ერთიანი ფრონტით გამოდიოდა—ქალაქის მოსახლეობის ზედა და ქვედა ფენების ინტერესები ამ შემთხვევაში ერთიანდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ „საჩივარი“ შინაარსის მიხედვით მთელ მოსახლეობას ეკუთვნის, რაკი იგი ქეთხუდების მიერ არის შედგენილი, ჩვენ მას „ გ ო რ ი ს ქ ე თ ხ უ დ ე ბ ი ს ს ა ჩ ი ვ ა რ ი“ ვუწოდეთ. ამგვარადვე იხსენიებდა ამ დოკუმენტს ივ. ჯავახიშვილი.

„ქეთხუდების საჩივარი“ შედგენილია იესე ამილახორის გორში მოურავობის დროს. საჩივარი სწორედ მის წინააღმდეგ არის მიმართული. როგორც საბუთებიდან ირკვევა, იესე ამილახორი გორში მოურავად XVIII ს. 80—90-იან წლებში უნდა ყოფილიყო.

ერთი დოკუმენტიდან აშკარად ჩანს, რომ 1795 წ. იესე ამილახვარი გარდაცვლილი იყო და გორის მოურავობა მის ძმისწულს ოთარ ამილახორს ჰქონდა. იმავე დოკუმენტიდან ჩანს აგრეთვე, რომ ოთარ ამილახორი გორის მოურავად სწორედ იესეს შემდეგ დაინიშნა [2].

---

[1] იხ. ჟურნ. „პრომეთე“, № 1, 1918, გვ. 35—61.

[2] საქ. ცენტ. საისტორიო არქივი, ფ. 227, საბ. 758.

ამრიგად, „ქეთხუდების საჩივარი“ 1795 წლამდე, მის ახლო დროს, არის შედგენილი.

*
* *

„გორის ქეთხუდების საჩივარი“ მრავალ საინტერესო ცნობას იძლევა XVIII ს. მიწურულის გორის ეკონომიური მდგომარეობის შესახებ. მაგრამ იგი ჩვენ ამჟამად გვაინტერესებს, როგორც კლასობრივი ბრძოლის ამსახველი დოკუმენტი და მხოლოდ ამ თვალსაზრისით შევეხებით მას.

ფეოდალური საქართველოს ქალაქების მმართველობა მეფეთა მიერ დანიშნული პირების ხელში იყო. ქალაქის მოხელეებს,—როგორც ეს ჩვენ მიერ საგანგებოდ იქნა შესწავლილი [1],—მოურავებს, ბელიქ-მამასახლისებს, ნაცვლებს და სხვებს სამეფო ხელისუფლება ჯამაგირს კი არ აძლევდა, არამედ ამა თუ იმ ქალაქის სხვადასხვა სახის შემოსავლიდან განსაზღვრულ ნაწილს. ასე რომ, ქალაქი თვით კვებავდა მეფის მოხელეებს... ქალაქის მოხელეთა გასტუმრების ამგვარი წესი ფართო გასაქანს აძლევდა მეფის მოხელეებს თვითნებობისა და მოსახლეობის გაუკითხავი ექსპლუატაციისათვის. რაც უფრო მეტი იქნებოდა ქალაქიდან მიღებული ამა თუ იმ სახის შემოსავალი—გამოსაღებები, ჯარიმა, ბაჟი და სხვ.—მით უფრო მეტი იყო ამა თუ იმ მოხელის სარგოც, გასამრჯელოც. ამიტომაც, ქალაქის შემოსავალზე მინდობილი მოხელეები ყოველნაირად ცდილობდნენ როგორმე გაეზარდათ ჯარიმების, ბაჟებისა და სხვათა რაოდენობა. ზოგჯერ კიდევ, მოხელეები საკუთარ გასამრჯელოდ ბოსახლეობისაგან აშკარად მოითხოვდნენ გაცილებით უფრო მეტს, ვიდრე ეს ამა თუ იმ დებულებით, „გარიგების წიგნით“ იყო განსაზღვრული. ასე რომ, მეფეთა მიერ ქალაქებზე გამოსაკვებად მიჩენილი პირები, ქალაქის მოურავით სათავეში, ქალაქებს უყურებდნენ, როგორც პირადი გამდიდრების წყაროს, ქალაქის მოსახლეობას კიდევ ძარცვის ობიექტს.

ჩვენ არა ერთი დოკუმენტი მოგვეპოვება, რომელიც ქალაქის მოხელეთა თვითნებობაზე, მათ მიერ უკანონოდ წართმეულ ჯარიმებსა თუ გამოსაღებებზე მოგვითხრობს, მაგრამ მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჩვენ მიერ ქვემოთ გამოქვეყნებულ დოკუმენტს.

როგორც „საჩივრიდან“ ირკვევა, ქალაქის მოსახლეობის განუკითხავი ექსპლუატაციით განსაკუთრებით თავი გამოუჩენია ქ. გორის XVIII ს. 80—90-იან წლების მოურავს იესე ამილახორს. მას ქ. გორში მანამდე არარსებული გამოსაღებები დაუწესებია, ზოგი კიდევ ხელოვნურად გაუზრდია. ასე მაგ., თუკი გასამყრელო მანამდე 5 მინალთუნი იყო, დოკუმენტების სიტყვით, „ამან ჯერ თორმეტი მინალთუნი გახადა, ახლა თორმეტ თუმნათა გახადა“; ამის გარდა, ყოველ კომლს თითო ურემი შეშა ბეგარად დაადვა; მოურავი, რათა თავისი შემოსავალი გაეზარდა, მოქალაქეებს უდანაშაულოდ აჯარიმებდა და ჯარიმის სახით სამ, ზოგჯერ ხუთ თუმანს ართმევდა. იგი ამითაც არ დაკმაყოფილებულა. ქალაქის საგადასახადო დავთარი, რომელიც გადასახადის გამწერ „ამორჩეულ მოქალაქეებს“ უნდა ჰქონოდა, მოურავს მათთვის წაურთმევია და სახლში შეუნახავს, რათა ვინც ქრთამს მოუტანდა—გადასახადი შეემცირებინა, ხოლო ვისაც მტრობდა—მოემატებინა. მოურავი ითვისებ-

[1] შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები ქართლ-კახეთის სამოხელეო წყობის ისტორიისათვის, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1948, ნ. 26, გვ. 019—024.

და მოსახლეობის უფასო შრომასაც: ქალაქის ხელოსნებს უფასოდ ართევინებდა ბამბას, ფეიქრებს აქსოვინებდა, მღებრებს კი შეაღებინებდა. ამას გარდა, ქალაქის მოსახლეობა ვალდებული იყო მოურავისათვის, აგრეთვე უფასოდ, თივა მოეთიბა და საკუთარი ურმებით მისთვის ჩიეტანა. მოურავისაგან მოსვენება არ ჰქონდა გორელთა ხარებს, ურმებსა და მეურმეებს... მოურავს გამოსაღებები დაუწესებია ქალაქის მოსახლეობის ვენახებზე, ბაღებზე, ბოსტნებზე, ისე რომ მოქალაქეების ვენახი, ბაღი და ჭირნახული გორელებისა კი არ იყო, არამედ მოურავისა. მოურავის თვითნებობა იქამდეც მისულა, რომ ქალაქის მოედანიც კი მოუხნავს და თავისთვის ბოსტნად გაუკეთებია. მადაგახსნილი მოურავი ამითაც არ დაკმაყოფილებულა და გორელებისათვის „ყოველ ჭირსა და ლხინზე ძღვენის“ მირთმევაც დაუკისრებია. გორის მოსახლეობას, როგორც ჩანს, განსაკუთრებით აწუხებდა ის, რომ მოძალადე მოურავი თვით გორში იჯდა. მათი სიტყვით, არც ერთი „მოურავი აქამდე გორში არ მჯდარა“, ეს კი „თავს დაგვჯდომია“ და მთელი უბედურებაც, ანუ, როგორც საბუთშია ნათქვამი—„ჭირი“, მოურავის „აქ (გორში, შ. მ) დგომით დაგვემართაო“. როგორც ჩანს, ქალაქის განმგებელად დანიშნული მოხელის ბუდმივად ქალაქში ყოფნა მოსახლეობისათვის უბედურების, ახალახალი უკანონო სათხოვრებისა და ბეგარის მომტანი იყო.

გორის მოსახლეობის ძარცვაში მოურავს, როგორც ამაეე დოკუმენტიდან ირკვევა, თანამონაწილეებიც ჰყავდა—გორის მამასახლისი და „მოურავის ბიჭები“. ქალაქის ასე უკანონო ძარცვაში „მამასახლისი შეჰყრია მოურავს ამხანაგათა“, მოურავი „თავს დაგვჯდომია, მამასახლისი კი ბოლოსო“—აცხადებდნენ გორელები. „მოურავის ბიჭები“ კი დუქნებს ამტვრევდნენ, მედუქნეებს იტაცებდნენ და შემდეგ თავს გამოასყიდვინებენო. მოურავმა, მამასახლისმა და მათ თანაშემწეებმა გორში ხალხი ისე ააწიოკეს, რომ „მაგათი შიშით ბაზარში ასნაფებიც (ხელოსანთა და ვაჭართა ამქრები, შ. მ.) ვეღარ დამდგარანო“.

ისედაც მძიმე საბატონო და სანეფო გამოსაღებებით დაბეგრილი ქალაქის მოსახლეობის მდგომარეობას კიდევ უფრო აუარესებდა ქალაქის მოხელეთა ზემოხსენებული და სხვა მსგავსი თვითნებობანი. გორის განუკითხავად ექსპლუატირებული მოსახლეობა, ყოველივე ამის გამო, იძულებული გამხდარა მოურავის წინააღმდეგ ერთიანი ძალით გამოსულიყო და ვრცელი საჩივარი, მოურავისადმი ბრალდებების წაყენებით, მეფისათვის მიერთმია.

სასამართლოში თუ მეფესთან საჩივრების წარდგენა და ამ გზით „სამართლის ძიება“ ფეოდალურ ქვეყანაში კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთი პასიური ფორმა იყო. მაგრამ, იყო შემთხვევები, როცა კლასობრივი ბრძოლის ეს ფორმა უფრო მრისხანე სახეს იღებდა და იგი ქალაქის მოსახლეობის მასიურ ანტიფეოდალურ გამოსვლად იქცეოდა. ასეთი იყო სწორედ გორელების ერთიანი პროტესტი თავგასული მოხელისა და დიდი ფეოდალის წინააღმდეგ.

გორელები, როგორც საბუთიდან ჩანს, ერეკლე II თბილისში „ქვეყნის გაფუჭების მოსახსენებლად“ ხლებიან. ჩვენს ასეთ დიდ გასაჭირზე საჩივარი ნუ გაგიკვირდებათ—აცხადებდნენ ისინი—სხვა ქვეყნებში უბრალო საქმეებზედაც კი ჩივიან, „პეტრე ჯემწიფეს (პეტრე I, შ. მ.) ერთმა ბაყალმა სამს ჰერამზედა უჩიელაო“.

იმდენად კატეგორიული იყო გორის მოსახლეობის საჩივარი, რომ მეფე იძულებული გახდა მისთვის ყურადღება მიექცია და 1795 წ., უკვე ახალი მოურავისათვის, ოთარ აბილახორისათვის მტკიცედ განესაზღვრა უფლება, მოვალეობა და სარგო. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ 1795 წ. გორის მოურავის ახალი დებულება თვით გორის მოსახლეობის წარმომადგენლების მიერ იყო შედგენილი. გორელების მიერ წარდგენილ ახალ დებულებაზე ერეკლე II-ს წაუწერია: „ბატონო ამილახვარო, რაც გორელებს ამ არზით ამილახვრის სარგო, განწესება თითოეულათ მოუხსენებიათ, ამას უნდა დასჯერდეო“. გორის ახალი მოურავიც თავის მხრივ უმატებდა: „ჩვენ მის უმაღლესობის ოქმი რომ ვნახეთ, მის [ბძა]ნებას დავმორჩილდით [და რაც] იმაში განწესება სწერია, იმას დავჯერდით“. ამ მინაწერს ქვემოთ მისდევს გორელების მიერ შედგენილი ახალი დებულება, რომლის ჩვენთვის ცნობილი პირიც, სამწუხაროდ, ისეა დაზიანებული (ტექსტის ერთი ნახევარი მოხეულია), რომ მისი სისრულით აღდგენა შეუძლებელი ხდება. გადარჩენილი ნაწილიც კი აშკარად მეტყველებს, რომ ახალი დებულება საგრძნობლად ზღუდავდა გორის მოურავის უფლებას და სარგოს და აფართოებდა ქეთხუდების როლს საქალაქო მმართველობაში.

გორელებმა ახალ მოურავს პირობაც დაადებინეს: „იმის გარდა, რაც ეს წერილი დაგვიდვია, ამის მეტი ჩემი სამოურაო გორში არა ნოვიქმედო რა; ჩვენი ოჯახისა და თქვენი ოჯახების მშვიდობისათვის მოგეცით ეს წერილი; დღეს და დღეის იქით არა ჩვენ და არა თქვენ ამაზედ მეტნაკლებობა არა მოვიდომოთ რა. თუ რომელმაც ამაზე ნაკლები მოვინდომოთ, ღვთისაც და ჯელმწიფისაც წინააღმდეგი იქნება“ [1].

როგორც მოტანილი მასალებიდან ჩანს, ქალაქის მოსახლეობის ანტიფეოდალური გამოსვლა საჩივრებითა და პროტესტებით ზოგჯერ ისე მწვავე და მასიურ ხასიათს იღებდა, რომ სამეფო ხელისუფლება იძულებული ხდებოდა მისთვის განსაკუთრებული ყურადღება მიექცია. გორელების ერთიანი გამოსვლა, ქალაქის მსხვილი ვაჭრების, მოსახლეობის ზედაფენის მეთაურობით, როგორც ჩანს, გამარჯვებით დამთავრდა. მეფე იძულებული გახდა თავისი მოხელე, ძლიერი ფეოდალი თვით მოქალაქეთა მიერ შედგენილი „გარიგების წიგნისათვის“ დაემორჩილებინა.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ქალაქის მოსახლეობის ამგვარი ანტიფეოდალური გამოსვლები ფეოდალური საქართველოს ქალაქებში ისე ხშირ და საშიშ სახეს იღებდა, რომ თვით მეფეც „ვერ ბედავდა“ „ქვეყნის დაუკითხავად“ ქალაქზე ახალი გადასახადები გაეწერა. გორელები მეფეს სხვათა შორის სწერდნენ: თქვენ როცა გინდოდათ „ქვეყნის შესამატად და მტრის დასაწყნარებლად სალეკო“ გამოსაღები გაგეწერათ, „რამდენი ხანი ამის მასლათი ქართლისა და კახეთის ბერთან და დარბაისელთან გქონდათ... რომ თითქმის ვერც კი ბედამდით, რომ ერთი რამ არაფერი შესაწუხარი“ ქალაქის მოსახლეობას არ შემთხვეოდაო და ეს ამილახვარი ვინღა არის, „ამდენი უდები რომ დაგვდვაო“.

1795 წ. შედგენილი ახალი „სამოურაო დებულებიდან“ ირკვევა, რომ გორელების ეს ანტიფეოდალური გამოსვლა ერთადერთი არ იყო. გორელები ადრეც ამხედრებულან ქალაქის ფეოდალური მოხელეების წინააღმდეგ: ქართლ-

[1] საქ. ცენტრ. საისტ. არქივი, ფ. 227, საბ. № 758.

ში ერეკლე I-ის მეფობის დროსაც (1688—1703) გორის მოსახლეობის დიდი ნაწილი, მოურავის თვითნებობით შევიწროებული, თბილისს „პირველს მეფე ერეკლესთან ჩასულან [და] უჩიელიათ". ამ შემთხვევაშიც, ერეკლე I იძულებული გამხდარა ოურავის ყველა ძველი „დებულებანი", რომლის ძალითაც გორის მოურავი შოქმედებდა, „დაეყენებინა", გაეუქმებინა და „სხვა ახალი განჩინება" მიეცა. ეს ახალი განჩინება შედარებით ხელსაყრელი ყოფილა ქალაქის მოსახლეობისათვის და ამიტომაც გორელები, მათი ხელმეორედ გამოსვლის დროს, XVIII ს. 90-იან წლებშიც, მის ისევ განახლებას მოითხოვდნენ. მაგრამ, ერეკლე პირველის მიერ დადგენილი ახალი დებულება გორის შემდეგდროინდელ მოურავებს, რაკი მათს უფლებასა და გაზრდილ მადას შესამჩნევად ზღუდავდა, გადაუმალავთ და ერეკლე II-ის მეფობის დროს, თუმცა მეფე მის დაუყოვნებლივ მოძებნას ბრძანებდა, არ გამოუჩენიათ; ერეკლე II 1795 წ. თებერვლის პირველს წერდა: „მაგრამ რომელიც პაპის ჩვენის მეფის ერეკლესაგან განწესების წიგნი არის, თუ ის წიგნი არ გამოჩნდა არას გზით არ იქნება, ის უნდა გამოაჩინონ; თუ ის წიგნი არ გამოაჩინეს, აწ განწესებას აღარ მივსცემთ, კიდეც მოუშლით. ასე იცოდეს—ამილახვარის ოჯახში უნდა იპოვნოს ეს წიგნი, რათ უნდა დაიკარგოს ის. ძველი წიგნები, რომელიც ყოფილა, ჩვენ უნდა გვიჩვენონ. სამი-ოთხი ოჯახი არის ამილახვრიანთი და იმათ ოჯახებში იქნება, უნდა რომ იპოვნონ და ჩოგვართვან, გავშინჯოთ და გავასწოროთ ის საქმე"[1]. მიუხედავად ამ ბრძანებისა, ოთარ ამილახვარი ირწმუნებოდა—„მეფის ერეკლესაგან ბოძებული წიგნი არ გვქონდა რომ გამოგვეტანაო"[2]. როგორც ჩანს, გორის მოურავებს გორის მოსახლეობის ბრძოლით მოპოვებული ეს წიგნი მოუსპიათ და ქალაქის მოსახლეობის ძარცვისათვის ძველებურად ისევ ხელი მიუყვიათ. ყოველი ვეამან კი გორის მოსახლეობის ახალი მასობრივი გამოსვლები განოიწვია. ამის ერთი, ჩვენთვის ცნობილი, შედეგი იყო გორის ქეთხუდების ის საჩივარი, რომელსაც ქვემოთ ვაქვეყნებთ[3].

* * *

„გორის ქეთხუდების საჩივარი" დაწერილია 14 ½×172 სმ ზომის ქაღალდის გრაგნილზე XVIII ს. გაკრული მხედრულით[4]. სასვენ ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ერთი წერტილი იხმარება, რაც ჩვენ არ დაგვიტოვებია—სასვენი ნიშნები ჩვენ დავსვით. ძეგლის ენა კი უცელელად დავტოვეთ; გავასწორეთ მხოლოდ აშკარა, „კალმის შეცდომები", რაც მრგვალ ფრჩხილებში ჩავსვით. „საჩივრის" პირველი ხუთი სტრიქონი საგრძნობლად დაზიანებულია. ჩვენ მიერ აღდგენილი ადგილები, ამ და სხვა სტრიქონებში, კუთხოვან ფრჩხილებშია მოთავსებული.

ძეგლის ენას ახასიათებს, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ა-მეტობა": „გავდებია", „დაგომა" „მოგავიხასენებია" და მისთანანი; ამათ გარდა, ტექსტში „ბძანეთ"-ის მაგივრად უველგან წერია „ბაძნეთ". უველა ესენი ჩვენ მიერ

[1] საქ. ცენტრ. საისტ. არქივი, ფ. 227, № 758.

[2] იქვე.

[3] აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საჩივრებით მასიური გამოსვლები არ ყოფილა ფეოდალურ საქართველოს ქალაქებში კლასობრივი ბრძოლის ერთადერთი ფორმა, მაგრამ ამაზე ჩვენ საგანგებოდ სხვაგან შევჩერდებით.

[4] ს. ჯანაშიას სახ. საქ. სახელმწ. მუზეუმი, ფ. Qd : 7120.

გასწორებულია, მაგრამ სქოლიოში მითითებულია ის ადგილები, სადაც „ა-მეტობასთან“ თუ დამახინჯებასთან გვაქვს საქმე.

[გორის ქეთხუდების საჩივარი ერეკლე II-ს]

ქ. ჩვენს მოწყალეს ჯელმწიფეს [მ]ოვახსენებ. მრავალჯერ მოგახსენე[თ] [ჩვენი] დაჩირება ამილახორისაგან, მაგრამ თქვენ[ი] მოუცლელობით პასუხი არ მოგვეცა.

ქ. პირველი ეს—რამდენიმე ამილახვარი ყოფილა, მაგრამ არა ამილახვარი გორში არ მჯდარა.

ქ. მეორე ესა არს—ამილახვარს ეს ქვეყანა ასრე უდებით არ გაუბეგრავს.

ქ. მესამე ესა—ეს კაცი რომ უშვილო გახლავთ მოსულა, ქაიხოსროს შვილებისათვის საბოლოს აკეთებს, [უ]მართლობით გვბეგრავს.

ქ. მეოთხე—ჩვენც ვალი გვაქვს თქვენის ჯელმწიფობისა. პირველი თქვენი შვილების საბოლოვო მოგახსენოთ, რომ ეს ქვეყანა არ გაფუჭდესთ. მასუკან ჩვენის შვილების ვალიც გვაქვს, რომ უსამართლო უდებით არ დაგვეკარგნენ.

ქ. მეხუთეს ამას მოგახსენებთ—ჩვენი მოურაობა რომ მისცემიათ, ეს ქვეყანა რომელს გაუბეგრავს ასე.

ქ. მექვსე ესა,—ღმერთმან[1] განაძლიეროს თქვე[ნი] ჯელმწიფობა.—ამ თქვენს დროში ამათი ოთხი ამილახვარი მჯდარა:

ქ. გივი ამილახვარი,

ქ. ამირინდო ამილახვარი,

ქ. რევაზ ამილახორი,

ქ. ეს იასე ამილახორი.

ამ ამილახორის წინ ეს სამი ამილახვარი მჯდარა. მოკითხული ბძანეთ[2], რაც ამის ქვეით მოგვიხსენებია[3], ვის დროს გვდებია[4] და ან ვის გაუგონია, რაც ამან თავის ძალითა არ გვიყო:

ქ. პირველი—გორში დგომა[5], რომ ერთი თავს დაგვჯდომია და მეორე ბოლოს.

ქ. მეორე—საღავითის დადება.

ქ. მესამე—ახალწლის შაქარი.

ქ. მეოთხე—საჩექმე.

ქ. მეხუთე—გასამყრელო ხუთი მინალთუნი გვაძე(ს); ამან ჯერ თორმეტი მინალთუნი გახადა, ახლა თორმეტ თუმნათა გახადა.

ქ. მექვსე—კომლზე[6] თითო ურემი შეშას დადება, იასაულით გვ[ა]ზიდვინებს.

---

[1] დედანშია ქარაგმით—„ღ“თნ“.

[2] დედანშია—„ბაძნეთ“.

[3] დედანშია—„მოგავიხასენებია“.

[4] დედანშია—„გავდებია“.

[5] დედანშია—„დაგომა“.

[6] დედანშია—„კომბლზე“.

ქ. მეშვიდე—შარითა და უსამართლოთაი და შარით (sic) ჯარიმის რთმევა ხუთ თუმნობით და სამ თუმნობითა.

ქ. მერვე—მესანთლების ლიტრობით სანთელი[ს] წართმევა ყოველწლივა.

ქ. მეცხრე – საპალნეზე ღვინის ბაჟის დადება.

ქ. მეათე—გორის დავთრის წართმევა, შინ დადება. ქრისამს აიღებს—მოუკლებს[1] და ვისიც მტრობა უნდა—მოუმატებს.

ქ. მეთერთმეტე—გლეხიკაცის ჯარიმა რომ ბოგანოზედ არ არის.

ქ. მეთორმეტე—აბილახორს ნიხრთან საქმე არა აქვს, ქეთხუდისა არის; ჩვე[ნ] ნიხრმოცემულს ჯარიმას იღებს.

ქ. მეცამეტე—ვინც ბაზარში უამასოთ ორაგულს გასჭრის, თუმნის ჯარიმის წართმევა.

ქ. მეთოთხმეტე[2]—ბაღბის დართვა, ფეიქრების ნართის შეყრა[3] და მუქთათ მოქსოვა და შეწითლების მუქთათ შეღება.

ქ. მეთხუთმეტე—ყოველწლივ კონის ჩადგმა[4] თავისთვინ.

ქ. მეთექვსმეტე—ყოველწლივ ჩვენი ჩაყრილი ოჩახების ჩახრეკა, რომ ეხლა ოთხაბაზ[ა]თ თევზი იყიდება.

ქ. მეჩვიდმეტე—მეიდნის მოხვნა და ბოსტანთ გაკეთება, რომ ჩვენი საქონელი მეიდანზე ვეღარ გადის.

ქ. მეთვრამეტე—ხორაგზე ბაჟის დადება ახალციხიდამ და იმერეთიდამ მოსულის.

ქ. მეცხრამეტე—ჩვენი გათიბული თივების ზიდვა ურმებითა[5].

ქ. მეოცე—ვენახი არ არის ჩვენი, ბაღი და ბოსტანი და ჭირნახული მუდამ.

ქ. ჩვენს ცხენებს მოიტაცებენ და თვითა ჰყავთ, რომ იმათ ხელში კვიცებს[6] იგებენ და ისე ძლივ ვართმევთ ამათ ბიჭებს.

ქ. კალოებზე თითო ურემი ბზეს გვართმევს.

ქ. ჩუდამ წელიწადს ხარს არა აქვს მოსვენება, ურემსა და გლეხს[7] კაცსა წყალის დაწყვეტაზედ.

ქ. ამისი ბიჭები დუქნებს ამტვრევენ, შენს სახასო კაცს იტაცებენ[8] ტყუილათ[9] და ჯარიმისთვინ თავს ასყიდვინებენ.

ქ. ყოველწლივ თქვენს იჯარადარს, ვინც იქნებიან, სარგოს გარდა ზოგს ორ თუმანს ართმევს, მეტსა, ზოგს სამსა.

ქ. თქვენი სახასობის სიგლებისა და ოქმების წართმევა.

ქ. ჭირსა და ლხინზე ძღვნის დადება.

ქ. მაგათი შიშით ბაზარში ასნაფებიც ვეღარ დამდგარან.

ქ. ჩვენ კიდევ ამას მოგახსენებთ[10], თქვენს მეფობაში რამდენი ამილახორი გხლებიათ და რამდენიმე მამასახლისი, ამ ქვეყანის ასე გაბეგვრაზედ რომელი მამასახლისი შეჰყარია მოურავს ამხანაკათა.

---

[1] დედანშია—„მოუკალებს“.
[2] დედანშია—„მეთოთხმეტე“.
[3] დედანშია—„შეყარა“.
[4] დედანშია—„ჩადგამა“.
[5] დედანშია—„ურამებითა“.
[6] დედანშია—„კავიცებს“.
[7] დედანშია—„გლეხას“.
[8] დედანშია—„იტნებენ“.
[9] დედანშია—„ტყაუილათ“.
[10] დედანშია—„მოგახსენებთ“.

ქ. თუ ტყუულს[1] მოგახსენებთ, თავის სარგოს გარდა ამდენი უდები რომ ამილახორს გაუჩენია და ნება, ახლა თქვენ უბძანეთ[2] მამასახლისა—თქვენ რაღა გამსახუროთ ეს ქვეყანა.

ქ. ჩვენო მოწყალევ, დაჭირებული კაცი ღმერთს[3] შესცოდამს, მოხსენებისათვის[4] ნუ გაგვიწყრებით[5]—პეტრე ჯემწიფეს ერთმა ბაყალმა სამს ჭერამზედ უჩივლა.

ქ. ახლა ამ შენის ქვეყანის გაფუჭებას მოვსულვართ და საჭართლით[ვი]ნ ვჩივით.

ქ. ამისთვის თქვენს უმაღლესობას ბევრჯელ უბძანებია[6]: მე თქვენი მოვლის ვალი მაქვს და თქვენ—სამსახურისა.

ქ. ჩვენო მოწყალევ, ეგების თქვენ საკადრისთ ვერ გვემსახუროს ამის მიზეზით, რომ ეს ჭირი თქვენ შეუტყობრივ გჭირებია. როდესაც ჭალასა[7] მდგარა ამილახორი, ამდენს მოსახსენებელში არც ერთი არ გეჭირებია, ამათი აქ დგომით დაგვემართა.

ქ. მოგახსენებთ, რევაზ ამილახორი ლეკის მიზეზით ცოტას ხანს ამ ქვეყანას ხიზნათ გახლდათ. ახლა, ღმერთმან[8] განძლიეროს თქვენი ჯელმწიფობა, თქვენის დოვლათით[9] ორმოცის წლის ხარაბა სოფლები აშენდა და ყველა თავის ალაგას წავიდა და ამათგან კი არა გვეშველა რა. წყალობას ვითხოვთ—აწისი სამართალი გველირსოს.

ქ. ჩვენო მოწყალევ, ღმერთმან[10] განგაძლიეროსთ, თქვენ რომ ქვეყანის შესამატათა და მტრის დასაწყნარებლათ, სალეკო ოცდა ათი შაური და კოდნახევარი პური დაზდევით, რომ არ დებულიყო რამდენიმე ხანი ამის მასლათი ქართლისა და კახეთის ბერთან და დარბაისელთან გქონდათ ამისი მასლათი (sic), რომ თითქმის[11] ვერც კი ბედამდით, რომ ერთი რამ არაფერი შესაწუხარია და ქვეყანაზედაც[12] არის. ახლა ამ ამილახორმა ამდენი უდები რომ დაგვდვა, ვისი მასლათით დაგვდვა და ან ვის შესამატაოა—ეს მოგახსენოსთ[13].

ქ. შენს მოწყალებას ვევედრებით, რომ ჩვენი საჩივარი მოიხსენოთ და ღმრთიული[14] სამართალი გველირსოთ.

---

[1] დედანშია—„ტყაულს“.
[2] დედანშია—„უბაძნეთ“.
[3] დედანშია ქარაგმით—„ღ˘თს“.
[4] დედანშია—„მოხსენებისათვის“.
[5] დედანშია—„გაგვიწყარებით“.
[6] დედანშია—„უბაძნებია“.
[7] დედანშია—„ჭალს“.
[8] დედანშია ქარაგმით—„ღ˘თნ“.
[9] დედანშია—„დაოვლთით“.
[10] დედანშია—„თითქამის“.
[11] დედანშია—„ქაევეყანაზედაც“.
[12] დედანშია—„მოგახსენოსთ“.
[13] დედანშია ქარაგმით—„ღ˘თიული“.

# კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ბ. ლომინაძე.

## „იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძის“ ახალი გამოცემის გამო

**ტექსტი გამოსცა შესავლით, შენიშვნებით, ლექსიკონითა და საძიებლებით ავთანდილ იოსელიანმა. 120 გვ. მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის. 1950. ნაკვ. 28**

„იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი“ (სათაური პირობითია) XVIII საუკუნის ისტორიის შესასწავლად ერთ-ერთი პირველხარისხოვანი წყაროა.

ამ საინტერესო ძეგლის პირველი პუბლიკაცია ჟურნ. „ცისკარს“ ეკუთვნის (1871 წ. № 11—12; 1872 წ. №№ 1, 2, 4, 10, 11—12). მეორედ, 1913 წელს, ცალკე წიგნად გამოსცა ს. კაკაბაძემ („თაეგადასავალი იესე ოსეს შვილისა“). არც ერთი ეს გამოცემა მეცნიერულ-კრიტიკული არ არის და ამჟამად ბიბლიოგრაფიულ იშვიათობასაც წარმოადგენენ.

დიდი ხანია ამ მნიშვნელოვანი ძეგლის კრიტიკული გამოცემის საჭიროება დგას. ა. იოსელიანმა სცადა შეესრულებინა ასეთი სამუშაო. მან გამოსცა ტექსტი, დაურთო მას შესავალი, შენიშვნები, საძიებლები და ლექსიკონი. ეს მესამე პუბლიკაცია წარმოადგენს ამჯერად ჩვენი განხილვის საგანს.

ვიდრე ტექსტობრივ საკითხებს გავარჩევდეთ, უნდა მივუთითოთ სარეცენზიო გამოცემის იმ ნაკლზე, რომ შესავალ წერილში ძეგლის შესახებ რაიმე ისტორიოგრაფიული ცნობები მოცემული არაა. გარდა ერთი ფრაზისა, რომ ეს თხზულება „ღირსშესანიშნავი მოვლენაა“ (V გვ.), არაფერია ნათქვამი ძეგლის ავტორის მსოფლმხედველობის, კლასობრიობის, შრომის მიზნის, წყაროებისა და მეთოდების შესახებ. ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამას მკითხველისათვის. ამას გარდა, ჩვენს თანამედროვე სამეცნიერო პრაქტიკაშიც ეს წესი დიდი ხანია მიღებულია ნარატული წყაროების გამოქვეყნების დროს. ნაკლი იმითაცაა სამძიმო, რომ ამ ძეგლზე, როგორც წყაროზე, დაბეჭდილი ლიტერატურა საერთოდ არ არსებობს.

შევეხოთ ტექსტის გამოცემის საკითხებს.

ორი ზემოდასახელებული გამოცემის გარდა ა. იოსელიანის განკარგულებაში კიდევ ორი ხელნაწერი არსებობდა—აკად. ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმისა—ფ. A, № 1770 და საქართველოს ცენტრარქივისა—ფ. 233, №526. შესავალ წერილში ა. იოსელიანი დაწვრილებით და ცალ-ცალკე განიხილავს თითოეულ ამ გამოცემათა და ხელნაწერთა ღირსება-ნაკლოვანებებს. მისი აზრით დასახელებულ ხელნაწერთაგან არც ერთი დედანი არ არის, და არც ის ხელნაწერია დედანი, რომელსაც „ცისკრის“ და ს. კაკაბაძის გამოცემები ეყრდნობიან (ამ შემთხვევაში იგი მსჯელობს დაბეჭდილი ტექსტის მიხედვით). ყველა ესენი (გამოცემული და გამოუცემელიც), მისი აზრით, სხვადა-

სხვა, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ნუსხებია (რამდენად სწორია უკანასკნელი ორი შეხედულება, ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი).

რაზეა დაფუძნებული ახალი გამოცემა? ამის შესახებ ა. იოსელიანი გვამცნობს: „ჩვენი გამოცემა არსებულ („ცისკრის“ და 1913 წ.) გამოცემებს არ ემყარება, მათ მხოლოდ საკონტროლო მნიშვნელობას ვანიჭებთ ტექსტის მეცნიერულად დადგენისას, „ანდერძის“ დღემდე უცნობ ხელნაწერებთან მათი შეჯერებით. იესე ოსეს ძე ბარათაშვილის „ანდერძის“ ტექსტის წინამდებარე გამოცემა დამყარებულია წინა გამოცემისათვის უცნობ ორ ხელნაწერზე. მათ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ როგორც ტექსტის დაზიანებული ადგილების აღდგენისათვის, ასევე ტექსტუალურად საეჭვო, გაუმართავ თუ დამახინჯებულ ცალკეულ ადგილების მეცნიერულად დადგენის თვალსაზრისითაც; საბოლოოდ კი ჩვენ გამოცემას საფუძვლად უდევს C ნუსხა“ (X გვ.).

ამგვარად, გამოცემა ემყარება ზემოდასახელებულ ორ ხელნაწერს, ხოლო მათ შორის უპირატესობა C ინდექსით აღნიშნულ ცენტრარქივის ნუსხას (ფ. 233, № 526) აქვს მინიჭებული.

მართლაც C ხელნაწერი, როგორც ამას შესავალ წერილშიც კარგად ასაბუთებს ა. იოსელიანი, შედარებით სრულია, ნაკლებად შეიცავს აზრობრივად დამახინჯებულ და გამოტოვებულ ადგილებს, ენობრივ შეცდომებს, ხოლო, რაც მთავარია, მას გაცილებით ნაკლები რაოდენობის გვერდები აკლია, ვიდრე ხსენებულ ორ გამოცემას და მუზეუმის ხელნაწერს.

C ხელნაწერი თუმცა პირია, მაგრამ შედარებით კარგად და უცვლელადაა დედნიდან გადაწერილი. ჩანს იგი მაშინ შეუსრულებიათ, როცა დედანს ჯერ კიდევ არ აკლდა და მასში არც ცვლილებები იყო შეტანილი (ზოგი წინადადებებისა და სიტყვის წაშლა). ასეთ პირობებში, ვფიქრობთ, ა. იოსელიანის მიერ აღებული გზა სწორია—ე. ი. ტექსტის ძირითად წყაროდ C ნუსხის მიჩნევა.

მაგრამ ა. იოსელიანი ცდება, როცა გვარწმუნებს, რომ ამ გამოცემაში „B და C ხელნაწერების გამოყენებით მოხერხდა „ანდერძის“ ტექსტის დადგენა“ (XXIX გვ.)[1]. მას ხომ არ გამოუყენებია მესამე ხელნაწერი, რომლის შესახებაც თვითონვე გვამცნობს,—იგი „ს. კაკაბაძის საკუთრებას წარმოადგენს და ჩვენ ამ ნუსხით სარგებლობის უფლებას მოკლებული ვიყავით“ (IX გვ.). მართალია, ა. იოსელიანს ვერ ვუსაყვედურებთ, თუ რატომ არ ისარგებლა მან კაკაბაძისეული ნუსხით, მაგრამ სწორი არაა და საქმეს სრულებით არ შველის ის გზა, რაც მან ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად აირჩია, სახელდობრ: მესამე ხელნაწერი „შერყვნილ“ გადანაწერად გამოაცხადა (თუნდაც რომ ეს ასე იყოს), ხოლო თვით ამ „გადანაწერი“ ხელნაწერის ექვივალენტად ს. კაკაბაძის მიერ დაბეჭდილი ტექსტი გამოიყენა. მესამე ხელნაწერის უშუალო გამოყენების საჭიროება ა. იოსელიანმა მოხსნა აგრეთვე ს. კაკაბაძის შემდეგი განცხადების საფუძველზეც: ტექსტი „გამოვეცი სრულიად შეუცვლელად ხელნაწერის მიხედვით“ (IX გვ. ამის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ).

ყოველგვარი წინასწარი შემოწმების გარეშეც შეიძლება ითქვას, რომ ა. იოსელიანი ამ შემთხვევაში ვერ იჩენს მკვლევარისათვის სავალდებულო სიფრთხილეს. მესამე ხელნაწერის გათვალისწინების გარეშე ახალ გამოცემას ძეგლის დადგენილ ტექსტად გვთავაზობს. და თანაც, ს. კაკაბაძის განცხა-

[1] B აღნიშნავს მუზეუმის ხელნაწერს, ფ. A, № 1770

დების მიხედვით თვლის, რომ მესამე ხელნაწერი ბეჭდურთან შედარებით განსხვავებას არ შეიცავს (ბეჭდვით გამოწეეულ შეცდომებს ა. იოსელიანიც ვარაუდობს, მაგრამ როგორც ახალი გამოცემიდან ჩანს, ძლიერ უმნიშვნელოს). მან არაფრად ჩააგდო ის ფაქტიც, რომ C ხელნაწერი გადაწერილი პირია და ამავე დროს გვიანდელიც.

შემოწმებამ სულ სხვა რამ გვიჩვენა. ა. იოსელიანის მიერ უგულვებელყოფილი ხელნაწერი[1] დედანს, ავტოგრაფს, წარმოადგენს, ხოლო ს. კაკაბაძის გამოცემა არაა შესრულებული „სრულიად შეუცვლელად ხელნაწერის მიხედვით". პირიქით, ბეჭდური ტექსტი საკმაოდ ამახინჯებს დედანს. ყველაფერ ამის გაუთვალისწინებლობამ კი, როგორც ქვემოთ დავინახავთ, დიდად აენო სარეცენზიო გამოცემის ტექსტის გამართვას. საქმე ისაა, რომ თითქმის ყველა ცვლილება, რაც ა. იოსელიანმა ს. კაკაბაძის გამოცემიდან (ე. ი. როგორც ხელნაწერიდან) C ხელნაწერის ტექსტში შეიტანა, ნამდვილად მესამე ხელნაწერის დამახასიათებელი თვისება კი არაა, არამედ გამოცემის ტექნიკური მხარეა ან შეცდომა. განმარტების გარეშეც ცხადია, რომ ამ გზით არა თუ ტექსტის დადგენა, ფაქტიურად თვით C ხელნაწერის ტექსტის დამახინჯებაც მივიღეთ. ამგვარად, ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს იესე ოსეს შვილის „ანდერძის" დადგენილი ტექსტი, რადგან ამ ახალ გამოცემაში მესამე ხელნაწერი (დედანი) უშუალოდ, მთელი ღირებულებით, გამოყენებული არ არის, ხოლო ს. კაკაბაძის 1913 წლის გამოცემაც არაა მის შესაფერისად მოხმარებული (როგორც არაკრიტიკული ტექსტი).

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ეს გამოცემა დასახულ მიზანს (დედნის ტექსტის დადგენას) ვერ ამართლებს, ჩვენ ვთვლით, რომ მას თავისი გარკვეული მნიშვნელობა მაინც აქვს. C ხელნაწერზე დაფუძნებული ტექსტის გამოცემა უეჭველად დადებითი მოვლენაა, რადგან აღნიშნული ხელნაწერი დედანთან ახლოსაა, ხოლო ჩვენს ხელთ ამჟამად დედნის მხოლოდ არასრული და ნაკლული გამოცემებია.

შევნიშნავთ მხოლოდ, რომ წინამდებარე გამოცემით ჩვენ წინაშე C ხელნაწერი უცვლელად არ არის და ვერც იქნებოდა. ტექსტის დადგენისა და გამართვის მიზნით გამომცემელმა მასში მრავალი არსებითი „შეუწორება" შეიტანა B ხელნაწერიდან, ს. კაკაბაძისა და „ცისკრის" გამოცემებიდან (აქ მხედველობაში არა გვაქვს ნაკლულ ადგილთა შევსება და უხეშ შეცდომათა გასწორება). ჩვენის აზრით გამოცემა ბევრად მოიგებდა, თუ ა. იოსელიანი შემოიფარგლებოდა მხოლოდ C ხელნაწერის, როგორც პირის, გამოცემით, მასთან დანარჩენ ხელნაწერ-გამოცემათა სხვაობების სათანადო ჩვენებით. ეს გამოიწვევდა ტექსტის გამართვის სამუშაოს სხვაგვარ წარმართვას, მრავალი შეცდომა, რაც ახლა გამოცემას ახლავს, უთუოდ აცილებული იქნებოდა, ხოლო მივიღებდით დედანთან ზედმიწევნით ახლოსმდგომ პირის ტექსტს. სამეცნიერო პრაქტიკაში კი სავსებით მიღებულია მნიშვნელოვანი პირის თუ ვარიანტის გამოცემა.

ჩვენი მიზანია შევამოწმოთ წინამდებარე გამოცემა მხოლოდ იმის მიხედვით, რა სახითაც ის ამჟამად ჩვენ წინაშე არის წარმოდგენილი.

სამწუხაროდ ტექსტის გამოცემის სამუშაო მეტად პრიმიტიულად და დაუდევრად არის შესრულებული. არსებულ ნაკლოვანებათა აღნიშვნა კი სა-

[1] პროფ. ს. კაკაბაძემ საშუალება მოგვცა გავცნობოდით ამ მესამე ხელნაწერს, რომელიც მის არქივშია დაცული, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

ჭიროდ მიგვაჩნია, რათა მკითხველს თავიდან ავაცდინოთ მოსალოდნელი შეცდომები ტექსტის გამოყენებისას.

ხელნაწერ ტექსტს (C, B) და კაკაბაძის გამოცემას[1] ახასიათებს ქარაგმების წესი. დაქარაგმებულია ჩვეულებრივად: ზმნისართები, კავშირები, რელიგიურ-საეკლესიო სიტყვები (ქ, ღთისა, ღთი, კზის და სხვ.), დროის აღმნიშვნელი სიტყვა ქკს („ქორანიკონს", რა[ა]დენიმე გამონაკლისის გარდა), ჭკს („ქრისტეს" [აქეთ] sic) და სხვ. სარეცენზიო გამოცემის ტექსტში ქარაგმა ყველგან გახსნილად არის მოცემული, ხოლო ა. იოსელიანი არსად ერთი სიტყვითაც კი არ მიუთითებს, რომ ქარაგმათა გახსნა მის მიერ ჩატარებული ოპერაციაა. ამ შემთხვევაში იგი ვალდებული იყო სათანადო შენიშვნა გაეკეთებია ანდა დაერთო ქარაგმების ცალკე ცხრილიც. სარეცენზიო გამოცემა, რომელიც ყოველივე ამას მოკლებულია, შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს ამ ძეგლს ეს თვისება არ ჰქონდეს.

ყველა ხელნაწერში და ბეჭდურშიც ქრონოლოგია და ყოველგვარი რიცხვითი სათვალავი გადმოცემულია ქართული ანბანით. ახალი გამოცემის ტექსტში კი ყველგან არაბული ციფრებია ნახმარი, ხოლო გამომცემელი ამ შეცვლის შესახებ საერთოდ არაფერს ამბობს (მიუთითებს მხოლოდ სქოლიოში ორ კონკრეტულ შემთხვევას—4, 72 გვ.), რის გამოც მკითხველი დარწმუნებულია, თითქოს იესე არაბულ ციფრებს ხმარობდა. რასაკვირველია, ეს ფაქტი სათანადო ყურადღების ღირსია, ვინაიდან რიცხვითი სათვალავის ხმარების ესა თუ ის წესი გარკვეული მნიშვნელობისაა კულტურის ისტორიის შესასწავლად; ამ მხრივ მდგომარეობა ერთნაირიც არ იყო. XVIII საუკუნისათვის, იესეს უახლოეს თანამედროვეთა შორის ერთ-ერთ მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ომან ხერხეულიძე, რომელიც არაბულს ხმარობდა, ასევე ვახუშტი ბაგრატიონიც ნაწილობრივ, ხოლო ჩვენთვის ცნობილნი სეხნია ჩხეიძე, პაპუნა ორბელიანი და სხვები იესესავით ქართულ ანბანს ხმარობდნენ.

გამომცემელს ნებისმიერად, ყოველგვარი წინასწარი განმარტების გარეშე, შეაქვს ტექსტში სტილისტურ-ორთოგრაფიული ცვლილებები და ამ ოპერაციას არათანმიმდევრულადაც აკეთებს. ცხადია, ყოველივე ეს მკითხველს ყალბ შეხედულებას უქმნის ძეგლის ენაზე საერთოდ (ამის გარდა C ხელნაწერზეც). რამდენიმე მაგალითი:

1. B და C ხელნაწერებში, ასევე A-ში, ნახმარია სიტყვა „ყოელი" და მისგან წარმოებული სიტყვები „ყოელთაგან" და ა. შ. იშვიათად არის „ყოველი"-ც. ა. იოსელიანის გამოცემის 1,19, 6,30, 7,18, 8,11, 16,15 და სხვ. გვერდებზე დატოვებულია უცვლელად ხელნაწერისეული ფორმა (B, C) „ყოელი", ხოლო 2,35 გვერდზე ხელნაწერის ფორმა „ყოელთაგან" (B, C) შეცვლილია ფორმით „ყოველთაგან". ასევე, ხელნაწერისეული „ყოელთვის" (C) შეცვლილია ფორმით „ყოველთვის" 43,2 და ხელნაწერისეული „ყოელთავე" (C) შეცვლილია ფორმით „ყოველთავე" (43,5) და სხვ.

2. B და C-ში ხშირებულია ფორმა „თვითან", ხოლო გამომცემელი სცვლის მას ფორმით ზოგჯერ „თითონ", ზოგჯერ—„თვითონ". მაგ., ხელნაწე-

[1] ა. იოსელიანი A—ინდექსით აღნიშნავს ხელნაწერთან გაიგივებულ ს. კაკაბაძის გამოცემის ტექსტს. რეცენზიაში ყველგან ნახმარი იქნება „A" მხოლოდ ბეჭდური გამოცემის მნიშვნელობით.

რისეული „თვითან“ (B,C) შეცვლილია ფორმით „თითონ“ (41,13), ხოლო 44,2 გვერდზე ხელნაწერისეული „თვითან“ (B, C) შეცვლილია ფორმით „თვითონ“. ამავე დროს 47,8 და 77,1,4 გვ-ზე უცვლელად არის დატოვებული ხელნაწერის (B, C)—„თვითან“ და სხვ.

3. C ხელნაწერს (და სხვებსაც) ახასიათებს ფორმა „წმიდა“, ა. იოსელიანი კი მას გამოცემის ტექსტში არათანამიმდევრულად სცვლის ფორმით „წმინდა“. მაგ., ხელნაწერის ფორმა „წმიდა“ (B, C) გამოცემის 1,1, 2,29, 3,1 გვერდებზე შეცვლილია ფორმით „წმინდა“, ხოლო 87,7-ზე დატოვებულია უცვლელად C ხელნაწერის „წმიდა“.

4. B, C-ში (A-შიც) იკითხება: „მასწავებელი მღუდელთა და დიდი ქადაგი ეკლესიისა“, გამომცემელს შეუცვლია „მასწავლებელი... და სხვ. 2,34. ამაზე კი არსად არ შენიშნავს.

5. B, C-ში იკითხება: „საერისთაოები“, A-შიც ასევე, მაგრამ შეცდომით მხოლოობით რიცხვში—„საერისთაო“. ა. იოსელიანს კი უსურვებია დაეწერა „საერისთოები“, 43,28.

6. B და C ხელნაწერებში (A-შიც) იკითხება: „სამკვიდროს ნასყიდს“, ა. იოსელიანს აურჩევია „სამკვიდრონს ნასყიდს“, 43,17. შეცვლის შესახებ კი არსად არ მიუთითებს.

7. C-ში იკითხება: „ღამის მჴუმილავი ვიყავე“. გამომცემელს შეუცვლია ფორმით „ვიყვი“, 18,35, როგორც ეს A-ში არის და არ შენიშნავს.

8. C და A-ში: „უმოსამსახურო სიარული“. ა. იოსელიანს შეუცვლია—„უმომსახუროდ“, 32,27, რაც უმართებულოა.

მაგალითების მოტანა კიდევ მრავალის შეიძლებოდა, მაგრამ ესეც საკმარისად მიგვაჩნია და კვლავ შევნიშნავთ, რომ თუ ვაინცა და მაინც გამომცემელი ასეთი ცვლილებების შეტანას განიზრახავდა ტექსტში (რის უფლებაც ჩვენის აზრით არ ჰქონდა), მაშინ მას ეს თანამიმდევრულად და სათანადო განმარტების დართვით უნდა ჩაეტარებია.

ორთოგრაფიის შესახებ უნდა ვთქვათ, რომ მართალია გადამწერლები „ჳ“-ის ხმარებაში თანამიმდევრობას ვერ იცავენ, მაგრამ, სამწუხაროდ, გამომცემელსაც თავის მხრივ კიდევ უფრო გაუზრდია აღრევის შემთხვევები, რადგან ადგილ-ადგილ შეუცვლია ხელნაწერის „ჳ“—„ხ“-ით.

შესავალ წერილში ა. იოსელიანი მკითხველს აუწყებს: „სისრულისათვის ჩვენ ამომწურავად (ხაზი ჩვენია, ბ. ლ.) ვუჩვენეთ ჩვენს განკარგულებაში მყოფი ხელნაწერების და არსებულ გამოცემათა კითხვა-სხვაობანი; ზოგი იმათგანი, მართალია, ფონეტიკური ხასიათისანი არიან, მაგრამ ისინი უმთავრესად ენობრივი თვალსაზრისითაა საინტერესო“ (XIV—XV გვ.); ან, „სხვა დეტალებზე აქ არ შევჩერდებით. ისინი ყველგან ზუსტადაა (ხაზი ჩვენია, ბ. ლ.) მითითებული წინამდებარე გამოცემის სქოლიოებში“ (XII გვ.). სამწუხაროდ, ეს განცხადებაა სინამდვილეს არ შეეფერება. კითხვა-სხვაობანი ახალ გამოცემაში არც ამომწურავად და არც „ყველგან ზუსტადაა“ ნაჩვენები. პირიქით, ისინი ზოგჯერ დამახინჯებულადაც არიან წარმოდგენილი, ხოლო რიგ შემთხვევებში სინამდვილეში არარსებული სხვაობანიც კი არის სქოლიოში მითითებული. ნაკლოვანებათა ამ მხარეს ჩვენ სპეციალური მსჯელობის საგნად არც გავხდიდით, რომ ამ ჭრილში მეტად მრავალ შემთხვევას არ ჰქონდეს ადგილი.

შევნიშნავთ: გამომცემელს სრული უფლება ჰქონდა გადამწერის შეცდომები გამოწვეული გადაწერით (მცდარი წაკითხვა, კალმის ლაპსუსი და სხვ.) სქოლიოში ჩაუტანლად გაესწორებია (თუმცა უკეთეს შემთხვევაში მას ასეთებიც ცალკე ცხრილი უნდა მოეცა), მაგრამ აქ ჩვენ ამგვარ შეცდომებზე ლაპარაკი არა გვაქვს. ქვემომოტანილი საკითხავები, რამდენადაც ისინი შინაარსობლივ. სტილისტურ ან სხვა ხასიათის საკითხებს აღძრავენ, უეჭველად სქოლიოში უნდა გატანილიყო.

აი რამდენიმე მაგალითი მრავალთაგან:

1. კითხვა-სხვაობანი, რომელნიც სქოლიოში შეტანილი არ არიან: ა) 3,26 იკითხება „ას სამოცდა შვიდი თუმანი", B-ში სიტყვა „ას" — არ არის. ბ) 4,24, „მოვიდა სპასალარი", B-ში სწერია „...მივიდა..." (კონტექსტის მიხედვით ეს უკანასკნელი სწორია—C ხელნაწერს ეს ადგილი აკლია). გ) 41,12 „სასოლაღასშვილო წიგნი", B— „სასოლაღასშვილოს წიგნი". დ) 87,21, „ეს ალექსანდრე გარდმოვიდა", სიტყვა „ეს" B და C-ში არ არის, არის მხოლოდ A-ში. ე) 88,27, „მისის შობის დღე გათენდა". სიტყვა „დღე" არ არის B და C-ში, არის მხოლოდ A-ში. ვ) 64,31, „2 მინ". არ არის C-ში, არის A-ში (ამ სახის მაგალითები უფრო დაწვრილებით ქვემოთ).

2. კითხვა-სხვაობანი, რომელნიც დამახინჯებულად არიან სქოლიოში გატანილნი: ა) 3,7, სიტყვა „მდივანბეგისშვილი" აღნიშნულია პირველი შენიშვნით: „მდივანბეგისშვილი BC". C-ს მიმართ შენიშვნა ზედმეტია, რადგან იქ სწორადაა, ხოლო B-ში იკითხება „მდივანბეგების-( || მდივანბეგის, ბ. ლ.) შვილი". ბ) 5,33, „სამწყსოს" 12 შენიშვნით: „სამყაროს B". ნამდვილად B-ში იკითხება „სამყსოს" (გადამწერს „წ" გამორჩენია). გ) 44,5, წინადადება: „ეს უფრო დიდი წინადადებაა" — 2 შენიშვ. „ეს უფრო დიდი წინადადებაა ჩასმულია ფრჩხილებში BC-ში". ნამდვილად კი სიტყვა „დიდი" B და C-ში არ არსებობს, არის A-ში. დ) 43,22, „შესცილებია"—12 შენიშვ. „შსცილებია BC", ნამდვილად C-ში არის „შესცილება", გადამწერს „ი" გამორჩენია. ე) 56,8 „ჯაშუში"—3 შენიშვ. „ჯაშუში <AC", ნამდვილად C-ში ეს სიტყვა არსებობს ამ ადგილას. ვ) 56, 14 „მომღები"—6 შენიშვ. „მიმღები BC", ნამდვილად B, C-ში ეს სიტყვა სწორადაა და სხვ.

3. ისეთი „სხვაობანი", რომელნიც სინამდვილეში არ არსებობენ: ა) 45,5, „ნაღარა ხანი"—3 შენიშვ. „ნაღირახან BC". ნამდვილად არც B და არც C-ში ასეთი სხვაობა არ არსებობს, ორივეგან იკითხება სწორად „ნაღარახანი" (შეერთებულად სწერია). ბ) 59,37, „შეითქუნენ"—9 შენიშვ. „შეითქუნელ BC", ნამდვილად C-ში ასეთი სხვაობა არ არსებობს, არის სწორად „შეითქუნენ", ხოლო B-ში არის „შეითქუნეთ". გ) 52,9, „ზრბითს" — 5 შენიშვ. „ზრბითს <B". ნამდვილად B ამ სიტყვას არ აკლებს. 52,4, „ლოინაანთ"— 2 შენიშვ. „ლოინთ B", ნამდვილად B-ში ასეთი სხვაობა არ არსებობს, არის „ლოინანთ". 52,2, „ერისთვის"—1 შენიშვ. „ერისთვის B-ში ზემოდანაა ჩამატებული". ეს შენიშვნა სწორი არაა, ნამდვილად B-ში, ტექსტშივე, იკითხება ასე: „ერისთავის სასახლეს ერისთავის შუა", სადაც, როგორც ვხედავთ, „ერისთავის" არის ზედმეტი. ა. იოსელიანის ამ შენიშვნაში მეორე შეცდომა ისაა, რომ ხელნაწერის მიხედვით იკითხება „ერისთავის" და არა „ერისთვის". დ) 88,27, მეფე „შვიდს ამზა ჩირმანს იდგა"—4 შენიშვ. „ამანა B", ნამდვილად B-ში არის „აბაზა" და არა „აჩანა". ე) 14, შენიშვ. 6, „თვითან რომ ერთი

შვილი დაიგულა, მე დედოფალს <BC (ex homoioteleuto)". ნამდვილად C არ აკლებს ამ ფრაზას.

განსაბილველ ტექსტში მოიპოვება სხვაგვარად დამახინჯებული ადგილებიც, რომელთა წარმოშობა მკითხველისათვის ზოგჯერ გაურკვეველი რჩება, ხოლო თუ ისინი გამომცემლის „შესწორებებს" წარმოადგენენ, არსად შენიშნული არაა, თუ რა საფუძველზე მოახდინა მან ეს.

1. 44,8, არის: 1764 წლის „იანვრისს 5". B, C ხელნაწერებში და A-ში (სხვათა შორის დედანშიც) იკითხება „ი ვ ნ ი ს ს ე". საიდან გაჩნდა „იანვარი"? იანვრის არსებობა აქ ისედაც შეუძლებელია, ვინაიდან ამის წინ მოთხრობილი ამბები ყველა 1764 წლის ნანძილზე ხდება, ე. ი. იანვრის მომდევნო თვეებში.

2. C და B ხელნაწერებში, ასევე A-შიც ვკითხულობთ: „სამოცი თუმანი კიდევ ემართა და ამის ს ა რ გ ე ბ ლ ი ს ა თ ვ ი ს თვე და თვე აწუხებდნენ". გამოცემის ამ ადგილას კი ნახმარია „სარგებლობისათვის" (3,37), რითაც სპეციალური ფინანსიურ-იურიდიული ტერმინი „სარგებელი" დაკარგულია.

3. C ხელნაწერში: „მოველ... აღას სახლში დამზრალი და გ ა ყ ი ნ უ ლ ი". უკანასკნელი სიტყვა გამოცემაში შეცვლილია: „დაყინული" (81,15). აქ „გაყინული" უფრო სწორი ფორმაა (B ხელნაწერს და A-ს ეს ადგილი აკლია).

4. B, C ხელნაწერში: „ვიტყვი გ ვ ე ლ ი ს ა მეექვსეობასა და ორღანოობასა" ა. იოსელიანის გამოცემაში სიტყვა „გველის" მაგიერ იკითხება „ძველი" (ისე როგორც დაბეჭდილ ტექსტებშია—„ცისკარი" და A), „გველი" კი სქოლიოშია ჩატანილი (31,13). როგორც კონტექსტი კარგად მიუთითებს, „ძველი" აქ არაფერ შუაშია. „გველის" ამგვარი გააზრება სამღვთო წერილიდანაა შემოტანილი. ამასთანავე მესამე ხელნაწერშიც (დედანში) იკითხება „გველისა". ამგვარად, ა. იოსელიანი აქ იმეორებს „ცისკრისა" და ს. კაკაბაძის შეცდომას.

5. C ხელნაწერში: „ვისაც ის სახლი აეშენებინა, იმისი ასაშენებიც ქ ა ლ ა ქ ი ს ბ ჭ ე ე ბ მ ა მე მიმაცენინეს"; B ხელნაწერში: „... ქალაქის ბიჭებმა მე მიმაცემინეს". ა. იოსელიანის გამოცემაში იკითხება „... ქალაქის ბიჭებმა"... (83,17). ამგვარად, გამომცემელს B-ს წაკითხვა აურჩევია, რაც აშკარად მცდარია. სამწუხაროდ, მას სქოლიოც გამორჩენია C ხელნაწერის ამ სხვაობის მითითების შესახებ, რათა ამით მკითხველს მაინც მისცემოდა საშუალება შეცდომის მიხვედრისა. საინტერესო ცნობა „ქალაქის ბჭეების" შესახებ აწ გამოცემით მკითხველისათვის დაკარგულია! ეს ადგილი A-ს აკლია, რაც სამძიმოს ხდის აღნიშნულ შეცდომას.

6. C ხელნაწერში: „ს ა ხ ლ ე ბ ი", გამოცემაში კი ამის მაგიერ არის „სასაბლე" (82,36). ამ ორი ცნების ნებისმიერი შეცვლა სწორი არაა.

7. ა. იოსელიანის გამოცემის 41 გვერდზე ვკითხულობთ: მანუჩარ სოლოლაშვილი „დაჯდა, დაუწყო წერა, მთელი სასოლოლაშვილო წიგნი დამიწერა... ტ ა ბ ა ხ მ ე ლ ი ს შ ე ო თ ხ ე დ ი და საუფროსო და ნასყიდობა ასლამაზისაგან სასახლისა დამიწერა, საღორისის მეოთხედი და საუფროსო და ნასყიდობა". ეს ადგილი B და C ხელნაწერებში (აგრეთვე დედანში) განსხვავებულად, ე. ი. სწორედ იკითხება („სხვაობანი" კი ახალი გამოცემის სქოლიოში მითითებული არ არის). ამ შემთხვევაში ა. იოსელიანი უცვლელად იმეორებს ს. კაკაბაძის გამოცემას (A), სადაც დედანი აშკარად დამახინჯებულად არის დაბეჭდილი.

აი ხელნაწერთა ტექსტი: B—„... სასოლოლასშვილოს წიგნი დამიწერა.. (1) ასლამაზისაგან ტ ა ბ ა ს მ ე ლ ი ს მ ე რ ვ ე დ ი და საუფროსო და ნასყიდუ-

ლობა. (2) სასახლის და მიწისა, საღორისის მეოთხედი და საუფროსო“ და ა. შ. C ხელნაწერიც იგივეა, ოღონდ იქ ეს ნუმერაცია არ არის და სიტყვა „ასლამაზისაგან“ იკითხება „სასახლის“ წინ, როგორც გამოცემაშია. აშკარაა, რომ ხელნაწერები არ ცდებიან: ხელნაწერთა ცნობა ტაბახმელის მერვედობის შესახებ სწორია, რამდენადაც იგი პირდაპირ ემთხვევა ამ ძეგლში სხვა ადგილას მამულების რაოდენობის ერთიან სიას, სადაც ტაბახმელა მართლაც მერვედია დასახელებული და არა მეოთხედი. ა. იოსელიანის გამოცემის ამ ტექსტში, როგორც ვხედავთ, არის სხვა შეცდომებიც: უნდა იყოს „ნასყიდულობა“ „ნასყიდობის“ მაგიერ და „და მიწისა“ „დამიწერას“ მაგიერ.

8. ძეგლში გადმოცემულია იესეს დიალოგი მეფე ერეკლესთან. „ღართის კარი, რომ გამოვიარეთ, მცხეთა დავინახეთ. იქ მოვახსენე: მე თუ ორგული ვარ ის მიბრძანე.—ღმერთი ნუ შემარცხვენს არა ხარ ორგულიო.—მაშ გიძრახე და სხვას არავის უძრახავს მეთქი. დიაღ მრავალსა, რომ ჩემის ყურითაც მესმისო და კაის პასუხს მოგცემო“(B,C). გამოცემაში სიტყვა „გიძრახე“ შეცვლილია სიტყვით „მიძრახე“ (84,20), რაც ყოვლად გაუმართლებელია. ჯერ ერთი: მოტანილი ტექსტის შინაარსი თავისთავადაც ნათლად გვიჩვენებს, რომ „გიძრახე“ აქ სრულიად თავის ადგილზეა, მეორე ის, რომ თვით ხელნაწერებიც ასე სწერენ (ამ ადგილას დედანში ამოხეულია გვერდი, ამიტომ A-საც აკლია).

9. B, C ხელნაწერი: „ჩემისთანა მწერალ მწიგნობარი არავინ ახლდა“ და სხვ. გამოცემაში იკითხება: „... მწერალი, მწიგნობარი“ (31,27). გამომცემელს სრულიად უმართებულოდ შეუსწორებია C-ს ტექსტი. ერთი ცნება „მწერალ-მწიგნობარი“ დაუყვია ორ ცნებად—შუაში მძიმე დაუსვამს და „ი“-ც მიუმატებია. ამ შემთხვევაში იგი ს. კაკაბაძის გამოცემას (A) იმეორებს.

10. 4,10—11 „... 12 დროშა, 500 ამაშა, ქეშიკი, ჯარი“. იმის გამო, რომ გამომცემელს ვერ გაუგია სიტყვათა მნიშვნელობა, ერთი ცნება „ამაშა ქეშიკი ჯარი“ მძიმეებით გაუყვია და სამ სხვადასხვა ცნებად მიუჩნევია.

11. 83,36 „... ქსუისი, პაპუთი, ტყვიავი... (გეოგრაფიული სახელების ჩამოთვლა). C ხელნაწერში კი არის: „ქსუისი პაპუათი, ტყვიავი“ (A-ს ეს ადგილი აკლია). გამომცემელი ამ შემთხვევაში ეყრდნობა B-ს.

12. ხელნაწერ ტექსტებში თარიღის ციფრებისას სიტყვა „ქორანიკონს“ ზოგჯერ არ იხმარება, პირდაპირ დასახელებულია რიცხვი. ა. იოსელიანს კი ყველგან შეუტანია ის, ხოლო ამის შესახებ არაფერს შენიშნავს. მაგ., „ქორანიკონს“ არ უნდა: 76, იხ. სქოლიო (აქ A სწორად გადმოცემს); 77,31 და 75,6 (გამომცემელი ამ ორ შემთხვევაში იმეორებს A-ს შეცდომას) და სხვ. ეს სიტყვა გამოცემის 10,12 სწორადაა დიდ ფრჩხილებში ჩასმული და ასე უნდა ყოფილიყო სხვაგანაც.

ხელნაწერებში თარიღის აღნიშვნისას სიტყვა „წელი“ როგორც წესი არ იხმარება, გამომცემელს კი იგი შეაქვს ტექსტში და ხშირად ფრჩხილებში ჩასმა ავიწყდება. მაგ., 22,14, 15,7 და სხვ.

13. შეიმჩნევა სიტყვების გამოტოვებაც: B, C—„რისხვით ვიყავით გათაებული“, „ვიყავით“ გამოტოვებულია (82,12); C—(B-ს აკლია)—„ჭეშმარიტად დიდად ვეცადე“, „ჭეშმარიტად“ გამოტოვებულია (81,7); B, C—„აპრილის ივ მეწყინა ჰტდ ქეს აღდგომის დღეს“, „მეწყინა ჰდტ“ C გამოტოვებულია (77,31). C—„აკდეგ და გაველ“, „და“ გამოტოვებულია (32,12).

14. BC, და ხელნაწერში: „ვ ა ლ ი ს ა გ ა ნ მარადის დაჩაგვრა გულისა“. სარეცენზიო გამოცემაში იკითხება სხვანაირად: „ამისაგან მარადის დაჩაგვრა გულისა“ 13,11. ამგვარად, ა. იოსელიანი სიტყვას ვალისაგან სრულიად უმართებულოდ „ასწორებს“ სიტყვით „ამისაგან“, ხოლო სქოლიოში კი ამჯერად ასე შენიშნავს: „ABC ხელნაწერებში „ალისაგან“ სწერია. ჩვენ ამ სიტყვას ვასწორებთ ამისაგან“. როგორც ვხედავთ, თვით შენიშვნაც C მიმართ სიმართლეს არ შეეფერება, B,C ხელნაწერში არავითარი „ალისაგან“ არ სწერია, არის სწორად „ვალისაგან“.

*
* *

შევეხოთ, როგორ არის გამოცემაში შესწავლილი ხელნაწერთა ტექსტების ურთიერთდამოკიდებულების საკითხი. ამ მხრივ სპეციალური კვლევა გამომცემელს არ ჩაუტარებია. მართალია, თითოეული ხელნაწერი განხილულია ცალ-ცალკე, მაგრამ ერთმანეთთან კავშირის გარეშე. ამ საკითხის შეუსწავლელობა კი გამოცემის დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს, ხოლო ის მოსაზრებანი, რაც გამომცემელს ამის თაობაზე მაინც აქვს წამოყენებული, დასაბუთებას მოკლებული და მცდარია.

ა. იოსელიანი მცდარად წარმოგვიდგენს მესამე ხელნაწერის (A) რაობას. კვლევის მეთოდიც, რაც შეცდომის წყაროდ იქცა ამ შემთხვევაში, მანკიერია. ზემოთაც შევნიშნავდით, რომ ა. იოსელიანმა მეტად სახიფათო პასუხისმგებლობა იკისრა, როცა ამ ხელნაწერზე მსჯელობა მხოლოდ და მხოლოდ არაკვალიფიციური გამოცემის თვისებების მიხედვით ააგო. რაკი ა. იოსელიანს უშუალოდ ხელნაწერის შემოწმების საშუალება არ ჰქონდა, ბევრად სჯობდა თავი შეეკავებინა არნახული ხელნაწერის ამგვარი შეფასებისაგან, რაც, ცხადია, ხელს არ შეუშლიდა მას სათანადოდ გამოეყენებინა ს. კაკაბაძის გამოცემა, როგორც ხელნაწერის ნუსხის ბეჭდური ტექსტი. ს. კაკაბაძის შენიშვნა, რომ მან ხელნაწერი გამოსცა „სრულიად შეუცვლელად“ ვერაფრით ვერ ამართლებს ა. იოსელიანს, რამდენადაც სწორედ ის შეცდომანი, რომლებიც ისედაც კარგად ემჩნეოდა კაკაბაძისეულ გამოცემას, უკვე საკმარისი საბუთია, სხვა გარემოებაც რომ მხედველობაში არ იქნეს მიღებული, რათა გამოცემის იდენტურობა ხელნაწერთან ეჭვის ქვეშ დადგეს. აკი თვითვე ა. იოსელიანი ს. კაკაბაძის 1913 წლის გამოცემას „არა კრიტიკულსა და დეფექტურს“ უწოდებს! (VIII გვ.) „ანდერძის“ 1913 წლის პუბლიკაციისა და მის შესაბამის ხელნაწერისადმი ა. იოსელიანის მცდარმა მიდგომამ არსებითად იმოქმედა ახალი გამოცემის ტექსტის მართებულად დადგენაზე. ამის გამოა, რომ მკითხველის ყურადღებას საგანგებოდ ვაჩერებთ კერძოდ ამ საკითხზე.

ა. იოსელიანი წერს: „1913 წლის გამომცემელი დარწმუნებულია, რომ ეს ხელნაწერი დედანია, დაწერილი თვით იესე ოსეს ძის მიერ. უკანასკნელი, ვფიქრობ, სინამდვილეს არ უნდა შეესაბამებოდეს, ვინაიდან აღრეეანი, შეუსაბამობანი და უამრავი შეცდომა ტექსტუალური ხასიათისა, რომლებიც დაშვებულია ამ ხელნაწერზე დაყრდნობით ს. კაკაბაძისეულ 1913 წლის გამოცემაში, ძნელი წარმოსადგენია ყველა ეივარაუდოთ ბეჭდურ შეცდომებად; არ შეიძლება ეს შეცდომები მიეაწეროთ იესე ბარათაშვილსაც, რომელიც მე-18 საუკუნის ცნობილი მდივან-მწიგნობარი და კალიგრაფი იყო. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ს. კაკაბაძის 1913 წ. გამოცემა არ უნდა ემყარებოდეს ავტოგრაფს, არამედ იესეს „ანდერძის“ რომლიღაც დაუდევარი გადამწერის ნიერ აშკარად შერყვნილ ხელნაწერს“ (IX გვ.).

აღნიშნული შეხედულება, მის არგუმენტაციითურთ მცდარია. ნამდვილად, ეს ხელნაწერი დედანია, ავტოგრაფი და, რასაკვირველია, მასში არავითარ „აღრევას“, „შეუსაბამობას“ ან „შეცდომებს“ ადგილი არ აქვს. ყველა ასეთი მხოლოდ ს. კაკაბაძის არაკვალიფიციური გამოცემითაა შექმნილი. ერთადერთი ნაკლი, რაც შეიძლება ამ დედანს მივაწეროთ,ის არის, რომ მას შიგადაშიგ გვერდები აკლია (ამოხეულია) და რიგი წინადადებებისა „წაშლილია“ (მათი წაკითხვა თავისუფლად ხერხდება. ამის შესახებ ქვევით).

ხელნაწერი საშუალო ზომის ბლოკნოტის ფორმისაა, ჩასმულია მაგარ ყავისფერ ტყავის ყდაში. გვერდები იშლება ზევიდან. ხელნაწერის დედნობას ბევრი რამ მოწმობს: I. უპირველეს ყოვლისა ხელი. ნაწერია გაკრულად და ვინც იესეს გაკრულ ხელს იცნობს, ძნელი არაა სრული მსგავსება დაინახოს. II. არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ხელნაწერის ერთი ადგილიც: აი რას ვკითხულობთ—„მაგრამ კვესიაშვილს გოგიას რომ ჩემთვის ეჩივლა გიორგობის 14 ქორანიკონს 464, ის დამრჩა. ზეიდამ სამი ფურცელი გადმოაბრუნეთ და იქ ქაღალდი დამრჩა, იმაზე დამიწერია მოკლედ და თუ გონება გაქვსთ იმას გაშლით და კაი პასუხებია“ (ციტირებულია ს. კაკაბაძის გამოცემით 103 გვ.). რას ნიშნავს ეს? ავტორი მკითხველს აუწყებს: კვესიაშვილი გოგიას საჩივარი გამომრჩა, მაგრამ გადმოშალეთ სამი ფურცელი უკან, იქ თავისუფალი გვერდი დამრჩა დაუწერელი და მასზე დავწერე მოკლედ, იქვე არის პასუხებიცო. მართლაც თუ ამ ხელნაწერის სამ გვერდს უკან გადმოვშლით, ნათქვამი საესებით დასტურდება. წერის დროს, ეტყობა, ფურცელი ფურცელს შეეწება და ამგვარად ორი გვერდი დაუწერელი დარჩა, სწორედ ამ გვერდებზეა მოთავსებული „კვესიაშვილის საჩივარი“ და „პასუხებიც“ (ე. წ. „პასუხი ძემოკლებული“). მაგრამ აქ საყურადღებო ისიცაა, რომ ამ გამოტოვებულ გვერდებზე ტექსტი შებრუნებულად (თავდაყირა) არის ჩაწერილი. ეს კი საგანგებოდ გაუკეთებია ავტორს, რათა მკითხველს შეცდომა არ მოსვლოდა—ჩაწერილი ტექსტი წინა გვერდის გაგრძელებად არ მიეჩნია.

მოტანილი ადგილიდან საყურადღებოა სიტყვები: „ზევიდამ სამი ფურცელი გადმოაბრუნეთ“, რაც სრულიად ეთანხმება ამ ხელნაწერის ტექნიკურ თვისებას. გვერდები ამ ხელნაწერში მართლაც „ზევიდან“ იფურცლება ბლოკნოტის მსგავსად.

ნიშანდობლივია გადამწერთა დამოკიდებულება ამ ადგილის მიმართ იმ მხრივ, რომ მათ გადაწერისას გამოუსწორებიათ ავტორის ეს ტექნიკური შეცდომა: გამოტოვებული ტექსტი თავის ადგილას შეუტანიათ, ხოლო ამის შემდეგ წინადადება: „გადმოაბრუნეთ... კაი პასუხებია“-მდე, როგორც უკვე ზემეტი, გადაწერილ ტექსტში აღარ შეუტანიათ (მხოლოდ დაწყებულია წინადადება და წყდება: „ზევიდამ სამი ფურცელი“, ამის შემდეგ C-ში ერთი სიტყვის დასატევი ცარიელი ადგილია). რას მოასწავებს ეს? იმას, რომ გადამწერნი ამ შემთხვევაში მექანიკურად კი არ მოქცეულან, არამედ სათანადოდ გაუაზრებიათ გადასაწერი ტექსტი. ამგვარად, „საჩივარი“ B, C-ში თავის ადგილზეა (სხვათა შორის, B და C ხელნაწერთა ერთნაირობა ამ შემთხვევაში კარგად მოწმობს C-გან B-ს მომდინარეობას).

ს. კაკაბაძეს, ხოლო მის მიხედვით ა. იოსელიანსაც, მოტანილი ადგილი დაბეჭდილი აქვთ ყოველგვარი განმარტების გარეშე, რაც მკითხველს ვერ ურკვევს რას გულისხმობს „ქაღალდი დამრჩა“ და სხვ.

საჭიროა აქვე აღინიშნოს, რომ ა. იოსელიანი აქ B, C ხელნაწერთა და დედნის ტექსტს ამახინჯებს. მას „კვესიაშვილის საჩივარი“ ყოელად გაუმართლებლად ტექსტიდან სქოლიოში ჩაუტანია მხოლოდ იმ ნიშნით, რომ „იესე არაა ამ საჩივრის აეტორი“ (76—77 გვ.). ა. იოსელიანი, შეაქვს რა ასეთი კორექტივი, ანგარიშს არ უწევს იმას, თუ რატომაა ეს საჩივრის დოკუმენტი B, C ხელნაწერების (და თვით დედანის) ტექსტში მოთავსებული; იესე მას თავისი ნაშრომის ორგანულ ნაწილად თვლის; მასზე საგანგებოდ ლაპარაკობს ვრცლად და სხვ. საერთოდ უნდა ვთქვათ, რომ დოკუმენტის ტექსტში შეტანა სრულებით არ არის უჩვეულო რამ. იესე ხომ სხვაგანაც მიმართავს დოკუმენტის ციტირებას? „საჩივრის“ სქოლიოში ჩამოტანით ა. იოსელიანმა ტექსტს დააკლო მისი ორგანული ნაწილი და, მეორეც, გაუგებარი გახადა ტექსტი.—საქმე ისაა, რომ მომდევნო თხრობა ტექსტში, ე. წ. „პასუხები“ („პასუხი შემოკლებული“), ამ „საჩივართანაა“ დაკავშირებული და მის განმარტებას წარმოადგენს. ხოლო რამდენადაც ეს განმარტება ა. იოსელიანმა გამოცემის ტექსტში „შეიტანა“, ბუნებრივია, განსამარტებელიც ტექსტში უნდა იყოს შეტანილი.

III. ხელნაწერის გვერდები თითქმის შევსებულად არის ნაწერი, მაგრამ ვიწრო არშიები მაინც არის დატოვებული. არშიებზე ხშირ შემთხვევებში ნაწერია განზე ტექსტისვე ხელითა და მელნით. აშიაზე ნაწერს მათი შინაარსისა და ტექნიკური თვისების მიხედვით ვერც შენიშვნებად და ვერც მინაწერებად ჩავთვლით, მათ შეიძლება ჩამატებანი ვუწოდოთ და აი რატომ: 1. ისინი შესრულებულია თვით იესეს ხელით და ეტყობა ძირითადი ტექსტის წერის დროსვე ან მაინცა და მაინც არა დიდი ხნის შემდეგ. იესე უმრავლეს შემთხვევაში ნამყო ამბებზე წერდა და ადვილი შესაძლებელია ყველაფერს თანამიმდევრულად და სრულად ვერ იხსენებდა (ამ მხრივ საყურადღებოა, რომ დაახლოებით 25 ასეთ მიწერილიდან 17 მიწერილი, და შედარებით უფრო ვრცელი, სწორედ 1768 წლამდე მოთხრობილ ამბებზე მოდის, დანარჩენი კი, უფრო მოკლეები, მომდევნო პერიოდს ეხება).

ყველა ჩამატება ტექსტის შინაარსს ავსებს და განმარტავს. 2. ჩამატების ნიშნად მათ გაკეთებული აქვთ ნულის მსგავსი წრე (0) და ასეთივე უზის ტექსტში შესაბამის სიტყვას. ამ მხრივ საყურადღებოა, რომ B და C ხელნაწერთა გადამწერებსაც სწორად გაუგიათ მათი მნიშვნელობა და გადაწერისას ყველა ჩამატება მითითებული ნიშნების მიხედვით ტექსტში შეუტანიათ შესაბამის ადგილებზე (არის ორიოდე შემთხვევა, როცა შეტანა გამორჩენიათ). ს. კაკაბაძეს ამ შემთხვევაში ჩამატებანი ტექსტში არ შეაქვს, ათავსებს სქოლიოში, მაგრამ სათანადოდ მიუთითებს მათ ადგილმდებარეობაზე სიტყვით—„განზე“ (რადგან დედანში დაწერილია განდაგან არშიაზე).

ა. იოსელიანი, რომელსაც კარგად ესმის, თუ რას გულისხმობს ს. კაკაბაძის შენიშვნა „განზე“, რატომღაც, უმრავლეს შემთხვევაში, სწორად არ გვამცნობს მის მნიშვნელობას, რითაც არევ-დარევა შეაქვს და მკითხველს მცდარ შეხედულებას უქმნის როგორც A გამოცემაზე, ისე მის შესაბამის ხელნაწერზე (დედანზე).

ასე მაგ., შენიშვნა „განზე“ მას გადმოაქვს სხვადასხვანაირად, ხან ასე: „სქოლიოშია გადატანილი“, „მიწერილია სქოლიოში“ („ქორანიკონს 428 (1740 წ.), მიწერილია სქოლიოში Á“, 5, შენიშვ. 5; „ტექსტი „დაბლა—ჯარი“-მდე სქოლიოშია გადატანილი A-ში, მხოლოდ BC-ს ტექსტში

შეაქვს-, 4, შენიშვ. 1; 8, შენიშვ. 8; 10, შენიშვ. 3 და სხვაგან) და ხან ასე: „მიწერილია აშიაზე", „აშიაზეა", („ქორანიკონი 430 აშიაზეა A". 5, შენიშვ. 12; „ამ სიტყვის გასწვრივ A-ში აშიაზეა მიწერილი: საბალშენი მიქელ დეკანოსიძისაგან აღიწერა", 14, 22 და სხვ.)

ამგვარად, გამოდის, რომ ს. კაკაბაძის გამოცემაში და მის შესაბამის ხელნაწერში ჩამატებანი თითქოს ზოგი სქოლიოში და ზოგი არშიაზე იყოს მოთავსებული. მეორე სახის შენიშვნა („მიწერილია აშიაზე") მართებულია და ყველგან ასე უნდა მიეთითებია გამომცემელს.

ყურადღების გარეშე ვერ დავტოვებთ ამასთან დაკავშირებულ შემდეგ გარემოებასაც: როგორც შენიშნული გვქონდა, დედნის არშიაზე არსებული ჩამატებანი B და C ხელნაწერებში ტექსტშია მოთავსებული, ხოლო რადგან სარეცენზიო გამოცემა C ხელნაწერს მიჰყვება, ამდენად მასშიც თავისთავად ჩამატებანი ტექსტში ხვდება. როცა გამომცემელს, ა. იოსელიანს, გზადაგზა ასეთი ჩამატებანი ხვდება (რასაც C-ს A-სთან შედარების გზით არკვევს), იგი მართებულად იქცევა, როცა სათანადო შენიშვნით უთვალისწინებს მკითხველს იმას, თუ რომელ ხელნაწერში ან გამოცემაში სადაა ეს ჩამატებები მოთავსებული, ე. ი. არშიაზეა თუ ტექსტში. ასე მაგ., „ტექსტი „დაბლა-ჯარი"-მდე სქოლიოშია გადატანილი A-ში, მხოლოდ BC-ს ტექსტში შეაქვს". 4, შენიშვ. 1 (აქ A-ს მიმართ მითითება სწორი არაა, ამის შესახებ ზევით) და სხვ. მაგრამ სრულიად უმართებულოა, როცა ა. იოსელიანი სხვა მსგავს შემთხვევებში შენიშვნის ამ ფარგლებს შორდება და უკვე განსხვავებულ განმარტებას აკეთებს. სახელდობრ, მაგალითად: „სიტყვები „ჭეშმარიტად—განსაცდელამდე" სქოლიოშია ჩატანილი A-ში, ჩვენ BC-ზე დაყრდნობით ტექსტში შეგვაქვს", 20, შენიშვ. 8; 74 და სხვ. რა გამოდის? მაშ გამომცემლის დამსახურებაა, რომ მითითებული ჩამატება გამოცემის ტექსტში მოხვდა? რა თქმა უნდა, არა. როგორც ერთხელ ითქვა, ჩამატებანი B, C ხელნაწერთა ტექსტში უკვე თავისთავად შეტანილია გადამწერთა მიერ, ასე რომ ეს დამსახურება B, C ხელნაწერს ეკუთვნის. სულ სხვაა, თუ განმომცემელი საკუთარი დასაბუთების საფუძველზე (ასეთი შეძთაეეეა კი, როგორც დავინახავთ, მრავალია) ჩამოიტანს ჩამატებას ტექსტიდან სქოლიოში ან პირიქით. მხოლოდ ეს შეიძლება ჩაითვალოს მის წვლილად ტექსტის გამართვის საქმეში. მაშინ შეუძლია მას ილაპარაკოს პირველი პირით (სამწუხაროდ ასეთი ცვლილებები ყველგან მცდარადაა გაკეთებული). სიმოკლისათვის ჩვენ აღარ ვეხებით გამოცემაში არსებულ სხვა ასეთი, არასწორი, შთაბეჭდილების შემქმნელ მითითებებს.

ვერ დავეთანხმებით ა. იოსელიანს, როცა მას B, C ხელნაწერთა ტექსტიდან სქოლიოში ჩამოაქვს რიგი ჩამატება და ამას იმით ხსნის, რომ „არსებითი არ არის" ან „ტექსტთან შინაარსობლივი კავშირი არ აქვს". რომ ეს ასეც იყოს (ნამდვილად კი სულ სხვა სურათია), მაინც ამგვარი ახსნა გაუმართლებელია. განა გამომცემლის სუბიექტური შეხედულებით შეიძლება შესწორდეს დედნის ან გადანაწერის ტექსტი! უცნაურია ა. იოსელიანის ასეთი მოქმედება მით უფრო, რომ არშიაზე მიწერილების ავტორად მას, სამართლიანად, იესე მიაჩნია და არა სხვა. ამასთანავე უნდა ისიც შევნიშნოთ, რომ ა. იოსელიანი მრავალ შეცდომას უშვებს ამ ჩამატებათა ადგილის მითითებისას.

ა. იოსელიანი შენიშნავს:

1. „ამ სიტყვის შემდეგ BC ხელნაწერში იკითხება: „ვიყავ წლისა ოცდაათისა"; A-ში ეს სიტყვები არშიაზე ყოფილა მიწერილი და როგორც არა-

არსებითი, ჩვენც სკოლიოში ჩავიტანეთ" (22). რატომ არის „ვიყავ წლისა ოცდაათისა" არაარსებითი? ეკითხოთ ა. იოსელიანს. იმიტომ, რომ „არშიაზე ყოფილა მიწერილი"? მაგრამ არშიაზე ხომ სხვა წინადადებებიცაა მიწერილი, რომლებიც B, C ხელნაწერებმა, ამის მსგავსადვე, ტექსტში შეიტანეს და ა. იოსელიანმაც უცვლელად გაიმეორა თავის გამოცემაში? მაშ შინაარსობლივადაა არაარსებითი? არა. წლოვანების აღნიშვნა-ჩართვა დრო და დრო ტექსტში ეს ხომ ჩვეულებრივი სტილია იესესათვის? აი მაგალითები: „ვიყავ წლისა ოცდახუთისა (15,31,32); „ვიყავ წლისა ოცდაშვიდისა" (17,22); „ვიყავ წლისა ოცდაცხრისა" (18,7) და ა. შ. იესე საგანგებოდაც კი მიუთითებს თავის ამ დამახასიათებელ სტილზე: „ვინათგან ცხოვრებისა ამის ჩემისა რიცხუსა სწორებით ვსწერ" და სხვ. მაშ რით არის ზემომოტანილი ფრაზა, „ვიყავ წლისა ოცდაათისა", „არაარსებითი"? ცხადია, ასეთი არგუმენტაცია მხოლოდ იმას მოწმობს, რომ გამომცემელი საფუძვლიანად არ იცნობს გამოსაცემი ძეგლის აგებულობასა და ხასიათს. ვითარება მარტივია: აქ და მსგავს შემთხვევებში (იხ. ქვემოთ) ავტორს გამორჩენია ასეთი აღნიშვნები, ხოლო შემდეგ ჩაუმატებია არშიებზე ადგილ-ადგილ. ამგვარად, აღნიშნული წინადადება ტექსტში უნდა შევიდეს იმიტომაც, რომ B, C ხელნაწერებში იგი ტექსტშია შეტანილი და დედანში არშიაზეა მიწერილი როგორც ავტორისეული ჩამატება.

უნდა შევნიშნოთ, რომ ამ წინადადების ადგილი ს. კაკაბაძისა და მის მიხედვით ა. იოსელიანის გამოცემაში შეცდომითაა მითითებული. როგორც B, C ხელნაწერები და დედანი მოწმობს, იგი უნდა იკითხებოდეს სიტყვის — „ქორანიკონს ჩ ღ ნ ე (1758)"—შემდეგ და არა სიტყვის—„ბრძანდებოდენ" შემდეგ.

2. „ვიყავ წლისა 33 —B, C ხელნაწერებში ტექსტშია, ხოლო A-ს სკოლიოში აქვს ჩამოტანილი" (33).—„ვიყავ წლისა 33", რასაკვირველია, როგორც ზემოთ დავასაბუთეთ, გამოცემის ტექსტში უნდა შესულიყო და არა სკოლიოში.

3. „აშიაზე «ქორანიკონს 458 (1770 წ.) ქრისტეს შობას პატარა ბარბარა მეჯვრის ჯვეს დაიბადა ბარბარობის დღეს»—B, C ხელნაწერში ტექსტშია შეტანილი, ხოლო A ნუსხაში აშიაზეა მიწერილი, რასაც უცვლელად ვტოვებთ" (58). ა. იოსელიანის ამ შენიშვნაში სამი შეცდომაა. ნამდვილად ეს ფრაზა—„ქორანიკონს... დღეს"—B,C ხელნაწერების ტექსტში მითითებულ ადგილას არ მოიპოვება, 58,17. მეორე. ეს წინადადება B, C ხელნაწერებსა და ს. კაკაბაძის გამოცემაში იკითხება „მეჯვრისხევს მიგვიპატიჟეს" შემდეგ (58,1).

(სხვათა შორის, შინაარსის მიხედვითაც ცნელი არაა შევამჩნიოთ ა. იოსელიანის მითითების შეუსაბამობა).—მესამე. აღნიშნული ფრაზაც გამოცემის ტექსტში უნდა ყოფილიყო შეტანილი როგორც ავტორისათვის არსებითი ბიოგრაფიული ცხობა (მსგავსი ადგილები ძეგლში უამრავია).

4. „აქ იესე შენიშნავს: «ქორანიკონა 463 (1775 წ.) მარტს 13, აქ უნდა ბრძიმისა და ელენეს დაბადება» (67). ეს ადგილი C-ს ტექსტში შეაქვს, ხოლო AB—ხელნაწერში იგი აშიაზეა მიწერილი... მინაწერს ვინაიდან ტექსტთან შინაარსობრივი კავშირი არ აქვს, ამიტომ ჩვენც სქოლიოში ვტოვებთ". ა. იოსელიანი აქაც ცდება: ნამდვილად დასახელებული წინადადება C ხელნაწერშიც არშიაზეა ძოთავსებული, მაგრამ სხვა გვერდზე —66 ხ. B,C ტექსტის იმ ადგილას, სადაც ს. კაკაბაძე და ა. იოსელიანი მიუთითებს, იკითხება მხოლოდ ნაწყვეტი: „აქ უნდა ბარძიმის". აღნიშნული წინადადებაც. ცხადია, გამოცემის ტექსტში უნდა შესულიყო, როგორც ავტორისათვის არსებითი მითითება.

5. გამომცემელი იჩენს არათანმიმდევრობას. მას სრულიად ერთი და იგივე შინაარსის ჩამატებანი (არშიაზე მიწერილები) ხან შეაქვს ტექსტში, ხან არა. მაგ., „ქორანიკონს 441 (1753 წ.) გიორგობის 2, წლისა 25“, რომელსაც A არშიაზე უჩვენებს („განზე“) (BC-ს არ შემოუნახავს), ა. იოსელიანის გამოცემაში სქოლიოშია ჩამოტანილი (17). ხოლო—„მაშინ ვიყავ მე წლისა ოცდაათხუტმეტისა“, რომელიც აგრეთვე A-ს მითითებით არშიაზეა („განზე“), გამოცემის ტექსტშია შეტანილი (34). „ვიყავ წლისა ოცდაათისა“, რომელიც ასევე არშიაზეა დაწერილი (A—„განზე“), გამოცემის სქოლიოშია ჩამოტანილი და სხვ.

6. „ეს სასახლე იმათაც ნასყიდი ჰქონდათ ზურაბ ერისთვისშვილის—ეშიკაღასისაგან“+BC ტექსტში (A-ში სქოლიოშია ჩატანილი)“, 53. ნამდვილად დასახელებული ფრაზა C ხელნაწერშიც არშიაზეა და არა ტექსტში. ხოლო ჩამატება—შენიშვნის ნიშანი C ხელნაწერში ზის სულ სხვა ადგილას, სახელდობრ იმავე წინადადების ბოლოში, სიტყვასთან—„აშენებული“ 53,3, რაც აზრობრივადაც უფრო სწორია ვიდრე ს. კაკაბაძის და ა. იოსელიანის გამოცემაში არის ეს. B ხელნაწერშიც სწორადაა შეტანილი ეს საკითხავი. სიტყვა „აშენებულის“ შემდეგ. მოტანილი ფრაზის შეტანაც საჭირო იყო ტექსტში.

IV. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ დედანში ზოგი წინადადება წაშლილია. ბაგრამ წაშლა შესრულებულია არა უბრალო ხაზის გადასმით, არამედ თავისებურად, თითოეული ასო დამატებითი ხაზების საშუალებით გადაკეთებულია გაუგებარ მოხაზულობად. ამჟამად, დროთა გასვლის გამო, ეს ორი მელანი განსხვავებულია და ტექსტი იკითხება გარკვევით. ეტყობა ძლიერი სურვილი ჰქონიათ წაშლილი ადგილები ვერავის გაერჩია. მათი ასეთი დაინტერესება გასაგები გახდება, თუ ამ წაშლილი ადგილების შინაარსს გავეცნობით: ყველგან იესეს წარსულ სოციალურ ვინაობაზეა ლაპარაკი—იესე როგორც თბილელის ყმა, სიონელი ხუციშვილი და სხვ. გარკვეული გარემოების გამო საჭირო გამხდარა ამ ცნობების დამალვა, მაგრამ ეს რედაქცია იესეს დროს და მისგან არ არის მომხდარი, ვინაიდან მას ამ სახის ცნობები არა შემთხვევით, არამედ საგანგებოდ აქვს მოხსენიებული. მთელი შრომა იმითაა გამსჭვალული, რომ შვილებს დაანახვოს, თუ თავის მუყაითობით მან როგორ მიაღწია სიონელი ხუციშვილობიდან თავადობამდე. მეორე გარემოება ის არის, რომ ყველა ეს ადგილი B და C ხელნაწერებში უკლებლად არის შესული, რაც იმას მოწმობს, რომ გადაწერისას ისინი დედანში წაშლილი არ ყოფილან (B გადაწერილია შედარებით გვიან). სოციალური წარმოშობის მაუწყებელი ეს ადგილები ს. კაკაბაძის გამოცემაში ვერ მოხვდნენ, რადგან ს. კაკაბაძეს ხელნაწერი დეტალურად არ შეუსწავლია; ყველა ისინი გამოუტოვებია ისე, რომ რაიმე შენიშვნაც არ დაურთავს (თუმცა მკითხველს აუწყებს უცვლელად გამოვეცით). ა. იოსელიანის გამოცემაში კი ყველა ეს საკითხავი თავთავის ადგილასაა, რადგან C და B ხელნაწერები, რომლებიც გამოცემას უდევს საფუძვლად, ამ მხრივ უნაკლონი არიან. ამის გამო ა. იოსელიანის გამოცემა ამ მხრივ საფუძვლიანად ასწორებს წინა გამოცემათა ნაკლს.

ა. იოსელიანი შესავალ წერილში ვრცლად საუბრობს აღნიშნული ადგილების შესახებ და ამასთან დაკავშირებით იგი მართებულად მიუთითებს „ცენზურაზე“, რომელიც მისი აზრით „განუცდია ტექსტს (უკეთ რომ ვთქვათ ზოგიერთ ხელნაწერს)“ და რომ ზემოაღნიშნული ხასიათის სოციალური ცნო-

ბები მასში „მოუსპიათ“ (XVIII, გვ. 15). მაგრამ ა. იოსელიანი, როცა ამ საკითხთან კავშირში ხელნაწერის (A) დახასიათებას იძლევა, მცდარად წარმოგვიდგენს სინამდვილეს. ის წერს: „... ხელნაწერს A-ს (1913 წლის გამოცემა რომ ემყარება) განსხვავებით B-ს და C-საგან თანამიმდევრობით არ შემოუნახავს ცნობა იესეს შვილების ნამდვილი წოდებრივი თუ სოციალური ჩამომაელობისა;... B და C ხელნაწერებში ჩვენ ორ ადგილას ვხვდებით ცნობებს: „თბილელის ყმანი იყავით და ხუცისშვილები“ (ჩვენი გამოც. 50, 26) და ან კიდევ „სიონელის ხუცის შვილებსა“ (ჩვენი გამოც. 97,12) მიმართავს თვით იესე შვილებს. A ხელნაწერში ეს და მსგავსი ადგილები არცერთხელ არ გვხვდება“ (XVIII გვ.). როგორც ვთქვით, A-ს ხელნაწერში (დედანში) ასეთი საკითხავები ნამდვილად შემონახულია, მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ ის წაუშლიათ. ა. იოსელიანი კი, რომელსაც A-ს ხელნაწერი არ უნახავს და არც შეუმოწმებია, უცნაურია, რატომ ცდილობს ასე კატეგორიულად დაარწმუნოს მკითხველი, თითქოს მართლაც არ გვხვდებოდეს A—ხელნაწერში ეს ადგილები. ვიმეორებთ, წინამდებარე გამოცემისათვის სრულებით არ იყო აუცილებელი A-ს ხელნაწერის ღირსების ხელოვნურად დამცირება. გამომცემელს ამგვარი მსჯელობისაგან ან სრულიად ხელი უნდა აეღო, რითაც გამოცემა მოიგებდა, ან ს. კაკაბაძის არაკვალიფიციური გამოცემის მიხედვით ხელნაწერის შეფასება მხოლოდ სიფრთხილით ეწარმოებია.

მოგვაქვს დედნიდან ყველა ეს წაშლილი ადგილი (მითითებულია სარეც. გამოცემის გვერდები, ვინაიდან დედანს პაგინაცია არ აქვს): 1. „ქათალიკოსის ანტონისაგან დიაკვნად ვეკურთხე“, 9 (შესავალ წერილში ამ ადგილის მიმართ სწორად არაა ნაჩვენები ნაკლული ტექსტის რაოდენობა, XXV). 2. „ტფილელის ყმანი იყავით და ერთი ხუცის შვილები ამდენი“ 50,3; „ტფილელს“ 73,6; „ტფილელს“ 73,9; „სიონს გარეთ“ 73,17; „სიონელი ხუცის შვილისა“ 97,12. 4. ვერ დავეთანხმებით ა. იოსელიანს იმაშიც, რომ თითქოს ცნობა იესეს შვილების პირადობის დახასიათების შესახებ „ამოგდებული“ იყოს A ხელნაწერიდან (B და C-ში შემონახულია, XXIII გვ.) საქმე ისაა, რომ დედანს ამ ადგილას აკლია (ამოხეულია ფურცელი), ამას ს. კაკაბაძეც შენიშნავს (134).

ა. იოსელიანი ფიქრობს, რომ ჟურნალ „ცისკრის“ გამოცემის ხელნაწერი „ჯერჯერობით მიკვლეული არაა“—ჩვენ კი ვეთანხმებით ს. კაკაბაძეს, რომელიც „ცისკრისა“ და მის მიერ 1913 წლის გამოცემაში გამოყენებულ ხელნაწერს ერთ და იგივედ თვლის.

ა. იოსელიანი თავის მოსაზრებას აყრდნობს გამოცემათა ტექსტების არსებით განსხვავებულობაზე (IX გვ. შენიშ.) და ამ გზით ასკვნის—ჟურნ. „ცისკარს“ სულ სხვა ხელნაწერი უნდა ჰქონოდაო: „ანდერძის ხელნაწერი ტექსტებისა და არსებულ გამოცემათა კრიტიკულმა შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ არც ერთი აქ დასახელებული ხელნაწერი გამოსაყენებლად ცნობილი არ უნდა ყოფილიყო „ცისკრის“ რედაქციისათვის“ (VI გვ.). ა. იოსელიანი მართალია იმაში, რომ „ცისკრის“ გამოცემა A-საგან განსხვავებულად არასრულია, „დეფექტური და გაუმართავია“, მაგრამ მხოლოდ აქედან ზემომოტანილი დასკვნის გამოტანა სწორი არ იქნება. უპირველეს ყოვლისა, აქაც საჭირო იყო იმის დადგენა, თუ საიდან მომდინარეობენ „ცისკრის“ გამოცემის შეცდომები და აღრევანი. ხოლო ვინაიდან ეს გამოცემაც მსგავსად ს. კაკაბაძის გამოცემისა არაკვალიფიციურია, აპარატიც და სხვა ასეთი დართული

არ აქვს. ამიტომ მისი ამ მხრივი შემოწმება ისევ ხელნაწერთან შედარების გზით უნდა მომხდარიყო. ხოლო თუ ამის საშუალებას მოკლებული იყო ა. იოსელიანი, მაშინ, რასაკვირველია, დასკვნა ფრთხილი სჯობდა.

შემოწმებამ გვიჩვენა, რომ ყველა ის შეცდომა, რაც „ცისკარს“ ახასიათებს, მხოლოდ და მხოლოდ გამოცემის ბრალია და არა ხელნაწერის ტექსტისა. აი საბუთები: გარეგნული ნიშნები მოწმობს, რომ ეს ხელნაწერი (A-ს დედანი) სტამბაში მოხვედრილა, საიდანაც უშუალოდ უწარმოებიათ აწყობა. 1. ხელნაწერს აჩნია სტამბის შაივი საღებაივი. 2. ხელნაწერში მოიპოვება ასოთამწყობის აღნიშვნებიც. მაგ., ორ ადგილას ფანქრით გასმულია ხაზი და მიწერილია „აქამდე აიწყოს“ (ბოლოდან 7 გვერდი); „აქამდე“ (ბოლოდან 4 გვ.). საყურადღებო ისაა, რომ სიტყვა „აქამდე“ იმ სიტყვებთანაა მოთავსებული, სადაც „ცისკარში“ ბეჭდური ტექსტი წყდება—„შიხზე გაიმარჯვაო“ (1872 წ. ნომბ.-დეკემბ., 591 გვ.). ამგვარად, მითითება დაბეჭდილს ეთანხმება. 3. „ცისკრის“ ბეჭდური ტექსტი, როგორც წესი, არშიაზე მიწერილებს არ გადმოგვცემს, ხოლო ალაგ-ალაგ ერთეულ სიტყვებს უშვებს. ასეთი შემთხვევის დროს, ხშირად, გამოტოვებული სიტყვის მაგიერ მრავალი წერტილია დასმული. დედანთან შედარებამ გამოარკვია, რომ ასოთამწყობს შეგნებულად გამოუტოვებია: ან ძნელად ამოსაკითხი, ან სტრიქონს ზევით ჩაწერილი და ან არშიაზე მიწერილი სიტყვები. ზოგჯერ შეცდომა დაშვებულია სიტყვის ამოკითხვაში ფონეტიკურ-ორთოგრაფიული მსგავსების გამო. რიგ შემთხვევაში ნებისმიერად ჩამატებულია ახალი სიტყვებიც. საერთოდ ეტყობა, რომ ასოთამწყობი მექანიკურად ახდენდა ყოველივე ამ ოპერაციას და ანგარიშს არ უწევდა იმას, რომ ამით ტექსტში აზრობრივი შეუსაბამობა იქმნებოდა. მაგ.: 1) სიტყვა „მიზეზზე“ გამოტოვებულია, დედანში კი იგი გაურკვევლად იკითხება და ტექსტს ზემოთ არის ჩამატებული (5,27; კაკაბაძის გამოც. 9); „სპასალარი ღვინობისთვის“ გამოტოვებულია, დედანში „სპასალარი“ არშიაზეა გატანილი, „ღვინობისთვის“ გაურკვევლადაა დაწერილი (4,24; კაკ. 7; ცისკ.; 739).; „იხვეწა გივი“ გამოტოვებულია—დედანში გაურკვევლადაა (8,23,24; კაკ. 13); „თამარი“ გამოტოვებულია—დედანში ნაწერია წვრილად და გაუგებრად (11,18,19; კაკ. 16); „თიბათვეს“ გამოტოვებულია — დედანში ჩამატებულია ზევიდან წვრილად (11,22; კაკ. 16) და სხვ. 2) დედანში წერია „ქალანთარმა“—ამოკითხულია, როგორც „ქალაქს რომ“ (3,30; კაკ. 6; ცისკ. 739); დედანში „კა წავიდა“—ამოკითხულია, როგორც „გვასწავიდა“ („კა“ რიცხვითი მნიშ. 4,4; კაკ. 7; ცისკ. 739); დედანში „დაწერილი“—ამოკითხულია „დაჭერილი არ“ (4/15; კაკ. 7; ცისკ. 739); დედანში „ჭარში შეევიდა“—ამოკითხულია „ჯარში შეევიდა“ (4,25; კაკ. 8; ცისკ. 740); დედანში „მამისდაბას“ (სოფლის სახელი)—ამოკითხულია „მამას და ბიძას“ (5,18; კაკ. 9; ცისკ. 740); დედანში „დაიბარა, მიბძანდა და შემირიგა, წამოიყვანა გივი ამილახორი და ბანგუა“—ამოკითხულია „დაიძრა მობრძანდა და შემირიგა წამიყვანა, გივ მილახა და ბანგუა“. ასეთი დამახინჯება გამოწვეულია იმით, რომ დედანში ეს ადგილი გაურკვეველი ხელით არის ნაწერი (8,3,4; კაკ. 12); დედანში „საკომლო“—ამოკითხულია „საკობლო“, დედანში „მ“—მიაგავს „ბ“-ს (17; კაკ. 25) და სხვ. 3) ხშირად გამოტოვებულია ისეთი ქორონიკონები, რომლებიც დედანში არშიაზეა დაწერილი; 4) დედანში—„ერთი შალი მივართვი, სამ თუმნად ვიყიდე“ (33,27). „ცისკარში“ დაბეჭდილია—„და ერთი შალი მივართვი ე ს ე ნ ი სამ თუმნად ვიყიდე“. ამგვარად, სიტყვები „და“ და „ესენი“ დამატებულია „ცისკ-

რის" მიერ (B და C ხელნაწერებში და არც A—გამოცემაში არ მოიპოვებიან ისინი). რომ „ცისკარი" ამ დედნიდან სარგებლობდა, ეს იქიდან ჩანს, რომ დედანში სწორედ ამ ადგილას, სტრიქონს ზემოთ, ფანქრით ჩაწერილია ეს სიტყვები. არის მეორე შემთხვევაც: დედანში წერია „ამ ხანში მოკლა იოანე ბერის დიაკონი იმამყულიხან" (5,26,27; კაკ. 9). „ცისკარი" ბეჭდავს—„ამ ხანში მოკლა იოანე ბერის დიაკონი იმ წყეულმა" და სხვ. (ცისკ. 742 გვ.). ამგვარად, „ცისკარი" უმატებს სიტყვას „წყეულმა" და, რომ ამ შემთხვევაში „ცისკარი" ამ დედნით სარგებლობდა, ეს შემდეგიდან ჩანს: მართალია შესაბამის ადგილს დედანში ფანქრით არ სწერია ეს სიტყვა (ალბათ, ასოთამწყობს ზეპირად შეუტანია ბეჭდვისას ტექსტში), მაგრამ დედნის სხვა ადგილას არის ასეთივე სიტყვა ფანქრით აღნიშნული—„მამაძაღლი" წაშლილია (72,11) და მის მაგიერ ჩაწერილია ფანქრით „წყეული" (ეს ადგილი „ცისკრის" გამოცემაში დაბეჭდილი არ არის).ეს ფაქტი უდაოდ იმას მიუთითებს, რომ პირველი და მეორე შემთხვევაც ერთი და იგივე პირის მიერ არის შესრულებული, რომელსაც ხელში აღნიშნული დედანი სჭერია.

ვფიქრობთ, მოტანილი საბუთები საკმარისად ამტკიცებენ იმას, რომ „ცისკრის" და ს. კაკაბაძის გამოცემები ერთი და იგივე ხელნაწერს, დედანს ეყრდნობიან; რომ ეს პუბლიკაციები ამ დედანს შეცდომებით, არასრულად და საკმაოდ დამახინჯებულადაც ბეჭდავენ. ეს გარემოება, სამწუხაროდ, იმასაც არკვევს, რომ მრავალი ისეთი „სხვაობა", რომლებიც უშუალოდ „ცისკრის" და ს. კაკაბაძის გამოცემებს მიეწერება, ა. იოსელიანის მიერ „ხელნაწერთა" კითხვა-სხვაობად არის ჩათელილი და ყველა ისინი სქოლიოშია გადატანილი. აი, რა მძიმე შედეგი მოჰყვა იმას, რომ ა. იოსელიანი არ შეეცადა ხელნაწერთა ურთიერთდამოკიდებულების საკითხის გარკვევას და წინასწარ, ყოველგვარი შემოწმების გარეშე, ისინი დამოუკიდებელ ნუსხებად მიიჩნია.

B და C ხელნაწერთა შესახებ უნდა ვთქვათ შემდეგი: ისინი ორივე ან ერთი წყაროდან მომდინარეობენ, ან B გადმოწერილია C-დან. ჩვენ ეს უკანასკნელი აზრი მიგვაჩნია სწორად. ამას გვაფიქრებინებს ორივეში ერთნაირი შეცდომების არსებობა. საამისოდ უამრავი ფაქტების დასახელება შეიძლება: საკმარისად ვთელით მივუთითოთ სარეცენზიო გამოცემის სქოლიოები. რამდენიმე მაგალითი ამ მხრივ ჩვენ მიერ მოტანილი იყო ზევითაც. რომ C ხელნაწერი უშუალოდ დედნიდან არის გადაწერილი, ამ მხრივ მეტად დამარწმუნებელ საბუთს იძლევა C-ს ერთი ტექნიკური შეცდომა, რომელიც შეიძლებოდა წარმოშობილიყო მხოლოდ და მხოლოდ ამ დედნით სარგებლობისას. რატომ მოხდა, რომ C (და B) ხელნაწერში წინადადება „ერთი ანდერძის წიგნი დაიწერე, მაგრამ რაღა ხელს ვყრი" (27 გვ.) შეცდომით მოთავსებულია სიტყვის „არ გვინახავსო" შემდეგ? (იხ. 27,12,19 გვ. და შენიშვ.). აი რატომ: დედანში verso იწყება ამ წინადადებით („ერთი ანდერძის...), ხოლო მას ბოლოში გაკეთებული აქვს ჩამატების ნიშანი, მაგრამ თვით ჩამატება შესაბამისი ნიშნით მოთავსებულია არა ამავე (v) გვერდზე, არამედ წინა გვერდის (r) ქვედა არშიაზე და ისიც არა განდაგან, არამედ პირდაპირ როგორც ტექსტის გაგრძელება (ჩამატება ვრცელია: „ბესარიონ... არ გვინახავსო". ს. კაკაბაძეს გამორჩენია ამ ჩამატების მითითება და ამიტომ არც ა. იოსელიანს აქვს შენიშნული). სწორედ ამის გამო მოხდა ის, რომ გადამწერმა, დაამთავრა თუ არა r გვერდი სიტყვებით „გამოვესალმე ყველასა", მასვე მიაყოლა ქვედა არშიაზე მიწერილი ჩამატებაც, მიიჩნია რა იგი მის

გაგრძელებად. წესის მიხედვით აღნიშნული ჩამატება უნდა შეეტანა მას ▼ გვერდზე ზემომოტანილი წინადადების („ერთი ანდერძის...) შემდეგ. სწორედ ამიტომ ეს წინადადება თავის ადგილზე ვერ მოხვდა C ხელნაწერში. A გამოცემაში სწორად არის თანამიმდევრობა დაცული, მხოლოდ შენიშვნის ნიშანი გამორჩენილია. მსგავსი შემთხვევები კიდევ შეიძლება დაიძებნოს.

*
* *

ტექსტს დართული აქვს მოკლე ლექსიკონი, რომელშიაც მრავალი ფრიად საინტერესო ტერმინი გამოტოვებულია. გამოტოვების მაგიერ სჯობდა, რასაკვირველია, განუმარტავი სიტყვებიც შესულიყო ლექსიკონში კითხვის ნიშნის ქვეშ, როგორც ეს ჩვეულებრივ დაშვებულია სამეცნიერო ლიტერატურაში.

ავტორისეული განმარტებანი უმეტეს შემთხვევაში მცდარი ან არასრულია. შეცდომის წყარო ხშირად ის არის, რომ ავტორი სიტყვათა განმარტებისას გვერდს უვლის თანამედროვე მეცნიერულ გამოკვლევებს, სამაგიეროდ შედარებით ამომწურავად იყენებს მოძველებულ ლიტერატურას.

ლექსიკონში გადატანილ ყოველ სიტყვას იქვე გვერდის მითითებაც ახლავს. ეს საერთოდ კარგია, მაგრამ აქ ყოველგვარ აზრს მოკლებული ჩანს, რადგან განმარტება მოცემულია არა მხოლოდ ამ მითითებული კონტექსტის მიხედვით, არამედ აღებულია სიტყვის ფართო მნიშვნელობა. ამ შემთხვევაში კარგი იყო ავტორს მიეთითებია ყველა გვერდი, სადაც კი აღებული სიტყვა არის ნასმარი და არ დაკმაყოფილებულიყო მხოლოდ ერთი გვერდის მითითებით, ეს გაზრდიდა ლექსიკონის მნიშვნელობას საძიებლის თვალსაზრისითაც.

1. „ასნაფი" განმარტებულია როგორც „ამქარი, ხელოსანთა რომელიმე საზოგადოების ან ცეხის წევრი". ეს განმარტება სრული არაა. ასნაფი ან ამქარი პირველ რიგში ადამიანთა ერთი ხელობის ჯგუფს, ერთი გარკვეული სპეციალობის ხელოსანთა ან ცალკე ვაჭართა ორგანიზაციას ეწოდებოდა. ამას გარდა ასნაფი, ამქარი, ამქრის წევრსაც ნიშნავდა.

2. „ახალი სჯული 43,15 ახალი წესი, წესდებულება". ასეთი განმარტება არც საერთოდ და არც მითითებული კონტექსტის მიხედვით არის სწორი. აი, ტექსტიც: „ქრისტიანენი არ იკადრებენ, ამისათვის, რომ ასეთი ხომ არავინ იქნება ან ძველისა და ან ახლის სჯულისა არა იცოდეს რა?" აქედანაც კარგად ჩანს, და ავტორს უნდა მოეხსენებოდეს, რომ „ახალი სჯული" სპეციალური გამოთქმაა, რომელიც ქრისტიანულ სარწმუნოებას გულისხმობს მისი ლიტერატურით (სახარებები და სხვ.), დაპირისპირებით „ძველ სჯულთან", იუდაიზმთან და მის ლიტერატურასთან (დაბადება—მოსეს წიგნები და სხვ.).

3. „განფრდილება 15,26 ბოროტ საქმეებით გატაცება". განმარტება სწორი არაა არც პირდაპირი და არც გადატანითი მნიშვნელობით.

სიტყვა ფრდა (ფრდიდა), განფრდა ნიშნავს გაყიდვას, ვაჭრობას; აქედან მოფარდული—გამყიდველი, მსყიდველი. „განფრდილი, ნებსით თავი გაიყიდოს ვინმემ" (საბა).

4. „გემოთმოყვარება 15,15 ავხორცობა, მრუშობა (ჩუბ.)". სრულიად შეუსაბამო განმარტებაა. გემოთმოყვარება ნიშნავს პირისგემოს მოყვარულობას, მსუნაგობას. ამასვე ნიშნავს იგი იმ კონტექსტშიაც, სადაც არის ნახსენები. იესე ამბობს: კიდევ კარგი, რომ მონაზონი არ გავხდი, თორემ „ვინ უწყის, ეგების ბერობაშიაც ჩემი უდებება და გემოთ-მოყვარება არ მომეკლო და ანგელოზთ სახე შემეგინებინა და უძვირესი სასჯელი მომეგო თავისა ჩე-

მისათვის". აზრი ნათელია. თუ გავითვალისწინებთ იესეს არა ერთგზის განცხადებას თავისი პირადი თვისებების შესახებ, რომ იგი უდები არ იყო და ზომიერი სმა-ჭამა იცოდა (1,2 და სხვ.), ადვილი გასაგებია, რომ აქ იგი გეომოთმოყვარეობაზე მხოლოდ შედარებით ლაპარაკობს, რამდენადაც იცის, რომ ბერ-მონაზონი ერის კაცისაგან განსხვავებით შრომისა და კვების წესებს მკაცრად იცავს.

თუ ა. იოსელიანს დავეთანხმებით, გამოვა, რომ იესეს თვითონ უწოდებია თავის თავისათვის მრუშე-ავხორცი. მართალია, საშუალო საუკუნეების ადამიანისათვის თავის ცოდვილად შერაცხვა, თავის დადაბლება დიდ ღირსებად იყო ნიჩნეული სარწმუნოების თვალსაზრისით, მაგრამ ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ მრუშობა გარკვეულად ისჯებოდა საეკლესიო-სახელმწიფო სამართლით. რასაკვირველია, ნებით არავინ მიიკერებდა მას.

5. „ეშიკაღასი 73,16 იასაული, ხელჯოხიანი, სახელმწიფო მოხელე".

6. „ეშიკაღასბაში 76,2 ეშიკაღასების უფროსი". ზოტანილი განმარტებანი თავის მხრივ ისევ ახსნას მოითხოვენ და საერთოდ სწორიც არაა.

7. „თარხნის" განმარტებაში მცდარია ა. იოსელიანის დებულება: „თარხნობის წიგნი ეძლეოდა გლეხს ან მოქალაქეს". ავტორი ამ შემთხვევაში პ. უმიკაშვილს იმეორებს, რომელსაც ნათქვამი აქვს „თარხნობა ეძლეოდა ხარჯის გამომღებს მოქალაქეს ან გლეხს" (დასტურლამალი). ცნობილი გარემოებაა, რომ ფეოდალურ საქართველოში თარხნობა სხვადასხვა სფეროში სხვა სოციალური წრის წარმომადგენლებსაც შეეძლოთ მიეღოთ.

ბეორე შეცდომა აქ ის არის, რომ ავტორს საკუთარი სახელი „თარხანი" სოციალურ ტერმინად მიუჩნევია და იგი, როგორც ასეთი, ლექსიკონში გამოუტანია. საჭირო იყო მხოლოდ ოდნავ ჩაკვირვება, რათა ეს შეცდომა თავიდან აეცდინა.

8. „იასაული 26,4 ხელჯოხიანი, ბოქაული, მანდატური". ასეთი განმარტება კვლავ განმარტებას მოითხოვს და თანაც მცდარია.

9. „ლანგარი, „ჩინის ლანგარი", ჩინური ლანგარი. 33,26 აკრობატთა ხელსაჭერი ძვირფასი სინი". მითითებული ტექსტის მიხედვით, იესეს დედოფლისათვის მიურთმევია „ჩინის ლანგარი". რა შუაშია აქ აკრობატები? ა. იოსელიანს ამ შემთხვევაში დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონიდან უსარგებლია, მაგრამ განმარტების სათანადო ადგილი უყურადღებოდ დაუტოვებია: „ლანგარი, დიდი სინი, блюдо,—ჩინისა... фарфоровое блюдо".

10. „მალიათი 5,8 ფულადი გადასახადი".

11. „მალუჯაათი 5,4 გადასახადი სოფელზე გაწერილი". ავტორს შეეძლო უფრო სრული და ზუსტი განმარტებანი მოეცა, თუ იგი ამ შემთხვევაში გამოიყენებდა არსებულ სპეციალურ ლიტერატურას.

12. „ლიტრა 109,2 საწყაოს ერთეული". არაფრის მთქმელია. უნდა იყოს ზომაც მითითებული.

13. „ბანგლელი 36,24 მანგლისის საყდრის წინამძღოლი". გაუგებარი განმარტებაა. მანგლელი მანგლისის ეპისკოპოსს ნიშნავს, ხოლო ეპისკოპოსი გარკვეული ტერიტორიული ერთეულის (ეპარქიის) სასულიერო-საეკლესიო გამგებელი იყო.

14. „მდივანი 30,30—35 სამეფო კარის მწერალ-მწიგნობარი. იყვნენ სამეფო და სადედოფლო მდივნები". განმარტება სრული არაა და ნაწილში მცდარიცაა. გარდა სამეფო კარისა, მდივნები, როგორც მწერალ-მწიგნობარნი,

კერძოთაც არსებობდნენ. რასაკვირველია, ავტორს არ უნდა დავიწყებოდა ამ საკითხზე მკვლევართა სპეციალური შრომები (ვ. გაბაშვილი, დარბაზის რიგის მოხელენი დასტურლამალის მიხედვით. ენიმკის „მოამბე", XIII, 173—177; შ. მესხია, მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის. მასალ. საქ. და კავკ. ისტ-თვის. ნაკვ. 26, 1948, 027).

15. „მელიქი 52,6 თბილისის სომეხ-ვაჭარ-ხელოსანთა მეთაური". აქ ა. იოსელიანი იმეორებს პ. უმიკაშვილს, რომელიც წერს: „იყო თავი ტბილისის ქალაქის ვაჭართა, ხელოსანთა და სომხობისა". მართებული იქნებოდა ა. იოსელიანს ეთქვა, რომ მელიქი ეს იყო ქალაქის ერთ-ერთი გამგებელი, მეფის მიერ დანიშნული მოხელე, რომელსაც არა მარტო სომხური, არამედ საერთოდ ქალაქის ვაჭარ-ხელოსანთა მოსახლეობა ემორჩილებოდა.

16. „მორდალი 85,1 ბეჭდის შემნახველი, ბეჭდის დამსმელი". ასეთი განმარტება მკითხველს არაფერს ეუბნება, თან მცდარიცაა. რომელი ბეჭდის? ბეჭედი ხომ თითქმის ყველა ხელისუფალს საკუთარი ჰქონდა? მორდალი იყო მხოლოდ სამეფო ბეჭდის შემნახველი და, რასაკვირველია, ბეჭდის დასმა მას არ ევალებოდა. ბეჭედს სვამდა მეფე და სახლთუხუცესი (ვ. გაბაშვილი, დასახ. შრ. 177—179). მორდლის მოვალეობას შეადგენდა ბეჭდის შენახვის გარდა დაბეჭდილი საბუთის გადაცემაც პატრონისათვის (შ. მესხია, დასახ. შრ. 029). სხვათა შორის ეს უკანასკნელი მომენტი იესეს ამ ნაშრომიდანაც კარგად მტკიცდება (85,1).

17. „მოურავი" განმარტებულია, როგორც „განმგებელი მხარის, ქალაქის, თემის, სოფლის—დანიშნული სამეფო ხელისუფლების მიერ. ეს თანამდებობა არ იყო მემკვიდრეობითი". მოტანილი განმარტების მეორე ნაწილი სწორი არ არის. ცნობილია, რომ მოურავები მეფის გარდა ჩვეულებრივ ფეოდალებსაც ჰყავდათ თავიანთ მამულებში და მათი დანიშვნაც მათ ეკითხებოდათ. რასაკვირველია, მოურაობაც შედარებით მემკვიდრეობითი თანამდებობა იყო. შეეძლო ავტორს, თუ მხოლოდ მეფის მოურავებზე ილაპარაკებდა, ეთქვა, რომ მეფის მოურავები მეფისაგან ინიშნებოდნენ. შეცდომის წყარო ის გახლავთ, რომ ავტორი აქ, და სხვა შემთხვევაშიც, როგორც ეს ზევითაც დავინახეთ, დიდი ნდობით იზიარებს პ. უმიკაშვილის მოსაზრებებს „დასტურლამალის" ლექსიკონიდან, სადაც აღნიშნულია: მოურავი — „განმგებელი, მმართველი რომელსამე ადგილ-მაჲრისა, განწესებული მთავრობისაგან, მეფისაგან ამორჩევით და არა შთამომავლობით" და სხვ. პ. უმიკაშვილის ასეთი გაზიარება, (რომელიც 1886 წელს წერდა), მართებული არაა.

18. „მუფასები—67,33 შეცილება, ბაასი დასტ". განმარტება სწორი არ არის, რამდენადაც იგი მითითებულ კონტექსტს არ უდგება. „ქართლი აღწერეს, არაგვი, ქსანი, შართლამებისა, მუფასებისა არა მომცეს რა".

19. „მუქასარი 62,4 დანახევი". სრულიად შეუსაბამო განმარტებაა, რომელიც მხოლოდ დააბნევს მკითხველს. „მე ვიყავ და ათი თორმეტი კაბა არ გამომლევია ზანდუკში, ოთხი და ხუთი ახალუხი, ხუთი და ექვსი პერანგი და მუქასარი, ჩახჩური და პაიჭი" და ა. შ. ნათელია, რომ მუქასარი ტანისამოსის ერთი სახეობაა, საბელდობრ მამაკაცის ქვედა ტანი. საბასაც ახსნილი აქვს, როგორც „ნიფხვის ტოტი".

20. „სახასო მამული 14,23 სამეფო, სახელმწიფო ზვარი და ხოდაბუნი". სწორი არ არის. სახასო განა მარტო ზვარი და ხოდაბუნი იყო? სახასოდ შეიძლებოდა ყოფილიყო მეფის ყოველგვარი მამული, ყმები და სხვ. თვით მითითებული კონტექსტიც ხომ ამაზე მიუთითებს?

21. სახლთუხუცესის განმარტებაში ავტორი ცდება, რადგან სახლთუხუცესს მხოლოდ სამეფო მოხელედ აცხადებს. სხვა ადგილას კი წინააღმდეგობაში ვარდება, რამდენადაც უკვე „სატფილელოს სახლთუხუცესსაც“ ასახელებს.

22 „ტფილელი“-ს განმარტებისას უეჭველად უნდა აღნიშნულიყო, რომ „ტფილელი“ თბილისის ეპისკოპოსს ნიშნავს.

23. „ღალა 14,91 გადასახადი (ნატურით, შრომით ან ფულით)“... ღალა რომ შრომითი გადასახადი არ იყო, ეს ცნობილია. ღალა (არაბ. ხორბალი, პური..) მოსაელი სნაწილია მიწის პატრონისადმი გადასახდელი. დასახელებული კონტექსტიდანაც კარგად ჩანს ეს.

24. „ნოქრისა“ და „ფარეშის“ ერთნაირი მნიშვნელობით განმარტება, როგორც „მსახურისა“, სწორი არაა.

25. „ხათრიჯამი 66,10 თავაზსა და პატივისცემაში დარწმუნებული, რიდის მჭონე“. მცდარი განმარტებაა. მითითებულ კონტექსტსაც სრულებით არ უდგება ასეთი შინაარსი. ხათრიჯამი ნიშნავს დამშვიდებას, დამშვიდებულად ყოფნას, დარწმუნებას.

26. „ხელჯოხიანი 92,20 ხელარგნოსანი, ბოქაული“. იასაული—„ხელჯოხიანი. ბოქაული, მანდატური“. ეშიკაღასი—„იასაული, ხელ-ჯოხიანი“. ეს ტავტოლოგიაა და არა განმარტება. ხელჯოხიანები ზოგადი სახელი იყო ეშიკაღასბაშის და მისი ხელქვეითი მოხელეებისათვის: ბოქაულთუხუცესი, თოფჩი და სხვ., რადგან მათ სახელისუფლო ნიშანს კვერთხი შეადგენდა. ხელჯოხიანები საპოლიციო მოვალეობას ასრულებდნენ, ისინი ადგილებზე იგზავნებოდენ საქმის გამოსაძიებლად და განაჩენის სისრულეში მოსაყვანად.

27. „ჯარჩიბაში მეფის ცხენოსან გზირთა უფროსი“. არასრული და ამდენად გაუგებარი განმარტებაა. ირანში ჯარჩი ცნობათა გამომცხადებელს ეწოდებოდა. საქართველოში ჯარჩების მოვალეობას სასახლის დაცვა შეადგენდა, რომ სასახლეში უცხო პირები არ შესულიყვნენ. ჯარჩები აგრეთვე „მოუწოდებდენ ხოლმე ჯარს ცხენებზე შესასხდომად. მერმე ცხენოსანი ჯარის აქეთ-იქით რიგ-რიგზე დგებოდნენ და „სწორად ატარებდნენ“, ჯარჩიბაში ჯარების უფროსი (ვ. გაბაშვილი, დასახ. შრ. 193—194).

28. რიგ შემთხვევებში სიტყვათა განმარტებისას ავტორი არ მიუთითებს წყაროზე, საიდანაც ის არა მარტო აზრობრივად, არამედ სიტყვა-სიტყვითაც სარგებლობს. მაგ.: ხასადარი, საკომლო, მუსტოფი, ნაზირი, ნოქარი, ოქმი, ქეთხუდი და სხვ.

29. ლექსიკონში უნდა გატანილიყო ისეთი მნიშვნელოვანი სიტყვები, როგორიცაა: ნასახჩიბაში, მილახორი, მისკარბაში, ყალმის აფრა, ჯიგარი (შავის მნიშვნელობით), დეტი, ოქმი, საბალახე, თამასუქი, შარბაბი, აღრაბი, ბადილი, ბაღდადი მიწა, გაჯი (კირის მნიშვ.), მაქთუფში, ვეჯი, შართლამა, ჯამაგირი, ჯინჯილხანა და სხვ. ასეთი სიტყვები სულ 80-ზე მეტი შეიძლება აღირიცხოს.

ზედმეტია ნიშანი „sic“—სიტყვასთან „დეტთაგან“ (56,7), რამდენადაც ამ სიტყვის მნიშვნელობა საბას ლექსიკონში გარკვეულია.

30. საკუთარ და გეოგრაფიულ სახელთა სიაში შეიმჩნევა გამოტოვებული სახელები. 37 გვ-ზე გამოტოვებულია სულხანშვილი, მანუჩარ; 42 გვ.—

კეხვი, ხელთუბანი; 68 გვ.—პაატა, დიმიტრი, ზაალი; 68 გვ.—მანუჩარ; 84 გვ.—ბეგთაბეგის შვილი; 105 გვ.—ომარ ხან (საძიებელში შეცდომით „ოთარ ხანი“ არის); 77 გვ.—ჯალალა; კლდეკარი—58 და სხვ.

საძიებელში ვკითხულობთ: „გოდერძი, კათალიკოზი 100,25“. ასეთი კათალიკოსი, როგორც ცნობილია, საქართველოში არც იესეს და არც არას დროს არ ყოფილა. შეცდომა მომდინარეობს ა. იოსელიანის გამოცემის ტექსტიდან, სადაც დამახინჯებულადაა ხელნაწერი გადმოწერილი. არის: „ვინ იცის მოვკუდე კათალიკოზი გოდერძისა 1 თუმანი მმართებს, მიეცით“. უ. ი. „ვინ იცის მოვკუდე კზის (კათალიკოზის) გოდერძისა... და სხვ. (C და A). გოდერძის ვინაობა აქ უკვე ნათლადაა.

ყველა აღნიშნული ნაკლოვანების საფუძველზე უნდა დავასკვნათ, რომ ა. იოსელიანის მიერ შესრულებული გამოცემა ხარისხიანი არაა. მეცნიერების განვითარების დღევანდელ დონეს გაცილებით უკეთესი პუბლიკაცია შეეფერება. სამწუხაროდ, გამომცემელს მეტად იოლად შეუხედავს თავისი ამოცანისათვის და ნაჩქარევად მოკიდებია ამ სერიოზულ საქმეს, ამას მოწმობს მითითებულ ნაკლთა ხასიათი. აქ წარმოდგენილი შენიშვნები არ არიან ამომწურავნი, მაგრამ გარკვეულ დახმარებას მაინც გაუწევენ მკითხველს განხილული გამოცემის გამოყენების საქმეში.

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

*

რედაქტორი შ. მ ე ს ხ ი ა
ტექრედაქტორი ნ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე
კორექტორები: ნ. მ ა ი ს უ რ ა ძ ე
ო. გ ი ო რ გ ა ძ ე

გადაეცა წარმოებას 24.1.55. ხელმოწ. დასაბეჭდად 27.4.55. ქაღალდ.
ზომა 70×108¹/₁₆. ქაღალდ. ფურც. 7,625. საბეჭდ. ფურც. 20,9.
საავტორო 17,92. სააღრ.-საგამომც. ფურც. 18,16.
შეკვ. 162. უე 03045. ტირაჟი 1000.
ფასი 12 მან. 20 კაპ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა
თბილისი, ა. წერეთლის ქ. 3/5.